


www.eugb.ge

გლობალიზაცია და ბიზნესი

№4

GLOBALIZATION & BUSINESS



2017 თბილისი
TBILISI

გლობალიზაცია და ბიზნესი

GLOBALIZATION AND BUSINESS

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები
გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
თეორია და პრაქტიკა



SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

Actual Problems of Economy and
Business in Modern Globalization
Theory and Practice

თბილისი
TBILISI
2017

ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების
ფაკულტეტის და გლობალიზაციის ეკონომიკური და
სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის
რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
ამასთან, მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის
მოსაზრებებს.

აკრძალულია ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამრავლება და გავრცელება
კომერციული მიზნებისათვის.

REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL
JOURNAL OF THE FACULTY OF BUSINESS AND TECHNOLOGY AND THE
INSTITUTE OF RESEARCH OF ECONOMIC AND SOCIAL PROBLEMS OF
GLOBALIZATION OF THE EUROPEAN UNIVERSITY

Each author is responsible for the accuracy of the article in this journal. His/her
position may not coincide with the opinions of the editorial board.

Reproduction on distribution of the materials published in this journal for
commercial purposes is strictly prohibited.

ISSN 2449-2396

სარედაქციო საბჭო

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული საბჭო:

ლაშა კანდელაკიშვილი (თავმჯდომარე); გოჩა თუთბერიძე (თავმჯდომარის მოადგილე); ვახტანგ ქავთარაძე (თავმჯდომარის მოადგილე); გივი ბედიანაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე); თამარ ზარგინავა; მაია ხურცილავა; გივი ბაქრაძე; ნინო გაღილია (მდივანი).

სარედაქციო კოლეგია:

ე.მ.დ., პროფესორი რამაზ აბესაძე; ე.მ.დ., პროფესორი იური ანანიასვილი; ს.ა.დ., ასოცირებული პროფესორი მაია აზმაიფარაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი); მ.ა.დ., პროფესორი ალექსანდრე აპლაკოვი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ე.ა.დ., პროფესორი, თამილა არნანია-კეპულაძე; ე.ა.დ., პროფესორი იოსებ არჩვაძე; ბ.ა.დ., ასოცირებული პროფესორი გივი ბაქრაძე; ე.მ.დ., პროფესორი გივი ბედიანაშვილი (მთავარი რედაქტორი); ე.მ.დ., პროფესორი თეიმურაზ ბერიძე; ე.მ.დ., პროფესორი რევაზ გველესიანი; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი ბადრი გეჩხაია; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია; ე.ა.დ., პროფესორი ეკა დევიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ე.ა.დ., პროფესორი ცისკარა ზარანდია; ბ.ა.დ., პროფესორი ლია ელიავა; ე.მ.დ., პროფესორი გოჩა თუთბერიძე; მ.ა.დ., ასოცირებული პროფესორი გოჩა თოდუა; ტ.ა.დ., პროფესორი თეა თოდუა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ე.მ.დ., პროფესორი ნუგზარ თოდუა; ე.მ.დ., პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი, ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი გივი ლემონჯავა; ე.მ.დ., პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნაცვლიშვილი; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი მურად ნარსია; ე.მ.დ., პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა; ე.მ.დ., პროფესორი ვახტანგ სართანია; ე.მ.დ., პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე; ტ.ა.დ., პროფესორი თეიმურაზ სტურუა; მიწვეული პროფესორი ინგა ქონიაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე ჟურნალის ინგლისურენოვან ნაწილში); ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიაშვილი; ე.ა.დ., პროფესორი ლია ჩარექიშვილი; ე.ა.დ., პროფესორი ელენე ჩიქოვანი; ე.მ.დ., პროფესორი ნიკოლოზ ჩიხლაძე; მ.ა.დ., პროფესორი გივი ფიფია; ბ.ა.დ., ასოცირებული პროფესორი ლოიდ ქარჩავა; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი ნათია ხორგუაშვილი; ე.ა.დ., პროფესორი ჯამლექ ჯანჯავა; ე.მ.დ., პროფესორი მიხეილ ჯიბუტი; ასისტენტ-პროფესორი ხათუნა ჯინჯარაძე; ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი ვასილ ხუციშვილი; ასისტენტ-პროფესორი მარიამ ჩაჩუა.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები:

ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი მარინა ბარანოვსკაია (ოდესის ეროვნული ეკონომიკის უნივერსიტეტი); ე.ა.დ., პროფესორი ტატიანა ბორძოვა (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და სოციალური ტექნოლოგიების სახელმწიფო ინსტიტუტი); ე.ა.დ., ასისტენტ პროფესორი ფიტიმ დარი (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, მაკედონია); ე.მ.დ. ელიტა ერმოლაევა (ლატვიის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტი, ლატვიის რესპუბლიკა); პ.მ.დ., დოცენტი ინტა ოსტროვსკა (დაუგაპილსის უნივერსიტეტი, ლატვიის რესპუბლიკა); ე.მ.დ., პროფესორი რიმა ტამოსიუნიენე (ვილნიუსის ეკონომიკისა და მიზნების ინსტიტუტი); ე.ა.დ., ასისტენტ პროფესორი რეგინა დემიანიუკი (პოლონეთის საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი); ე.ა.დ., პროფესორი მარინა ოჩკოვსკაია (მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგის განყოფილება); ე.მ.დ., პროფესორი, აკადემიკოსი იზეტ ზეჟირი (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, მაკედონია).

EDITORIAL BOARD

ORGANIZATIONAL-ADMINISTRATIVE BOARD:

Lasha Kandelakishvili (Chairman); Gocha Tutberidze (Deputy Chairman); Vakhtang Kavtaradze (Deputy Chairman); Givi Bedianashvili (Deputy Chairman); Tamar Zarginava; Maia Khurtsilava; Givi Bakradze; Nino Gadilia (Secretary).

EDITORIAL BOARD:

Ramaz Abesadze, Professor, Doctor of Economic Sciences; Iuri Ananiashvili, Professor, Doctor of Economic Sciences; Maia Azmaifarashvili, Associated Professor, Doctor of Economics (Executive Secretary); Alexander Aplakov, Professor, Doctor of Mathematics (Deputy Chief Editor); Ioseb Archvadze, Professor, Doctor of Economic Sciences; Tamila Arnania-Kepuladze, Professor, Doctor of Economics; Givi Bakradze, Associated Professor, DBA; Givi Bedianashvili, Professor, Doctor of Economic Sciences (Chief editor); Teimuraz Beridze, Professor, Doctor of Economic Sciences; Revaz Gvelesiani, Professor, Doctor of Economic Sciences; Badri Gechbaia, Associated Professor, Doctor of Economics; Nino Damenia, Associated Professor, Doctor of Economics; Eka Devidze, Professor, Doctor of Economic Sciences (Deputy Chief Editor); Tsiskara Zandania, Professor, Doctor of Economics; Lia Eliava, Professor, DBA; Gocha Todua, Professor, Doctor of Economic Sciences; Gocha Todua, Doctor of Mathematics, Associated Professor; Thea Todua, Professor, Doctor of Economic Sciences (Deputy Chief Editor); Nugzar Todua, Professor, Doctor of Economic Sciences; Mikheil Tokmazishvili; Givi Lemonjava, Associated Professor, Doctor of Economics; Elguja Mkvabishvili, Professor, Doctor of Economic Sciences; Tea Munjishvili, Associated Professor, Doctor of Economics; Ekaterine Natsvishvili, Associated Professor, Doctor of Economics; Murad Narsia, Associated Professor, Doctor of Economics; Vladimer Papava, Professor, Doctor of Economic Sciences, Academician of the National Academy of Sciences of Georgia; Vakhtang Sartania, Professor, Doctor of Economic Sciences; Avtandil Silagadze, Professor, Doctor of Economic Sciences, Academician of the National Academy of Sciences of Georgia; Teimuraz Sturua, Professor, Doctor of Technics; Professor, Doctor of Economic Sciences; Inga Koniashvili, Visiting Professor (Deputy Chief Editor in English Section of Journal); Shota Shaburishvili, Associated Professor, Doctor of Economics; Elene Chikovani, Professor, Doctor of Economics; Lia Charekishvili, Professor, Doctor of Economics; Nikoloz Chikhladze, Professor, Doctor of Economic Sciences; Givi Pipia, Professor, Doctor of Mathematics; Loid Karchava, Associated Professor, DBA; Natia Khorguashvili, Associated Professor, Doctor of Economics; Jamlet Janjghava, Professor, Doctor of Economics; Mikheil Jibuti, Professor, Doctor of Economic Sciences; Khatuna Jintcharadze, Assistant-Professor; Vasil Khutsishvili, Associated Professor, Doctor of Economics; Mariam Chachua, Assistant-Professor.

FOREIGN PART OF EDITORIAL BOARD MEMBERS:

Marina Baranovskaya, Associated Professor, Doctor of Economics (Odessa National Economics University); Tatiana Borzdova, Professor, Doctor of Economics (Belarusian State Institute of Management and Social Technologies of State University); Rima Tamosiuniene, Professor, Doctor of Economic Sciences (Vilnius Institute of Economics and Business); Regina Demianiuk, Assistant Professor, Doctor of Economics (Siedlce University of Natural Sciences and Humanities, Poland); Fitim Deari, Assistant Professor, Doctor of Economics (South East European University, Tetovo, Macedonia); Elita Jermolajeva, Doctor of Economics (Latvia University of Agriculture, Republic of Latvia); Marina Ochkovskaya, Professor, Doctor of Economics (Moscow M. Lomonosov State University Marketing Department); Inta Ostrovska, Docent, Doctor of Science in Pedagogy (Daugavpils University, Republic of Latvia); Izet Zeqiri, Professor, Doctor of Science in Economy, Academician (South East European University, Tetovo, Macedonia).

გლობალიზაცია, ევროკავშირი და საქართველო**GLOBALIZATION, THE EUROPEAN UNION AND GEORGIA**

- 10 თინათინ გუგეშაშვილი
BREXIT-ი და ევროპის ფინანსური სისტემა
Tinatin Gugeshashvili
BREXIT AND EUROPEAN FINANCIAL SYSTEM
- 13 რამაზ ფუტყარაძე
ევროპული ინტეგრაცია და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები
Ramaz Putkaradze
EUROPEAN INTEGRATION AND CHALLENGES TO THE ECONOMY OF GEORGIA
- 18 ნანა ბენიძე
აქტუარული მეცნიერების როლი ფინანსურ ანალიზსა და გლობალურ ეკონომიკაში
Nana Benidze
ACTUARIAL SCIENCE AND THE ROLE OF FINANCIAL ANALYSIS IN THE GLOBAL ECONOMY

**მაკროეკონომიკა, ფინანსური ბაზრები,
სოციალურ-ეკონომიკური სფერო და სისინთემური პრობლემები****MACROECONOMICS, FINANCIAL MARKETS, SOCIO-ECONOMIC SPHERE AND SYSTEMIC PROBLEMS**

- 22 დემურ ჩომახიძე
საქართველოს ენერგეტიკა: სიტუაცია და გამოწვევები
Demur Chomakhidze
ENERGETICS OF GEORGIA: CURRENT SITUATION AND CHALLENGES
- 29 მაია ჭანია
სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში
Maia Chania
GEORGIAN SOCIAL-ECONOMIC SAFETY AND PROBLEMS CONNECTED TO IT
- 32 ლამარა ქოქიაური
ლარის დევალვაციის შეჩერების კომპლექსური გზის ძიება საქართველოში
Lamara Qoqiauri
IN SEARCH OF THE COMPLEX ROAD TO STOP LARI DEVALUATION IN GEORGIA
- 39 მიხეილ ჩიკვილაძე
გადასახადის გადახდა, გადანაწილება, ანალიზი და ადმინისტრირების სრულყოფა
Mikheil Chikviladze
PAYMENT, REDISTRIBUTION AND ANALYSIS OF TAXES AND IMPROVEMENT OF ADMINISTRATION
- 44 ნინო ქავთარაძე
განვითარებად ქვეყნებში თანამედროვე ბანკის სისტემის ძირითადი პრობლემა
Nino Kavtaradze
THE MAIN PROBLEM OF MODERN BANK SYSTEM IN DEVELOPING COUNTRIES

- 47 მერაბ ვანიშვილი, ლექსო ლემონჯავა
თანამედროვე საბიუჯეტო კლასიფიკაცია საქართველოს საჯარო ფინანსების სისტემაში
 Merab Vanishvili, Lekso Lemonjava
MODERN BUDGET CLASSIFICATION IN THE PUBLIC FINANCE SYSTEM OF GEORGIA
- 51 ამბროსი გრიშიკაშვილი
XX საუკუნის ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორია
თანამედროვე პრობლემატიკის კონტექსტით
 Ambrosi Grishikashvili
IRAN'S POLITICAL AND ECONOMIC HISTORY OF 20TH CENTURY
- 56 ნაზი გვარამია
ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის თავისებურებები კომერციულ ბანკებში
 Nazi Gvaramia
ACCOUNTING AND AUDITING PECULIARITIES OF COMMERCIAL BANKS
- 60 ლია პითურიშვილი, გია ბუჩაშვილი
საქართველოს სავალუტო ბაზარი – პრობლემები და პერსპექტივები
 Lia Piturishvili, Gia Buchashvili
GEORGIAN FOREIGN EXCHANGE MARKET - PROBLEMS AND PROSPECTS
- 63 ოლიონა დობროტვორი
მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება
 Olena Dobrotvor
IMPROVEMENT OF TEACHERS QUALIFICATIONS
- 67 თეა მუნჯიშვილი
ფინანსური ანალიზის სწავლება ფინანსური სიმულატორის დახმარებით
 Tea Munjishvili
„FINANCIAL ANALYSIS“ TRAINING WITH FINANCIAL SIMULATOR
- 75 თამარ ბერიძე, მედეა ჭელიძე, დავით ბიბიჩაძე
წარმატებისა და დროის მენეჯმენტის საკითხის შესახებ
 Tamar Beridze, Medea Chelidze, Davit Bibichadze
ON THE ISSUE OF SUCCESS AND TIME MANAGEMENT
- 79 რამაზ (ისაკო) მეფარიშვილი
შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა და გლობალიზაციის კულტურული პარადიგმები
 Ramaz (Isac) Meparishvili
SHOTA RUSTAVELI'S IDEOLOGY AND CULTURAL PARADIGMS OF GLOBALIZATION
- 83 ელენე გრათიაშვილი
გენდერული საკითხები და ისრაელის არმიის თავისებურებები
 Elene Gratiashvili
GENDER ISSUES AND CHARACTERISTICS OF ISRAEL ARMY

ბიზნესი, ტურიზმი და ტექნოლოგიები

BUSINESS, TOURISM AND TECHNOLOGIES

- 90 განა ჯოსან
სამენარმეთ საქმიანობაზე სოციალური პასუხისმგებლობის ზემოქმედების განსაზღვრა
Ganna Zhosan
IDENTIFYING THE IMPACT OF SOCIAL RESPONSIBILITY ON THE PERFORMANCE OF THE ENTERPRISE
- 96 მაია აზმაიპარაშვილი
ტურიზმის განვითარების სტრატეგიული ტენდენციები
Maia Azmaiparashvili
STRATEGIC TRENDS IN TOURISM DEVELOPMENT
- 100 გიული გიგუაშვილი
ტურიზმი, საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი
Giuli Giguashvili
TOURISM AN IMPORTANT SECTOR OF GEORGIA'S ECONOMY
- 105 ლუარა გვაჯაია
პარსონალის შრომითი საქმიანობის შეფასება კადრების მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ფუნქცია
Luara Gvajaia
ASSESSMENT OF THE WORKFORCE'S ACTIVITIES IS AN IMPORTANT FUNCTION OF STAFF MANAGEMENT
- 109 დავით ლოლუა
ენერგოდაზღვრვაში, ეკოლოგიური, განთავსების საშუალებების ჩართვა სასოფლო ტურიზმში
David Lolua
INVOLVEMENT OF ENERGY-SAVING AND ECOLOGICAL FACILITIES IN RURAL TOURISM
- 113 დოდო ჭუმბურიძე
განათლებისა და კულტურის სფეროს ორგანიზაციების მენეჯერთა საერთო კავშირები
Dodo Chumburidze
COMMON UNION OF EDUCATION AND CULTURE ORGANIZATIONS MANAGERS
- 116 ნანა ნადირაშვილი, ლელა ინასარიძე
რეგიონული საწარმოების მარკეტინგში სინერგეტიკული მიდგომის დასაბუთება
Nana Nadirashvili, Lela Inasaridze
APPROVAL OF SYNERGISTIC APPROACH IN MARKETING OF REGIONAL ENTERPRISES
- 120 ნინო ლეთანძე
ტურიზმი და ფინანსური რისკები
Nino Letandze
TOURISM AND FINANCIAL RISKS

კრიტიკა და რეცენზიები**CRITICISM AND REVIEWS**

- 126 გივი ბედიაშვილი
ფუნდამენტური ნაშრომი სამეცნიერო და პრაქტიკული კონტექსტით
Givi Bedianashvili
FUNDAMENTAL WORK IN SCIENTIFIC AND PRACTICAL CONTEXT
- 127 პარმენ ლემონჯავა
ნაშრომი, რომელიც უაღრესად სასარგებლოა ყველა მეურნე მევენახისა და მეღვინისათვის
Parmen lemonjava
THE WORK THAT IS VERY BENEFICIAL FOR ALL VINE FARMERS AND WINEMAKERS

ნათელი ხსოვნა**THE MEMORY**

- 130 ნარიმან ტერაშვილი
მასწავლებლის ნათელ ხსოვნას: გიორგი პაპავა
Nariman Terashvili
IN MEMORY OF THE TEACHER: GIORGI PAPAVA

**გლობალიზაცია, ევროკავშირი და
საქართველო**

**GLOBALIZATION, THE EUROPEAN UNION AND
GEORGIA**

BREXIT AND EUROPEAN FINANCIAL SYSTEM

TINATIN GUGESHASHVILI

Academic Doctor of Economics,
Associated Professor of Akaki Tsereteli State University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.001>

KEYWORDS: BREXIT, FINANCIAL CENTRE, WHOLESale MARKETS

BREXIT AND EUROPEAN FINANCIAL SYSTEM

London is Europe's financial centre, providing corporate and investment banking services to the European Union's 28 member countries and beyond. When the United Kingdom leaves the EU and its single market by the spring of 2019, UK-based financial firms will lose their passport to do direct business with EU27 clients. Brexit thus leads to a partial migration of financial firms from London to the EU27 (EU minus the UK) so that they could continue to serve their customers there.

We provide a comparison between London and four major cities that together will host most of the new EU27 wholesale market: Frankfurt, Paris, Dublin and Amsterdam. We also give a detailed picture of the wholesale markets (foreign exchange, securities and derivatives trading), the largest players in these markets (the major banks) and the underlying clearing infrastructure.

London is an international financial centre, serving European and global clients. A hard Brexit would lead to a partial migration of financial firms from London to the EU27 (EU minus UK) to ensure they can continue to serve their EU27 clients.

Four major cities will host most of the new EU27 wholesale markets: Frankfurt, Paris, Dublin and Amsterdam. These cities have far fewer people employed in finance than London. Moreover, they host the European headquarters of fewer large companies. The partial migration of financial firms will thus have a major impact on these cities and their infrastructures.

As some 35 percent of wholesale market activities might migrate from London to other major cities in the EU, it is instructive to compare the current 'capacity' of cities in terms of the size of their current financial market activities and their ability to host incoming activities from London. In section 5, we estimate that some 30,000 people might relocate from London to the EU27: 10,000 related to core wholesale banking and 18,000 to 20,000 related to professional services.

There are differences in the size of the financial sectors in London and other European financial centres – Frankfurt, Paris, Dublin and Amsterdam. Where data for the city is not available, Table 1 gives country data. These numbers help us to understand capacity constraints when considering a partial relocation of the financial sector.

All five cities have strong financial sectors. The cities' shares of gross value added from their country's financial sector ranges from 23 to 25 percent in Paris and Amsterdam to 52 percent in London and to 80 percent in Dublin. London and Dublin in particular offer international financial services. While all five cities host a large number of domestically registered monetary financial institutions (MFIs), London dwarves

the other cities in terms of foreign-registered MFIs. It shows London's pre-eminent position as the international financial hub in the EU. This finding is supported by the fact that London also hosts the largest number of headquarters of top companies.

In terms of characteristics of the financial sector, London outweighs the other cities by an even greater margin. The UK financial sector trade balance, to which London contributes the biggest share, is greater than that of France, Germany, Ireland and Amsterdam by a factor of more than 10. Tax revenues from the UK financial sector are more than 100 times greater than, for example, in Germany.

In terms of banking, the UK hosts more assets, capital and reserves than any other EU country. However, the proportion of finance staff to total population is lower in London than in Frankfurt, Dublin or Amsterdam. Finally, London has a leading role in forex and interest rate over-the-counter (OTC) derivatives turnover.

The large investment banks from the US and the large universal banks from Europe are essential players in the wholesale markets. These banks bring together the suppliers of capital (investors) and those with a need for capital (corporates, governments and households). In this way, these banks are the gatekeepers of the EU Capital Markets Union, which aims to improve access to funding, allocation of capital and better saving rates for savers. Investment bank league tables rank investment banks by market share and typically cover four major segments: mergers and acquisitions, equity, bonds and loans (ie syndicated loans). Table 2 on the next page show the top 20 banks, representing about 80 percent of the European investment banking market (Goodhart and Schoenmaker, 2016).

Detailed data on the investment banks show that an overwhelming share of their turnover and employment is located in the UK, highlighting the UK's role as a gateway to the continental European financial markets for third-country large financial firms. About 90 percent of the total EU turnover of the largest US and Swiss investment banks, and about an equal share of their EU staff, is located in the UK (Table 3). In the EU27, there is no single location where the largest third-country investment banks concentrate their activities. In general their activities are scattered. Nevertheless, we see some concentration in Frankfurt, Paris, Dublin and Amsterdam. Luxembourg is important for asset management, but that is outside the scope of this paper.

The activities that third-country investment banks already carry out in the EU27 are a good indicator of the location of their clients in the EU27. Assuming that the third-country investment banks will relocate mainly to where their clients are located, they will be likely to expand their ex-

isting activities in the EU27. Ireland and Germany have large shares of the turnover and employment of Bank of America Merrill Lynch. Some of the largest operations of Citygroup are in France, Germany and Spain. For Goldman Sachs, the Netherlands is significant in terms of turnover and Germany in terms of employment. The highest shares of JP Morgan's EU27 turnover are in Luxembourg and Germany, and the highest shares of employment are in Ireland, Luxembourg and Germany. The largest shares of Morgan Stanley's EU27 operations are in France and to a lesser extent Italy. Lastly, Credit Suisse operates mainly through two UK-based entities, Credit Suisse International and Credit Suisse Securities Ltd. The largest Credit Suisse EU27 branches are in France and Germany, which represent larger shares in terms of turnover than in terms of staff.

London is a global player and a European hub for trading in terms of the size and diversity of its markets. It has an unparalleled position in terms of over-the-counter (OTC) foreign exchange and interest rate derivatives trading, particularly in the euro market and to a great extent the US dollar market. In terms of foreign exchange trading, the electronic nature of the transactions and the UK's dominant position in the market lead us to believe that the UK's position in forex trading will largely remain unchanged after Brexit. Moreover, forex trading in London is settled through Continuous Linked Settlement (CLS), a global multi-currency settlement system, and

it is not depended on London's access to Target2, the ECB's settlement system, if the access to Target2 is disrupted after Brexit (Schoenmaker, 2017).

Almost half (43 percent) of the daily foreign exchange spot transactions in euros takes place in the UK (Figure 1) followed by US (19 percent), France (5 percent), Singapore (4 percent) and Germany (3 percent). Moreover, the UK is one of the biggest trading centres for major emerging countries' currencies and it is the most important destination for renminbi trading outside of Hong Kong.

The UK has established its position as the biggest FinTech and financial innovation centre in Europe, followed by Germany, with other EU countries far behind (TheCityUK, 2016b). Globally, the UK leads in terms of market size and is the second after the US in terms of investment and employment. The British FinTech industry employs 61,000 people, just below 6 percent of the total financial services workforce.

A growing export sector, especially for emerging markets and Association of Southeast Asian Nations (ASEAN) countries, FinTech has been a central part of the UK's global competitiveness strategy. Since the Brexit vote, however, venture capital investment has declined in the UK, while continuing to grow in Germany (KPMG, 2016). Decline in investment in the UK is partly due to political uncertainty delaying investment decisions in talent and human capital.

REFERENCES:

1. Barker, A. and J. Brunnsden (2016) 'EU prepares rule changes to target City's euro clearing', *Financial Times*, December
2. Batsaikhan, U. (2016) 'Brexit and the UK's Euro-denominated market: the role of clearing houses', *Bruegel Blog*, 7 June
3. ECB (2016) *Report on financial structures*, European Central Bank
4. Europe Economics (2011) 'The Value of Europe's International Financial Centres to the EU Economy', London
5. Goodhart, C. and D. Schoenmaker (2016) 'The Global Investment Banks are now all Becoming American: Does that Matter for Europeans?', *Journal of Financial Regulation*, 2: 163-181
6. KPMG (2016) 'The Pulse of Fintech, Q3 2016 - Global Analysis of Fintech Venture Funding'
7. Sapir, A., D. Schoenmaker and N. Véron (2017) 'Making the Best of Brexit for the EU27 Financial System', *Policy Brief* 2017/01, Bruegel.
8. Scarpetta, V. and S. Booth (2016) *How UK financial services can continue thriving after Brexit*, Open Europe.

BREXIT AND EUROPEAN FINANCIAL SYSTEM

TINATIN GUGESHASHVILI

Academic Doctor of Economics,
Associated Professor of Akaki Tsereteli State University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.001>

KEYWORDS: BREXIT, FINANCIAL CENTRE, WHOLESAL MARKETES

SUMMARY

London is Europe's financial centre, providing corporate and investment banking services to the European Union's 28 member countries and beyond. When the United Kingdom leaves the EU and its single market by the spring of 2019, UK-based financial firms will lose their passport to do direct business with EU27 clients. Brexit thus leads to a partial migration of financial firms from London to the EU27 (EU minus the UK) so that they could continue to serve their customers there.

We provide a comparison between London and four major cities that together will host most of the new EU27 wholesale market: Frankfurt, Paris, Dublin and Amsterdam. We also give a detailed picture of the wholesale markets (foreign exchange, securities and derivatives trading), the largest players in these markets (the major banks) and the underlying clearing infrastructure.

London is an international financial centre, serving European and global clients. A hard Brexit would lead to a partial migration of financial firms from London to the EU27 (EU minus UK) to ensure they can continue to serve their EU27 clients.

Four major cities will host most of the new EU27 wholesale markets: Frankfurt, Paris, Dublin and Amsterdam. These cities have far fewer people employed in finance than London. Moreover, they host the European headquarters of fewer large companies. The partial migration of financial firms will thus have a major impact on these cities and their infrastructures.

Banks are the key players in wholesale markets. United States and Swiss investment banks, together with one large German and three large French banks, will make up the core of the new EU27 wholesale markets. Some Dutch, Italian and Spanish banks are in the second tier.

ევროპული ინტეგრაცია და საქართველოს ეკონომიკის გამომწვევები

რამაზ ფუტყარაძე

ეკონომიკის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.002>

საკვანძო სიტყვები: ევროპული ინტეგრაცია, ევროკავშირი, დსთ, საქართველოს ეკონომიკა

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესები შეუქცევადია, რაც მცირე ქვეყნებს ერთის მხრივ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს, ხოლო მეორეს მხრივ შეიცავს გარკვეულ პრობლემებსა და გამოწვევებს. ევროპაში დღეს შემდეგი ინტეგრაციული დაჯგუფებებია წარმოდგენილი: ევროკავშირი, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია და დსთ (ევრაზიული კავშირი). თავის მხრივ ევროკავშირი, მიუხედავად მის წინაშე არსებული თანამედროვე რთული გამოწვევებისა, მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ინტეგრაციული დაჯგუფებაა და ასევე, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბაზარს მსოფლიოში.

საქართველო მდებარეობს ევროპასა და აზიის გზაჯვარედინზე, დამოკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა აქტიურად ცდილობს გააღრმავოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები საერთაშორისო თანამეგობრების წევრ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ევროკავშირთან, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის გზაზე. ცნობილია, 2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას. 2014 წლის 1 სექტემბერიდან, ასოცირების შესახებ შეთანხმების დადგენილი ვალდებულებების დაახლოებით 80% (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით) ამოქმედდა. 2015 წლის ბოლოს კი წარმატებით დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი.

საქართველო ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა რომელიც დგას საბაზრო ურთიერთობების გზაზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა გაწევრიანდა მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში (სსფ, მსოფლიო ბანკი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვ.). ქვეყანამ წარმატებით განხორციელა არაერთი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა და მტკიცედ ადგას დემოკრატიისა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გზას. თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ვექტორი არის ევროკავშირთან დაახლოება და ეკონომიკური ინტეგრაცია.

საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია, იგი აკავშირებს დასავლეთს აღმოსავლეთთან. შესაბამისად აღნიშნული ფაქტორი წარმატებით უნდა იყოს გამოყენებული ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში და ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

საქართველოს აქვს შესაძლებლობა ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების და რთული გზა, რომლის გავლის შემდეგ იწოდებოდეს, როგორც განვითარებული ევროპული ქვეყანა, რაც დიდი გამოწვევებთანაა დაკავშირებული. მიგვაჩნია მხარეებს შორის ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოდგენილია სავაჭრო-ეკონომიკური და საფინანსო საკრედიტო ინტეგრაციის გარეშე. ასევე იგი დაკავშირებულია პოლიტიკურ ინტეგრაციასთან. წინამდებარე სტატიაში მოკლედ იქნება განხილული საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და უცხოური ფულადი გზავნილები.

პირველი, საქართველოს ეკონომიკური განვითარება და მსოფლიო ეკონომიკაში შემდგომი ინტეგრაცია მოითხოვს ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველი უნდა იყოს უცხოელი ინვესტორებისთვის. ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება და ახალი პერსპექტივები, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის. ბოლო წლებში საქართველოში პუი-ის მაქსიმუმი დაფიქსირდა 2007 წელს 2 მლრდ აშშ დოლარი;

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების თანახმად 2006 წლიდან 2016 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა დაახლოებით 14 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. ბოლო წლების სტატისტიკა ასეთია: 2010 წელს საქართველოში განხორციელდა 814 მლნ აშშ დოლარის პუი, 2011 წელს - 1117, 2012 წელს - 911, 2013 წელს - 942, ხოლო 2014 წელს ინვესტიციების მოცულობა 1758,4 მლნ. აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც 86,7%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მონაცემს. 2015 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1564 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11 პროცენტით ნაკლებია 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე, ხოლო საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წელს 1645

მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (წინასწარი მონაცემები), რაც 5 პროცენტით აღემატება 2015 წლის დაზუსტებულ მონაცემებს.[1] ჩვენი აზრით შესაძლებელია საქართველოში განხორციელდეს წელიწადში საშუალოდ 2-5 მლრდ აშშ დოლარის პუი რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი სამუშაოები და ღონისძიებებია გასატარებელი, რომ ქვეყანაში ევროპული (და არა მარტო ევროპული) ინვესტიები გაიზარდოს.

მეორე, ფულადი გზავნილები, საქართველოში საკმაოდ მაღალია უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მასშტაბები. საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განხილვისას გვერდს ვერ აუვლით უცხოეთიდან განხორციელებულ ფულად გზავნილებს. საქართველოს ეკონომიკისთვის საზღვარგარეთიდან თანხების გადმორიცხვის მნიშვნელობას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ სასაქონლო ექსპორტის შემდეგ ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მთავარ წყაროს ქართველი ემიგრანტების მიერ ფულადი გზავნილები წარმოადგენს.

ფულადი გზავნილების მოცულობა ქვეყანაში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს აღემატება. საქართველოში საზღვარგარეთიდან შემოსულმა ფულადმა გზავნილებმა 2014 წელს 1.44 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (2.45%-ით ნაკლები წინა წელთან შედარებით), რაც ქვეყნის მშპ-ს დაახლოებით 8.7%-ია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, რუსეთი ფულადი ნაკადის ყველაზე მსხვილი წყაროა. რუსეთიდან ფულადი გზავნილები 11.5%-ით შემცირდა და 709.23 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2014 წელს საქართველოში შემოსული მთლიანი ფულადი გზავნილების 49.2%-ს შეადგენს (წინა წლებში 60%-ს აჭარბებდა). ფულადი გზავნილები ასევე შემცირდა უკრაინიდან. ფულადი გზავნილები საბერძნეთიდან, რომელიც მეორე უმსხვილესი წყაროა, 3.4%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 204.78 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; შემდეგ მოდის იტალია — 121.4 მლნ აშშ დოლარით (10.2%-იანი ზრდა); აშშ — 82 მლნ აშშ დოლარით (9.6%-იანი ზრდა); თურქეთი — 64.3 მლნ აშშ დოლარით (54.1%-იანი ზრდა); უკრაინა — 30.8 მლნ აშშ დოლარით (32.4%-იანი კლება) და სხვ.

საქართველოში საზღვარგარეთიდან შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 2015 წელს შემცირდა და 1080 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (25%-ით ნაკლები წინა წელთან შედარებით). აღსანიშნავია ფულადი გზავნილების სტრუქტურაც: რუსეთი — 40,1% (709,2 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთი — 10,9%, იტალია — 10,1%, აშშ — 9,3%, თურქეთი — 6,4%, ისრაელი — 3%, ესპანეთი — 2,5%, გერმანია — 2,5%, გაერთიანებული სამეფო — 1,5% და სხვ. 2015 წელს კი საქართველოდან საზღვარგარეთ გადარიცხული ფულადი გზავნილებმა 170 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო აღნიშნული ფულადი გზავნილების სტრუქტურა ასე გამოიყურება: რუსეთი — 45%, ამერბაიჯანი — 11.2%, სომხეთი — 2.8%, უზბეკეთი — 2.2%, ყაზახეთი — 2% და სხვ.

არაერთი მეცნიერის ვარაუდით, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა მილიონს აჭარბებს. რუსეთში, უკრაინაში ასევე საბერძნეთში მიმდინარე პროცესებმა სასესიოთა შესაძლებელი გამოიწვიოს ქვეყანაში ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირება, რაც უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველო პატარა ქვეყანაა, საიდანაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მიგრანტთა ნაკადი გადინება და ამავდროულად, მეორეს მხრივ, უცხოური ვალუტის ნაკადები შემოედინება. გემოთაღნიშნულიდან ჩანს, რომ ფულად გზავნილებში მაღალია დსთ-ს, განსაკუთრებით რუსეთის ხვედრითი წილი.

მესამე, ლიბერალური საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ საქართველოში განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია რევიონში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურება არის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. 2014 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 5%-ით გაიზარდა და 11 457 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი შემცირდა 1.6%-ით და 2 861 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა; იმპორტი გაიზარდა 7%-ით და 8 596 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წელს 5 735 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალია ბოლო პერიოდში.

2014 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 4%-ით გაიზარდა, 2 990 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26% შეადგინა: ექსპორტი 2%-ით გაიზარდა, 621 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 22% შეადგინა; იმპორტი 4%-ით გაიზარდა, 2 369 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი იმპორტის 28% შეადგინა.

2016 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 11966 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (წინასწარი მონაცემები), რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 20 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 2114 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (4 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 9852 მლნ. აშშ დოლარს (27 პროცენტით მეტი). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წელს 7738 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამავე წელს ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე მხოლოდ 1658 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. რაც არ შეესაბამება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.

ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოუდგენელია სავაჭრო ინტეგრაციის გარეშე. 2016 წელს საქართველოს საგარეო

სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3601 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 571 მლნ. აშშ დოლარი იყო (12 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 3030 მლნ. აშშ დოლარი (20 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 30 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 27 პროცენტი და იმპორტში 31 პროცენტი (2015 წელს შესაბამისად 32, 29 და 33 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 32 პროცენტი (2015 წელს 34 პროცენტი).

დიახ, საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ექსპორტის დივერსიფიკაცია და ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ევროკავშირის ბაზარი მიგვაჩნია. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საჭიროებს საექსპორტო შესაძლებლობების რეალიზაციას. თავის მხრივ, ექსპორტის გაზრდა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი საფუძველია. ევროკავშირის ბაზარი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. საქართველო-ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდის მიუხედავად, არსებული მასშტაბები არასაკმარისია, ასევე არასახარბიელოა საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა.

აუცილებელია საქართველოს უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს შემცირება, ექსპორტის მოცულობის გაზრდა და მისი ეტაპობრივი დივერსიფიკაცია, განვლილმა

ცხრილი №1. დსთ-ს წევრი ქვეყნების წილი ექსპორტში (%)
[3, იხ. <http://www.cisstat.com/>
(2016 წელი იანვარ-ნოემბრის მონაცემები)]

2000	2005	2010	2014	2015	2016 ¹	
13	21	9	4	4	7	Azerbaijan
87	79	91	96	96	93	CIS countries other countries
24	19	19	23	19	23	Armenia
76	81	81	77	81	77	CIS countries other countries
60	44	54	59	53	62	Belarus
40	56	46	41	47	38	CIS countries other countries
27	15	15	14	17	17	Kazakhstan
73	85	85	86	83	83	CIS countries other countries
42	45	45	47	38	36	Kyrgyzstan
58	55	55	53	62	64	CIS countries other countries
59	51	40	31	25	21	Moldova
41	49	60	69	75	79	CIS countries other countries
13	14	15	13	13	13	Russia
87	86	85	87	87	87	CIS countries other countries
48	20	13	25	25	32	Tajikistan
52	80	87	75	75	68	CIS countries other countries
31	31	36	28	20	17	Ukraine
69	69	64	72	80	83	CIS countries other countries
19	17	19	16	16	17	CIS countries
81	83	81	84	84	83	other countries

ცხრილი №2. დსთ-ს წევრი ქვეყნების წილი იმპორტში (%) [3]

2000	2005	2010	2014	2015	2016 ¹	
32	34	31	23	21	24	Azerbaijan
68	66	69	77	79	76	CIS countries other countries
20	29	30	31	34	34	Armenia
80	71	70	69	66	66	CIS countries other countries
70	67	59	60	61	60	Belarus
30	33	41	40	39	40	CIS countries other countries
54	47	48	42	43	44	Kazakhstan
46	53	52	58	57	56	CIS countries other countries
54	57	53	51	54	43	Kyrgyzstan
46	43	47	49	46	57	CIS countries other countries
33	39	33	27	26	25	Moldova
67	61	67	73	74	75	CIS countries other countries
34	19	14	12	12	11	Russia
66	81	86	88	88	89	CIS countries other countries
83	65	59	50	53	55	Tajikistan
17	35	41	50	47	45	CIS countries other countries
58	47	44	32	28	22	Ukraine
42	53	56	68	72	78	CIS countries other countries
46	33	27	23	23	21	CIS countries
54	67	73	77	77	79	other countries

წლებმა აჩვენა, რომ რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება შესაძლოა ქვეყანას პრობლემები შეუქმნას. მხედველობაში გვაქვს რუსეთის ბაზარი არაა პროგნოზირებადი და არაა გამორიცხული იგი „ჩაიკეტოს“ ქართველი ექსპორტიორებისათვის. ასევე უნდა გაიზარდოს ექსპორტის მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებში და ამას ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოციაციის ხელშეკრულება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით საქართველოსა და დსთ-ის ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვამ 2016 წელს 2721 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2015 წელთან შედარებით 3 პროცენტით ნაკლები). აქედან ექსპორტი 739 მლნ. აშშ დოლარი (12 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1983 მლნ. აშშ დოლარი იყო (1 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 23 პროცენტი იყო, მათ შორის ექსპორტში 35 პროცენტი და იმპორტში 20 პროცენტი (2015 წელს შესაბამისად 28, 38 და 25 პროცენტი). 2016 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 16 პროცენტი (2015 წელს 20 პროცენტი). [2].

საქართველოს შესაბამის მომაცემებს თუ შევადარებთ ცხრილის მონაცემებს ვნახავთ, მართალია რომ საქართველო არაა დსთ-ს წევრი ქვეყანა, მაგრამ მას საკმაოდ მჭიდრო და აღსანიშნავია ბოლო პერიოდში მზარდი სავაჭრო ურთიერთობები აქვს დსთ-ს წევრ ქვეყნებთან. ბუნებრივია ჩვენ არა ვართ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობე-

ბის წინააღმდეგი, მომავალი რისკები და გამოწვევები შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იყოს... 2016 წელს საქართველოს ექსპორტის 35% მოდიოდა დსთ-ს ქვეყნებზე, მაშინ როცა დსთ-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 16-17%-ია. ასე მაგალითად სომხეთის ექსპორტის 23% მოდის დსთ-ს ქვეყნებზე, აზერბაიჯანის — 7%, მოლდოვას — 21%, უკრაინას — 17% და სხვ. მე-2 ცხრილიდან ჩანს რომ სომხეთის იმპორტის 34% მოდის დსთ-ს ქვეყნებზე, აზერბაიჯანის — 24%, მოლდოვას — 25%, უკრაინას — 28% და სხვ. აღნიშნული ქვეყნები არიან ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები. ცნობილია, რომ აღმოსავლეთი პარტნიორობა ინიციატივაა, რომელიც ქმნის ჩარჩოს ევროკავშირის ურთიერთობებისთვის სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბელორუსთან, საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან.

გლობალიზაციის, ევროპული ინტეგრაციის პროცესები შეუქცევადია, საქართველომ კი მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები ეკონომიკის განვი-

თარებისათვის უნდა გამოიყენოს [4; 5]. ქვეყანას აქვს სწორი საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტი არჩეული და შესაბამისად უნდა გააგრძელოს გზა ევროკავშირისაკენ, ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების მიმართულებით.

საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მასშტაბურია დსთ-ს, მათ შორის რუსეთის ადგილი. საქართველოს ექსპორტის 35 და იმპორტის 20 მოდის დსთ-ს ქვეყნებზე. მაშინ როდესაც დსთ-ს წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებლები საქართველოს მონაცემებზე ნაკლებია.

სასურველია საქართველომ ეკონომიკური რეფორმების გატარებაში გამოიყენოს მოწინავე ევროპული ქვეყნების, ასევე ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების გამოცდილება.

ასევე საქართველომ ორმხრივად უნდა იმუშაოს გაერთიანებულ სამეფოსთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის არსებული მასშტაბების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი გაზრდის მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (2015). სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).
2. საქართველოს საგარეო ვაჭრობა (2015). საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2016 (წინასწარი), სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).
3. <http://www.cisstat.com/>
4. ფუტკარაძე რ. (2010). საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი, „უნივერსალი“.
5. ფუტკარაძე რ. (2015). საქართველოს საგარეო ვაჭრობის აქტუალური საკითხების შესახებ. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული.
6. Zukunft der europäischen Integration: Wahrheiten über Europa/ Peter Casny (Hrsg.). (2008). Hamburg.
7. Weidenfeld, Werner/Wessels, Wolfgang. (1997). Europa von A-Z: Taschenbuch der europäischen Integration / Institut für Europäische Politik 6. Aufl. Bonn: Europa Union Verlag.
8. Gilberto Gambini. (2007). Der Handel der EU-27 mit den GUS-Ländern 2006. Eurostat. Statistik kurz gefasst. Aussenhandel 114.

EUROPEAN INTEGRATION AND CHALLENGES TO THE ECONOMY OF GEORGIA

RAMAZ PUTKARADZE

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.002>

Doctor of Economics,

Associate Professor of Ivane Javakishvili Tbilisi State University, Georgia

KEYWORDS: EUROPEAN INTEGRATION, EU, CIS, GEORGIAN ECONOMICS

SUMMARY

The worldwide processes of economic globalization and integration are irreversible. This, on the one hand, provides significant opportunities for small countries and contains some threats on the other hand. There are the following integration groups in Europe: the European Union, European Free Trade Association and CIS (Eurasian Union). Despite the current hard challenges it is facing, the European Union is the most developed integration group, as well as one of the largest markets in the world.

It should be noted that in recent years Georgia has achieved significant progress on the path of economic integration with the EU; in particular, we mean the Association Agreement signed between the European Union and Georgia, Deep and Comprehensive Free Trade Area is the part of this Agreement. The Association Agreement between EU and Georgia has fully entered into force. The Agreement suggests Georgia to adjust trade-related legislation and regulations to the EU standards.

As indicated in the paper, although Georgia is not a member of the CIS, the country has quite close trade

relations with the CIS member states, which have been characterized by increasing trend recently. Of course, we are not against trade relations between countries; however, future risks and challenges should be studied and analyzed. CIS member states accounted for almost 35% of Georgia's export, while the average corresponding indicator for CIS member states was 16-17%. For example, CIS accounts for 23% of Armenia's export, 7% of Azerbaijan's export, 21% of Moldova's export, 17% the Ukraine's export, etc.

The processes globalization and European integration are irreversible and Georgia has to use the current processes for the development of its economy. The country has chosen the appropriate foreign political and economic priorities and therefore it should continue its way towards the EU towards establishing closer ties with the EU.

It would be desirable for Georgia to use the experience of leading European countries, as well as new EU member countries while implementing economic reforms.

აქტუარული მეცნიერების როლი ფინანსურ ანალიზსა და გლობალურ ეკონომიკაში

ნანა ბენიძე

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.003>

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: აქტუარული მეცნიერება, აქტუარი, ფინანსური ანალიტიკოსი

ფინანსურ ანალიზსა და აქტუარულ მეცნიერებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1998 წელს დიდ ბრიტანეთში აქტუარის პროფესიის ოფიციალურად დაფუძნების (ლონდონში „აქტუარების ინსტიტუტის“ დაარსების) 150-ე წლისთავი იზეიმეს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1989 წელს – მე-100 წლისთავი.

ეკონომიკურად განვითარებულ სამყაროში აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიებს მყარი ტრადიციები და ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა აქვთ, რაც შესაბამის განათლების, ატესტაციის, სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფისა და პროფესიის დაცვის სისტემებში გამოისახება. ამ საქმეში დიდი წვლილი პროფესიულ ასოციაციებს მიუძღვით, რომლებიც წარმატებით მოქმედებენ როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

აქტუარის პროფესია მსოფლიოში ერთ-ერთ მცირერიცხოვან და პრესტიჟულ პროფესიათა რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად ა.შ.შ.-ში ამჟამად რეგისტრირებულია 16000 კვალიფიცირებული აქტუარი, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად 1000-ით იზრდება. ინგლისში, სადაც ამ პროფესიას ყველაზე დიდი ტრადიციები გააჩნია, აქტუარების რაოდენობა 4500-ს აღწევს.

ამერიკაში ძალზედ პოპულარული გამოცემა Jobs Rated Almanac-ის მიერ პროფესია ორჯერ იქნა აღიარებული, როგორც ყველაზე პრესტიჟული (1998 და 1995 წლებში). საერთოდ, ამ გამოცემის არსებობის ისტორიაში აქტუარის პროფესიის რეიტინგი მე-4 ადგილს არ ჩამოსცილებია.

აქტუარებს გააჩნიათ სწორედ ის ცოდნა და უნარები, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანალიზისა და გრძელვადიანი ვალდებულებების შეფასების განსახორციელებლად, შესაბამისად აქტუარები მუშაობენ ისეთ სფეროში, სადაც აუცილებელია ფინანსური განუსაზღვრელობის შეფასება.

ისტორიულად აქტუარები ყველაზე უფრო ხშირად სადაზღვევო კომპანიებში და საპენსიო ფონდებში მუშაობდნენ, თუმცა მათ სხვა სფეროშიც შეხვდებით, მაგალითად, სახელმწიფო სადაზღვევო და სოციალური სტრუქტურებში. საკონსულტაციო ფირმებში, ბანკებსა და საინვესტიციო კომპანიებში, უმაღლეს სასწავლებლებში და კვლევით ცენტრებში, დიდ კორპორაციებში და სხვა.

ტიპური ამოცანები რომელთა შესრულებაც აქტუარს უწევს არის: სადაზღვევო რისკების შეფასება, საიდანაც ხდება სადაზღვევო ტარიფების განსაზღვრა, ტექნიკური რემერვების გაანგარიშება, ზარალების სტატისტიკური ანალიზი, კორპორატიულ დაგეგმარებაში მონაწილეობა (მაგალითად, კომპანიების შერწყმის დროს), ახალი სადაზღვევო

პროდუქტის სამართლიანი ფასის განსაზღვრა, კატასტროფების ფინანსური შედეგების პროგნოზირებაში მონაწილეობა, საინვესტიციო პროგრამების ანალიზი და სხვა.

ბოლო დროს მომხდარმა მოვლენებმა, როგორცია ტერორისტული აქტები და ფინანსური კრიზისები, სერიოზული გავლენა იქონია საბანკო და საინვესტიციო გარემოზე, რამაც თავის მხრივ გააძლიერა აქტუარებზე მოთხოვნა შრომით ბაზრის ისეთ სეგმენტებზე, რომლებიც ერთი შეხედვით არატრადიციულია ამ პროფესიისათვის. 2018 წლისათვის საინვესტიციო და საბანკო სექტორში აქტუართა რაოდენობის 36%-ით ზრდას ვარაუდობენ, მაშინ როცა სადაზღვევო სექტორში – მხოლოდ 3-9%-ით.

მრავალ ქვეყანაში კომპანიებს აქტუარის ყოლა კანონით მოეთხოვებათ. ძირითადად ეს ეხება სიცოცხლის დაზღვევის კომპანიებს და საპენსიო სქემების დამფუძნებლებს და მხოლოდ ზოგიერთი ქვეყანაში – არასიცოცხლის დაზღვევის კომპანიებს.

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსური ინსტიტუტების, საინვესტიციო ფირმებისა და სხვადასხვა კომპანიების საქმიანობა განუსაზღვრელობის პირობებში მიმდინარეობს და, ამგვარად, რისკთანაა დაკავშირებული. ასეთ ვითარებაში, რაოდენობრივი ხასიათის რაციონალური გადაწყვეტილების მიღებისას, მთავარი როლი ფინანსურ ანალიტიკოსებსა და აქტუარებს ენიჭებათ.

90-იან წლებში საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პრინციპის დამკვიდრებამ კერძო ბიზნესისა და ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის მკვეთრი გააქტიურება გამოიწვია. წამყვან ფირმებში, ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებში, კაპიტალის დაგროვებასთან ერთად, ამ კაპიტალის რაციონალური მართვის პრობლემა ჩნდება, რაც ფინანსური ანალიტიკოსებისა და აქტუარების პროფესიონალურ ჩარევას მოითხოვს.

თუ ამას დაუმატებთ, რომ თბილისში საფონდო ბირჟა ამოქმედდა, სადაც ვაჭრობა ძირითადი და მეორადი ფასიანი ქაღალდებით იწარმოება, გასაგები გახდება, რომ საქართველოში აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიების დამკვიდრებისა და განვითარების დრო დადგა.

1998 წლის აგვისტოში „საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის“ (დაფუძნებული 1991 წელს) „ფასიანი ქაღალდებისა და სადაზღვევო საქმის ბიუროს“ ბაზაზე ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია – „აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაცია“ ჩამოყალიბდა.

ამ პროფესიული ასოციაციის ძირითად ამოცანას საქარ-

თველოში აქტუარისა და ფინანსური ანალიტიკოსის პროფესიების დამკვეთებისა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

აქტუარის პროფესიის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მას გაურკვეველობაში გარკვეულობა შეაქვს:

- თქვენ არ იცით, თუ რამდენ ხანს იცოცხლებთ, მაგრამ აქტუარს შეუძლია თქვენთვის ისეთი გეგმა შეიმუშაოს, რომლის მიხედვითაც, ხანგრძლივი სიცოცხლის შემთხვევაში, შრომითი აქტიურობის დასრულების შემდეგ, თქვენ საკმაოდ შემოსავალი გექნებათ, ხოლო გარდაცვალების შემთხვევაში – თქვენ ახლობლებს მხარდაჭერა აღმოეჩინებათ;

- თქვენ არ იცით, თუ როდის გახდებით ავად, მაგრამ აქტუარი ისეთი გეგმის არჩევანში დაგეხმარებათ, რომ ავად-

მყოფობის დროს, თქვენ უმაღლესი დონის მკურნალობის საშუალება გქონდეთ;

- თქვენ არ იცით, თუ როდის და რა სტიქიური უბედურება მოხდება, მაგრამ აქტუარის დახმარებით თქვენ შეგიძლიათ თავი დაიზღვიოთ მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგებისაგან.

აქტუარული მეცნიერება არ არის მირაჟი, იგი მათემატიკის, სტატისტიკის და ფინანსთა თეორიის სოლიდურ საფუძველს ეყრდნობა. აქტუარებს არ შესწევთ მომავლის წინასწარმეტყველების უნარი, მაგრამ მათ შეუძლიათ მომავალში თავდაცვის მოდელი შემოგთავაზონ, რომელიც ისეთივე რეალურია, როგორც ნებისმიერი არქიტექტურული თუ საინჟინრო ნაგებობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ. – სადაზღვევო საქმე, თბილისი 2008.
2. ვერულავა თ. – სიცოცხლის დაზღვევა, ნაწილი I, თბილისი 2009.
3. ბენიძე ნ., შონია ნ., ბიწაძე ჯ. – რისკები და დაზღვევა, თბილისი 2010.
4. ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. თბილისი, 2012.

ACTUARIAL SCIENCE AND THE ROLE OF FINANCIAL ANALYSIS IN THE GLOBAL ECONOMY

NANA BENIDZE

PhD in Economics,

Associated Professor of Akaki Tsereteli State University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.003>

KEYWORDS: ACTUAL SCIENCE, ACTOR, FINANCIAL ANALYST

SUMMARY

Actuarial profession is one of the few small and prestigious occupations in the world. That's actuaries have the knowledge and skills that are necessary for financial analysis and assessment of long-term liabilities. Accordingly, actors work in a field where it is necessary to assess financial uncertainty.

The typical tasks to which the actors perform are: Assessment of insurance risks from which the insurance

tariffs are determined; Calculation of Technical Reserves; Statistical analysis of claims; Participation in corporate planning (for instance when companies are merging); Determine the fair price of a new insurance product; Participation in predicting the financial results of disasters; Investment programs analysis and more.

**მაკროეკონომიკა, ფინანსური ბაზრები,
სოციალურ-ეკონომიკური სფერო
და სისინთემური პრობლემები**

**MACROECONOMICS, FINANCIAL MARKETS,
SOCIO-ECONOMIC SPHERE
AND SYSTEMIC PROBLEMS**

საქართველოს ენერგეტიკა: სიტუაცია და გამოწვევები

დამურ ჩომახიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.004>

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკა, ენერგობალანსი, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ენერგოდაზოგვა

შესავალი

ქვეყნის საიმედო და მდგრადი ენერგოზრუნველყოფა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. საქართველოსათვის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მისი დამოუკიდებლობის წლებში. ცხადი შეიქმნა, რომ ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე არარეალური იქნება არათუ მთლიანი ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა, არამედ საფრთხე შეექმნება თვით საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც. გამოკვლევის მიზანია შეაფასოს ქვეყნის ენერგეტიკის თანამედროვე მდგომარეობა და დასახოს ამოცანები მისი გაუმჯობესებისათვის. კვლევა ორიგინალურია და ეფუძნება დარგში ავტორის მრავალწლიანი სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობის მდიდარ გამოცდილებას.

1. წარმოება

საქართველოში ენერგეტიკა წარმოდგენილია ელექტროენერგეტიკისა და სათბობი მრეწველობის თითქმის

ყველა ძირითადი დარგით. 2014 წლის შედეგებით, საქართველოს ენერგეტიკაში ფუნქციონირებდა 66 საწარმო, სადაც დასაქმებული იყო 17285 ადამიანი, წარმოებული იყო 1107,1 მლნ ლარის პროდუქცია, ხოლო ძირითადი აქტივების (ფონდების) ღირებულება შეადგენდა 3500 მლნ ლარს. ეს მაჩვენებლები კი მრეწველობის ანალოგიურ პარამეტრებში შესაბამისად უდრიდა 2,3%, 17,0%, 14,8%, 52,8%. სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში თავმოყრილია მთელი მრეწველობის ძირითადი ფონდების ნახევარზე მეტი (52,8%), ხოლო იწარმოება პროდუქციის თითქმის 15%. პროდუქციის მიხედვით ენერგეტიკის დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანია ელექტროენერგეტიკა – 75,3%. ნავთობზე მოდის – 7,3%, გაზზე – 13,3%, ნახშირზე – 3,9%. პირველ ცხრილში ნაჩვენებია საქართველოში ელექტროენერჯის, ნავთობის და ნახშირის მოპოვების დონე და დინამიკა 1970–2015 წლებში.

ცხრილი 1

უმნიშვნელოვანესი ენერგორესურსების წარმოება საქართველოში 1970–2015 წლებში [3. გვ. 156–158]

წლები	ელექტროენერჯის გამომუშავება, მლნ კვტ.სთ	ნავთობის მოპოვება, ათასი ტ	ნახშირის მოპოვება, ათასი ტ
1970	8964,2	24,2	2298,0
1980	14687,4	3186,0	1860,0
1990	14245,7	186,4	956,0
1995	7082,0	42,7	42,6
2000	7451,3	109,5	7,3
2001	9637,0	98,8	5,0
2002	7247,6	73,9	6,1
2003	7161,6	139,7	8,0
2004	6916,3	97,6	8,1
2005	7100	66,6	5,1
2006	7419,9	64,0	11,0
2007	8169,5	57,0	15,0
2008	8279,1	53,0	13,0
2009	8164,9	52,7	110,0
2010	9919,2	52,0	192,7
2013	9860,6	47,0	350,0
2014	10153,7	42,6	352,0
2015	10832,6	40,2	322,0

2. ენერგეტიკული ბალანსი

2014 წლის მდგომარეობით, საქართველო თავის მოთხოვნილებას საკუთარი ენერგორესურსებით იკმაყოფილებს მხოლოდ 30,6%-ით, ანუ იპორტულ რესურსებზე 69,4%-ით არის დამოკიდებული (იხ. ცხრილი 2). საკუთარი წარმოების ენერგორესურსების ფორმირებაში წამყვანია ჰიდროენერგია 711,2 ათ ტ.პ.ს (49,85%), მეორე ადგილზეა ბიოსაწვავი (შემა და დანარჩენები) – 481,1 ათ ტ.პ.ს (33,6%), მესამეზე – ქვანახშირი 168 ათ ტ.პ.ს (11,8%) და ა.შ. რაც შეეხება

ბალანსის ხარჯვით ნაწილს საბოლოო მოხმარების მიხედვით, აქ პირველ ადგილზეა ნავთობპროდუქტები 1077,6 ათ ტ.პ.ს (28,9%), მეორეზე – ბუნებრივი გაზი 1058,7 ათ ტ.პ.ს (28,4%) და მესამეზე – ელექტროენერგია 780,3 ათ ტ.პ.ს (20,9%).

მაშასადამე, საქართველოში ყველაზე მეტად მოხმარებადი ენერგორესურსი (ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი გაზი) მთლიანად იმპორტულია და მისი ადგილობრივით ჩანაცვლებას ნაწილობრივ მაინც ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება.

ცხრილი 2

საქართველოს აგრეგირებული ენერგეტიკული ბალანსი, 2014 წ. (ათ. ტ ნავთობის ექვივალენტი) [2.გვ 13-17]

მაჩვენებლები	რაოდენობა	% ჯამთან
წარმოება	1372	30,6
იმპორტი	3229,4	72,1
ექსპორტი	121,1	-2,7
მარაგის ცვლილება	-2,4	-
შიდა მიწოდება	4477,9	100,0
ენერჯის გარდაქმნა, დანაკარგები და საკუთარი მოხმარება	455,1	10,2
საბოლოო მოხმარება მათ შორის	4022,8	89,8
მრეწველობა	612,7	13,7
მშენებლობა	40,4	0,9
ტრანსპორტი	1328,1	29,6
სოფლის მეურნეობა	12,1	0,3
არაენერგეტიკული მიზნებისთვის	306,4	6,8
სხვა	1723,1	38,5

შედარებით მდგრადია ელექტრობალანსი (იხ. ცხრილი 3)

ცხრილი 3

საქართველოს ელექტრობალანსი 2005–2015 წლებში, მლნ კვტ.სთ [1.გვ. 391]

დასახელება	2005	2010	2011	2012	2013	2014	2015
წარმოება (სალტედან გაცემა)	6880,8	9919,2	9912,2	9471,9	9860,6	10153,7	10832,6
მათ შორის							
ჰესი	5850,2	9263,3	7788,2	7122,1	8163,5	8221,1	8453,9
თესი	1030,6	655,9	2123,4	2349,8	1697,1	1932,6	2378,7
იმპორტი	1398,6	222,1	470,9	614,6	484,1	851,9	699,2
–რუსეთიდან	615,7	211,9	447,6	517,0	460,5	665,6	511,0
–სომხეთიდან	752,9	-	-	4,1	-	2,1	86,5
–თურქეთიდან	9,3	6,2	2,8	6,3	-	-	-
–აზერბაიჯანიდან	20,7	4,0	20,5	87,2	23,6	184,2	101,7
ექსპორტი	121,8	1524,2	930,6	528,2	450,4	603,6	659,9
–რუსეთში	-	1117,0	588,6	369,5	370,6	218,6	169,6
–აზერბაიჯანში	-	14,3	5,9	11,8	6,6	8,0	-
–თურქეთში	121,8	303,4	2,18,6	79,0	-	236,5	419,5
–სომხეთში	-	89,5	117,5	67,9	73,2	140,5	70,8
წმინდა მოხმარება, ბალანსი	7842,8 -96,2	8422,0 +1477,2	9256,6 +655,6	9379,4 +92,5	9690,4 +170,5	10402,0 -248,3	10631,8 +200,8

2014 წელს, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით ელექტროენერჯის წარმოება თითქმის 3%-ით გაიზარდა, დეფიციტი მაინც მოხმარების უფრო ზრდამ (7,3%) განაპირობა. ამ წელს იმპორტის საჭიროებამ 248,3 მლნ კვტ.სთ-ით გადააჭარბა ექსპორტს. 2015 წელს კი ელექტრობალანსი უდფიციტო გახდა.

ახლა საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის „ბუშია“ ჯერ კიდევ 2012 წლიდან დაიწყო 15 ჰესის მშენებლობა, რომელთა მშენებლობის საერთო ღირებულება იყო 3,5 მლრდ. აშშ დოლარი, ხოლო სიმძლავრე – 2000 მგვტ-ზე მეტი. ეს კი სამომავლო ელექტრობალანსის მდგრადობას უზრუნველყოფს.

3. ხილული და ფარული დეფიციტი

დეფიციტის ზემოთ აღნიშნული ოდენობა გამოხატავს ხილულ დეფიციტს. ეს ისეთი დეფიციტია, რომელიც წარმოადგენს ანგარიშგებით ან ბალანსში ნაჩვენები ენერჯის წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობას. ანგარიშგებითი ელექტრობალანსი სიმძლავრესა და ელექტროენერჯის მოთხოვნილებას აღრიცხავს ელექტროფიკაციის მიღწეული დონისა და ელექტროენერჯის მოხმარების არსებულ ტექნიკურ საშუალებათა შესაბამისად. ამასთან, იგი სრულებით არ უწყევს ანგარიშს იმას, თუ რამდენად პასუხობს იგი ეკონომიკის განვითარების ამოცანებს. იგივე ითქმის ენერჯოსისტემის სიმძლავრის ბალანსზეც. აქედან, ცხადია, რომ მართლ ამ ბალანსების მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ ელექტროენერჯით ქვეყნის ნამდვილ საჭიროებათა დაკმაყოფილების ხარისხზე. ამიტომაც მოტანილ ცხრილში ასახული ენერჯის დეფიციტი ვერაფერს გვეუბნება ეკონომიკის უეჭველად დიდ არაპირდაპირ დანაკარგებზე, რომელთაც იწვევს აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკის ცალკეული დარგების ხელოვნურად შენელება, ელექტროენერჯეტიკული ბაზის ჩამორჩენის გამო.

რეალური ელექტრობალანსისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარული დეფიციტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ რაოდენობას, რომელიც ფაქტიურად წარმოებული ელექტროენერჯის ზევით უნდა გამოუმუშავებულიყო მეურნეობის შიგნით აუცილებელი პროპორციების დაცვისა და მისი მთელი ქვეყნის ეკონომიკის მიმართ პროპორციულად განვითარების უზრუნველსაყოფად. ასეთივე ორი სახის დეფიციტი უნდა გავარჩიოთ ენერჯოსისტემის სიმძლავრის ბალანსშიც. ცხადია, ფარული დეფიციტი ბალანსში თავისი რაოდენობრივი მნიშვნელობით ასახავს ელექტროენერჯეტიკის განვითარების ფაქტობრივად მიღწეულ და ოპტიმალურ საჭირო დონეთა სხვაობას.

4. საგარეო ენერგეტიკული კავშირები

საქართველოს საგარეო ენერგეტიკული კავშირები აქვს მეზობელ ქვეყნებთან. ამის საჭიროებას განაპირობებს მინიმუმ შემდეგი 4 ფაქტორი: [1. გვ. 392]

1. დანახარჯების ეკონომია ელექტროენერჯის წარმოებაში

ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი ელექტრო-

სადგურებს საშუალებას აძლევს იმუშაონ საათობრივი დატვირთვით და ყოველწლიური მოთხოვნით იმ ვარაუდით, რომ გამოიყენონ ელექტროენერჯის წყაროების ნაკლებად ძვირადღირებული კომბინაციები. ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი შესაძლებლობას იძლევა ენერჯოსისტემაში შეამციროს დანახარჯები ელექტროენერჯის გამოუმუშავებაზე ნებისმიერი 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. დანახარჯების ეკონომია, საბოლოო ჯამში, გამოვლინდება უფრო დაბალ ფასებში მყიდველისათვის ან დიდ კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებაში, რომელიც საჭირო იქნებოდა სისტემის გაუმჯობესებისათვის. ყველა შემთხვევაში მყიდველი უნდა იყოს მომგებიანი სიტუაციაში.

2. მაკროეკონომიკური უპირატესობანი

ელექტროენერჯის წარმოებაში უფრო მცირე დანახარჯების მიმწოდებელს საშუალებას აძლევს ელექტროენერჯია მყიდველს მიაწოდოს ნაკლებ ფასებში. უფრო დაბალი ფასები ელექტროენერჯიზე კი ხელს უწყობს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნები, რომლებსაც უპირატესობა აქვთ ელექტროენერჯის წარმოებაში, ელექტროენერჯის ექსპორტს აწარმოებენ იმ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ უპირატესობანი ეკონომიკის სხვა სფეროებში. ასეთი საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას. იმ შემთხვევაში თუ იმპორტული და ექსპორტული ფასები არ რეგულირდება სახელმწიფოს მიერ ხელოვნური გზით.

3. ენერგეტიკული სექტორის რეფორმის შესაძლებლობა

კონკურენტუნარიანი ელექტროენერჯის ბაზრის შექმნა უფრო ადვილია დიდ ქვეყნებში. რაც უფრო მეტია ელექტროენერჯის მწარმოებელი სადგურების რაოდენობა, მით მეტია სარგებლობა მოხმარებლებისათვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა ქვეყნებისათვის, სადაც ენერგეტიკული რესურსები კონტროლდება მონოპოლიური ძალაუფლების მქონე კომპანიების მიერ.

4. ევროკავშირის შიდა ბაზარში მონაწილეობის შესაძლებლობა

ექსპორტ-იმპორტის განვითარება, როგორც წესი, აჩქარებს ენერგეტიკული სექტორის რეფორმას. შედეგად ქვეყანა შეძლებს ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტს ევროკავშირის ტერიტორიაზე, ხოლო სისტემის ოპერატორები იმუშავენ ევროპული გადაცემების სისტემის ოპერატორების წესებით და შემოღებული იქნება ურთიერთქმედების ხელსაყრელი პრინციპები.

საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტი ცვალებადი დინამიკით ხასიათდება. უკანასკნელი 14 წლის მანძილზე იმპორტის მოცულობა 39,3%-ით გაიზარდა. იმპორტის მაქსიმალური დონე აღინიშნა 2005 წელს (1398,6% მლნ კვტ.სთ), მინიმალური 2010 წელს (222,1 მლნ კვტ.სთ).

საქართველოსათვის ელექტროენერჯის მთავარ იმპორტიორად კვლავ რუსეთი რჩება. ამ ქვეყნის წილი იმპორტის საერთო მოცულობაში 2000 წლის 39,0%-დან (233,9 მლნ. კვტ.სთ) 2008 წლისათვის 86,3%-მდე გაიზარდა (560,1 მლნ. კვტ.სთ). საქართველო ელექტროენერჯის

დებულობს ყველა მისი მეზობელი ქვეყნიდან. ამ მხრივ 2007-2008 წლებში გამონაკლისია სომხეთი, რომელიც ზოგიერთ წლებში რუსეთსაც კი უსწრებდა (2006 წ.), ან მეორე ადგილზე იყო რუსეთის შემდეგ (2005 წ.). გასული საბჭოთა წლებისაგან განსხვავებით, საქართველოსათვის ელექტროენერჯის იმპორტიორი სახელმწიფო გახდა თურქეთი. 2001 წელს თურქეთიდან მიღებული იქნა 523 მლნ კვტ.სთ ელექტროენერჯია, რომელიც იმპორტის საერთო მოცულობაში თითქმის 40%-ს შეადგენდა.

რაც შეეხება ექსპორტს, მისი მაქსიმალური ოდენობა აღინიშნა 2010 წელს (1,5 მლრდ კვტ.სთ), მინიმალური – 2006 წელს (84,4 მლნ კვტ.სთ). რუსეთი ამ სფეროშიც საქართველოსათვის ელექტროენერჯის არამართო მსხვილი მომწოდებელია, არამედ მას მნიშვნელოვანი რაოდენობით გააქვს ენერჯია საქართველოდანაც – 2010 წელს 1117,1 მლნ კვტ.სთ, ანუ ჩვენი ექსპორტის საერთო რაოდენობის 73,3%, 2014 წელს—218,6 მლნ კვტ.სთ, ანუ 36,2%.

ცნობილია, რომ ელექტროენერჯის იმპორტი საქართველოში ხორციელდება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, ხოლო ექსპორტი — გაზაფხული-ზაფხულის თვეებში. საქართველოს მდიდარი ჰიდროენერჯორესურსების არსებობა საშუალებას იძლევა, რომ ქვეყანამ მნიშვნელოვნად გაზარდოს ელექტროენერჯის ექსპორტი.

5. მაკროეკონომიკური და ენერგეტიკული მაჩვენებლები ჩვენთან და უსხოეთში

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ამჟამინდელი მაჩვენებლები სხვა ქვეყნების ანალოგიურ პარამეტრებთან შედარებით სახარბიელო არ არის. ქვეყანა თავის მოთხოვნილებას ენერგორესურსებზე ძირითადად იმპორტით იკმაყოფილებს, დაბალია დარგის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

საქართველოს მოსახლეობის 1 სულზე ელექტროენერჯის მოხმარება ახლა 2800 კვტ.სთ-ის ფარგლებშია, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი სხვა ქვეყნებში გაცილებით მაღალია (იხ. ცხრილი 4). მაგ.: საქართველოში თითოეული ადამიანი წლიურად მოიხმარს თითქმის 7,0-ჯერ ნაკლებ ელექტროენერჯიას, ვიდრე აშშ-ში, 3,4-ჯერ ნაკლებს, ვიდრე რუსეთში და ა. შ. საქართველო ამ მხრივ ჩამორჩება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელსაც, უსწრებს მხოლოდ აფრიკას, აზიას, ყირგიზეთსა და სხვა. შესაბამისად, ამ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც დაბალია ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებიც. კერძოდ, მშპ, 1 სულზე საქართველოში იწარმოება 21,6-ჯერ ნაკლები, ვიდრე აშშ-ში, 3,4-ჯერ ნაკლები, ვიდრე რუსეთში და ა. შ. [4. გვ. 184-185].

ცხრილი 4

საქართველოს მაკროეკონომიკური და ელექტროენერგეტიკული მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის პარამეტრებთან, 2011 წ. [5. გვ. 57-65]

ქვეყნის დასახელება	მოსახლეობა, მლნ კაცი	მშპ წარმოება, მლრდ აშშ დოლარი	ელ. ენერჯის მოხმარება, მლრდ კვტ.სთ	ელ. ენერჯის მოხმარება მოსახლეობის 1 სულზე, კვტ.სთ
აშშ	312,0	13225	1784,8	13227
რუსეთი	141,9	947,2	927,2	6533
სომხეთი	3,1	6,18	5,2	1678
საქართველო	4,49	8,81	8,6	1917
გაერთიანებული სამეფო	61,74	2386,63	346,16	5518
გერმანია	81,78	3048,69	579,21	7083
იაპონია	127,83	4621,97	1003,09	7847
თურქეთი	73,95	614,68	197,94	2677
უკრაინა	45,71	95,29	167,4	3662
ყაზახეთი	16,56	83,04	81,01	4892
ყირგიზეთი	5,51	3,23	9,05	1644
თურქმენეთი	5,11	15,22	12,48	2445
აზერბაიჯანი	9,17	28,6	15,61	1706
მსოფლიო	6958	52486	20407	2933
აზია	2313	3386	1904,0	823
აფრიკა	1045	1267	619,0	592

6. განვითარების კონცეფცია

საქართველოს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებით საჭიროა ეფექტიანი ღონისძიებები გატარდეს ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებისათვის. ამისათვის კი აუცილებელია: 1. ბუნების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით რაციონალურად გამოვიყენოთ ტერიტორიაზე არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მთელი კომპლექსი — ჰიდროენერჯია, ქვანახშირი, ნავთობი და არატრადიციული წყაროები; 2. ჩამოყალიბდეს საქართველოს პირობებისათვის შესაფერისი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ოპტიმალური სტრუქტურა. სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, ენერგეტიკულ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა გათვალისწინებით, თავიანთი ადგილი უნდა მიეკუთვნოთ როგორც ჰიდრო, ისე თბოსიმძლავრებს და ენერჯიის სხვა ალტერნატიულ წყაროებს; 3. აუცილებელია რესპუბლიკის ენერგობრუნველყოფის საქმეში დიდი როლი შეასრულოს ამ რესურსების ეკონომიურმა და რაციონალურმა გამოყენებამ; 4. საქართველომ საიმედო და ხელსაყრელი საგარეო ენერგეტიკული კავშირები უნდა დაამყაროს მსოფლიოს მოწინავე, მათ შორის მეზობელ სახელმწიფოებთან.

ენერგეტიკის განვითარება, ცხადია, მნიშვნელოვან თანხებს საჭიროებს. ეს კი ხშირად ხდება დარგის განუვითარებლობის მიზეზი. თუმცა ჩატარებულმა სპეციალურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ ენერგეტიკის განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციების მოცულობას და ელექტროენერჯიის დანაკლისით გამოწვეული ეროვნული შემოსავლის შესაძლო ზარალს, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი 5-ჯერ მეტია პირველზე. მაშასადამე, საქართველოსათვის ელექტროენერგეტიკის განვითარებისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებები 5-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ზარალი, რასაც ამ დარგის განუვითარებლობა გამოიწვევს.

ენერგეტიკის განვითარების სწორი დაგეგმვისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ დარგის თავისებურებები: პირველი — გარდა იმისა, რომ ელექტროენერჯიის წარმოება და მოხმარება ერთმანეთს ემთხვევა დროში, ენერგეტიკა ეკონომიკის დარგთა შორის მაღალი ინტელექტუალური შრომატევადობითა და კაპიტალდაბანდებებით ხასიათდება; მეორე — დარგი მოითხოვს ინტენსიურ და უწყვეტ დაფინანსებას, რათა შეინარჩუნოს ფუნქციონირების უნარი და, იმავდროულად, მიაღწიოს პროგრესს მაკროეკონომიკური გარემოს მოთხოვნების შესაბამისად; მესამე — სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ენერგეტიკას აკისრია მაღალი სოციალურ-ეკონომიკური პასუხისმგებლობა; მეოთხე — იგი როგორც ბუნებრივი მონოპოლიის ტიპური წარმომადგენელი, საჭიროებს სახელმწიფო რეგულირებას; მეხუთე — აუცილებელია მნიშვნელოვანი რაოდენობის დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა. ეს კი სხვა ობიექტური ფაქტორების (ეკოლოგია, სულ უფრო ძვირი ენერგორესურსების ათვისების აუცილებლობა და სხვა) ერთობლივი გავლენის შედეგად კიდევ უფრო ზრდის დარგის კაპიტალტევადობას. შესაბამისად, მაღალია საინვესტიციო რისკი, აქ მენეჯერული

ცოდნა შეუცვლელია. ამ მხრივ კი საჭიროა დარგში მუშაობის გაძლიერება. მართალია, საქართველოში ახლა ხორციელდება ჩვენი მდიდარი ჰიდროენერგორესურსების ათვისების ფართომასშტაბიანი პროგრამა, მაგრამ სახეზეა არსებული სიმძლავრეების არადაამაკმაყოფილებელი ათვისება. გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის მასშტაბით დადგმული სიმძლავრის გამოყენების მხოლოდ 1%-ით გაუმჯობესება ელექტროსისტემაში ერთ საშუალო სიმძლავრის ელექტროსადგურის შემომატებას ნიშნავს.

ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენერგოდაზოგვის ფაქტორს. საქესპორტო გათვლებით ენერგოეფექტიანობის გამოუყენებელი ტექნოლოგიური პოტენციალი ქვეყნის მთლიანი ენერგომომარაგების დაახლოებით ერთი მეხუთედის ტოლია. ამდენად იგი შეიძლება თამამად ჩაითვალოს ახალ ენერგეტიკულ რესურსად.

საქართველოში კი ელექტროტევადობა, მართალია ბოლო წლებში მცირდება, მაგრამ მისი დონე ჯერ-ჯერობით მაინც არასახარბიელოა.

ჩვენი ქვეყნისათვის ენერგორესურსების დაზოგვის საკვანძო მიმართულებებია: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ენერგორესურსების წარმოებისა და მოხმარების სფეროში; ეკონომიკის დარგობრივი, ტექნოლოგიური და ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფა; ენერჯიის არატრადიციული (მზისა და ქარის ენერჯია; თერმული წყლები, ბიომასა, მეორადი ენერგორესურსები და სხვა) სახეობებისა და მცირე მდინარეთა ენერჯიის გამოყენების გაფართოება, ენერგოდაზოგვაში სამეურნეო მეწევენებისა და მექანიზმის სრულყოფა.

ამჟამად არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე პერსპექტიულ მშენებლობათა გათვალისწინებით, შემუშავებულია „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“ 2015-2025 წლებისათვის, რომელიც დამტკიცებულია მთავრობის მიერ. ამ გეგმის მიხედვით, 2025 წელს საქართველოში ელექტროენერჯიის წარმოება შეადგენს 28,42 მლრდ კვტ.სთ, მათ შორის ჰესებში — 25,42. გამოუმუშავების ასეთი ზრდა კი საშუალებას იძლევა ექსპორტზე გატანილი იქნას 10 მლრდ კვტ.სთ-ზე მეტი ენერჯია.

დასკვნა

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (2005-2015) საქართველოს ენერგეტიკაში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ძვრები მოხდა. ამ პერიოდში ელექტროენერჯიის გამომუშავება 1,5-ჯერ, ხოლო ნახშირის მოპოვება 63,1-ჯერ გაიზარდა. მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია აქვს ელექტროენერჯიის წარმოებას და მოხმარებას მოსახლეობის 1 სულზე. გაუმჯობესდა ელექტროფიკაციის სხვა მაჩვენებლებიც. წარმატებით მიმდინარეობს ჩვენი მდიდარი ჰიდროენერგო რესურსების ათვისების პროცესი.

მიუხედავად ამისა, სახეზეა მნიშვნელოვანი ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემები. ღრმად დეფიციტურია ენერგეტიკული ბალანსი. უმნიშვნელოა ნავთობისა და განსა-

კუთრებით, ბუნებრივი გაზის მოპოვება, მაშინ, როცა აღიარებულია, რომ საქართველოს წიაღი მდიდარია ამ რესურსებით. საქართველოში მოსახლეობის 1 სულზე მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით იწარმოება 7,6-ჯერ ნაკლები (აშშ-თან შედარებით 23-ჯერ ნაკლები), ხოლო მოიხმარება 2,4-ჯერ ნაკლები (აშშ-თან შედარებით 8,9-ჯერ ნაკლები) ენერჯიაშემცველი. მულანგველურია მისი გამოყენებაც. ჩვენს ქვეყანაში მშპ-ის ერთეულზე იხარჯება 1,6-ჯერ მეტი ენერჯია, ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში (აშშ-თან შედარებით 2,4-ჯერ მეტი) და ა.შ.

ქვეყნის წინაშე ენერჯეტიკის მაღალი სოციალურ-ეკონომიკური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ აუცილებელია ზემოთ აღნიშნულ პრობლემათა დროული გადაჭრა. უწინარეს ყოვლისა, უნდა მოხერხდეს დარგის ინტენსიური და უწყვეტი დაფინანსება, რათა მან შეინარჩუნოს ფუნქციონირების უნარი და ამავდროულად მიაღწიოს პროგრესს მაკროეკონომიკური გარემოს მოთხოვნათა შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი თ. ჩომახიძე დ. „საქართველოს ენერჯეტიკული უსაფრთხოება“, თბილისი, „უნივერსალი“ 2011. 468 გვ. [T. Gvelesiani and D. Chomakhidze “Energy security of Georgia. Tbilisi “Universali”, 2011. 468p.]
2. „საქსტატი“ „საქართველოს ენერჯეტიკული ბალანსი“ თბილისი, 2015. 49 გვ. [Geostat “Energy balance of Georgia” 2015. 49p.]
3. ჩომახიძე დ. „საქართველოს ენერჯეტიკა: ეკონომიკა, რეგულირება, ტერმინოლოგია, სტატისტიკა“, თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2014. 187 გვ. [Chomakhidze D. “Energy of Georgia: “ekonomika, regulation, terminology, statistica” Tbilisi, “Technical university”, 2014, 187p.]
4. ჩომახიძე დ. ცხაკაია ქ. ბიბილაშვილი ლ. „ენერჯეტიკის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, მოხსენებების კრებული, ქუთაისი, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2015. 341 გვ. [Chomakhidze D., Tskhaia K., Bibilashvili L. “Economic problems in the energy sector of Georgia”, proceedings, Kutaisi Akaki Tsereteli state university, 2015, 241p.]
5. International energy agency “Key world statistics”, paris www.iea.org 2014. 79 p.

ENERGETICS OF GEORGIA: CURRENT SITUATION AND CHALLENGES

DEMUR CHOMAKHIDZE

Doctor of Economic Sciences, Professor of Georgian Technical University,
Academician of Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.004>

KEYWORDS: ENERGETICS, ENERGY BALANCE, ENERGY SECURITY, ENERGY SAVING

SUMMARY

Georgia is represented in almost all fields of energy (Hydropower, Thermal Power Plants, Electrical and Heat networks, Fuel mining industry, non-conventional energy). The article analyzes the level and dynamics of the production of energy in Georgia; Energetic, including electrical balance,

external energy relations. Macroeconomic and Energetic indicators are compared with each other and with the energy indicators of abroad. There is formed energy development concept in Georgia, taking into consideration as new constructions, as well as activation of existing reserves.

სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში

მაია ჭანია

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.005>

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, საქართველო

სავანძო სიტყვები: სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება, პრობლემები

სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ქვეყნის, მისი რეგიონების სხვა ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკის უსაფრთხო განვითარებას განვიხილავთ, როგორც მოცემულ ეკონომიკურ სისტემაში, მოცემულ გეოგრაფიულ სივრცეში მცხოვრები ადამიანების ცხოველუნარიანობის შენარჩუნებისა და განვითარების, მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ნორმალური, მყარი პირობების უზრუნველყოფის უნარს. იგი წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის, მისი მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების თანმიმდევრულად რეალიზაციის გარანტიას. ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოიცავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფას, საზოგადოებაში სოციალური თანხმობის მიღწევას, ეკოლოგიური უბედურებებისაგან დაცვას და ქვეყნის რეგიონების, სხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების შესაძლო ფარგლებში თანაბარ განვითარებას. ამ სისტემაში შემავალი ყველა მიმართულება დიალექტიკურად არის ერთმეორესთან დაკავშირებული და ერთმეორეს განაპირობებენ: სამხედრო უსაფრთხოება შეუძლებელია ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების გარეშე; ასევე არ შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა მისი რეგიონების უთანაბრო სუსტი განვითარების პირობებში; ვერ მივაღწევთ ვერც სამხედრო უსაფრთხოებას, ვერც ეკონომიკურ უსაფრთხოებას და რეგიონების თანაბარ, მძლავრ განვითარებას; ყველა ჩვენი მცდელობა უშედეგო იქნება, საზოგადოებაში საზოგადოებრივი თანხმობის არსებობის გარეშე; ეკოლოგიური კატასტროფების შედეგების დაძლევა შეუძლებელია მძლავრი და მუდმივად განვითარებადი, პროგრესირებადი ეკონომიკის გარეშე და სხვა. მაგრამ ამ დიალექტიკური ერთიანობის ფონზე ჩამოთვლილ მიმართულებათა შორის, ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ყველა შემადგენელ ნაწილს შორის მაინც გადამწყვეტი, წამყვანი როლი აკისრია ეკონომიკურ უსაფრთხოებას. იგი არის ყველა სხვა დანარჩენი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველთა-საფუძველი, ბაზისი.

პიროვნებისა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფა შესაძლებელია ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მხოლოდ ჰარმონიული მართვის პირობებში. ეს სამი ბლოკი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ ერთი რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება, რომელიმე მათგანის პრიორიტეტული განვი-

თარება აუცილებლად წარმოშობს ფრიად სამიმ მოვლენებს. სწორედ თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკის განვითარების მასშტაბების გიგანტურმა ზრდამ, ეკონომიკისადმი პრიორიტეტულმა დამოკიდებულებამ წარმოქმნა ეკოლოგიურ წონასწორობაში დისბალანსი. საქართველოში მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში განხორციელებული გაუზრუნველყოფილი და თანაც, სამწუხაროდ არაწარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის უშუალო შედეგია ის კატასტროფული ბუნებრივი მოვლენები რომლებიც განვითარდა დღეს.

ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა კი თავისი შედეგებით ცივილიზაციას დასასრულისაკენ ექაჩება. სამყაროს დაცვა ხელოვნური კატასტროფისაგან და ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნება, ცივილიზაციის მიღწევათა გამოყენება ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის ზოგადსაკაცობრიო გლობალური საკითხია.

ეკოლოგიური და ეკონომიკური საწყისების ჰარმონიზაციის აუცილებლობა XX საუკუნის უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში მსოფლიო მეცნიერული აზრის განსაკუთრებული ყურადღების საგანი, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების და საჯარო დისკუსიების ობიექტი იყო. სტოკჰოლმის კონფერენციის შემდეგ, 1983 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შექმნა სპეციალური მსოფლიო კომისია, რომელსაც გ.პ. ბრენტლანდი ხელმძღვანელობდა. მდგრადი განვითარების კონცეფციას სწორედ ამ საერთაშორისო კომისიის სპეციალური გამოკვლევა დაედო საფუძვლად, რომლის შედეგები მოხსენების სახით 1987 წელს წარედგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. კომისიის ანგარიში სათაურით „ჩვენი საერთო მომავალი“ შემდგომში სქელტანიანი წიგნის სახით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის რუსულ ენაზეც გამოიცა. ამ ნაშრომმა სათავე დაუდო მრავალ ახალ გამოკვლევას, პროგრამების შემუშავებას, პრობლემის წარმოჩენას და მათი გადაწყვეტის მიმართულებებს გლობალურ და ლოკალურ ჭრილში.

გაერომ აღნიშნულ საკითხს 1992 წელს საგანგებო კონფერენციაც მიუძღვნა, რომელიც ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა. მასში 179 ქვეყნის მეთაური ღებულობდა მონაწილეობას. ამ კონფერენციამ ჩამოყალიბდა „მდგრადი განვითარების პრინციპები“ და აღიარებული იქნა როგორც უმთავრესი გზა გლობალური და რეგიონული განვითარებისათვის.

კონფერენციამ შემუშავა და მიიღო 5 დოკუმენტი:

1. რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ;

2. დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის;
3. განცხადება ტყეებისადმი დამოკიდებულების პრინციპების შესახებ;
4. გაეროს კონფერენცია კლიმატის ცვლილებების შესახებ;
5. კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ.

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური პრობლემების მოგვარება პირველ რიგში ხელისუფლების საზრუნავია. ქართულ რეალობაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების დაძლევა წარმოუდგენელია ერთიანი კონცეფციის გარეშე. მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებელი ინსტრუმენტია ქვეყნის რესურსების მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში მოსაქცევად და პირიქით. მსოფლიოს განვითარების ტენდენციები იქითკენ მიდის, რომ მოცემული ქვეყნის შრომითი, მატერიალური, ფინანსური, ეკოლოგიური და სხვა რესურსები სულ უფრო მეტად ინტეგრირებული ხდება სხვა ქვეყნების რესურსებთან. ყოველივე ეს კი ასახული და დასაბუთებული უნდა იყოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკაში. ეს პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს როგორც რესურსების, მათ შორის ადამიანთა რესურსების მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის პროცესი. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის დამუშავების ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია აგრეთვე ქვეყნის, საერთოდ და რეგიონების, კერძოდ, უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფის ამოცანებიდან.

მთავრობის მიერ სახელმწიფო დონეზე გატარებული არა ერთი პროგრამის მიუხედავად, უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ უმძიმეს პრობლემებად რჩება. კიდევ უფრო მძიმეა პრობაციონერების, აივ ინფიცირებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მზრუნველობას მოკლებული ბავშვების, დევილიებისა - თუ სხვა მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობა. სამუშაოს მოძიება და საზოგადოებაში ინტეგრაცია მათ ყველაზე მეტად უჭირთ.

სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების, ეკონომიკური ზრდის, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ გაფართოებული კვლავწარმოების პირობებში. შრომის ნაყოფიერების რეგულარული მატების, წარმოების ტექნიკური გადაიარაღების, მოსახლეობის დასაქმების, შრომის ანაზრაურებისა და ერთობლივი საბოლოო მოხმარების ზრდისას, და, როგორც შედეგი, ვიღებთ მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას. ხელისუფლებამ უნდა შექმნას პირობები და გა-

რემო, რომ ქვეყნის მეწარმეებსა და საქმიან ადამიანებს, მოქალაქეებს მიეცეთ მაღალპროდუქტიული შრომისა და საქმიანობის საშუალება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხისტი სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელთა მიზანია ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება (განათლება, ჯანდაცვა, უსაფრთხოება, შესაძლებლობების თანასწორობა). პატერნალიზმი (მუდმივი დახმარების იმედი დასავლეთის ქვეყნებიდან, ატროფიას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე გაჯანსაღებას) არ არის ის გზა, რომელიც იძლევა ამ მიზნების რეალიზაციის საშუალებას. კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ხელს არ უწყობს საქართველოს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას - დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყნისათვის განსაკუთრებით საშიშ მასშტაბებს იღებს დიდი მოცულობის იაფი სამუშაო ძალის არსებობა, რაც ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციების პირობებში, საერთოდ კატასტროფული შედეგების მატარებელია. იგი ქვეყნის უმთავრესი რესურსის ეროზიას იწვევს.

მაღალი კვალიფიკაციის მუშახელი, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის განვითარება, არ შეიძლება იყოს იაფი. ზემოაღნიშნული ტენდენციები კი პირდაპირ და გარკვევით მიგვანიშნებს, რომ თუ სიტუაცია რადიკალურად შეცვლილი არ იქნა სათანადო რეფორმებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გატარების გზით, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი საქართველოს მოქალაქეებისათვის ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიღწევა შეუძლებელი იქნება: არსებული რესურსის უდიდესი ნაწილი დასაქმებულია იმ სექტორებში და დასაქმებულთა სტრუქტურა იმდენად არახელსაყრელია, გამოკვეთილია საშიში ტენდენციები, რომ მათი შემოსავლების მნიშვნელოვნად ზრდა ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება! ილუზია, რომ იაფი მუშახელი არის ექსპორტის სტიმულირებისა და წარმოებული საქონლის (მომსახურების) კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნას დაძლეული. იაფი მუშა ხელი და საყრდენი ვერ იქნება ეროვნული კეთილდღეობის მისაღწევად და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ეს ცხადად უნდა გავიცნობიეროთ. ამას მრავალი განვითარებული ქვეყნის მაგალითიც ადასტურებს. ამდენად, ზემოაღნიშნულ სტრატეგიის მთავარი შეუცვლელი რესურსი ადამიანი უნდა გახდეს, რომელსაც შეუძლია საკუთარ მოღვაწეობაში ორიენტირებული იყოს თვითრეალიზაციის თავისუფლებასა და შემოქმედებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. თეთრუაშვილი. მ. თეთრუაშვილი-ქარდავა. „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში“ 2006წ.
2. ბ. ალადაშვილი. ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. 2016წ.
3. https://issuu.com/oikos-tbilisi/docs/globalization-proceeding_4_2012/12

GEORGIAN SOCIAL-ECONOMIC SAFETY AND PROBLEMS CONNECTED TO IT

MAIA CHANIA

Academic Doctor of Economics, Assistant Professor of Sokhumi State University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.005>

KEYWORDS: SOCIAL-ECONOMIC SECURITY, PROBLEMS

SUMMARY

We consider Georgian Social-economic safety as country's, its regions' territorial economic development as maintaining vitality and development, fulfilling its material and mental needs, providing steady conditions in given economic system as well as in given geographic area, providing individuals' and society's well-being is possible by fulfilling social, ecological and economical needs only in harmonic governing conditions. Making one of these blocks a higher priority and

making them develop surely will cause frightening events. Conference designated and recieved 5 documents:

- Rio de Janeiro's declaration about development of the environment.
- XXI century's agenda
- Statement on the principles of dependence on forests;
- united nation's conference about changes in climate
- convention about biodiversity.

ლარის დევალვაციის შეჩერების კომპლექსური გზის ძიება საქართველოში

ლამარა ქოქიაური

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.006>

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეკონომიკური მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: დევალვაცია, ლარის კურსის ვარდნა, უცხოური ინვესტიციები, სავალუტო პარამეტრები, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, სავალუტო ურთიერთობები, ინფლაცია, დოლარის გამყარება, იმპორტი, ექსპორტი

ქართული ეროვნული ვალუტის უკვე რამოდენიმე წლიანი დევალვაციის პრობლემამ მრავალწახნაგოვანი სახე მიიღო. ყველაზე სავალალო ის არის, რომ ვალუტის კურსის არა თუ რყევის შეწყვეტა და შეჩერება, მისი შემოდების [1995წელი] დღის შემდეგ კურსი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა და დოლარის კურსის მიმართ ლარს კურსმა 2016 წლის დეკემბერში 2,80 ნიშნულიც კი აჩვენა.

პრობლემამ უაღრესად აქტუალური სახე მიიღო. თითქმის ყველა მოქმედი ქართველი ეკონომისტი, მთავრობა, ეროვნული თუ კომერციული ბანკები ეძიებენ დევალვაციის შეჩერების მეცნიერულად დასაბუთებულ გზებს [1, 3, 4, 6, 7, 17, 18 და სხვა].

შრომაზე მუშაობის პროცესში დიდად დაგვეხმარა ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები, ეკონომიკის ექსპერტების ანალიტიკური მონაცემები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის [საქსტატის] ოფიციალური მონაცემები, საქართველოს ეროვნული ბანკის, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო სავალუტო ფონდის, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები, და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მასალები, ქვეყნის ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებული პოპულარული სტატიები.

მადლობას ვუხდით აგრეთვე ქართველ სწავლულ ეკონომისტებს: რ. გოცირიძეს, ი. არჩვაძეს, მ. კაკულიას, ლ. ელიავას, ს. პავლიაშვილს, ა. სილაგაძეს, მ. თოქმაჯიშვილს, ი. კოვბანაძეს, ლ. კალანდაძეს, თ. ბასილაიას. რომელთა მეცნიერული ნაშრომების გაცნობა დაგვეხმარა წინამდებარე სტატიის მომზადებაში.

თეორიული რაკურსით — სავალუტო ურთიერთობებსა და კვლავწარმოების პროცესს შორის არსებობს როგორც პირდაპირი, ასევე უკუკავშირი. სავალუტო ურთიერთობების ობიექტური საფუძველია ისეთი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესები, რომლებიც წარმოშობენ საქონლის, ფულისა და შრომის საერთაშორისო გაცვლას.

სავალუტო ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკების განვითარებაზე, მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ურთიერთობები, მათ შორის სავალუტო, მჭიდროდაა გადაჯაჭვული ისეთ სფეროებთან, როგორებიცაა: პოლიტიკა, ეკონომიკა, დიპლომატია, კომერცია, სამრეწველო წარმოება

და ვაჭრობა, ამ ურთიერთობებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო მეურნეობაში. სხვადასხვა ქვეყნებსა და მათ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის განხორციელებული საანგარიშსწორებო, საკრედიტო და საფინანსო ოპერაციები იწვევს ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტებზე გადაქცევას და პირიქით. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ეს „გადაქცევა“ ყოველთვის უმტკივნეულოდ არ ხორციელდება. სავალუტო ურთიერთობები ხასიათდება გარკვეული დამოუკიდებლობით, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ შეიძლება უკუპროპორციული გავლენა იქონიონ კვლავწარმოების პროცესებზე.

სამეურნეო ურთიერთობების გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო ძლიერდება კვლავწარმოების პროცესის დამოკიდებულება ისეთ საგარეო ფაქტორებზე, როგორებიცაა: საერთაშორისო ვაჭრობის, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები და წარმოების განვითარება, უცხოური ვაპიტალის ბრუნვა და ა. შ. საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების არასტაბილურმა მდგომარეობამ და სავალუტო კრიზისებმა კვლავწარმოების პროცესზე შესაძლოა ძალზე უარყოფითად იმოქმედოს. ამგვარი შეუქცევადი პროცესები მოხდა საქართველოში 2013-2015 წლებში. მივყვეთ ქრონოლოგიურად. ჩვენი მოსაზრებით, ლარის დევალვაცია 2013 წლიდან დაიწყო; მეორე ტალღა იყო 2014-2015 წლები, 2016 წელს მესამე ტალღა აგორდა, ე. ი. ლარის დევალვაცია 2 წელია მიმდინარეობს და დღესაც გრძელდება [14, 8].

დღეისათვის საქართველოში გადაუდებლად საჭიროდ მიგვაჩნია ეკონომიკის რეალური სექტორის: მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი წარმოების დარგების და ა. შ. დაჩქარებული განვითარება.

ჩვენი წინადადების დასაბუთებისთვის მოვიტანთ შემდეგ არგუმენტს: ნებისმიერ განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში ნაციონალური ვალუტის დევალვაციას ან ინფლაციას უპირველესად ეკონომიკის ზრდის დამუხრუჭებით ხსნიან.

დღეს ეკონომისტები ლარის დევალვაციის პრობლემატიკაში ხაზგასმით გამოყოფენ მისი გამოწვევის **ობიექტურ** (ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, ექსპორტისა და საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების შემცირება, ექსპორტის კლება, ფულადი გზავნილებების არასაკმარისი დონე, აგრეთვე ვალუტის შემომტანი მომსახურების დარგების (ტურიზმი, კავშირგაბმულობა, სატრანსპორტო გადაზიდვები და სხვა), სუსტი ზრდა და მათ

შორის, აშშ დოლარის პოზიციების გამყარება საერთაშორისო ბაზრებზე, ამერიკული დოლარი იმდენად გამყარდა, რომ ოქროს დეველვაციაც კი მოხდა და ბოლო თვეების განმავლობაში ოქრო 5%-ით გაიზარდა [10, 2]. და **სუბიექტურ** მიზეზებზე. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება: ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების მოკლევადიანი სესხების კომერციული ბანკებისათვის მიწოდება და მიმოქცევაში ლარის მასის მნიშვნელოვანი ზრდა [არჩვადე]. ქვეყანაში ამჟამად მოქმედი უმრავლესი ბანკების საკონტროლო პაკეტების უცხოური რეზიდენტების განკარგულებაში გადასვლა და ამდენად, მათი მოგების საქართველოდან გატანა; მთავრობის და ეროვნული ბანკის არასწორი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა; საგარეო კრედიტების ნაწილობრივ არაეფექტიანი გამოყენება; ლარის დეველვაციის გამომწვევი რისკების წინასწარ გათვლილი სტრატეგიისა და ხელისუფლების ანტიკრიზისული გეგმის უქონლობა და სხვა ფუნდამენტური ხასიათის მიზეზები.

მოვიტანთ აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძის ციტატას, რომელის დედაარსსაც მთლიანად ვიზიარებთ და ვეთანხმებით: „ის, რაც ხელისუფლებამ ბოლო პერიოდში სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით განაცხადა, შეგვიძლია სავალუტო სტაბილურობის ერთ-ერთ მექანიზმად განვიხილოთ. მეორე მხრივ, უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით უნდა გადავხედოთ კანონმდებლობას, რათა მაქსიმალურად მასტიმულირებელი მექანიზმები გვქონდეს. აქტიურად უნდა წარიმართოს მუშაობა ტურიზმის განვითარებისთვისაც.“

უნდა განვითარდეს წარმოება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ამისთვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსი, რაც საკმაოდ ბევრი გვაქვს. რაც შეეხება ახალი სახელმწიფო საგარეო ვალის აღებას, ეს ნაბიჯი, შესაძლოა, გადაიდგას, მაგრამ ეს ფული მიზნობრივად უნდა იქნეს გამოყენებული, კერძოდ, ეროვნული წარმოების ზრდისთვის და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ეფექტური. წინა მთავრობამ ძალიან ბევრი ვალი აიღო, ბოლო 4-5 წელიწადში — მილიარდობით დოლარი, მაგრამ ეკონომიკის განვითარებისთვის არ გამოუყენებია. ვალს ყველა სახელმწიფო იღებს, მაგრამ ეფექტური უკუგების მიღებას ცდილობს“ [16, 2].

საქართველოს აქვს დიდი რეზერვი სახელმწიფო საგარეო ვალის ასაღებად. მიზანშეწონილია საგარეო ვალის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მაქსიმუმ 60%-მდე იყოს. ახლა საგარეო ვალის წილი მშპ-სთან არის არა უმეტეს 40%-ისა. ინფრასტრუქტურის გარდა, სესხი უნდა გამოვიყენოთ რეალური წარმოებისათვის. წლების განმავლობაში სესხებს მილიარდობით ვიდებდით და არასდროს ვიყენებდით რეალურ სექტორში, სადაც რეალური დოვლათი იქმნება და დასაქმების დიდი რეზერვებია. შესაბამისად, არ ვუჭერთ მხარს ასეთი სესხის აღებას და მის დახარჯვას მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის. სავალუტო ფონდს კატეგორიულად არ უთქვამს, აუცილებლად გაზარდეთ გადასახადები და არავითარ შემთხვევაში არ აიღოთ სესხი. მათ რამდენიმე ალტერნატივა შესთავაზეს მთავრობას.

ბიუჯეტის ოპტიმიზაცია, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ არსებულ ვითარებაში გადასახადების ზრდა გაუმართლებლად მიგვაჩნია.

პირიქით, მეწარმეები და ბიზნესი გადასახადების ზრდით კი არ უნდა შეგავიწროვოთ, არამედ კიდევ მეტი ლიბერალიზაციისკენ უნდა წავიდეთ. ლარის კურსის ვარდნის შეჩერებისა და გამყარების მიზნით, ასეთივე რეკომენდაციას იძლევა პროფესორი მიხეილ თოქმაჯიშვილი. იგი წერს: „ლარის გაუფასურებას ჩვენ რომელიმე ბანკს ვერ დავაბრალებთ, მართალია, თუკი რამდენიმე ბანკი გაერთიანდება, შეძლებს კურსზე გეგავლენის მოხდენას, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ერთჯერადი ნაბიჯი, რომელიც ხანგრძლივ შედეგს ვერ მოიტანს... ბანკს არ შეუძლია გაცვლითი კურსის კრიზისი წარმოშვას. ამ პრობლემის განხილვისას უფრო ობიექტურ ფაქტორებზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი, როგორცაა: ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა, ინვესტიციები, ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობები, მათი გამოყენების დონე და სხვ. რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, მას შეუძლია საერთოდ გაეყინოს ლარის კურსი, მაგრამ ამ დროს ეკონომიკა ჩერდება მთლიანად. ამიტომ უნდა ამოვარჩიოთ, რომელი სჯობს: 1. ლარი უფასურდებოდეს მდორედ და არა ნახტომისებური ნაბიჯით, მაგრამ სამაგიეროდ სტიმული მიეცეს ეკონომიკის განვითარებას და 2. გავაჩეროთ ეკონომიკა, ვუყუროთ, რომ ლარი სტაბილურია და გვიხაროდეს“ [12, 4].

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ლარის გაუფასურება ეროვნული ბანკის ფუნქციებსა და ინტერესებში არ შედის: მისი ძირითადი ამოცანაა, ეკონომიკას ფული მიაწოდოს და ინფლაციის დაბალი მაჩვენებელი შეინარჩუნოს. ამრიგად, ჩამოვაცალიბოთ ლარის გაუფასურების შეჩერებისა და შემდგომი განმტკიცების შემდეგი რეკომენდაცია: რეალური ეკონომიკის ნაბიჯ-ნაბიჯ, სისტემატიური ხასიათით ზრდა, ეკონომიკური ზრდის პროცესის შეუქცევადი ხასიათი, ლარის სტაბილურობის გარანტი, უპირველესად, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე საუბარი შეუძლებელი იქნება, თუ საქართველოში საინვესტიციო ბუმი არ შედგა. თანამედროვე პირობებში საინვესტიციო პოლიტიკის გააქტიურება საქართველოს ეკონომიკის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის უმთავრესი პირობაა. დღეს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია: ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა მხარდაჭერის გაძლიერება, ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების წახალისების ინსტიტუტების სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს შექმნა.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების პროცესში ყოველთვის ითვლებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საბანკო სისტემის განვითარება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოში პირდაპირი და უცხოური ინვესტიციების [FDI] სახით 834 მლნ. დოლარი შემოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11%-ით მეტია. მაგრამ ეს ციფრები

ოპტიმიზმის საშუალებას დიდად არ იძლევა. თუ შევადარებთ აღნიშნულ მაჩვენებლებს 10 წლის წინანდელ ციფრებს, ხაზი უნდა გავუსვათ ერთ გარემოებას: 2007-2008 წლებში შპს [მთლიანი შიდა პროდუქტი] გაცილებით ნაკლები იყო და ვთქვათ, მილიარდიანი ინვესტიციის გავლენა გაცილებით შთაბეჭდავი იყო, ვიდრე დღეს. როგორც პროფესორი, ი. არჩვაძე აღნიშნავს, „იმისთვის, რომ ანალოგიური ეფექტი გვექონდეს, დღეს საჭიროა უფრო მეტი ინვესტიციები“ [1, 2].

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის გააქტიურება საქართველოს ეკონომიკის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის უმთავრესი პირობაა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის გაუმჯობესებაზე საუბარი შეუძლებელი იქნება, თუ საქართველოში მნიშვნელოვანი საინვესტიციო ბუმი არ შედგა. ლარის რყევის მკვეთრი ამპლიტუდა მხოლოდ მაშინ გაჩონასწორდება, როცა პრივატიზაციიდან და შემოსული ინვესტიციების მილიონობით ნაკადიდან ყოველი თეთრი საქართველოს თითქმის გაჩერებულ რეალური სექტორში დაბანდდება, მატერიალური წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდება. შედეგად ხალხი დასაქმდება, შემოსავლები გაუჩნდება, ადგილობრივი პროდუქციის გამოშვება დაიწყება, იმპორტით აღარ ვიცხოვრებთ, ჩვენსას გავყიდით და ექსპორტიდან ფულადი ნაკადების შემოდინება დაიწყება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, რა ოდენობით თანხების განთავსება ხდება ქვეყნის ძირითად კაპიტალში, რამდენად მიმზიდველია ქვეყანა საინვესტიციოდ, რომელ დარგშია მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობები. ამდენად, უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა ქვეყნის განვითარების ძალზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მით უფრო, საქართველოს პირობებში, როდესაც განვითარებისთვის შიდა რესურსები მწირია, ბიუჯეტის რესურსები შეზღუდულია, ხოლო ეკონომიკური სუბიექტების დანაზოგები ინვესტირებისთვის — ძალზე მცირე. უცხოური ინვესტიციების შემოდინება მხოლოდ ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა როდია, ეს, უწინარეს ყოვლისა, იმ ტექნოლოგიური მიღწევების გაზიარების საშუალებაა, რაც ქვეყანას ასე სჭირდება. გარდა ამისა, პირდაპირ ინვესტიციებს დასაქმების სერიოზული პოტენციალი აქვს. განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივებიდან გამომდინარე, საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისას გასათვალისწინებელია ეროვნული და უცხოური ინვესტიციებისთვის საქმიანობის ერთიანი, უნიფიცირებული პირობების შექმნის აუცილებლობა [18, 45-49].

ესეც ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობაა, რადგანაც ქვეყნის საინვესტიციო აქტივობა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია.

საქართველოში არაღიარებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს მთავრობის მთავარ გამოწვევად რჩება. ბევრ ქვეყანაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების კლებამ სერიოზული მაკროეკონომიკური პრობლემები გამოიწვია. კრიზისის შემდეგ კონკურენცია უცხოური პირდაპირი ინვეს-

ტიციების მოზიდვაში კიდევ უფრო გამწვავდა. მაშინ, როცა ქვეყანას საკუთარი ეკონომიკის განვითარება დაუხმარებლად არ შეუძლია, უცხოურ ინვესტიციებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის.

როგორ პარადოქსადაც არ უნდა გამოჩნდეს, საქართველოსთვის ძირითადი პრობლემა იგივე არასაკმარისი ინვესტიციებია. მეორე და ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები. მსოფლიოში ძალიან ცოტაა ბიზნესი, რომელიც ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთების გადახდას შეძლებს. ეს ფაქტორები, ცხადია, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და სწორედ ამაში აკისრია ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას და საბანკო სისტემას ერთად. ბანკებს შორის საჭიროა, მოხდეს არა ერთგვარი ფარული შეთანხმება მაღალ საპროცენტო განაკვეთებზე, არამედ მათ შორის დამყარდეს ჯანსაღი კონკურენცია.

აი, აქ კი თავისი სიტყვა უნდა თქვას ეროვნულმა ბანკმაც. საბანკო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფომ უნდა შექმნას თამაშის ერთიანი წესი ყველა სამეურნეო სუბიექტისთვის. საბანკო სექტორთან მიმართებაში სახელმწიფო ვალდებულია, რეგულაციის მკაცრი წესები ჰქონდეს, რომელთა შემუშავება, დაწესება და კონტროლი საბანკო ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ კომერციული ბანკების მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა მიიღოს მაქსიმალური მოგება და ამ მიზნით, შესაძლოა, ის წავიდეს გარკვეულ რისკებზე. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო [ამ შემთხვევაში-მთავრობა] ეროვნული ბანკის საშუალებით უნდა აწესებდეს გარკვეულ რეგულაციებს, რათა დაიცვას მენაბრები, აქციონერები, ინვესტორები და ასევე, დაიცვას ეკონომიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება [14, 8].

საქართველოს ეკონომიკას და ქართულ ფულად ერთეულს რთულ გლობალურ და რეგიონალურ გარემოში უწევს მოქმედება. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო ძლიერდება წარმოების პროცესის დამოკიდებულება ისეთ საგარეო და ქვეყნის შიდა ფაქტორებზე, როგორებიცაა: საერთაშორისო ვაჭრობის, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები და რეალური სექტორის განვითარება, უცხოური კაპიტალის ბრუნვა, პოლიტიკური მდგრადობა და ა.შ. საერთაშორისო ურთიერთობების არასტაბილური მდგომარეობა და სავალუტო კრიზისები ქვეყნების ეკონომიკებზე ძალზე უარყოფითად მოქმედებს. ქართული ფულადი ერთეულის სტაბილურობის გენეზისის შერყევასა და უფრო მეტიც, მოშლაზე ვალუტის კურსის რყევისა და დაცემის თითქმის ყველა ფაქტორმა მოახდინა გავლენა. ამის შესახებ ჯერ კიდევ 2015 წელს წერდა ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, პროფესორი რომან გოცირიძე. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგში დგება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის და განსაკუთრებით, ფულად-საკრედიტო სავალუტო პოლიტიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობა [5, 14].

ბევრთ დასახელებულ გარემოებებთან ერთად საჭიროა აღინიშნოს საერთაშორისო ბაზრებზე შექმნილი პანიკა და ქართული ლარი. 2014-2016 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა გლობალურ თუ რეგიონულ დონეებზე გამო-

წევების წინაშე დააყენა ქართული ეკონომიკა, ვინაიდან ქართული მცირე და ღია ეკონომიკა საკმაოდ მეტად მოწყვლადია საგარეო შოკების მიმართ. ამ მოვლენებმა ძლიერი საგარეო შოკის ფონი შექმნა, რომელიც ნეგატიურად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე საგარეო შემოსავლების შემოდინების მკვეთრი შემცირების კუთხით.

აქ ხაზგასმით გამოვყოფდით საერთაშორისო ბაზრებზე შექმნილ სიტუაციებს, რომელსაც, საბოლოო ჯამში, მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე საფონდო ინდექსების ჩამოშლა მოჰყვა, რაც მნიშვნელოვნად აისახა ქართულ სავალუტო ბაზარზე. საქართველოს სავალუტო ბაზარზე ატეხილი აჟიოტაჟი, ძირითადად, განპირობებულია საერთაშორისო ბაზრებზე შექმნილი პანიკით. საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა დოლარზე მოთხოვნა, რამაც გამოიწვია ლარის დაცემა. ჩვენი აზრით, ეს ძალზე ნეგატიური ტენდენციაა. თუმცა, ასეთ აჟიოტაჟს ყოველთვის მოკლევადიანი ხასიათი აქვს და ეს პროცესი საქართველოშიც მოკლე პერიოდში უნდა დამთავრებულიყო, აჟიოტაჟი პიკს ნიშნავს და სტაბილურობის ნიშნები უახლოეს პერიოდში უნდა გვეხილა, მაგრამ რეალობა ასე არაა.

ჩვენი მოსაზრებით, მსოფლიო გლობალიზაციით გამოწვეული კარდინალური ცვლილებების, ფინანსური და სავალუტო კატაკლიზმების, სოციალურ-ეკონომიკური რისკების რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით დაძლევისთვის აუცილებელია გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, სადაც ჩამოყალიბებული იქნება მზარდი ეკონომიკის შექმნა. გაანალიზებული უნდა იქნეს ყველა მოსალოდნელი ფინანსური რისკი [მ.შ. ნავთობის გაიაფება, ან გაძვირება, დოლარის გამყარება და ა. შ.], ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემო, საბანკო სექტორი და იქ მიმდინარე მოვლენები, მათი სტრატეგია და მენეჯმენტი, გამჭირვალადობის მსოფლიო სტანდარტები და ცხადია, ზოგადად სამომავლო პერსპექტივები [18, 10].

გარდა ამისა, ერთხელ და სამუდამოდ საქართველო ნელ-ნელა უნდა გამოვიდეს დოლარიზაციის სისტემიდან, მაგრამ ბევრს ჰგონია, თუ ქვეყანაში დოლარის მასა შემცირდება, ეს უკეთესი იქნება. ამ შემთხვევაში ჩასატარებელია სერიოზული რეფორმა და არა საქართველოდან დოლარის გატანა. დღეს ჩვენ ფინანსური თვალსაზრისით გვაქვს მახინჯი ფინანსური ფორმები: მაკალითად, ლარში ხდება ანგარიშსწორება, გადასახადების აკრეფა, გაიცემა ხელფასები, მაგრამ როცა საქმე დანაზოვს ეხება, აქ უკვე დოლარი გვირჩევნია. ვინაიდან ჩვენი ცხოვრება მაინც დოლარზეა მიბმული, მისი მკვეთრი შემცირება უარყოფითად მოქმედებს ლარის კურსზე, როგორც ექსპერტები ამბობენ, დოლარიზაციიდან თავის დაღწევა შეიძლება მხოლოდ გარკვეული ფინანსური დაბალანსებით და რაც მთავარია, ადგილობრივი წარმოების განვითარებით.

გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია ექსპორტის ხელშეწყობა, ადგილობრივი წარმოების განვითარება. ლარის წარმოების ზრდით გამყარება ან წარმოების შემცირებით გაუფასურება — ეს არის საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობის ამსახველი რეალური სახე. დადებით გადაწყვე-

ტილებად მიმჩნია იმპორტის ჩამნაცვლებელი პროდუქციის გამოჩენა ადგილობრივ ბაზარზე. ეს დადებითად იმოქმედებს ლარის კურსზე, რადგან აღარ დაგჭირდება დამატებითი დოლარი იმპორტირებული პროდუქციის შესაძენად. მით უმეტეს, რთული არ არის სუსტი ეროვნული ვალუტის გამოყენება ადგილობრივი წარმოების გასაავითარებლად.

ამრიგად, ლარის კურსის მერყეობა შეჩერებულ უნდა იქნეს ერთი მხრივ, გონივრული, საბაზრო მექანიზმებით, მეორე მხრივ კი, უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი დანაკარგების თავიდან აცილება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ინფლაციური მოლოდინების, ნეგატიური მოლოდინების განეიტრალება. აქ კი უკვე საჭიროა მთავრობისა და ეროვნული ბანკის შორის კოორდინირებული მუშაობა.

საბიუჯეტო ხარჯებს უადრესად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ლარის დეველვაციაზე. აუცილებელია განხორციელდეს საბიუჯეტო ხარჯების დისციპლინური მართვა და მათი წლის ბოლომდე თანაბრად გადანაწილება, ასევე, მაქსიმალურად შეიკვეცოს მიმდინარე დანახარჯები და ძირითადი ორიენტაცია ქვეყანაში რეალურ ეკონომიკასა და ინფრასტრუქტურის შექმნაზე გაკეთდეს.

საერთოდ ეროვნული ვალუტა რეალურად ყველა ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობას ასახავს. საქართველოში 2014 წლიდან მოყოლებული ლარის კურსი დაბლა იწევს და არცაა გასაკვირი. ჩვენი ეროვნული ვალუტის გაუფასურებაზე აბსოლუტურად ყველაფერი მოქმედებს. სანამ ეკონომიკა არ გაჯანსაღდება, ასეთი რთული მდგომარეობა მუდმივად იქნება.

- საჭიროდ მიგვაჩნია, ხელისუფლების მიერ სასწრაფოდ განხორციელდეს ეკონომიკური პოლიტიკის კორექცია, რათა დეველვაციის პროცესი შორს არ წავიდეს, ლარი მეტად აღარ გაუფასურდეს და ეს პროცესი ინფლაციის მაღალ ტემპებში არ გადაიზარდოს. ეს უადრესად მნიშვნელოვანია, რადგან გრძელვადიან პერიოდში, ლარის დეველვაცია თავისი შინაგანი ბუნებით ინფლაციას იწვევს.

- ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე და სავაჭრო ბალანსზე დადებითი ზემოქმედების მომხდენი იქნება ნავთობზე მსოფლიო ბაზარზე ფასების კლება. იგი საქართველოდან უცხოური ვალუტის ნაკლებ გადინებასაც შეუწყობს ხელს.

- საგარეო ფაქტორებიდან გამოვყოფდით რუსეთის რუბლის დეველვაციის საკითხს. ასევე უკრაინის ბაზარმა უნდა დაიწყოს გამოცოცხლება. რუსეთის ეკონომიკის რეცესიის ფაზაში შესვლის, სირიაში განვითარებული მოვლენებისა და თურქეთთან დაპირისპირების გამო რუსეთის მხრიდან პირდაპირი აგრესიის განახლების საფრთხის შემცირების ალბათობა არსებობს. აქედან გამომდინარე, უკრაინის ვალუტის დეველვაციის შეჩერება და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის მატება გარკვეულ გავლენას მოახდენს საქართველოდან ამ ქვეყანაში საქონლის ექსპორტის ზრდაზე.

- დადებითი საგარეო-ეკონომიკურ ფაქტორად შეიძლება იქნეს აგრეთვე განხილული ევროკავშირთან ასოცირების თანდათანობითი აქტიური ამოქმედება, საერთოდ, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესი და

უვიზო რეჟიმის ბოლოს და ბოლოს შემოღება. ეს საქართველოს ბიზნესგარემოს [განსაკუთრებით წვრილი და საშუალო მეწარმეობის] გამოცოცხლებას და საექსპორტო პოტენციალის ზრდას შეუწყობს ხელს.

ეროვნულმა ბანკმა და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სინქრონულად უნდა იმუშაონ. ფორმირებულად, დაჩქარებული წესით უნდა გადაწყდეს ორი მთავარი საკითხი: ეროვნულმა ბანკმა, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებასთან ერთად, უნდა გააკეთოს მოზომილი სავალუტო ინტერვენციები. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკების განხორციელება იყოს უნისონში, რათა თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგას როგორც ფინანსთა სამინისტროს, ასევე ეროვნული ბანკის მიერ, ამით ხელი შეუწყონ მოკლევადიან პერიოდში სტაბილურობასა და ინფლაციის თავიდან აცილებას.

- მთავარი არის დიაგნოზი, რომელსაც ხელისუფლება უნდა აკეთებდეს. მას უნდა ჰქონდეს მოცემულობის ზუსტი აღქმა და მაშინ შეიძლება გადაწყვეტილებები იყოს შესაბამისი. საჭიროა ეკონომიკის სამინისტრო, ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, შესაბამისი უწყებები მუშაობდნენ ერთად იმ მიმართულებითაც, რომ ეკონომიკური ზრდის პროცესი იყოს შეუქცევადი; ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ვალუტის შემოდინება აღდგეს, გვექონდეს მაღალი ეკონომიკური ზრდა, რომელიც თავისთავად რეალური შემოსავლების ზრდაში გამოიხატება.

- უმოკლეს ვადებში უნდა განხორციელდეს ექსპორტის წახალისების მექანიზმის დახვეწა, სრულყოფა.

- ღონისძიებები უნდა გატარდეს მიზნობრივ ბაზრებზე — ეს არის, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებული პორტფელის მონიტორინგზე და მეორე, ასევე ზეგვემოური პროექტების დაგეგმვაზე, რათა დონორებთან ერთად მოხდეს დამატებითი პროექტების განხორციელება, რომ მოხდეს ეკონომიკის წახალისება.

- უნდა გაუქმდეს ყველა ნაჩქარევად შემოღებული შეზღუდვა.

- უნდა ველოდოთ, როგორ მოხდება ბიუჯეტის შესრულება და აღმოფხვრება თუ არა ვალუტის შემოდინებაში ახლად გაჩენილი უარყოფითი ფაქტორები:

- საჭიროა შემუშავდეს და დაიდოს რეფორმების ციკლი, რომელიც სტიმულირებას მისცემს და შექმნის მექანიზმებს და წინაპირობებს გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვისთვის. ლარი, უბრალოდ, ვერ გაუძღვება ამდენ არაკომპეტენტურობას.

- ცვლილებები დასაწყებას საგადასახადო კოდექსიდან და დასამთავრებელია იმ მექანიზმებით, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია, აპრობირებულია.

- ინფლაციის კონტროლი უნდა მიმდინარეობდეს

ეკონომიკური ზრდის ხარჯზე, როდესაც ხელოვნურად ინარჩუნებ ფასებს — პროდუქციის დეფიციტია და ფასი არ იცვლება, მეწარმეს ხომ უნდა ჰქონდეს მოტივაცია, რომ იმუშაოს?

- მთავრობა სავალუტო ფონდიდან მიღებული თანხებით აპირებდა ვითარების დასტაბილურებას, ამაში არის ლოგიკა — ნაღდი ფულით ვალუტის შემოსვლა ნაწილობრივ გაამუჯობებს და სავალუტო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსს და შემდგომ შეაფერხებდა ან შეარბილებდა დეველუაციას. მაგრამ ეს არის ერთჯერადი ღონისძიება და ასე პროცესი არ შეჩერდებოდა, უბრალოდ, დღევანდელი დღის პრობლემები „გადაიწვედა“ ამ ნასესხები თუ ნაჩქარევი ფულის სრულ გახარჯვამდე.

- აუცილებელია ვალუტის შემოსავლის მაქსიმალურად გაზრდა, რაც ხელისუფლების პირდაპირი პასუხისმგებლობაა, ასე უცებ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს ვერ გავზრდით [ან რითი უნდა გავზარდოთ? — ლ.ქ.], მაგრამ შეიძლება მუშაობა ექსპორტის **წახალისების** მექანიზმზე.

- ინფლაციური მოლოდინი უფრო უარესი შეიძლება იყოს, ვიდრე თვითონ ინფლაცია, იმიტომ რომ ინფლაციური მოლოდინი — ეს არის ზედმეტი დაწოლა და წნეხი ლარზე. ამ დროს, მიუხედავად იმისა, სჭირდება თუ არა ბანკის კლიენტს ვალუტა, მაინც ყიდულობს — ყოველი შემთხვევისთვის, ამას კი საკმაოდ ნეგატიური შედეგები მოაქვს.

- საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2015–2017 წლებში ლარის კურსის დასტაბილურებისთვის უნდა გააქტიურდეს მონეტარული პოლიტიკის მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები: რეფინანსირების სესხები, სადებოზიტო სერტიფიკატები, ოპერაციები მთავრობის ფასიანი ქაღალდებით, სავალუტო ინტერვენციები, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვ.

- საჭიროა საქართველოს მსხვილი სავაჭრო-პარტნიორი ქვეყნების ვალუტის ქცევის შესწავლა და პარალელურად გაგვლება ქართულ ლართან მიმართებაში, ცხადია, სწორი სავალუტო პოლიტიკის გატარების მიზნით.

- ძირულ ამოცანად უნდა დავისახოთ ექსპორტის გაზრდა, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია ეროვნული ვალუტის სისუსტით ვისარგებლოთ კიდევ და იმპორტი ჩავანაცვლოთ ადგილობრივი წარმოებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება ვირტუალურ რეალობაში, ავილოთ ახალი ვალეები და ა. შ.

- ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ ვალუტის შემოდინება აღდგეს, გვექონდეს მაღალი ეკონომიკური ზრდა, რომელიც თავისთავად რეალური შემოსავლების ზრდაში გამოიხატება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ი., 2015. ქართული ლარის გაუფასურების პროტაგონისტის ძიებაში / საქართველოს რესპუბლიკა. 21 მარტი. გვ. 9. <http://globalresearch.ge/research/qartuli-laris-gaufasureba.html>
2. არჩვაძე ი. 2016. გამოუცხადებელი დეველვაციის ქრონიკა. <http://geworld.ge/NEW/?page=view&art=9115-gamoucxa-debeli-devalvaciiis-qronika>
3. ბასილია თ., 2015. განა ეს არ არის ის თემა, რომლითაც ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს? / საქართველოს რესპუბლიკა, 120, 1 ივლისი. გვ. 2.
4. ბასილია თ., 2015. საბანკო სექტორის ამჟამინდელი მდგომარეობა ნადვილად არ იძლევა ზედამხედველობის სამსახურის დადებითად შეფასების საშუალებას. [www. BFM. ge](http://www.BFM.ge). 419. აგვისტო, გვ. 3.
5. გოცირიძე რ., 2015. რა ბედი ელის ეროვნულ ვალუტას? / პრემიერი. 02[068] 29 იანვარი — 4 თებერვალი. გვ. 14.
6. გოცირიძე რ., ლარი იმ დონემდე გაუფასურდა, რომელსაც ნეგატიური პროცესები მოჰყვება. <http://www.interpress-news.ge/ge/politika/308121-roman-gociridze-lari-im-donemde-gaufasurda-romelsac-negatiuri-procesebi-mohyveba.html?ar=A>
7. კაკულია მ., 2015. სავალუტო ბაზარზე ბანკებს შორის სპეკულაციური გარიგებები შეინიშნება, [www. BFM. ge](http://www.BFM.ge) <[http://www. BFM. ge](http://www.BFM.ge)>. 394. გვ. 3.
8. კაკულია მ., 2016. ლარის დეველვაცია გაგრძელდება, პოზიტიური მოლოდინის საფუძველი არ გვაქვს. <http://business-contract.ge/ka/article/merab-kakulia-laris-devalvacia-gagrdzeldeba-pozitiuri-molodinis-safudzveli-ar-gvaqvs/1136>
9. კალანდაძე ლ., 2015. სავალუტო მაქინაციები „ფრთიანი ანგელოზების“ ქვეყანაში / საქართველოს რესპუბლიკა, 98, 30 მაისი, გვ. 3.
10. კოვზანაძე ი., მონეტარული პოლიტიკა უნდა გამკაცრდეს. http://commerzant.ge/?m=5&news_id=46150&cat_id=5
11. კოვზანაძე ი., 2015. საპარტნიორო ფონდი 2015 წელს მხოლოდ კაპიტალის სახით ბაზარს 150 მლნ აშშ დოლარზე მეტს მიაწვდის. [www. BFM. ge](http://www.BFM.ge). 408, მაისი. გვ. 9.
12. თოქმაჯიშვილი მ., 2015. რატომ უწინასწარმეტყველებენ ლარს მძიმე შემოდგომას/კვირის პალიტრა, 10-16 აგვისტო. გვ. 33.
13. პავლიაშვილი ს., 2017. შეცდომები, პრობლემები თუ საბოტაჟი — ვისი პასუხისმგებლობა იკვეთება ლარის კურსის ვარდნაში? <http://marshalpress.ge/archives/21628>
14. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2014. თბ.: საქართველოს ეროვნული ბანკი. გვ. 8.
15. საქსტატი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. [www. geostst. ge](http://www.geostst.ge), info@geostat.ge
16. სილაგაძე ა., 2015. მხოლოდ „ქამრების შემოჭერა“ კრიზისის დასაძლევად საკმარისი არ იქნება/კვირის პალიტრა, 15 მარტი.
17. სადიკოვი ა., 2015., ლარსი გაუფასურების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. [www. BFM. ge](http://www.BFM.ge). 395, გვ. 5. [Financial. News. ge](http://www.FinancialNews.ge).
18. Qoqiauri L. Financial Crisis and Adventures of the Georgian Lari. Published by Nova Science Publishers, Inc., New York. p. 131.
19. Qoqiauri L. Gechbaia B. 2016. For Completion of Menetary and Fiscal Politics in Georgia. Kuiv. Personal. pp. 106-134.
20. Qoqiauri L. 2016. The main Tendency of Investments in the Process of Reforms in Georgia. Baki. “Black Sea”. Vol. 2. pp. 8-19.

IN SEARCH OF THE COMPLEX WAY OF DEVALUATION OF LARI IN GEORGIA

LAMARA QOQIAURI

Doctor of Economics,

Professor, Academician of the Academy of Economic Science of Georgia, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.006>

KEYWORDS: DEVALUATION OF LARI, FOREIGN INVESTMENTS, INVESTMENT ENVIRONMENT, MONETARY AND FISCAL POLICY, CURRENCY RELATIONS, INFLATION, DOLLAR STRENGTHENING, IMPORT AND EXPORT

SUMMARY

Scientific work "In Search of the complex way of devaluation of Lari in Georgia" is an original research devoted to actual and practical items of Georgian currency. Nowadays in Georgia, it is necessary to study current basic changes in Georgia, to find out and eradicate subjective and objective causes of falling down of Lari course, to stop the existing extreme situation in money turnover and avoid possible inflation, to collaborate trustworthy ways to survive national currency.

Global circumstances such as long-term temper of "external and internal factors" on Lari course, as well as political-economic processes in the neighbouring countries of Georgia unstable development of economics in the country, "investment starvation", incorrect coin and fiscal politics, and

other objective and subjective reasons caused a fall down of Georgian national course. In the work, based on practical materials, the necessity and inevitability of devaluation of Lari is scientifically explained.

In the article based on the analysis of devaluation of Georgian Lari the authors have given the urgent opportunities and recommendations to stop the formed extreme situation in the economics of the country and avoid possible inflation of Georgian currency.

In the work the results of the research is introduced by the recommendations of economical solution of problems. Realization of these recommendations will support the development of Georgian economics, to stop the devaluation and stabilization of Georgian currency lari.

გადასახადის გადახდა, გადანაწილება, ანალიზი და ადმინისტრირების სრულყოფა

მიხეილ ჩიკვილაძე

ეკონომიკის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.007>

საკვანძო სიტყვები: გადასახადის გადახდა, გადანაწილება, ადმინისტრირება

საქართველოში საგადასახადო გარემოს გაუმჯობესებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, ამიტომ მხოლოდ ცალკეული ღონისძიებების გატარება, როგორცაა შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის შემოღება, საკმარისი არ არის. საჭიროა მაქსიმალურად გამართვად საგადასახადო კანონმდობის რაც შეიძლება ნაკლები მატერიალური და არამატერიალური დანახარჯებით. საქართველოში გადასახადებთან დაკავშირებული გადახდების 100%, საკმაო ხანია ხორციელდება ელექტრონულად, საბანკო სისტემის მეშვეობით, რაც გულისხმობს უშუალოდ საგადასახადო (სახაზინო) სამსახურებში ნაღდი ფულის გარეშე ოპერაციებს, ეს კი საგადასახადო სისტემის შეფასების საკმაოდ დადებითი მახასიათებელია, მით უმეტეს განვითარებადი ქვეყნისათვის, მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების სიმარტივე ასევე გამოიყენება ქვეყნებში ბიზნესის კეთების (ე.წ. „Doing Business“-ის) სიმარტივის რეიტინგში, რაც უფრო მეტი ტრანზაქციის განხორციელება უწყევს ბიზნესს და რაც უფრო მეტ დროს ანდომებს გადამხდელი გადასახადების გადახდის ოპერაციებს, მით უფრო კლებულობს ქვეყნის რეიტინგი მოცემული კრიტერიუმით.

ცნობილია, რომ 2016 წლის პირველი იანვრიდან, საქართველოში ამოქმედდა ერთიანი სახაზინო კოდის სისტემა, რის შედეგადაც გადასახადების გადახდისათვის არსებული 125 სახაზინო კოდი, გაერთიანდა ერთ სახაზინო კოდად - 10 100 1000. მოცემულმა ცვლილებამ არსებითად შეცვლა საბიუჯეტო შემოსულობების აღრიცხვისა და განაწილების მანამდე არსებული სისტემა და ზეგავლენა მოახდინა გადასახადებთან, მათ ადმინისტრირებასა და ანალიზთან დაკავშირებულ ასპექტებზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არსებობდა 125 ოთხნიშნა კოდი, რომელიც საჭირო იყო გადასახადების გადახდისათვის, რომლებიც ჩაშლილი იყო, გადასახადის არა მარტო სახეების, ასევე ქვესახეების მიხედვით. გარდა გადასახადის სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდებისა ასევე არსებობდა თვითმმართველი ერთეულის მაიდენტიფიცირებელი 4 ნიშნა კოდები (71 ერთეული) და ასევე საგადასახადო ორგანოს („გადასახადის ამკრეფის“) მაიდენტიფიცირებელი ერთნიშნა კოდები (4 ერთეული). შესაბამისად საგადასახადო კოდის გენერირებისათვის დგებოდა 9 ნიშნა სახაზინო კოდი, რომლის ფორმირებისათვისაც თეორიულად არსებობდა 35 500 შესაძლო კომბინაცია.

ანალიზით ირკვევა, რომ 2016 წლამდე არსებული მიდგომის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი სიტუაცია: თუ მაგალითად გადასახადის გადამხდელი წინსწრებით ან

ზედმეტად გადაიხდიდა რომელიმე გადასახადს (მაგალითად დღგ-ს იმ პირობებში, როდესაც იგი უახლოეს პერიოდში ელოდება თანხის დარიცხვას, იმპორტულ საქონელზე), ეს გადახდა აღირიცხებოდა შესაბამისი გადასახადის შემოსულობად, მიუხედავად იმისა, რომ გადახდას არ დაუფარია კუთვნილი საგადასახადო ვალდებულება და შესაძლოა, ასეთი ვალდებულება გაჩენილიყო ან არა სხვა გადასახადის სახეში და სხვ.

რაც შეეხება ზოგადად დადებით და უარყოფით მხარეებს, ერთიანი სახაზინო კოდის შემოღებამდე არსებული სისტემის მიმოხილვის შედეგად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პრობლემური მიმართულებები:

- საგადასახადო კოდის გენერირების და შერჩევის გართულებული პროცესი: 35 500 შესაძლო კომბინაცია და კითხვები, რომლებზეც პასუხი უნდა სცოდნოდა გადამხდელს საგადასახადო დავალიანების დაფარვისას;

- გადასახადების განაწილების სირთულეები, როგორც გადასახადის სახეების ჭრილში ასევე ბიუჯეტებს შორის:

- გადასახადის ერთი სახიდან სხვა სახეში გადატანასთან დაკავშირებული ფასიანი მომსახურება, რაც განსაკუთრებით უსამართლო იყო უკუდაბეგვრის დამატებული ღირებულების გადასახადში თანხის რომელიმე გადასახადის სახიდან გადატანის შემთხვევებში;

- საშემოსავლო გადასახადში ზედმეტად გადახდილ თანხებზე სავარაუდო დარიცხვის გაუმართლებელი მექანიზმის არსებობა და სხვ.;

- მიუხედავად იმ იდეისა, რომ გადახდის არსებულ სისტემას უნდა უზრუნველყო დეტალური სტატისტიკური და ანალიტიკური საქმიანობის შესაძლებლობა, ის რეალურად არ მუშაობდა მოცემული მიმართულებით და პირიქით, მთელ რიგ შემთხვევებში ართულებდა და ამა თუ იმ დაშვებების გაკეთების აუცილებლობისას იწვევდა ინფორმაციის დამუშავებაზე ზედმეტი დროის ხარჯვას და სხვ.;

- რაც შეეხება აღრიცხვიანობის დადებით ასპექტებს, აღნიშნულში უნდა მოვიხაზოთ შემდეგი:

- სრული სიზუსტის კანონმდობის პირობებში საგადასახადო შემოსულობების დეტალური ანალიზისა და აღრიცხვიანობის შესაძლებლობა;

- თანხა გადახდილია იქ და იმ გადასახადში, რა კოდით მითითებულია საგადასახადო დავალდებაში და სხვ.

2016 წლის პირველი იანვრიდან საგადასახადო შემოსულობების ყველა კოდი გადასახადის ამკრეფის, ტერიტორიული ერთეულისა და გადასახადის ქვესახეების ჩათვლით, გაერთიანდა ერთ სახაზინო კოდად 10 100

1000. ეს არის ერთადერთი რამ, რისი ცოდნაც ესაჭიროება გადამხდელს, საგადასახადო ვალდებულების შესრულებისას. საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების გადახდისას, საგადასახადო დავალებაში აღარ მიეთითება გადასახადის განმსაზღვრელი კოდი.

რეფორმის ფარგლებში საფუძვლიანად შეიცვალა გადასახადების აღრიცხვის, გადანაწილების და პროგნოზირების პრინციპები და ინფორმაცია. მაგალითად, გარდა სახაზინო კოდების უბრალო გაერთიანებისა გაჩნდა შესაძლებლობა გაერთიანებულიყო ცალ-ცალკე წარმოებული ყველა გადასახადის პირადი აღრიცხვის ბარათი ერთ ბარათად და ამავდროულად გადახდილი გადასახადი ავტომატურ რეჟიმში გადანაწილებულიყო საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის პერიოდების შესაბამისად, ზედმეტად გადახდილი თანხების გადასახადის სახეებს შორის გადატანის ოპერაციების ჩათვლით.

რეფორმის ფარგლებში ასევე განხორციელდა აღიარებული და არაღიარებული თანხების განცალკევება და დამოუკიდებლად აღრიცხვა, რაც გამორიცხავს არაღიარებული დარიცხვის, გადახდილი თანხით ან ზედმეტობით დაფარვის და ასევე არაღიარებულ თანხაზე იძულებითი გადახდევინების ღონისძიებების გავრცელების შესაძლებლობას. დადგენილ ვადაში მოთხოვნის არ გასაჩივრების შემთხვევაში, არაღიარებული თანხების დარიცხვა ავტომატურ რეჟიმში გადაიტანება ძირითად ბარათზე, რის შემდეგაც ადმინისტრირება ხორციელდება აღიარებული საგადასახადო დავალიანების მართვისათვის შემუშავებული საერთო მიდგომით.

განსხვავებით ძველი მიდგომისაგან, გადასახადის სახეებისაგან დამოუკიდებლად ხორციელდება საურავის აღრიცხვა, რაც შესაბამისობაშია როგორც კანონმდებლობასთან, რომლის მიხედვითაც საურავი ერიცხება სალდირებული დავალიანების თანხას. დეკლარაციაში ასახული უკუდაბეგვრის დღ-ის თანხა, ამავდროულად ჩათვლის მიღების საფუძველია.

განსხვავებით ძველი სისტემისაგან, სახაზინო სამსახური დამოუკიდებლად აღარ ახორციელებს საგადასახადო შემოსულობების გადანაწილებას. აღნიშნული ხორციელდება შემოსავლების სამსახურის მიერ, გადამხდელთა ბარათებზე დარიცხული თანხების გათვალისწინებით.

გადახდა, რომელსაც არ მოეძებნება შესაბამისი „აღიარებული დარიცხვა“, არ ითვლება არცერთი გადასახადის სახის გადახდად და აღირიცხება, როგორც სხვა გაუნაწილებელი შემოსულობა. აღნიშნული გადარიცხვა კონკრეტული გადასახადის სახეში აღირიცხება მხოლოდ შესაბამისი „აღიარებული“ დარიცხვის ოპერაციის გატარების შემდეგ.

შესაბამისად მაქსიმალურად დროულად და რეალურად, ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება სასრების გადანაწილება საერთო სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ ბიუჯეტებში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი იქნება მოგების გადასახადში დაგეგმილი რეფორმის გავლენის სწორად გათვალისწინება.

ძალზე მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ 2016 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის გარკვეული ნაწილი, მთლიანად მიემართება ადგილობრივ ბიუჯეტებში. საშემოსავლო გადასახადის განაწილების პროგრამული ლოგიკა გარდა დეკლარირებული მონაცემებისა, ასევე ეყრდნობა გადამხდელთა რეგისტრაციის მონაცემებს, რათა დამატებით გამოირიცხოს დეკლარაციის არასრულად შევსების შემთხვევებში თანხების შესაძლო არასწორი გადანაწილება.

საგადასახადო შემოსულობის განაწილების ახალი პრინციპი დადგინდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით. განხორციელებულ ცვლილებებს დღეისათვის აქვს შემდეგი სახე:

მიუხედავად მიღებული ქმედითი ცვლილებებისა, შეინიშნება გამოუყენებელი შესაძლებლობებიც, კერძოდ:

- ერთ-ერთ გამოუყენებელ შესაძლებლობად გვესახება გადახდილი საგადასახადო შემოსულობების დროული ვერ ასახვა გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე, რაც მოცემულ ეტაპზე ხორციელდება მხოლოდ საბანკო დღის დასრულების შემდეგ. გარდა იმ უხერხული მომენტისა, რომ გადამხდელი ერთი დღე უნდა ელოდოს, გადახდილი თანხის პირად ვებ-პორტალზე ასახვას, დავალიანების თანხის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში, შესაძლოა პარალელურ რეჟიმში ამოქმედდეს საინკასო დავალება.

- შემოსული გადასახადები თავდაპირველად თავს იყრის „სხვა გადასახადები“-ს მუხლში, შემდეგ ხდება დაკლასიფიცირება გადასახადის ტიპების მიხედვით. საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებთან ერთად ამ კოდზე მიემართება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გადასახადებიც, რომლებიც დაკლასიფიცირებამდე ასევე „სხვა გადასახადები“-ს მუხლშია ასახული, რაც გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთიან სახაზინო კოდთან მიმართებაში არსებული ხარვეზების ნაწილი არ არის იმ მნიშვნელობისა და მასშტაბის მქონე, როგორც 2016 წლამდე იყო, ერთიანი სახაზინო კოდის დანერგვა უნდა მოიზარებოდეს, როგორც ერთმნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი და რეფორმა, რომელმაც გაამარტივა კანონმორჩილება და საფუძველი ჩაუყარა მნიშვნელოვან ცვლილებებს გადასახადის გადახდის, გადანაწილების, ანალიზისა და ადმინისტრირების გაუმჯობესებაში.

შემოსულობების საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განაწილება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით

N	შემოსულობების დასახელება	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები
1	2	3	4	5
1	საშემოსავლო გადასახადი:			
1.1	საშემოსავლო გადასახადი, გარდა: ა) საშემოსავლო გადასახადისა მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; ბ) არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადისა (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან); გ) საშემოსავლო გადასახადისა ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან; დ) საშემოსავლო გადასახადისა ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; ე) საშემოსავლო გადასახადისა ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან; ვ) საშემოსავლო გადასახადისა ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან; ზ) ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადისა.	100		
1.2	ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, გარდა: ა) საშემოსავლო გადასახადისა მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; ბ) არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადისა (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან); გ) საშემოსავლო გადასახადისა ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან; დ) საშემოსავლო გადასახადისა ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; ე) საშემოსავლო გადასახადისა ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან; ვ) საშემოსავლო გადასახადისა ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.		100	
1.3	ა) საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; ბ) არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან); გ) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან; დ) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; ე) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან; ვ) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.			100
2	მოგების გადასახადი.	100		
3	ქონების გადასახადი.			100
4	დამატებული ღირებულების გადასახადი.	100		
5	აქციზი.	100		
6	იმპორტის გადასახადი.	100		
7	სხვა გადასახადები (მათ შორის, საგადასახადო ორგანოების მიერ გადახდილი ჯარიმები, რომლებიც არ არის დარიცხული კონკრეტულ გადასახადზე), გარდა გაუქმებული გადასახადებისა.	100		

წყარო: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ.ჩიკვილაძე – „საგდასახადო საქმე“ – თბ. 2007.
2. თ. კობალეიშვილი, მ. ჩიკვილაძე – „გადასახადები და დაბეგვრა“ – თბ. 2016.
3. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ – 18/12/2009წ; კანონი N2440-II-ს.
4. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ – 17/09/2010წ; კანონი N3591-II-ს მეთოდური მითითება „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ – 18/05/2016; შემოსავლების სამსახურის ბრძანება N13446.
5. მეთოდური მითითება „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესის შესახებ“ – 22/03/2011; შემოსავლების სამსახურის ბრძანება N1205.
6. „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდექსის დამტკიცების შესახებ“ – 22/11/2007; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N1226.
7. შემოსავლების სამსახურის 2015 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში http://rs.ge/common/get_doc.aspx?id=9892.

PAYMENT, REDISTRIBUTION AND ANALYSIS OF TAXES AND IMPROVEMENT OF ADMINISTRATION

MIKHEIL CHIKVILADZE

Doctor of Economics, Associate Professor of Ivane Javakishvili Tbilisi State University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.007>

KEYWORDS: PAY TAXES, REDISTRIBUTION, ADMINISTRATION

SUMMARY

There is a very important theme. The main accents there are made on the amendments in the Budget Code in 2016-2017, namely on the distribution of revenues in the state budget of Georgia and between the autonomous republics of Abkhazia and Adjara from January 1, 2016, according to percentage indicators. There is also important space allocat-

ed for analyzing the results of implementation of the Unified Treasury Code since January 1, 2016.

The topics discussed and analyzed in the article allow us to make conclusions on one hand how the factors challenging mobilizing of tax revenues can be mitigated and on the other hand, it shows how to increase the state budget through transparent revenue mechanisms can be stimulated.

THE MAIN PROBLEM OF MODERN BANK SYSTEM IN DEVELOPING COUNTRIES

NINO KAVTARADZE

PhD in Business Administration, Professor of Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.008>

KEYWORDS: CURRENCY, DEVELOPING COUNTRIES, FOREIGN TRADE, INVESTMENT, ECONOMY, CENTRAL BANK, CREDIT

INTRODUCTION

The most serious problem for the developing countries, that till now remains unsolvable, is the fall of their currency course, that is the outcome of factors, such as: 1. the total fall of currency and economy of the most partner countries; 2. the difficulties of the economy of those countries where the most part of the Georgian emigrants work, such as the neighboring Turkey, Greece, Canada and Ukraine and etc; 3. inefficient and unqualified management of budget sources; 4. decrease of exporting products; 5. the lowering of level of investment, especially of direct foreign investment, that has the vital importance for country with developing economy.

In 2016 the deficit in Georgian internal trade excided 6 milliard USD and consisted 67 percent of the foreign trade's turn out, which is unprecedentedly low indicator and certainly such low indicator greatly affects the strength of national currency, currency transfers from citizens living and working abroad.

out number of reforms. The central bank stops the fall of its own currency exchange rate to dollar with buying its own national currency, which is calculated on the short term effect. The national bank releases its responsibility for the regulation of the currency, because in the condition of floating currency system the curse between USD and Georgian Lari is detected by demand and supply. The main problem for the national bank is the achievement of the price and financial stability. The targeting of the inflation on the level of 5 percent is also a very important task.

To the population, that receives income in Lari (national currency) and pays off credits to the bank in dollar the bank sector offers two forms of assistance: 1. restructuration of the debt (the prolonging period of the payment increases the amount of money which should be paid to cover the credit interest); 2. the transformation of the USD credit in the national currency- Lari, with accordance to the bank's offered conditions, which also proved to be unacceptable for the

Year	Total	Q I	Q II	Q III	Q IV
2005	449.8	89.4	105.9	75.6	178.9
2006	1 190.4	146.0	306.9	280.7	456.7
2007	2 014.8	421.4	401.5	489.1	702.9
2008	1 564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114.0	177.2	173.2	194.0
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199.0	233.7
2013	941.9	252.3	207.9	254.8	226.9
2014	1 758.4	309.5	196.2	726.0	526.7
2015	1 564.5	291.5	462.7	483.2	327.1
2016*	1645.4	388.9	457.7	468.5	330.3

Table 1 . Foreign Direct Investments (Mil. USD * Preliminary Data)

One of the factors that also affected the national currency are some errors committed by the Georgian National Bank and inefficient government's monetary policy which caused the main problems connected with national currency. The actuality of this problem for the developing countries comes from its negative outcomes. Especially very glaring are the damages which may be observed in business sector, connected with the growth of currency risks, also it decreases the existing low living standard level and quality of population and increases the outcome of capital abroad.

The urgent necessity is the implementation of more strict budgetary and currency policy, it can be achieved only through the decrease in governmental expenses and carrying

population of Georgia, because the offered condition would only make their debt much more expensive and difficult to pay. In addition to that the imported goods increase in prices.

The alternative for the floating currency system is only the fixed system, though it should be found out how effective it may be in the developing countries. For fixing the curse should be taken into account the stability economic relation and the volume of the trade amount between countries. In Georgia, in this term the leading countries are: Turkey, Azerbaijan, Ukraine, China, Germany, Russia and so on. So, the low level of the trading relation the USA and EU countries, which have firm currency, makes impossible to fix Georgian Lari with their currency. And there is no sense to

fix Lari to Georgian main trading partner's currency, because they also have unstable national currency level. It should be emphasized, that in Georgia, as well as in the most other countries, the most part of the trading contracts are payable by the most stable currencies USD and Euro.

CONCLUSION

It's impossible to single out the only one problem that caused the main fluctuation in this field, the problem is total

and it should be admitted, that the main reason connected to national currency problem is not only in the strengthening the dollar, but numerous problems and shortcomings existing in monetary policy.

The developing countries can decrease the level of the damage of national economy, it is extremely important to stabilize the national currency to reach the stable level of the currency course, which will be the main guaranty for attracting the foreign investors.

REFERENCES:

1. National Statistics Office of Georgia. Official website, http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=317&lang=eng
2. National bank of Georgia. Official website, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2&lng=eng>

THE MAIN PROBLEM OF MODERN BANK SYSTEM OF DEVELOPING COUNTRIES

NINO KAVTARADZE

Ph.D in Business Administration, Professor of Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.008>

KEYWORDS: CURRENCY, DEVELOPING COUNTRIES, FOREIGN TRADE, INVESTMENT, ECONOMY, CENTRAL BANK, CREDIT

SUMMARY

One of the most unsolvable problems for developing countries still remains the drop of their national currency course, it is the result of many factors that take place in economy overall and also of the errors that are committed

by the central banks of these countries. All that triggers the impoverishment and decreases the level of earning of population. The central bank should choose floating or fixed currency system, as for developing countries it is extremely important to stabilize the national currency course.

თანამედროვე საბიუჯეტო კლასიფიკაცია საქართველოს საჯარო ფინანსების სისტემაში

მერაბ ვანიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, საქართველო

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.009>

ლექსო ლომონაძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ბიუჯეტი, კლასიფიკაცია, საჯარო ფინანსების სისტემა

შესავალი: საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა ფინანსების მართვის სისტემა საქართველოში. ცენტრალიზებული საბიუჯეტო სისტემა შეცვალა ახალმა საბიუჯეტო სისტემამ, რომლის ამოსავალი საფუძველი სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ერთმანეთისაგან რეალური დამოუკიდებლობა და თანასწორუფლებიანობაა.

საქართველოში 2008 წლის 1 იანვრიდან შემოღებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამედროვე საბიუჯეტო კლასიფიკაცია, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტს GFSM-2001. ეს არის ახალი კლასიფიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების სწორ, სრულ აღრიცხვას თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. მანამდე საქართველოს საბიუჯეტო ორგანიზაციები იყენებდნენ GFSM-1986 კლასიფიკაციას, რომელიც უკვე საკმაოდ მოძველებულია.

კვლევის შედეგები: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, „საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, ხარჯებისა და არა-ფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ, არა-ფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, აგრეთვე პროგრამულ კლასიფიკაციას. პროგრამული კლასიფიკაცია არის პრიორიტეტების, პროგრამების/ქვეპროგრამების ერთობლიობა და განისაზღვრება ბიუჯეტით. საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის პროგრამული კლასიფიკაცია ასევე მოიცავს მხარჯავ დაწესებულებებს და, შესაბამისად, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელებს“.

უფრო მარტივად თუ ვიტყვით, საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის ინფორმაციის დაჯგუფება ერთგვაროვნების და ერთიანი ნიშნების მიხედვით. საბიუჯეტო ინფორმაციის სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება გვაძლევს ბიუჯეტის მომზადების, შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპების კრიტიკულად განხილვის შესაძლებლობას. ამდენად, საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის ბიუჯეტის შედგენის, შესრულებისა და ანგარიშგებისთვის აუცილებელი ატრიბუტი.

საგულისხმოა, რომ საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია სავალდებულოა ყველა დონის ბიუჯეტისთვის და ქვეყნის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისა თუ დაწესებულებისთვის. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეშვეობით ხორციელდება ბიუჯეტის და საბიუჯეტო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში აღრიცხვის წარმართვა.

როგორც ცნობილია, არსებობს აღრიცხვის ორი მეთოდი: აღრიცხვა საკასო წესით ან დარიცხვის წესით. საკასო მეთოდით აღრიცხვა ნიშნავს, რომ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება მათი ფაქტიური მიღება ან ფაქტიური ხარჯვა. დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა ნიშნავს, რომ შემოსავლების აღრიცხვა ხდება იმ დღეს, რა დღესაც უნდა შემოვიდეს ეს შემოსავალი. სხვაობა ფაქტიურ შემოსავალსა და დარიცხულ შემოსავალს შორის არის დებიტორული დავალიანება. ანალოგიურად, დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა ნიშნავს, რომ ხარჯების აღრიცხვა ხდება იმ დროს, რა დროსაც ეკუთვნის ამ ხარჯის გაწევა. თუ ფული უნდა დაიხარჯოს, მაგრამ ფაქტიურად არ დახარჯულა, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს წარმოეშვა კრედიტორული დავალიანება.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში საბიუჯეტო ორგანიზაციები ჯერ კიდევ აღრიცხვის საკასო მეთოდს იყენებენ. საბიუჯეტო კლასიფიკაციის რეფორმის პირველი ეტაპის დასრულების შედეგად ჯერ-ჯერობით ისევ საკასო მეთოდმა ჰპოვა გამოყენება, დარიცხვის მეთოდზე გადასვლა რეფორმის შემდგომი ეტაპის ამოცანაა.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ქვემოთ მოტანილი სქემები ეფუძნება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებას – „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ [1], რომელშიც შემდგომ შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები და დამატებები [2, 3, 4, 5, 6]. ამჟამინდელი მდგომარეობით, GFSM-2001 სტანდარტის საბიუჯეტო კლასიფიკაცია აერთიანებს შემოსავლების კლასიფიკაციის, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის; ხარჯებისა და არა-ფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის; ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის კატეგორიებს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეულ კატეგორიებში თანრიგები გამოისახება შესაბამისი კოდებით, კერძოდ:

- შემოსავლების კლასიფიკაციაში პირველი თანრიგი გამოისახება ერთციფრიანი კოდით, მეორე თანრიგი — ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი — სამციფრიანი კოდით, მეოთხე თანრიგი — ოთხციფრიანი კოდით, მეხუთე თანრიგი — ხუთ ან ექვსციფრიანი კოდით, მეექვსე თანრიგი — ექვს ან შვიდციფრიანი კოდით, მეშვიდე თანრიგი — შვიდციფრიანი კოდით და მერვე თანრიგი — რვაციფრიანი კოდით.

- ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციაში პირველი თანრიგი გამოისახება ერთციფრიანი კოდით, მეორე თანრიგი — ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი — სამ ან ოთხციფრიანი კოდით, მეოთხე თანრიგი — ოთხ, ხუთ ან ექვსციფრიანი კოდით, მეხუთე თანრიგი — ხუთ ან ექვსციფრიანი კოდით, მეექვსე თანრიგი — ექვსციფრიანი კოდით, მეშვიდე თანრიგი — შვიდციფრიანი კოდით.

- არაფინანსური აქტივების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში მეორე თანრიგი გამოისახება ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი — სამციფრიანი კოდით, მეოთხე თანრიგი — ოთხციფრიანი კოდით, მეხუთე თანრიგი — ხუთ ან ექვსციფრიანი კოდით, მეექვსე თანრიგი — ექვს ან შვიდციფრიანი კოდით.

- ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში კლასიფიკაციის პირველი თანრიგი გამოისახება ერთციფრიანი კოდით, მეორე თანრიგი — სამციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი — ოთხციფრიანი კოდით და მეოთხე თანრიგი — ხუთციფრიანი კოდით.

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში მეორე თანრიგი გამოისახება ორციფრიანი კოდით, მესამე თანრიგი — სამციფრიანი კოდით, მეოთხე თანრიგი — ოთხციფრიანი კოდით.

ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, შეიცვალა ბიუჯეტის ბალანსის ფორმა: ბიუჯეტის ბალანსში შემოსავლები წარმოადგენს გადასახადების, სოციალური შენატანების, გრანტებისა და სხვა შემოსავლების ჯამს. ბიუჯეტის ბალანსში ხარჯები წარმოადგენს შრომის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების, ძირითადი კაპიტალის მოხმარების (დარიცხვის მეთოდზე გადასვლის შემდგომ), პროცენტის, სუბსიდიების, გრანტების, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა ხარჯების ჯამს.

საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე. შესაბამისად, დადებითი მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდში უფრო მეტი მიმდინარე შემოსავალია, ვიდრე მიმდინარე დანიშნულების ხარჯები. უარყოფითი მაჩვენებელი კი პირიქით, გვიჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდის მიმდინარე შემოსავალი ნაკლებია მიმდინარე დანიშნულების ხარჯებზე და, შესაბამისად, ვერ ხდება მიმდინარე დანაზოვის დაგროვება.

არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოადგენს არაფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებს ზრდის და კლების მიმართულებით. მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის/

დეფიციტის მოცულობას. ფინანსური აქტივების ცვლილება და ვალდებულებების ცვლილება წარმოადგენს ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით განხორციელებულ ოპერაციებს ზრდის და კლების მიმართულებით.

ბიუჯეტის ბალანსის გაანგარიშებისას მთლიანი სალდოს მაჩვენებელს აკლდება ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი და ემატება ვალდებულებების ცვლილების მაჩვენებელი. ბალანსი, მისი პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებელია იყოს ნულის ტოლი.

უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ძველი საბიუჯეტო კლასიფიკაციით ბიუჯეტის დეფიციტი განიმარტებოდა როგორც ხარჯების მეტობა შემოსავლებზე. ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაცია ბიუჯეტის პროფიციტის/დეფიციტის ახლებურ განმარტებას გვთავაზობს.

როგორც ბიუჯეტის ბალანსის ახალი ფორმიდან ჩანს, შემოსავლებისა და ხარჯების გარდა, ასევე არსებობს ოპერაციები არაფინანსურ აქტივებთან, ოპერაციები ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით. ფულის დახარჯვა შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ხარჯი, ან როგორც ერთ-ერთი ოპერაცია არაფინანსურ/ფინანსურ აქტივებთან თუ ვალდებულებებთან მიმართებაში. ბიუჯეტის პროფიციტის/დეფიციტის გაანგარიშებისას ეს გარემოება მიღებულია მხედველობაში. არსებობს ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო. დადებითი სალდო ნიშნავს პროფიციტს, უარყოფითი – დეფიციტს. საოპერაციო სალდოს გამოსაანგარიშებლად შემოსავლებს აკლებენ ხარჯებს. თუ მივიღებთ დადებით რიცხვს, ბიუჯეტს გააჩნია საოპერაციო პროფიციტი, თუ უარყოფითს — საოპერაციო დეფიციტი.

მთლიანი სალდოს გასაანგარიშებლად, პირველ რიგში, უნდა ვნახოთ თუ როგორ შეიცვალა სახელმწიფოს აქტივები. არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციით გავიგებთ სახელმწიფოს არაფინანსური აქტივები მთლიანობაში გაიზარდა თუ შემცირდა (ანუ სახელმწიფომ უფრო მეტი შეიძინა თუ უფრო მეტი გაასხვისა). აქ გავიგებთ, არაფინანსურ აქტივებზე სალდო დადებითია თუ უარყოფითი. არაფინანსური აქტივები პლიუსით ნიშნავს, რომ მთლიანობაში ქვეყანაში არაფინანსური აქტივები გაიზარდა; ხოლო მინუს ნიშნით კი – მთლიანობაში ქვეყნის არაფინანსური აქტივები შემცირდა. ანგარიშის ბოლო ეტაპზე საოპერაციო სალდოს აკლებენ ზემოთ მიღებულ რიცხვს (ან უმატებენ – გააჩნია რა ნიშანი აქვს). საბოლოოდ მიღებული რიცხვი თუ დადებითია, ბიუჯეტს გააჩნია მთლიანი პროფიციტი, თუ უარყოფითი – მაშინ დეფიციტი.

ყოველწლიური საკითხი სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილების დადგენის თაობაზე — ჯამურად სახელმწიფომ მეტი ფინანსური აქტივი შეიძინა თუ გაასხვისა, ფინანსური ვალდებულებები აიღო, თუ დაფარა. ამ ანგარიშის შედეგად, თუ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს ჯამურად გაეზარდა ფინანსური აქტივები და/ან შეუმცირდა ვალდებულებები, მაშინ მიღებული რიცხვი დადებითია, და პირიქით – უარყოფითი.

მთლიანი სალდო (პროფიციტი/დეფიციტი) ბალანსდება ფინანსური აქტივების/ვალდებულებების ცვლილებით. ამდენად, მთლიანი სალდო ყოველთვის ტოლია ფინანსური

აქტივების/ვალდებულებების ცვლილებისა. მაგალითად, თუ ვთქვით ქვეყანას მთლიანი სალდო დადებითი აქვს, ეს ნამეტი ფული სადღაც ხომ უნდა იყოს განთავსებული: ან ხაზინაში გაიზარდა ფულის ნაშთი, ან ვალები დაიფარა და ა.შ. და პირიქით, თუ მთლიანი სალდო უარყოფითია, ლოგიკურად, დეფიციტი ქვეყანამ საიდანღაც ხომ უნდა დააფინანსოს: ეს დაფინანსება მოდის ან ხაზინაში ფულის ნაშთის შემცირებით, ან ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ან სხვა მსგავსი ოპერაციით.

დასკვნა: საქართველოში 2008 წლის 1 იანვრიდან შემოღებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამედროვე საბიუჯეტო კლასიფიკაცია, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტს GFSM-2001. ეს არის ახალი

კლასიფიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების სწორ და სრულ აღრიცხვას თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბიუჯეტის ბალანსის ახალი ფორმის თანახმად, შემოსავლებისა და ხარჯების გარდა, ასევე არსებობს ოპერაციები არაფინანსურ აქტივებთან, ოპერაციები ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით. ფულის დახარჯვა შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ხარჯი, ან როგორც ერთ-ერთი ოპერაცია არაფინანსურ/ფინანსურ აქტივებთან თუ ვალდებულებებთან მიმართებაში. როგორც წესი, ბიუჯეტის პროფიციტის/დეფიციტის გაანგარიშებისას ეს გარემოება მისაღებია მხედველობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება – „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1033317>.
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 15 აპრილის №78 ბრძანება – „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3255222>.
3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №432 ბრძანება – „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3124302>.
4. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №415 ბრძანება – „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2656900>.
5. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №387 ბრძანება – „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1400834>.
6. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №992 ბრძანება – „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167767>.

MODERN BUDGET CLASSIFICATION IN THE PUBLIC FINANCE SYSTEM OF GEORGIA

MERAB VANISHVILI

Doctor of Economics, Visiting Professor of European University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.009>

LEKSO LEMONJAVA

Doctor of Business administration, Assistant Professor of European University, Georgia

KEYWORDS: MODERN BUDGET, CLASSIFICATION, PUBLIC FINANCE SYSTEM

SUMMARY

Market after the transition radically changed the financial management system in Georgia. The centralized budget system was replaced by a new budget system, based on independence and equality of budgets of different levels. The formation of income by own or regulatory taxes and freedom in their spending is considered.

Georgia on January 1, 2008 from the International Monetary Fund introduced the budget classification, which is based on international standards GFSM-2001. This is a new classification, which ensures the correct public finances, fully accounting for modern requirements. Prior to the budget of the organizations using GFSM-1986 classification, classification is already quite old.

XX საუკუნის ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორია თანამედროვე პრობლემების კონტექსტით

ამბროსი ბრიშიაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველო

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.010>

საკვანძო სიტყვები: ირანი, ეკონომიკა, XX საუკუნე, კრიზისი, ნავთობი,
თემური რევილუცია, უცხოური კაპიტალი, კონცესია

არა მხოლოდ ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებს, არა-
მედ ქართველ ინტელექტუალებსაც მცირე ცოდნა გააჩნიათ
თანამედროვე ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგო-
მარების, მით უფრო, მისი ეკონომიკური ისტორიის თაობაზე
XX საუკუნეში. არადა, ირანი საქართველოს მეზობელ
სახელმწიფოებს შორის ყველაზე დიდხანს იყო ჩვენი მტერ-
მოყვარე.

აქამდე ირანში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური
პროცესების უცოდინრობას იწვევდა ათეული წლების გან-
მავლობაში ჩვენი ქვეყნის რუსულ იმპერიაში გამოკეტვა
და გარე სამყაროსაგან იზოლაცია. მაგრამ ამ მხრივ
ვითარება არც ბოლო წლებში გამოსწორებულა, მიუხედავად
საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა. ვფიქ-
რობ, ჩვენი ეკონომიკური ისტორიის ამ ნაკლოვანებას
გარკვეულად შეავსებს წინამდებარე სტატია.

უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათია ქვეყანა, რომელსაც ასე
შეენარჩუნებინოს თავისი ეროვნული იდენტობა, ისტორიული
და ტერიტორიული მემკვიდრეობითობა და რომელსაც ასე
დიამეტრალურად განსხვავებული პოლიტიკურ-ეკონომიკური
რეფორმები და ცვლილებები გადაეტანოს, როგორც ქვეყნის
შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე.

XX საუკუნის ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტო-
რია ხუთ ძირითად პერიოდად იყოფა, რომლებიც ოთხ
პოლიტიკურ სახელმწიფო მოღვაწეს უკავშირდება: კონსტი-
ტუციური რევოლუციის პერიოდი, როდესაც ნავთობის მო-
პოვება-ექსპლოატაციასთან დაკავშირებით კანონი მიიღეს
და როდესაც ირანი თანდათან დიდ ბრიტანეთზე ხდებოდა
დამოკიდებული; რეზა ხანის გამეფება და მის მიერ ქვეყნის
მოდერნიზაციისაკენ მიმართული რეფორმების დაწყება;
პრემიერ მოსადეჰის ეროვნულ-დემოკრატიული პერიოდი,
როდესაც სათავე დაედო ძირითადი აქტივების ნაციონა-
ლიზაციას და დასავლეთის სპეცსამსახურებმა ის ჩამოაგდეს;
შაჰ ფაჰლავის დიქტატურა და მის მიერ წამოწყებული ირანის
სოფლის მოდერნიზაცია, რომელსაც თეთრი რევოლუცია
ეწოდა და ბოლოს, პერიოდი, რომელიც დღემდე გრძელდება.
ესაა ჰომეინის ისლამური რევოლუცია. ეს უკანასკნელი
ეფუძნება რენტის ეკონომიკას; მის პირობებში შიიტური
თეოკრატია დაუკავშირდა, ერთი მხრივ, ატომურ პროგრამას,
ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკურ სანქციებს.

ამ ისტორიის დაყოფა შესაძლოა ასევე შემდეგ ეტაპებად:

1. ნავთობის საბადოების მოპოვება-დამუშავებაზე
კონცესიის გადაცემა დიდი ბრიტანეთისათვის ირანის ინტე-
რესების საზიანოდ. რენტული ეკონომიკის წარმოშობა კო-
ლონიალიზმის ელემენტებით;

2. 30-იანი წლებიდან 50-იან წლებამდე ეკონომიკის
ბომბიერი ზრდა, რაც უკავშირდებოდა, როგორც სახელმწიფო,
ისე კერძო ინფრასტრუქტურის, ასევე განათლების სექტო-
რისა და მომსახურების განვითარება;

3. მეორე მსოფლიო ომის დროს ირანის ეკონომიკის
დაქვეითება, ასევე შიდა პოლიტიკური კონფლიქტების პერი-
ოდი. აქტივების ნაციონალიზაცია;

4. 1953-1978 წლების სასოფლო-სამეურნეო რეფორმა,
თეთრი რევოლუცია და უცხოურ კაპიტალსა და ნავთობი-
დან რენტულ შემოსავლებზე ეკონომიკის დამოკიდებულება;
ირანის ეკონომიკის ყველაზე სწრაფი ზრდა მოდის ორ დეკა-
დაზე: 50-იანი წლების შუა პერიოდთან და 70-იანი წლების შუა
წლებამდე;

5. 1978 წლიდან სახელმწიფო ეკონომიკა თავისუფალი
ბაზრის ელემენტებთან ერთად. ამ პერიოდში ეკონომიკა
ძირითადად დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: ნავთობისა და
ბუნებრივი გაზის შემოსავალზე. რომელსაც გავლენის ვითომ
სახელმწიფო ჯგუფები: რელიგიური ფონდი და რევოლუციური
გვარდია აკონტროლებენ.

XX საუკუნის ირანის ეკონომიკას რეალური საფუძველი
ნავთობის აღმოჩენამა და ექსპლოატაციამ დაუდო. 1901
წელს ბრიტანელმა მეწარმემ და მილიონერმა ირანის შაჰ-
თან ნავთობის ექსპლოატაციის დაწყების თაობაზე მოლაპა-
რაკებები დაიწყო. შეთანხმდნენ. მენავთობეს კონცესიის,
რომელიც დაახლოებით 1 მილიონი კვადრატული მეტრის
ფართობზე ნავთობის ამოღებას ითვალისწინებდა, შექმნა
20 ათასი დოლარი დაუჯდა შემდეგი პირობით: მას 60
წლის განმავლობაში ქვეყნიდან ნავთობის გატანის უფლება
ეძლეოდა. სამაგიეროდ, მოგების 16% ირანის ბიუჯეტში უნდა
შეეტანა.

ხელშეკრულება ინგლისელისთვის სასარგებლო იყო,
თუმცა მალე აღმოჩნდა, რომ მილიონერს ამ ბიზნესის
განსახორციელებლად ფინანსური სახსრები არ ეყო. ამი-
ტომ ის 1909 წელს იძულებული გახდა კონცესია ბრიტა-
ნული კონსორციუმისათვის გადაეცა. ამ უკანასკნელის
სახელწოდებაა ინგლის-სპარსეთის ნავთობის კომპანია
(Anglo-Persian Oil Company - APOC). კონცესიას, გარდა
ეკონომიკური მნიშვნელობისა, სერიოზული პოლიტიკური
არსიც ჰქონდა. ის გახდა ბრიტანეთის გავლენის გაძლიერე-
ბის საფუძველი ირანში და ზოგადად, ამ რეგიონში. ინგლისის
მთავრობის აქციათა პაკეტი აღემატებოდა 50%-ს და მთელ
ქვეყანაში, გარდა ზოგიერთი სამხრეთის პროვინციისა,
ნავთობის რეწვას მხოლოდ ის ახორციელებდა.

1901 წლის კონცესიას ირანელებმა თანდათან ეჭვის

თვალთ დაუწყეს ყურება, და, როგორც უსარგებლო ირანის ეკონომიკისათვის, 1932 წელს ამ ქვეყნის მთავრობამ გააუქმა. სპარსეთის ისტორიაში ახალი, პირველი კონსტიტუციის მიღება რეალურად დამოუკიდებელი სპარსეთის აშენების დაწყებას აღნიშნავდა და ასევე „სამი საზიზღარი დისაგან: რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და კონცესიისაგან თავის გათავისუფლებას“. ამ ქვეყნებმა 1907 წელს პეტერბურგში ისე მოაწერეს ხელი კონვენციაზე, რომ თეირანს არც კი დალაპარაკებინან. ამ დოკუმენტის საფუძველზე ირანი სამ ზონად გაიყო: რუსეთის, ბრიტანეთის და შუა ზონად, სადაც აღნიშნულ ქვეყნებს მოქმედების შეუზღუდავი უფლება ჰქონდათ.

1907 და 1908 წლებში მეჯლისმა ფინანსების, გადასახადების და ასევე განათლების შესახებ კანონთა პაკეტი მიიღო. აღნიშნული რეფორმების განხორციელების მიზნით ირანს დახმარების ხელი გაუწოდა აშშ და მას ეკონომიკურ მრჩეველად პროფესორი შუსტერი გაუგზავნა. ქვეყანამ მიიღო ასევე სესხი დიდი ბრიტანეთიდან. შუსტერი ცდილობდა ირანის ხელისუფლებისათვის ფინანსების სფეროში მიეცა რჩევა-დარიგებები, ხოლო თავისი ძალისხმევითა და ინგლისური კონცერნებისა და რუსი პოლიტიკოსების ნამდვილი მიზნების შესახებ გამოქვეყნა წიგნი, ბევრისმეტყველი სათაურით: „The Strangling Persia“ (სპარსეთის მოგუდვა). უცხოელის მთავარ ფინანსურ მრჩეველად დანიშნა de facto იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნის ფინანსებზე კონტროლი მას გადასცემოდა, რაც საკმაოდ დამაფიქრებელი ნაბიჯი იყო.

რუსებმა ირანის ხელისუფალთ ულტიმატუმი წაუყენეს, რომლის გამოც მათი ინტერესებისათვის შეუსაბამო შუსტერმა თანამდებობა დატოვა. რუსეთის ჯარების შეჭრის გამო თეირანში ირანში დაიწყო არეულობა, გადააყენეს მთავრობა და დაითხოვეს მეჯლისი-პარლამენტი.

XX საუკუნე ირანის პოლიტიკისა და ეკონომიკისათვის ნავთობს დადევნებული სისხლისა და რელიგიის საუკუნე იყო. ამ საუკუნის დასაწყისისათვის მთავარი - 70%-მდე - სავაჭრო პარტნიორს ამ ქვეყნისათვის რუსეთი წარმოადგენდა. შემდეგ ადგილს იკავებდა ინდოეთი. მოგვიანებით - 40-იან წლებში, საბჭოთა კავშირის ადგილი დაიკავა გერმანიამ, რომელზედაც ირანის სავაჭრო ვაჭრობის 40%-ზე მეტი მოდიოდა. მას მისდევდა აშშ - 23%; სსრკ მესამე ადგილზე რჩებოდა.

1921 წელს რეზა ხანმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო, ხოლო 1925 წელს პრემიერი გახდა. იმ დროიდან ის მოიხსენიება რეზა შაჰ ფახლავი (1925-1941). რეზა ხანის კურთხევა მოასწავებდა ფახლავების ახალი დინასტიის წარმოქმნასა და XVIII საუკუნიდან ქვეყნის სათავეში მდგარი ყაჯარების დინასტიის დაქვევას.

1941 წლიდან ირანის ტახტზე მისი ვაჟი მოჰამედ რეზა ფახლავი ადის. რეზა ხანის მმართველობა იყო საკმაოდ სუსტი, რომელიც საბჭოთა კავშირზე იყო დამოკიდებული, რომელმაც რეზა ხანის აქამომდელი მოკავშირეები, გერმანელები დაჯანსაღა და ირანს ექსპლუატაციას უწევდნენ. ქვეყნის სამხრეთით უფრო ინგლისელები იყვნენ გაბატონებული. მიუხედავად ამისა, რეზა ხანი ცდილობდა ქვეყნის ეკონომიკის მოძლიერებას და მისი სამხედრო ძალების მოდერნიზებას.

მისი მმართველობის დროს სამხედრო ხარჯები ბიუჯეტის 40%-ზე მეტს შეადგენდა.

რეზა ხანის შაჰად კორონაციის დროს ირანის მოსახლეობა 12 მილიონ მოსახლეს ითვლიდა, რომელთა უმეტესობა უწიგნური იყო, ძალზე დაბალ დონეზე იყო მრეწველობა, მცირე იყო ქალაქების რაოდენობა და მოსახლეობა ძირითადად სოფლებსა და მცირე დაბებში ცხოვრობდა. რეზა ხანი ქვეყნის თანამედროვე რელსებზე გადაყვანას ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აშენებით ცდილობდა. ერთი დეკადის განმავლობაში თანამედროვე გზების რაოდენობა 5 ათასიდან, 1927 წელს, 24 ათასამდე გაიზარდა 1938 წელს. ასევე მოიმატა რკინიგზის საერთო სიგრძემ - 1925 წლის 250 კილომეტრიდან - 1700 კილომეტრამდე 1938 წელს.

რეზა ხანის ხელისუფლების უმთავრეს შემოსავლად ნავთობის რეალიზაცია რჩებოდა, რომლის მოცულობები მისი მმართველობის 20 წლის განმავლობაში 8 მილიონამდე გაიზარდა (1940 წელს). 1932 წელს შაჰმა ბრიტანულ კონცერნთან კონტაქტის გაწყვეტას შეეცადა, რაც კინაღამ სერიოზული სამხედრო კონფლიქტით არ დასრულდა. საქმეში ჰაავის საერთაშორისო ტრიბუნალი ჩაერია.

რეზა ხანი ცდილობდა არც სსრკ და არც აშშ გავლენის ქვეშ არ აღმოჩენილიყო. საბოლოოდ მან მეორე მსოფლიო ომის დროს ირანის ნეიტრალურ ქვეყნად გადაქცევა გადაწყვიტა (ისევე, როგორც პირველი მსოფლიო ომის დროს), მიუხედავად შაჰის ნაცისტების მიმართ დაუფარავი სიმპატიისა.

მეფის რუსეთის დაქვევა თავდაპირველად სასარგებლო აღმოჩნდა ირანისათვის, მისი ეკონომიკისათვის, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ ბოლშევიკებმა უარყვეს ირანის დავალიანება რუსეთისადმი, რომელიც უკვე რამდენიმე მილიონ ოქროს რუბლს აღწევდა. რუსეთმა ასევე დაუბრუნა კასპიის ზღვის გარკვეული სანაპირო, რკინიგზისა და ასევე სატელეგრაფო ხაზი. თანდათანობით რუსეთი (შემდეგ სსრკ) ასევე დ. ბრიტანეთი სავაჭრო კონტრაქტების რაოდენობით ჩაანაცვლა გერმანიამ, რომელიც 30-იან წლებში ირანის მთავარი პარტნიორი გახდა (მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 50%).

სამაგიეროდ ამერიკულ ნავთობის ამხანაგობას ჰქონდა დიდი გავლენა ირანის საბიუჯეტო პოლიტიკაზე. შესაბამისად, ის ამას იყენებდა სასარგებლო კონტრაქტების მისაღებად შუსტერის შემდგომი ეკონომიკური მრჩეველების გაგზავნის გზით. პარადოქსალურია, მაგრამ ირანის ხელისუფლება უარს არ ამბობდა ასეთ „მრჩეველებთან“ თანამშრომლობაზე. შეერთებული შტატების ხელისუფლებას იმედი ჰქონდა, რომ ირანი მომავალშიც დარჩებოდა მის საიმედო საყრდენათა და მოკავშირედ ახლო აღმოსავლეთში. ირანის მთელმა ისტორიამ როგორც მეოცე, ისე ოცდამეერთე საუკუნის ოციან წლებამდე დაამტკიცა, რომ ეს მცდარი აზრი იყო. ეს ქვეყანა სრულიად საპირისპირო მიმართულებით წავიდა.

ამ რეგიონში გერმანიის, რომელიც რეზა ხანის მოკავშირე იყო, დამარცხების შემდეგ, საბჭოთა კავშირმა ირანის ჩრდილოეთ ტერიტორიების ოკუპაცია და მისი

ექსპლუატაცია დაიწყო. სამაგიეროდ, ქვეყნის სამხრეთ რეგიონები ბრიტანელების საოკუპაციო ზონაში დარჩნენ. თუმცა შაჰის პოლიტიკამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურისა და განათლების სფეროში, მაგრამ მან ვერ შეძლო ათა თურქის მსგავსად სამოქალაქო საზოგადოების, თანამედროვე სახელმწიფოს შექმნა. ამას ხელი შეუშალა როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორებმა.

1945-1955 წლები ეროვნული ფრონტისა და პრემიერ მოსადეჰის გავლენის გაზრდის პერიოდი იყო. ეს უკანასკნელი 1951 წლიდან ცდილობდა ირანის ეკონომიკა კოლონიური მდგომარეობიდან გამოეყვანა ნავთობის მრეწველობის ფართო ნაციონალიზაციის გზით, რომელიც ბრიტანულ-ამერიკული კორპორაციის (Anglo-Iranian Oil Company) კონტროლს ექვემდებარებოდა.

რათა შეეხედოთ, თუ როგორ ექსპლუატაციას უწევდნენ ირანელებს, საკმარისია შემდეგი მაჩვენებლების ნახვა: 1951 წელს ბრიტანულ-ამერიკული კორპორაციის ირანული ნავთობის გაყიდვიდან გადასახადების გადახდის შემდეგ 40 მილიონი დოლარი წმინდა მოგება დარჩა (დღეს დაახლოებით 112 მილიონი), საიდანაც ირანს ერგო 7 მლნ, ანუ 17,5%. 50-იან წლებამდე ირანის ნავთობი ინგლისში მოხმარებული მთელი ნავთობის 60% შეადგენდა. 1951 წელს ირანის მეკლისისა და პრემიერ მოსადეჰის გადაწყვეტილებით, რომელსაც ამ დროს გაცილებით ძლიერი ხელისუფლება ჰქონდა, ვიდრე შაჰს, ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიამ საქმიანობა შეწყვიტა. მეკლისმა, სენატმა და ამ ქვეყნის მთელმა საზოგადოებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ამ კომპანიის ნაციონალიზაციის თაობაზე.

მოკლე პერიოდი, რომლის დროსაც ირანის ეროვნულ-დემოკრატიული ხელისუფლება ცდილობდა ქვეყნის უცხოელი ექსპლუატაციისაგან დახსნას, მისი წიაღისეულის საკუთარი ინტერესების სამსახურში ჩაყენებას, შაჰისა და ამერიკული ინგლისელი პოლიტიკური და ეკონომიკური მრჩევლების დაბრუნებით დასრულდა. ირანის მიერ განხორციელებული ნაციონალიზაციის პასუხად ბრიტანელებმა ირანს სანქციები დაუწესეს, უკან წაიღეს თავიანთი ინფრასტრუქტურა, წაიყვანეს მრჩევლები, მოსამსახურეები, რამაც ირანში შესაბამისი დარგების დაცემა გამოიწვია.

ირანის პოლიტიკასა და ეკონომიკაზე კონტროლი დაამყარა შაჰს დაქვემდებარებულმა, 1957 წელს ისრაელსა და შეერთებულ შტატებთან ერთად შექმნილმა პოლიტიკურმა პოლიციამ, რომელიც, როგორც შემდეგ დრომ აჩვენა, უხეშად არღვევდა მოქალაქეთა უფლებებს. მას დიდი საერთაშორისო გავლენა ჰქონდა და ფლობდა ფართო აგენტურულ ქსელს. შესაბამისად, ის ეფექტურად ებრძოდა როგორც ეროვნულ, რელიგიურ, ასევე კომუნისტურ ოპოზიციას. დემოკრატიულად არჩეულ პრემიერს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ შემდგომ შეიბრალებს და შინა პატიმრობით შეუცვალეს. ის 1967 წელს გარდაიცვალა.

ისევე როგორც დღეს, ირანის ეკონომიკა შაჰის მეფობის დროს ნავთობის ექსპორტზე იყო დაფუძნებული, საიდანაც მიღებული თანხები ბიუჯეტის შემოსავლების 80%-ს

შეადგენდა. ნავთობის ფასის ზრდასთან ერთად ეკონომიკის ზრდის ტემპები ჩქარდებოდა. მან 1973-77 წლებში 8%-ს მიაღწია, ხოლო ბიუჯეტი გაორმაგდა და 120 მლრდ დოლარს გადააჭარბა. შექმნილი ვითარება საშუალებას აძლევდა შაჰს იმაზე ეოცნება, რომ ქვეყანას მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი არმია ჰყოლოდა და ირანი ხუთი ყველაზე განვითარებული ქვეყნის რიცხვში შესულიყო. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ამ გეგმებს განხორციელება არ ეწერა: თუ ირანის ბიუჯეტს 70-იანი წლების დასაწყისში 2 მლრდ დოლარის პროფიციტი ჰქონდა, მწვანე რევოლუციის დასაწყისისათვის დეფიციტმა 7 მლრდ დოლარს გადააჭარბა.

ეკონომიკისათვის განსაკუთრებით ტრაგიკული გამოდგა ერაყთან გადატანილი მრავალწლიანი ომი (1979-1987). ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი ომი მეოცე საუკუნეში, რომლის ეკონომიკური შედეგები ორივე ქვეყნისათვის კატასტროფული აღმოჩნდა. 1978 წელს ირანის ეროვნული შემოსავალი 40%-ით შემცირდა, მილიონნახევარმა ირანელმა სახლი დაკარგა, განადგურდა მრავალი სახელმწიფო ნაგებობა, ნავსადგური, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ხიდი, საირიგაციო სისტემა და სხვ.

თითქმის ისლამური რევოლუციის დაწყებიდან შემოღებული სანქციები აშშ მიერ, სხვა ქვეყნების მიერაც იყო გამოარებული. ეს იყო სოლიდარული პასუხი დასავლეთისა ირანის მიერ სუვერენული პოლიტიკის გატარების მცდელობაზე. 1979 წელს აშშ აკრძალეს ირანიდან იმპორტი და გაყინეს ირანული ფინანსური სახსრები აშშ ტერიტორიაზე. 1987 წელს ეს აკრძალვა განახლდა, ხოლო 1995 წელს ეს სანქცია კიდევ უფრო გაფართოვდა.

რაფსანჯანის პრეზიდენტობის დროს (1988-1993) მოქმედი ხუთწლიანი გეგმის მიზანი იყო სსფ-ს დახმარებით ეკონომიკური რეფორმების განხორციელება: სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, აგრარული სექტორისა და ზოგიერთ სხვა დარგზე სახელმწიფო სუბსიდიის მოხსნა, კერძო სექტორისათვის დახმარების აღმოჩენა, იმპორტისა და ექსპორტის განვითარება. ამ მიზნით ირანმა 20 მლრდ დოლარი ისესხა, მაგრამ რეფორმები მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა, მისი შემდგომი გაგრძელება აშშ სანქციებმა შეაფერხა. ამჟამად ირანი საერთაშორისო, არამხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სხვა სახის ურთიერთობებში ნაკლებადაა ჩართული. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში მისი მიღება 2002 წელს აშშ დაბლოკა. ამის კომპენსაციას ირანი ცდილობს აზიურ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ჩინეთთან ურთიერთობით. ირანს თურქეთთან ნავთობის ექსპორტის გარდა აკავშირებს გამსაღწევი, რომლითაც თურქეთი ამ ნედლეულზე თავისი მოთხოვნილების 20% იკმაყოფილებს. ამას გარდა ირანი მოლაპარაკებას აწარმოებს სომხეთთან, საქართველოსთან და რუსეთთან რეგიონში საერთო ეკონომიკური პოლიტიკის გატარების, განსაკუთრებით გაზის დისტრიბუციის მიზნით.

ჯერჯერობით საქართველო-ირანს შორის ეკონომიკური კავშირები დიდი ინტენსიობით არ გამორჩევა. კერძოდ, 2015 წელს საქართველოს მიერ განხორციელებული 2,2 მილიარდი აშშ დოლარის ექსპორტში ირანში გატანილი საქონლის/

მომსახურების ხვედრითი წილი 1,5%-ს არ აღემატებოდა, ხოლო იმპორტი ირანიდან ქვეყნის მთლიან იმპორტში 1,2%-ს, ანუ 92,3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური (და არა მხოლოდ) ურთიერთობების განვითარებას დიდი პერსპექტივა გააჩნია (თუ, რა თქმა უნდა, იმ შეცდომას არ გავიმეორებთ, რომელიც 2013 წელს დავუშვით: მაშინ აიკრძალა ირანის მოქალაქეებისათვის ვიზების გაცემა, ირანში საბანკო გადარიცხვები და სხვ.).

ამჟამად დღის წესრიგში დგას ირანის მოქალაქეებისათვის გამარტივებული სავიზო რეჟიმის ამოქმედება; ეს ხელს შეუწყობს ირანიდან არა მხოლოდ ტურისტების რაოდენობის ზრდას, არამედ ინვესტიციების მატებასაც.

გეოგრაფიული ფაქტორიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სპარსეთის ყურიდან საქართველოზე გამავალი დერეფნის დროული ამოქმედება. დერეფანში მოძრავი სარკინიგზო და საავტომობილო გზები ერთმანეთს დააკავშირებს ერთის მხრივ, ირანს, მეორე მხრივ

კი საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს. ამ პროექტისადმი განსაკუთრებით დიდი მოლოდინი აქვთ ევროპის ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ბულგარეთი, საბერძნეთი და სხვ. ამ გზით ევროპაში მოხდება ნავთობის, გაზის და სხვა სახის ნედლეულის გადაზიდვა. ეს ამჟამად მსოფლიოში შექმნილ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ევროპის ქვეყნებს ნედლეულით მომარაგების დივერსიფიკაციის საშუალებას მისცემს.

წერილი გვინდა დავასრულოთ ირანის პრეზიდენტის ჰასან როუჰანის ამასწინანდელი განცხადებით: „ამჟამად სატრანსპორტო თანამშრომლობას რეგიონში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ირანის რკინიგზის შეერთებას ქალაქ ასტარაში ამერბაიჯანის რკინიგზასთან, ამ ხაზის დაკავშირებას საქართველოს კარგად განვითარებულ სარკინიგზო და საავტომობილო მარშრუტებთან, თეირანისა და თბილისის თანამშრომლობის გაღრმავებას ტრანსპორტის სფეროში რეგიონისათვის დიდი სასიკეთო ცვლილებების მოტანა შეუძლია“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. M. Axworthy, "Iran: Empire of the Mind", 2008.
2. რიშარდ კაპუშცინსკი, „შაჰინშაჰი“ პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშოკაშვილმა, თბ. 2010 წ. გამომცემლობა „არტანუჯი“.
3. Norbert Obara, Krotka historia politycznej ekonomii Iranu XX wieku. Studia Orientalne, 2014, nr. 1.
4. T. Coville, Nainowska Historia Iranu. Republikaislamska, Warszawa 2009.
5. B. Skladanek, Historia Persji.
6. P. Alizadeh, The Economy of Iran, London 2000.

IRAN'S POLITICAL AND ECONOMIC HISTORY OF 20TH CENTURY

AMBROSI GRISHIKASHVILI

Doctor of Economy, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.010>

KEYWORDS: IRAN, ECONOMY, XX CENTURY, CRISIS, OIL, WHITE REVOLUTION,
FOREIGN CAPITAL, CONCESSION NDICIS

SUMMARY

Iran's political and economic situation is less known in Georgia. Our seclusion in Russian Empire and isolation from the outer world during decades was the reason of unawareness of these processes. Despite Georgia's independence witnessed in recent years, the situation has not improved. This article serves as filling of the mentioned gap.

Iran's political and economic history of 20th century briefly can be considered according to the following stages:

Issuing of the concession on the extraction and process-

ing of oil deposits to the Great Britain, which was against Iran's interests; Emerging of the renting economy with the elements of colonialism; Moderate growth of the economy between 30s and 50; Decrease of the economy during the Second World War and political conflicts; Nationalization of assets; Reform of 1953-1978; White revolution and dependence on foreign capital and oil; Fast growth of Iran's economy from the mid 50s to mid 70s. Starting from 1978 the state economy is determined by oil and gas.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის თავისებურებები კომერციულ ბანკებში

ნაზი გვარამია

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.011>

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი, კომერციული ბანკები

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში აუდიტორული კონტროლი მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ყველა სახის აუდიტი წარმოადგენს დიაგნოსტიკური გამოკვლევის განხორციელების სპეციფიკურ სისტემას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვაკეთდეს დასკვნა ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის ხარისხსა და მისი სრულყოფის გზებზე. ცნობილი მეცნიერის, პ.ე. შენდლერის განმარტებით, „აუდიტის არსი მდგომარეობს იმ მიზეზების დიაგნოსტიკაში, რომლებიც წარმოქმნიან ორგანიზაციაში პრობლემებს, მათი არსებითობის და აღმოფხვრის შესაძლებლობების შეფასება და ორგანიზაციისათვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.“

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა განიხილავს ასევე ცალკე აუდიტს პერსონალის მართვის სფეროში, რაც უკვე შემდგარი მოვლენაა საერთაშორისო დონეზე, მაგრამ შედარებით ახალი პოსტსაბჭოთა სივრცისათვის, მათ შორის საქართველოსათვის. ევროპული ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აუდიტი შრომით სფეროში მოიაზრება როგორც „სოციალური აუდიტი“. ფრანგი მეცნიერის, სოციალური აუდიტის ინიციატორის და სოციალური აუდიტის საერთაშორისო ინსტიტუტის პრეზიდენტის რ. ვატიეს აზრით, „სოციალური აუდიტი არის დაკვირვების ხერხების, მართვისა და ხელმძღვანელობის ინსტრუმენტი, რომელიც ფინანსური და ბუღალტრული რევიზიის ანალოგიურად იძლევა საშუალებას, შეფასდეს კომპანიის შესაძლებლობები, წარმოქმნილი სოციალური პრობლემების მართვაში, რაც განპირობებულია პროფესიონალური საქმიანობით.“ ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში გამოიყენება ტერმინი „ადამიანური რესურსების აუდიტი“, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის პერსონალის მართვის საკითხებში მომსახურების კომპლექსს, ამ სისტემის ვრცლად გადახედვასა და შეფასებაში. თანამედროვე კონცეფციებში ფიგურირებს აგრეთვე ტერმინი „საკადრო აუდიტი“, რომლის მიზანია გამოავლინოს მუშაკთა სუსტი და ძლიერი მხარეები, განვითარების ტენდენციები და ქვეყნის შესაძლო ვარიანტები, კომპანიებში შეცვლილი სიტუაციების დროს. მეცნიერთა ნაწილი ხშირად იყენებს ტერმინს „პერსონალის აუდიტი“, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის საკადრო პოტენციალის დამოუკიდებელი ექსპერტიზის, ანალიტიკური შეფასებისა და საკონსულტაციო მხარდაჭერის სისტემას, რომელიც სამეურნეო-საფინანსო აუდიტთან ერთად შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს:

➤ ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკის შესაბამისობა მისი განვითარების მიზნებთან და სტრატეგიასთან;

➤ ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძველზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პერსონალის საქმიანობისა და მართვის სტრუქტურების შესაბამისობა;

➤ სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტის მიმართულებით საკადრო მუშაობის ეფექტურობა, რომელიც წარმოიქმნება ორგანიზაციის ხელმძღვანელობის, ცალკეული ქვედანაყოფების წინაშე, რაც თავის მხრივ, სოციალური პრობლემების რისკს ზრდის.

ზემოთ აღნიშნული პოზიციებიდან განვიხილოთ საქართველოს კომერციულ ბანკებში აუდიტის შემოთავაზებული სახეების გამოყენების ასპექტები.

როგორც ცნობილია, აუდიტს ყოფენ ორ სახედ: გარე და შიდა აუდიტი. გარე აუდიტი უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. მისი დამოუკიდებლობა კი განისაზღვრება როგორც საკანონმდებლო, ასევე ეთიკის ნორმებით. აუდიტორის წინაშე არსებული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გარე აუდიტი იყოფა სავალდებულო და საინიციატივო აუდიტად. სავალდებულო აუდიტი ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ვადები და მოცულობა განსაზღვრულია საკანონმდებლო აქტებით. საინიციატივო აუდიტი კი ტარდება ნებისმიერ დროს იმ მოცულობით, რომელიც განისაზღვრება კომერციული ბანკების მოთხოვნით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

სავალდებულო აუდიტის ჩატარების დროს აუდიტორის წინაშე დგას ერთადერთი ამოცანა – შესამოწმებელი ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი ასპექტების უტყუარობის შესახებ აზრის ფორმირება და შემდგომ გამოხატვა. ამ პროცესში აუდიტორს შეუძლია გადაწყვიტოს შუალედური ამოცანებიც: კერძოდ, განსაზღვროს კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული გარიგებების შესაბამისობა კანონმდებლობასთან; შეამოწმოს სავადამხდლო-საანგარიშსწორებო დოკუმენტები, სავადასახადო ანგარიშსწორებები და ა.შ. საინიციატივო აუდიტის პროცესში აუდიტორის წინაშე დგას კონკრეტული ამოცანა, რომელიც ემსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევას. ასეთი ამოცანები შეიძლება იყოს: კონსულტაციები, ფინანსური მდგრალობის ანალიზი, მიმოხილვითი შემოწმება, ანგარიშსწორებათა შემოწმება და ა.შ. ამ დროს მიღწეული შედეგები შეიძლება იყოს მრავალმხრივი: გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, პერსონალის სწავლება, სტრატეგიული დაგეგმვა, აქტივების უზრუნველყოფის შემოწმება და ა.შ.

კომერციული ბანკების სისტემაში ძალზე არსებითია შიდა აუდიტის ინსტიტუტების განვითარება, რომელსაც

მიეკუთვნება ბანკების მიერ დანიშნული შიდა აუდიტორები ან შიდა აუდიტორთა ჯგუფები. შიდა აუდიტი ემსახურება ბანკის მესაკუთრეთა ინტერესებს და აქედან გამომდინარე, უნდა იყოს არჩეული აქციონერთა და დამფუძნებელთა კრებაზე. შიდა აუდიტორული სამსახურის ამოცანას წარმოადგენს დაეხმაროს კომერციული ბანკების სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებს ეფექტურად შეასრულონ თავიანთი თანამდებობრივი მოვალეობები. შიდა აუდიტის განყოფილება წარმოადგენს ორგანიზაციის შემადგენელ ნაწილს და ფუნქციონირებს ხელმძღვანელობისა და დირექტორთა საბჭოს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის ჩარჩოებში. შეიძლება დაისვას საკითხი: შიდა აუდიტის ეფექტური ფუნქციონირების პირობებში რამდენად აუცილებელია გარე აუდიტის ჩატარება, ხომ არ გამოიწვევს ეს გარემოება დამატებით არაეფექტურ ფინანსურ ხარჯებს? ცხადია ამ მოსაზრების გასაბათილებლად საკმარისია რამდენიმე არგუმენტის მოტანა.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ, „საქართველოს კანონით კომერციული ბანკების შესახებ“ (1996 წ. 23 თებერვალი) საფუძველზე, (მუხლი 27)

➤ თითოეული კომერციული ბანკი და მისი შვილობილი საწარმო ვალდებულია ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ჩაატაროს გარეაუდიტორული შემოწმება.

➤ თითოეული კომერციული ბანკი ვალდებულია გარეაუდიტორული შემოწმების დასრულებისთანავე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს შემოწმების სრული ანგარიში და გამოაქვეყნოს ეროვნული ბანკის წესებით განსაზღვრული საფინანსო ანგარიშგება და გარეაუდიტორული დასკვნა.

ამავდროულად, ზემოთ აღნიშნული კანონის (თავი III, მუხლი 16, პუნქტი მე-3) შესაბამისად, აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა ბანკის შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა. აღსანიშნავია ასევე, რომ შიდა და გარე აუდიტს გააჩნიათ არსებითი და კარდინალური განსხვავებები:

➤ შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობა პირობითია, რადგან იგი ექვემდებარება უშუალოდ კომერციული ბანკების ხელმძღვანელობას, მმართველობას ან აქციონერთა კრებას, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში შიდა აუდიტორს ხელმძღვანელობის წინაშე გააჩნია ვალდებულება და ფინანსური დაინტერესება, რაც განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით და შინაგანაწესით.

აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულად აბარებს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ. („საქართველოს კანონით კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, თავი III, მუხლი 16, პუნქტი მე-2).

➤ შიდა აუდიტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს არა ანგარიშგების სარწმუნოების დასაბუთება, არამედ რესურსების დანაკარგების აღმოფხვრისათვის საკონტროლო ღონისძიებების უზრუნველყოფა.

შიდა კონტროლის ფუნქციები უნდა შესრულდეს არა ეპიზოდურად, არამედ ყოველდღიურად, მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი იგი ეფექტური იყოს.

აუდიტი წარმოადგენს შესაბამის თეორიაზე დაფუძნე-

ბულ პრაქტიკული საქმიანობის სახეს, ხოლო ნებისმიერ თეორიას კი საფუძვლად უდევს პოსტულატები. 1961 წელს ამერიკელი მეცნიერების რ.კ. მაუციუსა და გ.ა. შარაფის მიერ შემუშავებულ იქნა აუდიტის რვა პოსტულატი, შემდგომში 1982 წელს ტ. ა. ლისა და 1985 წელს დ. კ. რობერტსონის მიერ შემოთავაზებულ იქნა კიდევ ორი პოსტულატი, ხოლო 1993 წელს კი შემუშავებულ იქნა მოცემული პროდუქტების ახალი ვერსია. აუდიტის უკვე შექმნილი თეორია და ზემოთ აღნიშნული პოსტულატები ცხადია არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, ვინაიდან თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მუდმივად იხვეწება და ინერგება ინოვაციური მიდგომები. ასე მაგალითად: ჩვენს ქვეყანაში, შიდა კონტროლი, რომელიც რევიზიის სახით ფიგურირებდა, საკმაოდ იყო განვითარებული. ყველა საწარმო წელიწადში ერთხელ ექვემდებარებოდა უწყებრივ რევიზიას. მაგრამ როგორც პრაქტიკამ აჩვენა, კონტროლის არსებულმა სისტემამ ვერ შეძლო დარღვევების აღმოფხვრა. გარდა ამისა, რაც უფრო მკაცრდებოდა კონტროლის სისტემა, მით უფრო იხვეწებოდა ბოროტმოქმედების მეთოდები. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შიდა კონტროლის სისტემის სწორი ორგანიზაცია ამცირებს დარღვევების შესაძლებლობებს, მაგრამ ცხადია არ იძლევა მათი აღმოფხვრის გარანტიას. აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ორგანიზაციას გააჩნია უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს საადრიცხო პოლიტიკის მთელი რიგი მეთოდები, ამიტომ ცხადია აუდიტის ჩატარებისას აუცილებელია აუდიტორმა იხელმძღვანელოს არა ზოგადი კანონით, არამედ უპირველეს ყოვლისა, შესაბამისად პერიოდში ორგანიზაციის საადრიცხო პოლიტიკით. ასევე აუდიტორი ვალდებულია დარწმუნდეს იმაში, რომ არ არსებობს მტკიცებულებები შესაბამისი ეკონომიკური სუბიექტის განვითარების პერსპექტივაში, შესაძლო სერიოზული ნეგატიური მოვლენების ალბათობის შესახებ.

სამეცნიერო ნაშრომის შესავალ ნაწილში ჩვენ შევხვებთ პერსონალის აუდიტის საკვანძო საკითხებს. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი გამოიყენებს ტერმინს „საკადრო აუდიტი“, „ადამიანური რესურსების აუდიტი“, ევროპული ქვეყნების პრაქტიკიდან კი გამომდინარეობს, რომ აუდიტი შრომით სფეროში მოიაზრება როგორც „სოციალური აუდიტი“, ხოლო პიერ კანდუს, ალენ კურესა და ჯაკ ივალენის შეხედულებით, სოციალური აუდიტი მიზნად ისახავს გაანალიზოს ყოველი რისკის ფაქტორი და წარმოადგინოს რეკომენდაციები მათ შესამცირებლად. ისინი გამოყოფენ სოციალური რისკების ოთხ კატეგორიას:

- კანონისა და შიდა წესების დარღვევის რისკი;
- ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკისა და პერსონალის მოლოდინის შეუსაბამობის რისკი;
- ადამიანური რესურსების არაადეკვატური მოთხოვნილების რისკი;
- სოციალური პრობლემებისადმი უყურადღებობის რისკი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველოს კომერციული ბანკების აუდიტორულ

საქმიანობაში განვითარდეს და გაღრმავდეს კვლევები თანამედროვე კონცეფციების შესაბამისად, აუცილებელია დაიხვეწოს არსებული მიდგომები საქართველოს საბანკო სივრცესთან, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, ამაღლდეს კომერციულ ბანკებში შიდა აუდიტის ინსტიტუტების ფუნქციონირების ხარისხი, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს არსებული მეთოდოლოგიის სრულყოფას, რაც თავის მხრივ მოიცავს პერსონალის აუდიტის საკვანძო საკითხებს და მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან პერსონალის აუდიტი განიხილება როგორც მმართველობითი აუდიტის შემადგენელი ნაწილი და ამასთან, ზღვარი კომერციული

ბანკების მთლიან მართვასა და მისი პერსონალის მართვას შორის პირობითია, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ობიექტად გვევლინება ცალკეული მუშაკი, ჯგუფი, ან მთელი პერსონალი, რაც საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას მეთოდოლოგიური მიდგომები საერთო საქართველოში საბანკო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე აუდიტორული საქმიანობის მეთოდოლოგიის სრულყოფით ხელი შეეწყობა ჩვენი ქვეყნის საბანკო სივრცეში აუდიტორული სამსახურების გააქტიურებას, რომლებიც მიზნად ისახავენ კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მონტგომერი, აუდიტი (თარგმნილი ინგლისურიდან, საქართველოს აუდიტორული საქმიანობის საბჭო, ნ. ქებაძის რედაქციით). „ფინანსები“, თბ. 1998 წ.
2. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი, თბ. 2004 წ.
3. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, თბ. 1996 წლის 23 თებერვალი.
4. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, თბ. 2009 წლის 24 სექტემბერი.
5. ნ. გვარამია, აუდიტის მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები საქართველოს კომერციულ ბანკებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შ. რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თბ. 2010 წ.
6. Жак Ришар. Аудит и анализ хозяйственной деятельности предприятия (перевод с француз. под ред. Л. П. Бельих), Москва, « Аудит» 1997 г.
7. И. Колбасов. Журнал «Аудит»; №10., 2008 г.

ACCOUNTING AND AUDITING PECULIARITIES OF COMMERCIAL BANKS

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.011>

NAZI GVARAMIA

Doctor of Economics, Associated Professor of Sokhumi State University, Georgia

KEYWORDS: ACCOUNTING, AUDIT, COMMERCIAL BANKS

SUMMARY

The scientific work presents the world concepts in the sphere of audit on the modern stage, including, of course, the experience of European countries in the mentioned direction. Main aspects of “social”, “staff” and “personnel audit” been already approved in international practice are discussed, risks connected to social audit are highlighted as well as the types of audit are described and given in Georgian commercial banks according to applicable law in our country. Besides, the work is about major issues of carrying out inner and outer audit.

The work emphasises the role and importance of audit in modern management systems and this gives an opportunity to make a clear decision in connection with the quality of effectiveness of a company’s activity and its perfection. Hence, the scientific work is about the problems of importance of development of inner audit institutions in Georgian commercial banks, and recommendation offers and opinions on perfection of methodology of audit are given, accordingly.

საქართველოს სავალუტო ბაზარი – პრობლემები და პერსპექტივები

ლია პიტიურიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, სეუ-ს ასოცირებული პროფესორი

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.012>

ბია ბუჩაშვილი

ეკონომიკის დოქტორი

საკვანძო სიტყვები: სავალუტო ბაზარი, ვალუტის კურსი, დივერსიფიცირებული ბაზარი, ეფექტური გაცვლითი კურსი

სავალუტო ბაზარი წარმოადგენს უცხოურ ვალუტათა ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა მყარ სისტემას. იგი საერთაშორისო ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილია, სადაც წარმოებს სავალუტო კურსის განსაზღვრა. სავალიტო ბაზარი ეს არის ოფიციალური ცენტრი, რომელშიც თავმოყრილია ვალუტათა ყიდვა-გაყიდვა მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. ამასთან იგი არის უცხოური ვალუტების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა სისტემა.

სავალუტო ბაზარი არის უცხოური ვალუტისა და მისი საგადასახადო დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა მყარი სისტემა.

მსოფლიო სავალუტო ბაზარი მიცავს სხვადასხვა ქვეყნის ბანკების საკორესპოდენტო კავშირებს და წარმოადგენს საერთაშორისო ფულადი ანგარიშშორების განხორციელების მექანიზმს.

სავალუტო ბაზარი წარმოადგენს არასაბირჟო ობიექტს, რომელიც მთელი დღედაღამის განმავლობაში ფუნქციონირებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამასთან, არსებობს წარმოებული სავალუტო ინსტრუმენტები-დერივატივები, რომლითაც ბირჟაზე ვაჭრობენ.

როგორც წესი, სავალუტო ბაზარი მრავალ წახნაგოვანი მაჩვენებელთა ჯამია. რომელიც მოიცავს განსაზღვრულ რეგიონებს და საერთაშორისო ვაჭრობას და სავალუტო-საფინანსო კავშირებში ლოკალიზებულ მნიშვნელოვანი რაოდენობის ცალკეულ ბაზრებს და მათთან ორგანულ კავშირში არსებულ ინფრასტრუქტურას.

ასეთ ბაზრებზე ხორციელდება საგარეო-ეკონომიკური ანგარიშშორების, ტურიზმის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის მიგრაციის და სხვა მიმდინარე ოპერაციათა ფართო სპექტრი. რომლებშიც გათვალისწინებულია მყიდველების, გამყიდველების, შუამავლების, საკრედიტო და სხვა კომპანიებისა და ფირმების მიერ უცხოური ვალუტათა გამოყენება.

საქართველოში შიდა სავალუტო ბაზრის განვითარება ჩქარი ტემპებით წარიმართა შიდა სავალუტო აგენტებად საქართველოში უნდა განვიხილოთ ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები და ვალუტის გადაამცვლელი ჯიხურები.

იმის გამო, რომ საქართველოში უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში არ მონაწილეობენ სპეციალიზირებული საბანკო დაწესებულებები, როგორც ეს ფართოდ გავრცელებულია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ქვეყნის

შიდა სავალუტო ბაზარი სტრუქტურული პოზიციებიდან უნდა ჩაითვალოს ნაკლებად დივერსიფიცირებულ ბაზრად.

საქართველოს შიდა სავალუტო ბაზრის წყობის ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა ეროვნული ბანკის, როგორც სავალუტო ბაზრის აგენტის აქტიური როლი, თუ განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები სავალუტო ბაზრის ფუნქციონირებაში რეგულარულად არ ერევა. საქართველოში და საერთოდ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საწინააღმდეგო მოვლენებთან გვაქვს საქმე.

გარკვეული პერიოდი მანძილზე საქართველოს ეროვნული ბანკი შიდა სავალუტო ბაზარზე უმსხვილეს მიმწოდებლებს წაემოადგენდა იმის გამო, რომ ბაზარი უკიდურესად დაბალი ლიკვიდურობით ხასიათდებოდა, ბაზრის ლიკვიდურობის უზრუნველყოფა მთლიანად ეროვნულ ბანკს დააწვა, რამაც იგი ფაქტობრივად ბაზრის შემქმნელად გადააქცია. დღეს ეროვნული ბანკი არ აწარმოებს უცხოური ვალუტით საბაზრო ინტერვენციებს. ეს ფუნქციები გადავიდა კომერციულ ბანკებში, მაგრამ უცხოური ვალუტის ჭარბი მიწოდების შემთხვევაში მყიდველის როლში კვლავ ეროვნული ბანკი გამოდის. რაც შეეხება შიდა სავალუტო ბაზრის ლიკვიდურობას, იგი მაინც დაბალია. სწორედ ეროვნული ბანკი ინარჩუნებს ბაზრის ლიკვიდურობის გარანტიის როლს.

საყურადღებოა, რომ ქვეყნის ეროვნულ ბანკთან ერთად, კომერციული ბანკები ქმნიან საქართველოში ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ფუნდამენტს. რომელიც შიდა სავალუტო ბაზრის ერთ-ერთი მთავარი საემენტი და რომელიც მოიცავს ორ კომპონენტს: **საბირჟო და სადღლინგო ბაზრებს.**

საბირჟო ბაზარი სხვა არაფერია თუ არა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის სავაჭრო მოედანზე დადებული გარიგებები.

სადღლინგო ბაზარი წარმოადგენს ბირჟის გარეშე, პირდაპირ კომერციულ ბანკებს შორის განხორციელებულ ბანკებს შორის მიმდინარე საკონვერსიო ოპერაციებს.

ეროვნული ვალუტის კურსი მართვისათვის საჭიროა ჯერ შესწავლილი იქნას ამ ქვეყნის ეროვნულ მომხმარებელთა სოციალური კეთილდღეობის ფუნქციები. ამ ფუნქციების ოპტიმალური შერჩევა სავალუტო რეჟიმის განსაზღვრის ერთ-ერთი უმთავრესი საწინდარია. ეროვნული კეთილდღეობის პრობლემების შესწავლა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, შემდეგი თანმიმდევრობით: **პირველ ეტაპზე:** ა) არსებული სავალუტო პოლიტიკის ვარიანტებიდან სახელმწიფომ უნდა აირჩიოს ერთ-ერთი; ბ) ამ ვარიანტების განხილვის შემდეგ შესწავლილი უნდა იქნას სავალუტო ბაზრის მექანიზმი ფიქსირებული

და მცურავი სავალუტო კურსის პირობებში; გ) დადგინდეს, თუ როგორ უნდა მართოს ქვეყანამ ეროვნულ ვალუტაზე არსებული მოთხოვნა; **მეორე ეტაპზე:** განიხილება არგუმენტები ცვალებადი სავალუტო კურსის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.

ამასთან, სავალუტო პოლიტიკის (სტრატეგიის) ვარიანტების რიცხვი მრავალია, რომლებიც გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყანის პრაქტიკაში და ზოგიერთ მათგანში სავალუტო კურსის რეჟიმის არასწორმა შერჩევამ გამოიწვია ეკონომიკის კრიზისული სიტუაცია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სავალუტო პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრის სწორი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას.

2016 წლის აპრილში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 3 სავალუტო აუქციონი ჩაატარა და ჯამში 40 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა. საანგარიშო პერიოდში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.6 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.8 პროცენტით გამყარდა. აშშ დოლარის მიმართ ოფიციალური გაცვლითი კურსი 2.3679-დან 2.2309-მდე შეიცვალა, ანუ გამყარდა 5.79 პროცენტით.

აპრილის თვეში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ (ეროვნული ბანკის ინტერვენციების გარეშე) 42.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 10.9 მილიონი აშშ დოლარით (20 პროცენტით) მეტია წინა თვის ბრუნვაზე და 3.1 პროცენტით მეტი წინა წლის შესაბამისი თვის მონაცემზე. იმავდროულად კომერციულ ბანკებს შორის დადებული გარიგებების

რაოდენობა 21 პროცენტით შემცირდა (წლიურად კი 43 პროცენტით გაიზარდა). თვის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 3 სავალუტო აუქციონი ჩაატარა და ჯამში 40 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა. აპრილში სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია უმნიშვნელოდ გაიზარდა. ბანკთაშორის სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 67 პროცენტი (წინა თვეში აღნიშნული მაჩვენებელი 61 პროცენტს შეადგენდა) ქვეყანაში მოქმედი 19 ბანკიდან 5 ბანკზე მოდის. დადებული გარიგებების რაოდენობის მიხედვით ყველაზე აქტიურ 5 ბანკს ბაზრის 60 პროცენტი (წინა თვეში აღნიშნული მაჩვენებელი 57 პროცენტს შეადგენდა) უჭირავს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 11 პროცენტი შეადგინა, რაც დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

2016 წლის აპრილში 2015 წლის აპრილთან შედარებით რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 7.2 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 8 პროცენტით გამყარდა. სავაჭრო პარტნიორთაგან აპრილში წლიური ინფლაცია საქართველოში დაფიქსირებულ 3.2 პროცენტზე მაღალი იყო თურქეთში 6.6 პროცენტი, აზერბაიჯანში 9.7 პროცენტი, უკრაინაში 9.8 პროცენტი, რუსეთში 7.3 პროცენტი. საქართველოზე დაბალი ინფლაცია დაფიქსირდა სომხეთში -1.9 პროცენტი, ევროზონაში -0.2 პროცენტი, აშშ-ში 1.1 პროცენტი. 2016 წლის აპრილში 2012 წლის დეკემბერთან შედარებით, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.9 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 11.5 პროცენტით გამყარდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. მოსიაშვილი, გ. ჭელიძე, მ. (2016). ფინანსები, თბილისი.
2. ლ. ქოქიაური, ლ. (2010). საბანკო საქმის საფუძვლები, თბილისი.
3. ცაავა გ. ხანთაძე, გ. (2014). საბანკო საქმე, თბილისი.
4. ა. გრიშკაშვილი, ა. (2010). საქართველო გლობალურ სამყაროში, თბილისი.

GEORGIAN FOREIGN EXCHANGE MARKET - PROBLEMS AND PROSPECTS

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.012>

LIA PITIURISHVILI

Doctor of Economics, Associated Professor of Georgian National University, Georgia

GIA BUCHASHVILI

Doctor of Economics, Associated Professor of Georgian National University, Georgia

KEYWORDS: CURRENCY MARKET, CURRENCY EXCHANGE, DIVERSIFIED MARKET, EFFECTIVE EXCHANGE RATE

SUMMARY

This article deals with the foreign exchange market, its essence and meaning in the world and in Georgia. Wide spectrum of foreign-economic settlements, tourism, capital, and labor migration, as well as other ongoing operations are carried out on foreign currency markets. It envisages usage of foreign currencies by buyers, sellers, intermediaries, and other financial companies and firms. Georgian foreign exchange market can be considered as a less diversified market. Necessity of elaboration of the correct foreign exchange policy should be defined. For the purposes of mitigation of the strong fluctuation of the domestic currency, the currency market and the National Bank of Georgia should jointly work-out the strategy which would allow the national currency to maintain its stability.

IMPROVEMENT OF TEACHERS QUALIFICATIONS

OLENA DOBROTVOR

PhD in Pedagogical Sciences,

Associated Professor of National Aviation University, Institute of the Humanities, Ukraine

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.013>**KEYWORDS:** CONTINUING PROFESSIONAL EDUCATION, ADVANCED TRAINING, TEACHINGS STAFF, REFLECTION

Introduction. The modernization of qualifications improvement in Ukraine, particularly in education, identified as priority at the state level. The Decree of the President of Ukraine "About the National Strategy for Development of Education in Ukraine for the period till 2021" dated June 25, 2013 №344 / 2013 indicated the need to develop "improving training, retraining and educational, scientific and educational cadres education system improve their administrative culture » (<http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/344/2013>).

The European integration processes and signing of Bologna Declaration requires from Ukraine the changes in the area of education, particularly the implementation of the principle of "lifelong learning", the ECTS assessment of learning outcomes, coordination of the level of qualification. In accordance to it today there is an active discussion of specific ways in order to update forms and methods of training, including qualification's improvement of teachers. Organizers and participants of the training program note some progress towards improving the quality of these processes, but there are issues requiring further special research and solutions.

The reorientation of the formal training program focuses on practical development of teachers abilities to analyze their own professional activity, to determine the actual direction of growth, fix particular results in real situations. These problems of higher educational institutions with III-IV levels of accreditation are very actual.

The aim of the article is in theoretical justification of conditions due to productive updating of teacher's qualifications improvement process in universities. Our task is to clarify the basic problems of training teachers through analyzing a scientific and technical literature (and other available sources); a definition and theoretical foundation of conditions in effective teaching of modern university lecturers; to clarify the methods of diagnostics of lecturer's professional development.

Theoretical analysis of the scientific and methodical literature of advanced training. In a specific literature we find the results of theoretical research and solutions to educational problems of improving professional skills of educators. For example: improving the efficiency of an educational process at the faculties of improving the qualification training (Borisov N., Demchuk V.), self-education (Novichkova V.); there are also some studies dedicated to the institutions elaborating teachers (Prokopenko L.); researching the differentiation of learning the outcomes of certification (Tishchenko T.), organizational and pedagogical conditions (Chehodayev M.), informational security (Sknar V.). Theory and practice of various aspects of pedagogical

control is considered by Alekseyuk A., Arhanhelskiy S., Bulah I., Balyubash Ya., Dmytrenko H., Korsak K., Oliynyk V., Pidlasiy I., Filonchuk I. and others.

The generalized scientific research about relationship of theoretical and practical training is important for our work, as well as a postgraduate training system integrity, which has its assignments, contents, methods and forms, ways of a development [Protasova N., 1999; Rozenberh A., 1998]. To analyze this system and solve the existing problems it should be noted that the process of training – is the process which intensifies a becoming of social maturity of teacher's individuality. In according to this it is a change of any of the sides, aspects of his career and his professional adjustments. However, as noted by teachers themselves, "teacher's training courses give only the necessary minimum of knowledge. As a practice shows these courses are formal if they are constantly not updated by self-education [Radul V., 1997]. Self-development, self-improvement of an individual and its potential are main factors of success, efficiency of reforms in various fields, especially in educational one. Professional self-improvement as a specific kind of professional activity is an integral part of training and retraining specialists.

However, in special studies [Konovalova L., 2012] we find the systematization of major contradictions in educational practices that point to a lack of readiness of teachers on a level of self-mastery of methodical knowledge, skills, reflection of their own professional activity.

In analytical articles it is stated that theory and practice of pedagogical control in a system of training managing and teaching staff in education needs a special attention. The main reasons in this direction are: "an absence of governmental and industrial standards in training of a teaching staff; contingent features; low budget of a study time; deficiency of a systematic approach to the problem" [Oliynyk V., 2006].

In guidelines developed by specialists [Polozhennya, 2005] the concept of "diagnosis" is considered, its structure and content components to improve the training of senior teaching staff in education are defined. In general, as indicated by authors of the development, the existing control system is improved, increased objectivity, reliability and validity of results through introducing a clear criteria of diagnostics: individual and group educational achievements of students, individual and group progress of training and sated conformity of all indicators according to European scale ECTS (realization of a decision of a Board Ministry of Education and Science of Ukraine from 24.04.2003 bringing the knowledge evaluation system to ECTS level). Published teaching materials are universal and can be used in various forms of organization of training of teaching staff in educational system, including a

credit-module organization of educational process [Oliynyk V., 2007].

However, innovative approaches of a design of the structure and content of pedagogical control system in our opinion lays not in credit-modular system of educational process in terms of blended learning, as noted by Lyahots'ka L. [Lyakhots'ka L., 2012]. The lack of analyzed sources with specifics of control of teaching adults should be noted. In our view, the performance of adult education, the real training needs a systemic approach in learning content and its organizational and methodological support, in which a diagnostics is an integral part.

Terms of productive updating the process of training teachers in modern universities. The analysis of reports of Ukrainian nationwide scientific conferences in 2013 provides the opportunity to organize the basic needs of practitioners, which are aimed to improve training locally. In particular, important for our search is requests to determine the theoretical foundations and development of technologies for professional development of teachers in postgraduate education, to search semantic and effective ways of updating content and technologies of professional development of teachers in postgraduate education.

Basing on these facts, the main problem of training of teachers from all university departments can be fixed - a widespread practice of operating conventional circuit of training: gaining new knowledge on lectures, seminars and workshops; diagnosing the effectiveness of such programs using a familiar assessment scale (five point scale or differentiated by ECTS credit system), credit measures, progress reports, term papers etc. After completing courses a teacher returns to his job and should be able to optimize it.

To determine a necessary and sufficient conditions to achieve reality and not a formal training the help of a scientific knowledge in andragogics and trainer's conclusions of Tolyattinska Academy of Management (Russia) in relation to work with adults in specific situations [Stepanova Y., 2004, p. 71]:

1. Adult learning cannot impose: adults must be willing to learn (linked to career growth).

2. Adults learn during work process (obviously it is ineffective to read lectures for specialists for their further development; this method does not allow solving the main task - changing skills).

3. Adult learning should focus on the problems. Adults have the material with which they work every day, so it is needed during the training to enable adults to acquire experience in solving critical problems.

4. Adults to learn hampered severely their previous experience. While training it is important to think abstractedly and forget about the functional point.

5. Adults learn best under informal circumstances, in separation with issues/ problems (better in another city).

6. Adults should not be evaluating: tests and exams are unacceptable.

Thus, according to these principles it is about to form the conditions of effective teacher's training in universities. The professionals should be stratified (not to evaluate on the "outside"), should diagnose not only knowledge, but also

ways of working, to record changes in the training according to specific of personal goals. As a result, it is necessary to answer the question "Did a teacher change his/her qualification?" - no system of formal evaluation can answer this question.

Guidelines to fix changing skills as a result of post-graduate education. By definition of G. Shchedrovitsky "reflection - is an idea in mind of what we do and how" [Putevodytel', 2003, p. 43]. Psychologists define the reflection (from latin reflexio - reversing) as a process of self-discovery. Reflection can be recognised as a learning element that forms a special relationship of the participants to the subject of own activity (Zinchenko O., Ivanov A., Pometun O., Trubacheva S.).

To operate successfully in the future with problematic situations, we must not only remember our previous situations, bit also ask reflexive questions (such as "Which concept is used?", "What are the ways to act?", "Will those ways that we already work?"). Organizers involve participants in the process of reflection that leads to the development of their understanding, because it provides a conscious work on what succeeded. Organizers and participants on a basis of specifically planned reflexive analysis can see new for themselves directions in solving problems and planning special events and also determine their own way of productive activity.

According to the theoretical and methodological basis of determining a semantic reflection that was revealed by a founder of developmental education (Davydov V.), a pedagogical aim is not realized in transmitting knowledge and thinking skills, but in development of a need and understanding skills that form the basis of theoretical knowledge and practical thinking. Only during the presentation of understanding and evaluating of what the other made, comes an opportunity to see yourself "from the side "; due to get an objective picture of your work. Thus reflection provides a self-understanding and you own activity [Shchedrovitsky G., 1975]. Thus *prospective* reflection undergoes that what is possible, *modal* reflection undergoes - that what is needed to be done. These steps are outgoing and preparing thinking activity. And *retrospective* reflection covers that what was able to be done. The process of understanding of the own activities, yourself in collaboration with other activities, variety of options and consequences based on the forms that specifies an organizer of reflection.

In our view, given reflection's learning effect associated with the occurrence of psychological detachment: the participant is able to see his activity (and himself) as the subject, having an opportunity to fix errors, inaccuracies, seek for a greater efficiency. Davydov V., Neverkovych S., Samoukyna N. confirm the unique and creative reflection function that causes qualitative changes in a process of thinking of the participants, in their personality.

Examples:

1. *Do I use active exercise / workout? If so, which ones?*

2. *What can I do to regain focus and increase interest?*

3. *What are three improvements I can make to the links given in my course?*

4. *What evaluation methods are able to open me and the students a comprehensive picture of what they can achieve?*

Due to organized understanding there is an intense "growth", new skills are formed and the creative potential of

individuality is developing. Thus, reflective tasks, questions and discussions serve as effective mechanism of real changing in career that is totally relevant to the principles of adult (professionals) education.

To explain more clearly, the feedback from colleagues makes it possible to objectively reflect on teaching practices and prove their own professional achievements, be open to the criticism and recommendations, plan more effective approaches to new classroom situations. This is how the International Pedagogical Club "Professional Portfolio" is organized. It is the association of teachers of higher and secondary educational establishments whose aim is to share their professional experience, accumulate and preserve the best teaching methods approved in real life classrooms. (The Club was initiated by Olena Dobrotvor and Alexander Skakunov, the author of IT-education project "Zero to Hero". Since May 14, 2016 the project has registered 60 participants from different regions of Ukraine as well as Slovakia, Poland, Germany, Bulgaria, Georgia (<https://www.facebook.com/groups/234752410224796/?fref=ts>). The organizers of the Club launched a series of training workshops and alternative so called anti-conferences named «Self-Teacher».

In the given format of pedagogical discussions club members inform colleagues on the ways of improving teaching-learning practices and demonstrate working techniques and ways of evaluating training results. The following issues have already been discussed:

- Critical thinking of the young people, their ideas on training and lectures;
- Learning a foreign language by "ear-mouth-eyes-hand method";
- Visualization cognitive activity of students in the classroom

- Academic integrity;
- A workshop on poetry for everybody;
- Establishing criteria for assessment of student's achievements;
- Probability theory in the interaction between children and students.

Conclusions. The use of reflection as a tool for organizing training of university lecturers displays the external position in relate to a past experience and the future that is being projected. A guarantee of origins in understanding teachers is a plan alone or a project which can be created only by analyzing and understanding of activity which was made earlier. Using terminology of an acknowledged methodologist Shchedrovitsky G., a lecturer must take the "reflexive position" of a leader in relate to his previous position. This "reflective way-out" provides a "reflexive knowledge" that formed relative to the knowledge that has been processed in the previous position. Thus, reflection provides a stable self-development of the teacher's individuality.

Thus, the effectiveness of training programs for teachers of university departments depends fully on the ability of all participants to organize reflection. Accordingly, there is a need to develop guidelines due to design issues with special construction (What should be done (individual; in group) according to the program? What can I do in accordance with training, skills, career guidance? Why my goals do not coincide with the goals of the organizers?), to calculate the time for answer, to enhance the will of the participants. Also it should be kept in mind that elements of a natural reflection can be traced in the life of every person. So the challenge is in spreading the practice of systematic and deliberate action in the area of post-graduate education.

REFERENCES:

1. Protasova N. Teoretyko-metodychni osnovy funktsionuvannya systemy pisyadyplomnoyi osvity pedahohiv v Ukrayini / Avtoref. dys. d. ped. nauk. – K., 1999. – 38 s. – S. 12.
2. Rozenberh A. Aktual'ni problemy teorii i praktyky pisyadyplomnoyi osvity kerivnykh i pedahohichnykh kadrov / Mat. zvitnoyi nauk. konf., 5-6 bereznya 1998r. – Ch. 1. – Kyiv, 1998 r. – 180 s.
3. Radul V. Sotsial'na zrilist' molodoho uchytelya / Radul V. // Monohrafiya. – K.: Vyshcha shkola, 1997. – S. 134-144.
4. Konovalova L. Pedahohichnyy protses // Osvita.ua. - 06.07.2012 : [Elektronnyy resurs] : statiya – Rezhym dostupu: <http://osvita.ua/school/manage/teaching/3988/>
5. Oliynyk V. Pidvyshchennya kvalifikatsiyi kerivnykiv osvity za dystantsiynoyu formoyu navchannya / Oliynyk V., Bykov V., Hravit V.ta in. / Za zah. red. V.V.Oliynyka. – K.: Lohos, 2006. – 408 s.
6. Polozhennya pro orhanizatsiyu ochno-dystantsiynoho pidvyshchennya kvalifikatsiyi kerivnykh i pedahohichnykh kadrov u Tsentral'nomu instytuti pisyadyplomnoyi pedahohichnoyi osvity / za zah. red. V.V.Oliynyka. — K.: TsIPPO, 2005. — 40 s.
7. Oliynyk V. Kontseptual'ni zasady pidvyshchennya kvalifikatsiyi kerivnykh kadrov profesiyno-tekhnichnykh navchal'nykh zakladiv za ochno-dystantsiynoyu formoyu navchannya / V.Oliynyk, V.Bykov, V.Hravit ta in. // za zah. red. V.V.Oliynyka. — K.: TsIPPO, 2007. — 104 s.
8. Lyakhots'ka L. Teoretyko-praktychni pidkhody do kontrolyu uspishnosti pidvyshchennya kvalifikatsiyi pedahohichnykh prat-sivnykiv // 10.09.2012: [Elektronnyy resurs] : statiya – Rezhym dostupu: <http://zavantag.com/docs/1863/index-29658.html>.
9. Stepanova Y. Fyksatsyya peremen v protsesse perepidhotovky // Atryum. – 2004. – #3. – S. 68–72.
10. Putevodytel' po metodolohiy Orhanyzatsyy, Rukovodstva y Uprav-lenyya: khrestomatyya po rabotam H. P. Shchedrovitskoho. – M. : Delo, 2003. – 160 s.
11. Shchedrovitsky G. Refleksyya y ee problemy/ Shchedrovyytsky H. // Razrabotka y vnedrenye avtomatyzirovannykh system v proektyrovany (teoryya y metodolohyya). – M.: Stroyzdat. – 1975. – 385 s.

IMPROVEMENT OF TEACHERS QUALIFICATIONS

OLENA DOBROTVOR

PhD in Pedagogical Sciences,

Associated Professor of National Aviation University, Institute of the Humanities, Ukraine

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.013>

KEYWORDS: CONTINUING PROFESSIONAL EDUCATION, ADVANCED TRAINING, TEACHINGS STAFF, REFLECTION

SUMMARY

The main interest is to seek for and study new approaches to the process of teachers training in accordance with the basic principles of adult learning (andragogy). The article analyzes the forms and methods of teaching which are common practice in the national Ukrainian postgraduate education. Based upon the available sources are summarized theoretical and practical expert recommendations to overcome the existing problems and improve the training system of postgraduate education. As a result of research

excellence, including foreign experience (Russia, USA) is presented the hypothesis of necessary and efficient use of specially organized training reflection for productive updates to improve teaching staff training. The concept of "reflection" has been interpreted by the Russian school of methodology of G. Shchedrovitsky as a person's alienated idea of their actions in their own mind. The article suggests the description of the specific methods of organizing reflective attitude to teaching, which provides planning qualitative changes and a record of the results.

ფინანსური ანალიზის სწავლება ფინანსური სიმულატორის დახმარებით

თეა მუნაიშვილი

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.014>

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ცოდნის ათვისება, ტრენაჟორი, ფინანსური ანალიზი, სემანტიკური ანალიზი, დებრიფინგი

ინფორმაციის დარგში მიღწეული შედეგები მისაღებს ხდის სწავლების დისტანციური ფორმის განვითარებას. დისტანციური სწავლება შეგვიძლია განვიხილოთ ძველი, ათეული წლების განმავლობაში პრაქტიკაში აპრობირებული დაუსწრებელი სწავლების ფორმად, რომელიც ფორმით დაუსწრებელია, მაგრამ შინაარსობრივად დასწრებელი სწავლების ფორმის რელევანტურია. საგნის დისტანციური სწავლების კომპონენტებია: ჰიპერტექსტის ტექნოლოგიით შემუშავებულ სახელმძღვანელო, ვიდეოლექციები, სპეციალური პროგრამული გარემო, რომლის საშუალებითაც ხორციელდება *პირველი* – ცოდნის ათვისება ტრენინგის რეჟიმში, *მეორე* – ტიპობრივი სიტუაციების მოდელირება და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გამომუშავება და *მესამე* – ათვისებული ცოდნის გამოვლენა და შეფასება. ნებისმიერი დარგის სპეციალისტის, მათ შორის ეკონომისტის მომზადება – ცოდნის ათვისება ორი ძირითადი კომპონენტისგან თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებისგან შედგება. ჩვენი კვლევის ობიექტი ცოდნის ათვისებაა ორიენტირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების მექანიზმის შემუშავების მეთოდის, საშუალებების კვლევაზე. მატერიალური ობიექტების: საფრენი აპარატების, საზღვაო, სამდინარო ხომალდების და სხვა ანალოგიური მატერიალური ობიექტების მართვის უნარ-ჩვევების გამომუშავება ფიზიკური ტრენაჟორების არსებობის გარეშე წარმოუდგენელია.

ეკონომიკური პროცესების შესწავლის ობიექტი მატერიალური ნაკადების მოძრაობის, მოდიფიკაციის ამსახველი ინფორმაციული ნაკადებია. ამიტომ ეკონომისტთა მომზადების საქმეში შეიძლება მხოლოდ კომპიუტერული ტრენაჟორი იქნეს გამოყენებული. მათი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლებისას. ტრენაჟორის რეალიზაციის მეთოდოლოგიური საფუძველი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები და საკითხის სწავლების თაობების მიერ აპრობირებული კომპიუტერული სისტემების გარეშე გამოყენებული მექანიზმია. ტრენაჟორით პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება სიტუაციური ამოცანების ამოხსნით მიიღწევა.

საინტერესოა ეკონომიკური პროფილის საგნების ტრენაჟორების შემუშავების მიმართულებით ჩატარებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი თემების, დისერტაციების სახით [Ельцин 2013, Рышкевич 2013].

ინფორმაციული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთიანი გაგება ელექტრონულ ტრენაჟორსა და სიმულა-

ტორის ცნებებს შორის არ არსებობს. მკვლევართა ნაწილი ელექტრონული ტრენაჟორის ქვეშ გულისხმობს ჰიპერტექსტის ტექნოლოგიით შემუშავებულ სახელმძღვანელოსა და ინფორმაციულ-პროგრამული კომპლექსის ერთობლიობას. ელექტრონული სახელმძღვანელოთი ხორციელდება საკითხის გაცნობა, ათვისება, ხოლო პროგრამული კომპლექსით ათვისებული საკითხების ფიქსირება. აქ ინტერაქტიულ რეჟიმში სტუდენტი ხსნის ამოცანებს, პასუხს სცემს თეორიული ხასიათის კითხვებს. პასუხის გასაცემად მიმართავს შემხსენებელს წარმოდგენილ ტექსტით, გრაფიკით, ვიდეოთი. სწავლება და შემდგომში გამოცდის ჩაბარება სერტიფიკატის მისაღებად დისტანციურად ხორციელდება.

ამრიგად ეკონომიკური პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტთა მომზადებისა და მართვის სფეროში დასაქმებულ მუშაკთა პერმანენტულად კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანაა გადასაწყვეტი: *პირველი* – ელექტრონული ტრენაჟორის უნივერსალური პროგრამული პაკეტის შემუშავება, *მეორე* – ტრენაჟორების ცოდნის ბაზის შევსება პრობლემური უბნის ცოდნის ბაზით.

ამჟამად მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სიმულატორების შემუშავება – ფიზიკური სიმულატორებიდან დაწყებული ელექტრონული სიმულატორებით დამთავრებული. შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქმე გვაქვს ძირითადად სამი სახის სიმულატორების შემუშავებასთან: ფიზიკური, ელექტრონული და ამ ორის კომბინაცია.

თანამდეროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს სხვანაირად შევხედოთ და განვახორციელოთ სწავლების პროცესი.

ინფორმაციული მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთიანი გაგება ელექტრონულ ტრენაჟორსა და სიმულატორის ცნებებს შორის არ არსებობს. მკვლევართა ნაწილი ელექტრონული ტრენაჟორის ქვეშ გულისხმობს ჰიპერტექსტის ტექნოლოგიით შემუშავებულ სახელმძღვანელოსა და ინფორმაციულ-პროგრამული კომპლექსის ერთობლიობას. ელექტრონული სახელმძღვანელოთი ხორციელდება საკითხის გაცნობა, ათვისება, ხოლო პროგრამული კომპლექსით ათვისებული საკითხების ფიქსირება. აქ ინტერაქტიულ რეჟიმში სტუდენტი ხსნის ამოცანებს, პასუხს სცემს თეორიული ხასიათის კითხვებს. პასუხის გასაცემად მიმართავს შემხსენებელს წარმოდგენილ ტექსტით, გრაფიკით, ვიდეოთი. სწავლება და შემდგომში გამოცდის

ჩაბარება სერტიფიკატის მისაღებად დისტანციურად ხორციელდება.

სიმულაციური მოდელირების ქვეშ იგულისხმება ისეთი ინფორმაციულ-პროგრამული გარემო, რომლის დროსაც ხორციელდება რეალობაში არსებული კონკრეტული ტიპობრივი სიტუაციის მოდელირება.

სიმულატორების შემუშავებისა და გამოყენების მიზანია:

პირველი - სწავლების პროცესში ათვისებულ იქნეს რეალურ ობიექტზე წარმოქმნილი სიტუაციების მართვა, გადაწყვეტილების მიღება და მიღებული გადაწყვეტილებით მოსალოდნელი შედეგების ანალიზი.

მეორე - პრაქტიკულ საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღების წინ განხორციელდეს შექმნილი სიტუაციის მოდელირება რეალური მონაცემებით და მოსალოდნელი შედეგების ნახვა, შეფასება.

აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ელექტრონული დიაგნოსტიკის ანალოგიურად, როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს შემუშავებული სიტუაციური მოდელი, რეალური სიტუაციის ადექვატური მოდელირება პრაქტიკულად მიუღწეველია. ამიტომ საბოლოო სიტყვა გადაწყვეტილების მიმღებ პირს ეკუთვნის და იგი თავისი პასუხისმგებლობით იღებს გადაწყვეტილებას.

კონკრეტულ დისციპლინაში განხილული თემები მოიცავენ ტიპური სასრულო სიტუაციების განხილვასა და ათვისებას, რომლებისთვის შემუშავებულ უნდა იქნეს სიმულაციური მოდელირება.

ამრიგად ეკონომიკური პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტთა მომზადებისა და მართვის სფეროში დასაქმებულ სპეციალისტთა პერმანენტულად კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანაა გადასაწყვეტი: პირველი - სიმულატორების შემუშავების ალგორითმულ - პროგრამული სისტემის შემუშავება და მეორე - სიმულატორების ცოდნის ბაზის შევსება პრობლემური უბნის ცოდნის ბაზით.

მეორე ამოცანა ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანისგან შედგება: *პირველი* - ჰიპერტექსტის ტექნოლოგიით ელექტრონული სახელმძღვანელოს შემუშავება, *მეორე* - პრობლემური ამოცანის - სიტუაციის ცოდნის ბაზის ფორმირება.

სიმულატორები ფაქტობრივად უცვლელად ან მცირე მოდიფიკაციით შეიძლება გამოყენებული იქნეს ერთიანი სამართლებრივი სივრცის მქონე:

1. სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში:

- სპეციალისტების მომზადებისას;
- მართვის სფეროში დასაქმებული სპეციალისტების: ეკონომისტების, ფინანსისტების, მარკეტოლოგების და სხვათა გადასამზადებლად.

2. საწარმოების მართვის პროცესში.

ჩვენი ყურადღების ცენტრში ეკონომისტთა მომზადებაში ეკონომიკური პროცესების ამსახველი სიმულატორების შემუშავებისა და გამოყენების პრობლემატიკაა. ეკონომიკური სიმულატორის რეალიზაციის ფორმა კომპიუტერული პროგრამული კომპლექსია. მისი მიზანია სწავლების პროცესში სტუდენტის მიერ ათვისებულ იქნეს სიტუაციის ანალიზის, ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები, ძირითადად რეალური მონაცემების სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის შეფასებულ იქნეს მიღებული გადაწყვეტილების მოსალოდნელი შედეგები.

სწავლების პროცესში სიმულატორების გამოყენება ცვლის საკითხის გადაცემის მეოდს, მიდგომას. განსაკუთრებით იზრდება პედაგოგის როლი, მას უნდა შეეძლოს:

- სიმულატორის მუშაობის პრინციპების გააზრება;
- პრობლემური ამოცანის, რომლის სიმულაცია ხდება, რეალიზაციის ალგორითმის შემოქმედებითი ცოდნა;
- სიმულირების შედეგების ინტერპრეტაცია;
- სიმულირების შედეგების კორექტირება სიმულატორით გათვალისწინებული ფაქტორების მხედველობაში მიღებით;
- სიმულაციის შედეგების დასაბუთება/უარყოფა.

პრაქტიკულ მეცადინეობაზე სტუდენტს მოეთხოვება სიმულაციის შედეგების ახსნა. სიმულირების განხორციელება და შედეგების ანალიზი დაკავშირებულია პრობლემური უბნის საკითხის ცოდნასა და თვისებაზე. ამიტომ სიმულატორის განუყოფელი ნაწილია სიმულირებასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა, ათვისება.

სიმულატორების გამოყენებით მეცადინეობის ჩატარების კომპონენტებია: გლობალურ ქსელში ჩართული კომპიუტერი, პროგრამა სიმულატორი, სერვერზე ორგანიზებული სიმულირებასთან დაკავშირებული ჰიპერტექსტის ტექნოლოგიით რეალიზებული ელექტრონული სახელმძღვანელო. ნებისმიერი მეცადინეობის და მთ შორის სიმულატორების გამოყენებით ჩატარებული მეცადინეობის განუყოფელი ნაწილია მეცადინეობის მიმდინარეობის ამსახველი ვიდეო. მეცადინეობის შემდეგ ვიდეო თავსდება ინტერნეტში და მას იღებს სტუდენტი.

ჩვენი მოკრძალებული გამოცდილება ეკონომიკური სიმულატორების შემუშავების მიმართულებით საშუალებას გვაძლევს, ჩამოვყალიბოთ სიმულატორებისადმი წაყენებული აუცილებელი მოთხოვნები:

სიმულატორით ხორციელდება:

- რეალური ეკონომიკური პროცესის ამსახველი ამოცანის მოდელირება გარკვეული ალგორითმით;
- წრფივი და არაწრფივი ოპტიმიზაციის ამოცანების ამოხსნა;
- მრავალვარიანტულ გეგმების ფორმირება;
- ვარიანტების შეჯერება და შერჩევა;
- სიმულაციის შედეგების ვიზუალიზაცია დიაგრამების, ცხრილების, ვიდეოს ან კომბინაციის სახით;
- ამოცანის ამსახველი მოდელის N დამოუკიდებელი ცვლადიდან $\forall n_i$ ცვლადით მოდელირება და შედეგების წარმოდგენა დიაგრამების სახით;
- ერთდროულად N ცვლადთა სიმრავლიდან ნებისმიერი n_i და n_{i+1} ცვლადით მოდელირება და

შედეგების წარმოდგენა ცხრილის სახით;

- ერთდროულად მრავალი ცვლადით მოდელირება ცვლადების სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის.
- მოდელირების მრავალვარიანტულ შედეგების წარმოდგენა;
- სიმულირების შედეგების ახსნა.


პროგრამულ პაკეტით შესაძლებელი უნდა იყოს:

- ამოცანის არსის, ალგორითმის გაცნობა;
- სიმულირების განხორციელება მრავალ ბუნებრივ ენაზე;

სიმულატორთან მუშაობა ნებისმიერ დანტერესებულ პირს უნდა შეეძლოს ყოველგვარი რევის-ტრაციისა და პაროლების გარეშე.

სიმულატორით შესაძლებელი უნდა იყოს განხორციელდეს როგორც სიტუაციის მოდელირება, აგრეთვე ცნობილი ალგორითმით ამოცანის ამოხსნის სიმულირება. ფაქტობრივად გამოკვლევულ იქნეს ამ ამოცანის ამოხსნის ალგორითმი. აქნათქვამის ნათელი მაგალითია Excel-ში არსებული ფინანსური ფუნქციებით ამოცანების ამოხსნა. Excel-ის ფუნქციით ამოცანის ამოხსნის სიმულირებისას ვაკვირდებით როგორ იცვლება შედეგი არგუმენტების მნიშვნელობების ცვლილებისას. არგუმენტები კი ასახავენ გარკვეული ფაქტის მოხდენას, როგორცაა: სესხის აღება, ინვესტირება, ამორტიზაცია და სხვა.

სიმულატორების გამოყენებით ლექციის, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება შემდეგნაირად გვესახება/სურ. 1, 2/.



სურ. 1. სიმულატორების გამოყენებით ლექციის ჩატარების ბლოკ-სქემა


სიმულატორის გამოყენება სასწავლო პროცესში დაგეგმვისა და ფუნქციონირების ეტაპებისგან შედგება.

დაგეგმვის ეტაპზე სიმულატორების სიმრავლიდან პედაგოგის მიერ შეირჩევა მოცემული თემის ამსახველი სიმულატორი (ები);

ფუნქციონირების ეტაპი/სურ. 3/



სურ. 2. სიმულატორების გამოყენებით პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების ბლოკ-სქემა



სურ. 3. სიმულატორით მეცადინეობის ჩატარების ფუნქციონირების ეტაპი

ჩვენს მიერ შემუშავებულ სიმულირების პროგრამულ პაკეტში FINSIM1.1-ში რეალიზებულია სიმულატორები, რომლებითაც ხორციელდება: პირველი - ალტმანის, სპრინგეტის, ფულმერის, ბჟეუნსკის, დუპონის მოდელებით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების მოდელირება. ამ მოდელებით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება ხორციელდება ერთი, ორი და მრავალი (მოდელში შემავალი ყველა) ცვლადით; მეორე - Excel - ში არსებული 15 ფინანსური ფუნქციის სიმულირება ერთი და ორი ცვლადით.

ტრენაჟორის ალგორითმულ-პროგრამული გარემო უნივერსალურია, მაგრამ მისი ინფორმაციული შიგთავსი დამოკიდებულია საგნის პედაგოგზე, მის მიერ მასალის გადმოცემის მანერაზე და სხვა. ამიტომ საგნების მიხედვით ტიპობრივი ტრენაჟორების შემუშავება სასწავლო პროცესში ეტალონის სახით გამოსაყენებლად ფაქტობრივად მიუღებელია. საგნების მიხედვით ტრენაჟორებს გამოყენების თვალსაზრისით სარეკომენდაციო - დამხმარე როლი შეიძლება მიეკუთვნოს.

ამჟამად სწავლების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მომზადების საქმეში გამოყენებული ტრენაჟორების ანალიზი

და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება ცოდნის გამოვლენისა და შეფასების კომპიუტერული სიტემებისა და პრაქტიკული ექსპლოატაციის საქმეში საშუალებას გვაძლევს, ჩამოვაყალიბოთ ეკონომიკის პროფილის საგნებზე ორიენტირებული კომპიუტერული ტრენაჟორისადმი წაყენებული აუცილებელი მოთხოვნები¹:

1. თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხების არსებობა;
2. საგნების, საგნის თემებისა და ქვეთემების მიხედვით თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხების ცოდნის ბაზის ფორმირება;
3. ტრენინგის ეტალონური დავალების ფორმირება;
4. დავალებაში მოცემული ნებისმიერი საკითხის ასხნა კონკრეტული მეთოდის, ალგორითმისა და გადაწყვეტის ჩვენებით;
5. ტრენინგის დროს დაშვებული შეცდომების მომავალში თავიდან აცილების მიზნით რჩევებისა და რეკომენდაციების ბაზის ფორმირება;
6. ტრენინგის კონკრეტული შედეგების, დაშვებული შეცდომების გამოსწორების რჩევებისა და რეკომენდაციების გაცნობა;
7. დროის გარკვეულ პერიოდში ტრენინგის დროს დაშვებული შეცდომების ანალიზი;
8. გაცემული პასუხების მიხედვით სტუდენტის მიერ ტრენინგის ტრაექტორიის შეცვლა.

ტრენაჟორის ცოდნის ბაზის ფორმირება

ტრენინგის საფუძველი პედაგოგის მიერ საგნების, საგნის თემებისა და ქვეთემების მიხედვით თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხების ცოდნის ბაზის ფორმირებაა. ცოდნის ბაზა ზოგადად ტესტები - ორი სახისაა დახურული და ღია.

დახურულ ტესტს ვუწოდებთ ისეთ ტექსტს სადაც დასმული საკითხზე წინასწარ მოცემულია მაქსიმუმ შვიდი პასუხი, რომელთაგანაც სამია სწორი. დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა დაიყვანება მაქსიმუმ შვიდი სავარაუდო პასუხიდან სწორი პასუხების ამორჩევაზე.

ღია ტესტი ისეთი ტესტია, სადაც დასმულ საკითხზე სტუდენტის მიერ დაწერილი უნდა იქნეს პასუხი რიცხვითი მნიშვნელობის, ან წინადადების ან გამოსახულების სახით.

ტრენინგის დაგეგმვა

ჩვენთვის ცნობილ ტრენაჟორებში ტრენინგის დაგეგმვა: თემების, ქვეთემების შერჩევა, ტესტების შერჩევა, ტრენინგის დრო პედაგოგის მიერ განისაზღვრება და ვერ გაითვალისწინება სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობები. იდეალურ შემთხვევაში, ტესტების ცოდნის ბაზიდან, თემების ქვეთემების მიხედვით სტუდენტმა თვით უნდა შეარჩიოს ტრენინგზე გასატანი ტესტები, მათი რაოდენობა და ტრენინგის დრო. პრაქტიკულად შეიძლება მოძებნილ იქნეს კომპრომისული ვარიანტი, კერძოდ:

- პედაგოგის მიერ ხორციელდება ქვეთემების მიხედვით

ეტალონური დავალების ფორმირება ამ ქვეთემებზე არსებული ყველა ტესტის ჩვენებით;

- ნებისმიერ დახურულ ტესტზე, ხოლო ღია ტესტის შემთხვევაში ყოველ პასუხზე მიეთითება პირობითად მისაღები ქულა;
- ნებისმიერ ტესტზე ნაჩვენებია შეფასების წილობრივობა და სემანტიკური ანალიზის განხორციელების აუცილებლობა.

ტრენინგის დაწყების წინ პირველი - სტუდენტი ირჩევს თემებსა და ქვეთემებს, მეორე - აღგენს ქვეთემის მიხედვით ტრენინგზე გასატანი ტესტების რაოდენობას და მესამე - განსაზღვრავს ტრენინგის საერთო დროს.

ცოდნის ათვისების ყურადღებას მივაქცევთ ტრენინგის შედეგების განხილვის - დებრიფინგის ეტაპზე (დებრიფინგი ინგლისური სიტყვაა - debriefing და ნიშნავს დავალების შესრულების შედეგების განხილვას). იგი ამჟამად ფაქტობრივად გარკვეულწილად უმრავლეს შემთხვევაში ლექტორის მიერ ნებისმიერ მეცადინეობაზე ხორციელდება, მაგრამ მკაცრად გამოყოფილი ფორმა არ აქვს. ტრენაჟორთან მუშაობისას სტუდენტების მიერ დაშვებული შეცდომები ლექტორის კომპიუტერზე ტრენინგის ოქმის სახით გამოიტანება. ლექტორი აანალიზებს მას და ტრენინგის დამთავრების შემდეგ ახორციელებს სტუდენტებთან ერთად შედეგების განხილვას - დებრიფინგს.

[Сви́стунoв 2011]-ში დეფინინგის ლიდერისადმი წაყენებული მოთხოვნები ახალი არ არის. იგი სრულად, დეტალურადაა ჩამოყალიბებული ინტელექტუალური პროცესების მართვის მეთოდში - ფსიქოევრესტიკული დაპროგრამების მეთოდისადმი მიძღვნილ ნაშრომში [В.В.Чавчანიძე 1974].

ტრენინგის მიმდინარეობის საფუძველი ტრენინგის დაწყების წინ სტუდენტის მიერ ფორმირებული დავალება გრაფიკულად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მარყუჟების მქონე სასრულო ორიენტირებული G გრაფის სახით, სადაც $\forall v_i, v_i \in V$. დავალებაში მითითებული ტესტების სიმრავლიდან P ალბათობით ამორჩეული ტესტია. $\forall v_i, v_i \in V$ მეზობელ კვანძთან დაკავშირებულია ერთი წიბოთი $e_i \in E$. G გრაფის $\forall v_i, v_i \in V$ გააჩნია მარყუჟი (ციკლი). ციკლის რაოდენობა სტუდენტზე დამოკიდებული. მარყუჟის რეალიზაციის შესაძლებლობა სისტემაში წარმოიქმნება ტესტზე მცდარის პასუხის გაცემისას. სტუდენტს შეუძლია N-ჯერ გამოიძახოს „მრჩეველი“

ჩვენს მიერ შემუშავებულია და 2013 წლიდან ფუნქციონირებს ელექტრონული სახელმძღვანელოები ეკონომიკურ საგანებში: ოპერაციული მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი (ავტორი პროფ. ბადრი რამიშვილი), ფინანსური ფუნქციები Excel-ში და ტრენაჟორის ნულოვანი ვერსია [http://old.press.tsu.ge/GEO/internet/internetgak/ELSA_XELMZR_VANELO/index.html]. ტრენინგი ხორციელდება პროგრამული პაკეტით „კიბერ1“-ით (T.Munjishvili & Z.Munjishvili, 2014) „კიბერ1“-ის ექსპლოატაციისას გამოვლენილი უარყოფითი და დადებითი მხარეების გათვალისწინებით შემუშავებულია პროგრამა - ტრენაჟორი

¹ (T.Munjishvili & Z.Munjishvili, 2014)

TRAINER1, რომელშიც რეალიზებულია ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები (T.Munjishvili, 2017)

ჩვენს მიერ შემუშავებული კომპიუტერული ტრენაჟორით TRAINER1-ით ხორციელდება:

1. ეტალონური დავალების ფორმირება პედაგოგის მიერ საგნების, თემების, ქვეთემებისა საგნის წამყვანი პედაგოგის გათვალისწინებით;
2. ტრენინგის დაწყების წინ სტუდენტის მიერ ტრენინგის ინდივიდუალური დავალების ფორმირება;
3. დახურული და ღია ტიპის ტესტების დამუშავების შესაძლებლობა;
4. დახურული ტიპის ტესტებში მაქსიმუმ შვიდი სავარაუდო პასუხიდან მაქსიმუმ სამი სწორი პასუხის არსებობა;
5. ღია ტიპის ტესტებში პასუხების ნებისმიერი რაოდენობის არსებობა;
6. დახურული ტიპის ტესტებში პასუხების ფიქსირება მხოლოდ სწორი პასუხების საჭირო რაოდენობის მონიშვნისა და პასუხის ფიქსირების შესახებ ბრძანების მიცემის შემდეგ;
7. ღია ტიპის ტესტში სიტყვების, რიცხვების, წინადადების ან მათი კომბინაციის, აგრეთვე აბრევიატურის გამოყენება;
8. პასუხებში გამოყენებული თხრობითი წინადადების გაგება სინქრონიზაციის დარღვევის, სიტყვების ჩამატებისას;
9. დასახელებით წინადადებაში და ზოგადად პასუხებში გამოყენებული სიტყვების დაწერა ნებისმიერ ბრუნვაში, ამ სიტყვის მცდარი ვარიანტების გამოყენება;
10. გარკვეული საგნების, თემების, ქვეთემების ამსახველი ამოცანების ფაქტობრივად დაწერილი პასუხების იდენტიფიკაცია ამ პასუხის ეტალონურ მნიშვნელობასთან. აქ დაუშვებელია: სინქრონიზაციის დარღვევა, სიტყვების დაწერა ნებისმიერ ბრუნვაში, სიტყვების ჩამატება ან ამოვდება;
11. ამოცანის დასმა ტექსტური ან გრაფიკული ან ვიდეო ან მათი ნებისმიერი კომბინაციით;
12. საგანზე, ტესტზე დახმარების არსებობა წარმოდგენილი ტექსტური ან გრაფიკული ან ვიდეო ან მათი ნებისმიერი კომბინაციით;
13. დახურული ტიპის ტესტზე დაშვებულ შეცდომებზე რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობა;
14. ღია ტიპის ტესტზე ნებისმიერ პასუხზე დაშვებულ შეცდომებზე რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობა;
15. ამოცანის $\forall n_i, n_i \in N$ პასუხზე ამ პასუხის შესაბამისი ქულის ფიქსირება $q_i \in Q$. ქულა შეიძლება იყოს მთელი ან ათწილადი დადებითი რიცხვი;
16. ტრენინგის მიმდინარეობისას სხვადასხვა სახის დიაგნოსტიკური შეტყობინების გამოტანა. მაგ. უცნობი სიტყვის გამოყენებისას, სიტყვების, რიცხვების გამოტოვების და სხვა;
17. ტრენინგის დაწყებისას ტესტების ალბათურად დალაგება და ტრენინგის მიმდინარეობისას ალბათურად ამორჩევა;

18. ტრენინგის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა სახის ანალიტიკური ინფორმაციის მიღება, კერძოდ: ტრენინგის მიმდინარეობის ამსახველი ოქმი, კონკრეტული ტრენინგის დროს დაშვებული შეცდომების თავიდან აცილების რჩევები და რეკომენდაციები (დებრიფინგი), დროის მითითებულ მონაკვეთში დაშვებული შეცდომების სტატისტიკა და მისი წარმოდგენა დიაგრამის სახით;

19. პედაგოგის მიერ სტუდენტების მიერ დაშვებული შეცდომების განზოგადება, მათი კოლექტიური განხილვა, წინადადებებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება და რეალიზაცია.

TRAINER1-ში რეალიზებულია წინადადების სემანტიკური ანალიზის ინჟინრული მიდგომა. ანუ ე. წ. „პროდუქციული გრამატიკის“ მეთოდი, რომელიც გარკვეულ უნივერსალიზმს ატარებს და დაბდვეულია ცხრილური შესაბამისობის პრინციპის ნაკლოვანებებისგან. ამ მეთოდის არსი, ალგორითმები და პროგრამული რეალიზაცია განხილულია [Tea Munjishvili 2014..... Tea Munjishvili 2015]. მოკლედ ავლწერთ TRAINER1-ში გამოყენებულ სემანტიკური ანალიზის ალგორითმს.

ცოდნის გამოვლენისა და შეფასების სისტემებში, მათ შორის TRAINER1-ში, ფაქტობრივად კონკრეტული პროდუქცია (ჩვენ შემთხვევაში - წინადადება) ამორჩეულია, იმიტომ რომ ჩვენ კონკრეტულ პასუხს ცნობილი მნიშვნელობით ვიხილავთ. საჭიროა შემოსული ფაქტების (სიტყვების) მიხედვით დავადგინოთ მისი რელევანტობა არსებულთან. (Munjishvili & Z.Munjishvili, 2012) ამრიგად:

ცოდნის ბაზის ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს ღია ტესტების პასუხები - წინადადებების (პროდუქციების) სიმრავლე G . G შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სემანტიკურად დაუკავშირებელი თხრობითი წინადადებებისგან შემდგარი ტექსტი, ხოლო პროდუქციულ სისტემაში პროდუქციის ამორჩევა, როგორც საძებნი სახის პოვნა.

გვაქვს ორი ტიპის - R და RT ტიპის პასუხები. პირველი ტიპის ამოცანებში R ან RT ტიპის პასუხებში, სადაც სიტყვები და ამ სიტყვის სინონიმები სხვადასხვა ბრუნვაში არ შეიძლება იქნეს გამოყენებული სისტემის შესავალზე მიეწოდება - ლექსიკონიდან ამორჩევა მხოლოდ ტესტის პასუხებში გამოყენებული სიტყვები ან მათი მცდარი ვარიანტები. ლექსიკონში არ მიეთითება მორფოლოგიური ფუძე, მცდარი ვარიანტები და სინონიმები. ამ შემთხვევაში წინადადების ამოცნობის ალწერილი ალგორითმი გამოიყენება მხოლოდ იმ განსხვავებებით, რომ სიტემის შემოსავალზე $L_w \{a_1, a_2, \dots, a_s\}$ ფრაზაში სიტყვების თანმიმდევრობა მკაცრად უნდა იქნეს დაცული და $L'_w \equiv L_w$.

მეორე ტიპის ამოცანებში სისტემის შესავალზე სტუდენტის მიერ დაწერილი R ან RT ტიპის პასუხების რელევანტური ინფორმაციის მოძებნისას შესაძლებელია სინქრონიზაციის დარღვევა, სიტყვების გამოყენება ნებისმიერ ბრუნვაში და უღლებაში, მცდარი ვარიანტები, ზედმეტი - ნებისმიერი რაოდენობის ლექსიკონში არსებული ან არარსებული სიტყვების გამოყენება.

სიმარტივის მიუხედავად თხრობითი წინადადებების გაგების შემოთავაზებული ვარიანტი გადამეტებულად შეიძლება ჩაითვალოს იმიტომ, რომ უმრავლეს შემთხვევაში სტუდენტები ცდილობენ მათთვის ცნობილი თანმიმდევრობით დაწერონ წინადადება. მასობრივია სიტყვების გამოყენება სხვადასხვა ბრუნვაში, სიტყვების გამოტოვების ან ჩამატების ფაქტები. ნაკლებად, ფაქტობრივად არ გვხვდება სიტყვების მცდარი ვარიანტების დაწერა. TRAINER1-ის პროგრამა დაწერილია VB.NET 2010, მონაცემების ბაზა ორგანიზებულია SQL Server 2008-ზე. სისტემა მრავალენოვანია. ერთდროულად ერთი და იგივე საგანზე ინფორმაცია ან სხვადასხვა საგნები რამდენიმე ენაზე შეიძლება იქნეს წარმოდგენილი.

განვიხილოთ TRAINER1-ით ტრენინგის დაწყებისა და მიმდინარეობის პროცესი:

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია განახორციელოს ტრენინგი. პიროვნების იდენტიფიკაცია ხდება პირადი ნომრით ან ნებისმიერი 16 ციფრისგან შემდგარი რიცხვით. იდენტიფიკაციისა და საგნის არჩევის შემდეგ გამოვა ფანჯარა, რომელშიც ჩამოწერილია შერჩეულ საგანზე ქვეთემების მიხედვით პედაგოგის მიერ დაწერილი ეტალონური დავალებები. სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ ეტალონურ დავალებაში შეცვალოს ტრენინგზე გასატანი ტესტების რაოდენობა და ტრენინგის საერთო დრო. ქვეთემის არჩევის წინ მას შეუძლია დაათვალიეროს ამ დავალებაში არსებული ტესტები.

ზემოთ აღწერილი ალგორითმის საფუძველზე შეიქმნა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სწავლების ახალი სიმულატორი FINSIM1. (T.Munjishvili, 2017)

განვიხილოთ FINSIM1.1 სიმულატორით ალტმანის მოდელით საწარმოს ფინანსური მდგრადობის მოდელირება. FINSIM1.1-ში ალტმანის სამი მოდელია წარმოდგენილი. ერთერთი მოდელი სახელით Altman1 შემდეგია/7/:

$$Z = 1.2X_1 + 1.4X_2 + 3.3X_3 + 0.6X_4 + 1.0X_5$$

სადაც:

- X₁- სამუშაო კაპიტალი/ მთლიანი აქტივები
- X₂- გაუნაწილებელი მოგება/მთლიანი აქტივები
- X₃- მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე/მთლიანი აქტივები
- X₄- კაპიტალის საბაზრო ღირებულება/ვალდებულებები
- X₅- გაყიდვები/მთლიანი აქტივები

ფაქტობრივად მოდელში 7 ცვლადია. ცვლადებისთვის სახელების სისტემატიზაციისა შემდეგ (1) ფორმულა მიიღებს სახეს:

$$Z = (1.2 * X_2 + 1.4 * X_3 + 3.3 * X_4 + X_7) / X_1 + 0.6 * X_5 / X_6 \quad (2)$$

სადაც:

- X₁ - მთლიანი აქტივებია;
- X₂ - სამუშაო კაპიტალია;
- X₃ - გაუნაწილებელი მოგებაა;
- X₄ - მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე;
- X₅ - კაპიტალის საბაზრო ღირებულებაა;
- X₆ - ვალდებულებებია;
- X₇ - გაყიდვებია.

Z-ის მნიშვნელობების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ფირმის ფინანსურ მდგომარეობაზე, კერძოდ:

$$\begin{matrix} \text{ფირმა უსაფრთხო ზონაში} \\ \text{ფირმა იმყოფება ნაცრისფერ ზონაში} \\ \text{ფირმას გაკოტრება ემუქრება ორ წელიწადში} \end{matrix} = \begin{cases} Z > 2.99 \\ 1.81 < Z < 2.99 \\ Z < 1.81 \end{cases}$$

სიმულაციას რეალური საწარმოს ფაქტობრივი მონაცემების გამოყენებით ვახორციელებთ.

მონაცემების საფუძველზე ცვლადების მინიმალური, მაქსიმალური, საშუალო მნიშვნელობების პროგრამულად გამოანგარიშების შემდეგ მივიღებთ სადაც გაანგარიშებულია ცვლადების მინიმალური, მაქსიმალური და საშუალო მნიშვნელობები.

FINSIM1.1-ით ალტმანის მოდელით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შესწავლის სიმულაცია შემდეგნაირად ხორციელდება:

1. პროგრამის გამოძახების შემდეგ გამოვა ფანჯარა, რომლითაც შეირჩევა სისტემასთან მუშაობის ენა - ქართული. ენის შერჩევის შემდეგ გამოვა ფანჯარა, რომელშიც სტუდენტის იდენტიფიკაციის, საგნის და თემის ამორჩევის შემდეგ ჩამოიშლება შერჩეულ საგანსა და თემაზე სისტემაში არსებული სიმულატორების სია.
2. ფანჯარაში სიმულატორის დასახელების სტრიქონზე დაწკაპუნების შემდეგ გამოვა შესაბამისი ფანჯარა.

სიმულაციის საფუძველი ალტმანის მოდელია. არგუმენტების (ცვლადების) მნიშვნელობები სტუდენტის მიერ შეიძლება შეიცვალოს. პროცესის მოდელირება ერთი და ორი ცვლადით ხორციელდება, ამიტომ გათვალისწინებულია - ური ცვლადის მითითება და ამ ცვლადით მოდელირება. მოდელირების შედეგი მიიღება დიაგრამისა და ცხრილის სახით, ასახულია ცვლადის მნიშვნელობის ცვლილებაზე Z კოეფიციენტის (ფუნქციის) დამოკიდებულება, ხოლო ცხრილში კი - Z კოეფიციენტის მნიშვნელობათა ცვლილების დამოკიდებულება ორი ცვლადის და ცვლილებისას. დილაკზე „ახსნა“ დაწკაპუნებით გამოვა ფანჯარა სიმულაციის შედეგის ახსნით.

მოდელირება მრავალი ცვლადით

1. მონაცემების საფუძველზე ცვლადების $X_i, i = \overline{1,7}$ გაანგარიშებული მინიმალური, მაქსიმალური და ფაქტობრივი მონაცემები ასახულია მოდელირების საყრდენი გეგმის სახით. მონაცემების არ არსებობისას ცვლადების მინიმალური, მაქსიმალური და საწყისი (პირობითად) საწყისი მონაცემები შეიტანება სტუდენტის მიერ. გამოიანგარიშება Z კოეფიციენტის მნიშვნელობა ცვლადების მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობებისათვის, და $Z_{min} < Z < Z_{max}$ დიაპაზონში გარკვეული ბიჯით (ბიჯის მნიშვნელობას სტუდენტი განსაზღვრავს) ხორციელდება მრავალვარიანტული მოდელირება. მოდელირების შედეგად ჩანს ანუ შერჩეული მნიშვნელობებისაგან ნებისმიერი Z

კოეფიციენტის მნიშვნელობა განისაზღვრება ცვლადების გარკვეული მნიშვნელობით. ეს საშუალებას გვაძლევს მოდელირების ეტაპზე განვსაზღვროთ ალტმანის მოდელის მიხედვით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობა და შემდგომ საწარმოს ფუნქციონირებისას გავაკონტროლოთ და ვმართოთ მათი მნიშვნელობები.

დასკვნები და რეკომენდაციები

ნებისმიერი სიმულატორის და მათ შორის ჩვენს მიერ შემუშავებული სიმულატორის გამოყენება სწავლების პროცესში პანაცეა არ არის. იგი მცირე დროში საკითხის სიღრმისეულად ათვისების ერთერთი საშუალებაა. სიმულატორის გამოყენების ეფექტი მიიღწევა ტრენაჟორისა და სათანადოდ გაფორმებული ელექტრონულ სახელმძღვანელოს გამოყენებასთან ერთად. ელექტრონული სახელმძღვანელოს ქვეშ ვგულისხმობთ ჰიპერტექსტის ტექნოლოგიით გაფორმებულ, დახვეწილ საძიებო სისტემით, გრაფიკითა და ვიდეოთი წარმოდგენილ სახელმძღვანელოს.

ტრენინგის, სიმულაციის განუყოფელი ნაწილია შედეგების განხილვა და ანალიზი - დებრიფინგი. FINSIM1.1-ით პედაგოგის მიერ ჯგუფური დებრიფინგის ჩასატარებლად მიიღება ტრენინგის, სიმულაციის ამსახველი ოქმი.

ცოდნის ათვისების სისტემა TRAINER1 ცოდნის ათვისების ინტელექტუალურ სისტემების კლასს მიეკუთვნება. იგი დისტანციური სწავლების აუცილებელი მდგენელია (Munjishvili & Z.Munjishvili, 2012);

სტუდენტის მიერ დავალების ტრენინგის ინდივიდუალური დავალების შედგენა საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული სტუდენტის შესაძლებლობები და სტუდენტის მიერ გამახვილებულ იქნეს ყურადღება მისთვის საკვანძო საკითხებზე;

მცდარი პასუხის გაცემისას ოპერატიულად რჩევებისა და რეკომენდაციების მიცემა საშუალებას იძლევა მრავალჯერ გამეორებულ იქნეს ამოცანის ამოხსნა, რაც აადვილებს და აჩქარებს საკითხის ათვისების პროცესს;

TRAINER1-ში რეალიზებული თხრობითი წინადადებების სემანტიკური ანალიზატორი საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს ამოცანების ამოხსნის თავისებურები;

TRAINER1-ის ადაპტაცია კონკრეტული საგნისთვის ხორციელდება ამ საგნის ამსახველი ინფორმაციის TRAINER1-ის მონაცემების ბაზაში განთავსებით;

TRAINER1-ის გამოყენების აუცილებელი პირობაა საგნის ამსახველი ინფორმაციის მომზადება, კერძოდ: თემების, ქვეთემების გამოყოფა; ნებისმიერ ქვეთემაში ტიპობრივი ამოცანების ფორმირება; ამოცანის ამოხსნის მეთოდის, ალგორითმის ახსნა. მსგავსი ამოცანების ამოხსნის გამოცდილება. ამოცანის ამოხსნისას დაშვებული ტიპობრივი შეცდომების დახასიათება და მათი გამოსწორების გზების ჩვენება;

TRAINER1 საშუალებას იძლევა ერთიდაიგივე საგნის შესახებ სხვადასხვა პედაგოგის მიერ (მათი ავტორობის დაცვით) წარმოდგენილ იქნეს საგნის ამსახველი ინფორმაცია: ამოცანები, მათი ამოხსნის მეთოდები, საშუალებები და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.bpsimulator.com/ru/business/>
2. А.В. Трухин, АНАЛИЗ СУЩЕСТВУЮЩИХ В РФ ТРЕНАЖЁРНО-ОБУЧАЮЩИХ СИСТЕМ, <http://ido.tsu.ru/files/pub2008/8.pdf>
3. Методы и принципы симуляционного обучения, Свистунов Андрей Алексеевич, http://rosomed.ru/kniga/metodi_i_principi_simulationnogo_obucheniya.pdf
4. qumcro.minsk.edu.by/ru/main.aspx?quid=1761
5. Гипертекстовые тренажеры для обучения по экономическим дисциплинам тема диссертации и автореферата по ВАК 08.00.13, кандидат экономических наук Ельцин, Андрей Владимирович, <http://www.dissercat.com/content/gipertekstovye-trenazhery-dlya-obucheniya-po-ekonomicheskim-distiplinam#ixzz439ULOS43>
6. Рышкевич В. М. Симуляционные формы обучения в практике преподавания экономических дисциплин и повышения квалификации [Текст] // Теория и практика образования в современном мире: материалы III междунар. науч. конф. (г. Санкт-Петербург, май 2013 г.). — СПб.: Реноме, 2013. — С. 162-163. <http://www.moluch.ru/conf/ped/archive/70/3864/>
7. Altman Edward I., Predicting Financial Distress Of Companies: Revisiting The Z-Score And Zeta® Models, July 2000
8. Tea Munjishvili, Zurab Munjishvili, Knowledge demonstration and assessment system “Cyber1”, international Journal “Information Technologies & Knowledge” Volume 8, Number 3, 2014, pp. 271-279.
9. Tea Munjishvili, Zurab Munjishvili, Knowledge demonstration and assessment system “Cyber1”, international Journal “Information Technologies & Knowledge” Volume 8, Number 3, 2014, pp. 271-279.
10. Z.Munjishvili, problem-oriented method of semantic analysis for sentence of natural language. Collection of Knowledge, dialogue, decision, Kiev, Ukraine, “Naukova Dumka”, 1990.
11. Munjishvil T., Munjishvil Z., Nakashidze V. System of knowledge revealing and rating – “Cyber 2”. 9th MIBES ANNUAL INTERNATIONAL CONFERENCE 2014 THESSALONIKI, GREECE, 30/5– 1/6 .CD ISBN# 978-960-93-6161-3. pp. 111-121.
12. Thea Munjishvili, Zurab Munjishvili. “The system of Discovery and Estimation of Knowledge “Cyber2””, Scholars’ Press, Saarbrücken HRB 18918. Published on: 2015-01-15 Number of pages: 108. Book language: English. ISBN-13: 978-3-639-76094-1.
13. Tea Munjishvili, Zurab Munjishvili. The semantic analysis method and algorithms of open tests answers on “Cyber-2” pattern in the Knowledge revival and evaluation systems. 2015 IEEE Seventh International Conference on Intelligent Computing and Information Systems(ICICIS 2015), Volume 3, 12 - 14 December, 2015, Cairo, Egypt pp. 50-55

“FINANCIAL ANALYSIS” TRAINING WITH FINANCIAL SIMULATOR

TEA MUNJISHVILI

Academic Doctor of Economics,

Associated Professor of Ivane Javakishvili Tbilisi State University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.014>

KEYWORDS: KNOWLEDGE ACQUISITION, SIMULATOR, FINANCIAL ANALYSIS, SEMANTIC ANALYSIS, DEBRIEFING

SUMMARY

In the article the existing systems of collection of knowledge are analyzed, need of computer simulators of creation for collection of knowledge in economy is checked, necessary conditions for their functional capabilities and use are defined, the initial computer simulator for the collection of knowledge created by us is figured. In the article the existing systems of training of the financial analysis are analyzed. One of the ways in improving of quality of e-learning of objects

of an economic profile is development and applications during training of simulator. In the article the technology of preparation and training of the financial analysis with use of an assessment bankruptcy of the enterprise by means of the logician - probability and the Z-score of models, the developed author of software package TRAINER1 the exercise machine. The TRAINER1 used for the multiscenario analysis and generalization of results to predict assumptions of possible errors and to create recommendations of their correction.

წარმატებისა და დროის მენეჯმენტის საკითხის შესახებ

თამარ ბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.015>

მედა ჯალიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

დავით ბიბინაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: წარმატება, დრო, დროის მენეჯმენტი

„დროის განკარგვის უნარი ადამიანების სწორ მართვასა და მათზე ზემოქმედების ტექნოლოგიებთან ერთად წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს თქვენს წარმატებას ან წარუმატებლობას“.

უ. ზივერტი

განუწყვეტელი შრომა, დასახული ეფექტური სტრატეგიები - წარმატების ყველაზე მთავარი საიდუმლოა. ადამიანები ისწრაფვიან წარმატებისაკენ, მაგრამ არ ფლობენ მისი მიღწევის ტექნოლოგიებს.

წარმატებული ადამიანებისათვის დამახასიათებელია განსხვავებული ნიშან-თვისებები და უნარ-ჩვევები, მაგრამ ერთი, საერთო დამახასიათებელი მათ მაინც აქვთ: ისინი მიზანმიმართულად და სრულად იყენებენ თავიანთ დროს.

დრო - ადამიანური ყოფნა-ცხოვრების მნიშვნელოვანი საარსებო საშუალებაა. იგი ნამდვილი კაპიტალია. ადამიანმა დრო ისე უნდა შეაფასოს, როგორც ფული და ისწავლოს მისი სწორი ხარჯვა - სასურველი შედეგის მისაღწევად. დროის დაზოგვა ნიშნავს გააზრებულად მის დაგეგმვასა და ოპტიმალურად გამოყენებას. საკუთარი თავის მაქსიმალურად რეალიზებისათვის პირველ რიგში, აუცილებელია, ჩვენსავე თავში მოვიძიოთ ის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებები, რომლებიც დაგვეხმარება სასურველი მიზნის მიღწევაში.

წარმატებულმა ადამიანებმა იციან, რომ ყოველი წუთი ძალიან ღირებულია. უფრო მეტიც, „დრო ფულზე უფრო ღირებულია, რადგან ფულის გამოუმუშავება, სხვადასხვა გზით, ყოველთვის შესაძლებელია, მაგრამ დროის უკან დაბრუნება - შეუძლებელი“/დ. ტრამპი/.

წარმატება, კარიერული წინსვლა მხოლოდ უწყვეტად და ინტენსიურად დროის გამოყენების გზითაა შესაძლებელი. ადამიანის ცხოვრება ძალზე ხანმოკლეა და სულ რამდენიმე ათეული წლისგან შედგება.

სიბრძნე და წარმატება არ არის დამოკიდებული ასაკზე. ადამიანი უნდა ფლობდეს დროის შეგროვების უნარს და თავადვე აკონტროლებდეს მას. საინტერესოა პირადი დროის კაპიტალის ოდენობის განსაზღვრა თითოეული ადამიანისათვის მიმდინარე პერიოდში (სთ-ებში).

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ქალისა და

მამაკაცისათვის საპენსიო ასაკი განისაზღვრება შესაბამისად 60 და 65 წლით.

ვთქვათ, ქალბატონის საპენსიო ასაკს (60 წ.) რომ გამოვავლოთ მისი ამჟამინდელი ასაკი, მივიღებთ რიცხვს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი წელი დარჩა მას პენსიაზე გასვლამდე. შედეგი აღვნიშნოთ სიმბოლურად A -თი, მაშინ

$K_1 = A \times 1728$ (216 სამუშაო დღე - წელიწადში¹ \times 8 სამუშაო სთ - დღეში) = სთ.

თავისუფალი დრო - დარჩენილი საპენსიო ასაკამდე:

$K_2 = A \times 648$ (216 სამუშაო დღე წელიწადში \times 3 სთ - დარჩენილი თავისუფალი დრო სამუშაო დღეებში) = სთ

$K_3 = A \times 1788$ (365-216= 149 დასვენების დღეები წელიწადში \times 12 სთ) = სთ

$K_2 + K_3 = \dots$ სთ

ამ ორი მაჩვენებლის შეჯამებით ვღებულობთ პირადი დროის კაპიტალის გამოსათვლელ ფორმულას.

თუ ჩავთვლით, რომ სამუშაო გრაფიკი მოიცავს 10 სამუშაო საათს, მაშინ 40 წლის ქალბატონისთვის სამუშაო დრო იქნება:

20 წ. \times 216 სამუშაო დღე წელიწადში \times 10 სთ = 43200 სთ.

თუ დავუმატებთ ამ რიცხვს დასვენებისთვის გამოყოფილ დროსაც - 35760 სთ, გამოდის, რომ მას დარჩენილი ჰქონია მაქსიმუმ 80000 სთ საპენსიო ასაკამდე. სწორედ ამიტომ, წარმატების მსურველმა ადამიანმა უნდა აიძულოს საკუთარი თავი და შეძლოს - შინაარსიანად გამოიყენოს ყოველი ფასდაუდებელი წუთი.

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ყოველდღიური დაგეგმვისთვის დახარჯული 10 წუთი ხელს უწყობს სამუშაო დღის 2 საათით დაზოგვას.

დროის დაგეგმვა და სინქრონიზაცია დროის ორგანიზების ის საშუალებებია, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ დროში საკუთარი შესაძლებლობის და უნარების სრული რეალიზებისთვის.

¹ $20 \times 11 + 6 - 10 = 216$

საქართველოში დროის სიმცირეს მტკიცებულად განიცდიან, რაც დაკვირვებისა და გამოკითხვის საფუძველზე დავადგინეთ.

საქართველოს ორგანიზაციების წარმატებულ მმართველებთან (მათი სურვილის თანახმად, ვინაობას არ ვასახელებთ) ჩავატარეთ პირადი დროის მართვის ემპირიული გამოკვლევა. რესპოდენტებს დაურიგდათ ქვემოთ წარმოდგენილი კითხვარი სავარაუდო პასუხებით, რომელთა საფუძველზე შედგა კრებსითი ცხრილი და შეფასდა არსებული მდგომარეობა:

1. განიცდით თუ არა დროის დეფიციტს? - ა) არასდროს; ბ) იშვიათად; გ) ძალიან იშვიათად; დ) ხანდახან; ე) ხშირად; ვ) ყოველთვის.

2. სასწრაფოდ შესასრულებელი საქმეების რა რაოდენობა გაქვთ? - ა) დღიურად ერთი-ორი; ბ) კვირაში ერთი; გ) კვირაში რამდენიმე; დ) თვეში რამდენიმე.

3. გეგმავთ თუ არა სამუშაო დღეს? - ა) არასდროს; ბ) იშვიათად; გ) ყოველთვის; დ) ხშირად.

4. იცვლება თუ არა თქვენი გეგმა დღის განმავლობაში? - ა) არასდროს; ბ) იშვიათად; გ) ყოველთვის; დ) ხშირად.

5. ანალიზებთ თუ არა ყოველდღიურად გეგმის შესრულებას? - ა) კი; ბ) არა.

6. დღის გეგმის შედგენისას ითვალისწინებთ თუ არა თქვენი პროდუქტიულობის რიტმს? - ა) კი; ბ) არა.

7. საქმეს სპონტანურად იწყებთ თუ წინასწარ დაგეგმილი გაქვთ? - ა) სპონტანურად; ბ) წინასწარ მოფიქრებულად.

8. ხშირად ასრულებთ სხვის სამუშაოს? - ა) არასდროს; ბ) იშვიათად; გ) ყოველთვის; დ) ხშირად.

9. დღის განმავლობაში როგორ ისვენებთ? - ა) ყოველ 0,5 საათში - 3-5 წუთი; ბ) ყოველ საათში - 10 წუთი; გ) ყოველ 2-3 საათში - 20-30 წუთი; დ) ვისვენებ დღეში ერთხელ 0,5 საათიდან 1 საათამდე.

10. შეუძლოდ ყოფნისას - სამუშაო დღის გეგმას ასრულებთ თუ შეუსრულებელს ტოვებთ? - ა) მივატოვებ სამუშაოს; ბ) დავასრულებ დღის გეგმას.

მიღებული შედეგებიდან ირკვევა, რომ დროის დეფიციტი ყოველთვის აქვს გამოკითხულთა 80%-ს, ხოლო არასდროს - 20%-ს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელთ გააზრებული აქვთ დროის ფასი და დეფიციტს არ განიცდიან სამუშაო დღის სწორად დაგეგმვით. რესპოდენტთა 90%-ს დღეში ერთი-ორი სასწრაფოდ შესასრულებელი საქმე გააჩნია. ძნელია ამ პასუხებს დავეთანხმობთ, მაგრამ კვლევამ აღნიშნული შედეგი მოგვცა.

როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა მხოლოდ 20% მოქმედებს დაგეგმილი გრაფიკით. სწორედ ამიტომ მათ არ აქვთ დროის დეფიციტი. რესპოდენტთა 20%-ს ხშირად ეცვლება, 20%-ს იშვიათად ეცვლება და 60%

კი არასდროს ეცვლება დაგეგმილი სამუშაო გრაფიკი.

ჩვენი რესპოდენტების 80% ანალიზებს დღის შესასრულებელ გეგმას, 70% საქმეს იწყებს წინასწარ მოფიქრებული გეგმით, 30% კი სპონტანურად. შეუძლოდ ყოფნის მიუხედავად, გამოკითხულთა 60% მაინც შეასრულებს დაგეგმილ სამუშაოს.

ქართველების ფსიქოლოგიური ტიპაჟიდან გამომდინარე გვეჩვენა მოლოდინი, რომ გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობა (90%) შეუძლოდ და უხასიათოდ ყოფნის შემთხვევაში მეორე დღისთვის გადაიტანდა საქმის დასრულებას.

კითხვაზე - „რა იწვევს თქვენი დღის გეგმის შეცვლას?“ - გამოკითხულთა მხოლოდ 40%-მა უპასუხა, რომ ეს ხდება ადმინისტრაციული მიზეზით, 60%-მა პასუხისგან თავი შეიკავა. სწორედ ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენს მიერ შერჩეულ მენეჯერთა უმრავლესობას დროის სამუშაო რესურსი პრიორიტეტული საქმეების მიხედვით არ აქვთ განაწილებული, ამიტომ დღის განაწესის შეცვლა არაფრად მიაჩნიათ.

კითხვაზე - „როგორ ისვენებთ სამუშაო დღის განმავლობაში?“ - რესპოდენტთა 40% გვიპასუხა, რომ ყოველ საათში დასვენებისთვის გამოყოფილი აქვს 10 წუთი, 20%-ს 0,5 საათში 5 წუთი, 30%-ს 3 საათში 30 წუთი, 10%-ს კი დღეში ერთხელ 1 საათი.

დასვენება 8 საათიან სამუშაო დღეში არ უნდა აღემატებოდეს 1 საათს. ეს ნორმატივია. კვლევიდან ჩანს, რომ 40% ყოველ საათში 10 წუთს ისვენებს, მათ დასვენება გამოსდით $8 \times 10 = 80$ წუთი, ანუ 1,2 საათი.

გამოკითხულთა 80% ხშირად ასრულებს სხვის სამუშაოს და მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა გვიპასუხა, რომ ის არ ასრულებს სხვის სამუშაოს და არც თავის საქმეს ანდობს სხვას. პროდუქტიულობას რესპოდენტთა მხოლოდ 20% ითვალისწინებს, ხოლო 80% - არა.

ამრიგად, განხილული კომპანიების სხვადასხვა დონის (ზედა, საშუალო, ქვედა) მენეჯერების გამოკითხვით ნათელი გახდა, რომ ისინი, ძირითადად, ყოველდღიური გეგმით არ საქმიანობენ და საქმეებიც არ აქვთ პრიორიტეტებად დალაგებული, ამიტომ მათ 80%-ს მუდმივად გააჩნია დროის დეფიციტი. მათ არ აქვთ შემუშავებული დროის რაციონალური გამოყენების მექანიზმი, შესაბამისად, აუცილებელია გაცნობიერონ, რომ დროის ეფექტურად განაწილება, პრიორიტეტების დასახვა, უსარგებლოდ დროის კარგვის შეზღუდვა, დასახული ამოცანების შესრულების მარტივი გზების მოძიება წარმატებული საქმიანობისა და კარიერული წინსვლის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეზაია ბ., დროის მენეჯმენტი, 2014, ელექტრო ვერსია.
2. იობაშვილი თ., თაიმ-მენეჯმენტი ანუ დროის მართვა, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2012.
3. მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის, სინერჯი ჯგუფი, ნაწ. IV, 2012.
4. ხომერიკი თ., ეფექტიანი კორპორაციული დროის მენეჯმენტი – ბიზნესის წარმატების წინაპირობა, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, ივნისი, 2011.
5. ჰერბერტ ნ. კესონი., „ბიზნესის წარმატების წესი: მოაწესრიგე შენი დრო“.
6. ზიგ ზიგლერი., Born to Win! Find Your Success Code. <http://kaizenist.com/?p=2528>
7. Архангельский Г., Лукашенко М. и др. Тайм-менеджмент, М., 2014.
8. Мрочковский Н., Толкачев А. Экстремальный тайм-менеджмент, М., 2012.
9. Raymond Le Blanc, Time Management Tips, Tools & Techniques: Learn the most important time management skills for personal life and career success, 2012.
10. <https://blh.com.ge>
11. <http://psyfactor.org/lib/self-management-4.html>

ON THE ISSUE OF SUCCESS AND TIME MANAGEMENT

TAMAR BERIDZE

Professor of Georgian Technical University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.015>

MEDEA CHELIDZE

Professor of Georgian Technical University, Georgia

DAVIT BIBICHADZE

Professor of Georgian Technical University, Georgia

KEYWORDS: SUCCESS, TIME, TIME MANAGEMENT

SUMMARY

Time management and synchronization are the ways of time-organizing which we should use for complete realization of our possibilities and skills. According to managers of different levels (upper, middle, low), it is obvious that they don't work with using daily plans and don't arrange their

affairs in priorities, that's why most of them have time-deficit and don't have rational mechanism of time-usage. Accordingly, it's necessary to know that time-management, setting priorities, limiting useless time-losing and finding simple ways for doing aimed tasks are the guarantee of successful work and career development.

შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა და გლობალიზაციის კულტურული პარადიგმები

რამაზ (ისაკო) მეფარიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,
ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.016>

საკვანძო სიტყვები: დასავლური, აღმოსავლური, კულტურა, ცოდნა

შოთა რუსთაველის მხატვრული აზროვნება იძლევა იმის საშუალებას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ კულტურული პარადიგმები გლობალიზაციაში ვეძებოთ. პოეტი თავისუფალი პიროვნება იყო ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით. იგი ეტრფოდა თავის სამშობლოს, „ვეფხისტყაოსანს“.

ცოდნა სამყაროს მთლიანი გააზრებაა, რაც მრავლისმომცველობით საცნაურდება. მრავლისმომცველობა იმითაა საინტერესო, რომ მასში შეიძლება მოცემული იყოს ბევრი და არა ერთი აზრი. ბევრისთვის კლასიკა ხელის შემშლელია. ამის გარეშე კი წარმოუდგენელია განათლებასთან მიახლება. დღევანდლობის უპირველეს-თაგანი ვალაია, განათლების შინაარსი აიგოს, როგორც ერთიანი ევროინტეგრირებული სისტემა, სადაც არ იქნება გამორჩენილი არცერთი არსებითი რამ.

წარსული — დღევანდლობა — მომავალი ჩვენშივე თანაარსებობენ. წარსულს არ ვირჩევთ, რაც გვერგო ისაა ჩვენი წარსული. მაგრამ წარსულიდან იმის ამორჩევა უნდა შეგვეძლოს, რაც ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია. ასეთი ბევრი რამ შეიძლება იყოს ან არც იყოს. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველებს მარადთანხლები კულტურაა, სადაც მშვენიერი და ამაღლებული სახეებითაა მოაზრებული მსოფლიოს კულტურული სივრცე და ის მთავარი ნიშანსვეტი, რაც სამყაროში არსებულ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს აერთიანებს.

ადამიანთა მრავალგვარობა რუსთაველის დიდი საფიქრელია. დროთა განმავლობაში იცვლებოდა, იცვლება და შეიცვლება ადამიანი. ადამიანი მუდამ ძიებაშია. ამან გამოიწვია აზროვნების ესთეტიზაცია. ასეთ აზროვნებას მივყავართ მსოფლიო კულტურასთან. ამიტომაც რელიგიური, პოლიტიკური, ეთიკური, ფილოსოფიური იდეები საბოლოოდ ქმნიან კულტურულ მთლიანობას, კულტურულ თანა-არსებობას. ამის ნათელი მაგალითია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. რევან სირაძე წერს: „რაც რელიგიურად და ფილოსოფიურად შეუწყნარებელი იყო, ესთეტიკურად მისაღები გახდა. რამდენი სიბრძნეა პოემაში, რაოდენ გაფართოებულია გონებრივი ინტერესები და გადალახულია რელიგიური შეზღუდულობანი. ადამიანი უპირველესად ზოგადადამიანური თვისებებით ფასდება და არა ეროვნებითა და სარწმუნოებით. აზროვნების ესთეტიზაციამ შეცვალა წარმოდგენა რელიგიაზე. იმასაც კი ვფიქრობთ, ხომ არ მისწრაფვოდა რუსთაველი მსოფლიო რელიგიის იდეისკენ? მსოფლიო რელიგიის, რომელიც დადგებოდა ყველა ცალკეულ რელიგიაზე მაღლა“ (რ. სირაძე, სახისმეტყველება, 207, 1982). რომელი იქნებოდა ეს რელიგია? ქრისტიანობა,

ბუდიზმი, ისლამი? ამ კითხვაზე პასუხს ყველა რელიგიის მიმდევარი იპოვის, მათი საკუთარი „მე“ „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის მიერ დაცულია.

„ვეფხისტყაოსანში“ კულტურული პარადიგმები მსოფლიოს მთლიანობასთან მიმართებაში არაერთგზის ვლინდება. აქ მოცემულია ანტიკური, დასავლური, აღმოსავლური კულტურათა შერწყმა. მაგრამ ეს არახელოვნურადაა გაკეთებული, არამედ ისეა ერთმანეთში აღრეული, გამოლიანებული, ძნელი მისახვედრია, სადაა მოცემული დასავლური, თუ აღმოსავლური რეალიები. მაგალითისათვის შევხვით ერთ მათგანს.

შოთა რუსთაველი წერს: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“ (პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, IV. 19, 2016). ამ სტრიქონებში მთავარი მხატვრული სახე ღმერთის „ერთადერთობაა“, ანუ „ღმერთი ერთია“. პოემაში 193-ჯერ არის სულ ღმერთი მოხსენიებული, მაგრამ არც ერთხელაა სამობით (მამა, ძე, სულიწმიდა) მოხმობილი. ეს იყო უმთავრესი ბრალდება, რამაც გამოიწვია „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის ესოდენ დევნა. სანამ ამ საკითხს დაუბრუნდებით, კარგი იქნება ცოტა რამ თავად პოეტზე ვთქვათ, რაც ერთგვარი გზამკვლევი იქნება ზემორე საკითხის განხილვისათვის.

პავლე ინგოროყვას აზრით, შოთა ჰერეთის რუსთავის მკვიდრი იყო. ამის მამტიციებელ საბუთად მას მოჰყავს სამცხე-საათაბაგოს მფლობელ გვართა XII-XIII საუკუნეების ნუსხა, სადაც რუსთაველის გვარი არსად არ არის ნახსენები. სამაგიეროდ გვხვდება ჰერეთის წერილობით ძეგლებში. აქედან გამომდინარე პოეტი ჰერეთის რუსთავიდანაა. მესხეთში რუსთავი, როგორც დასახლებული პუნქტი არ არსებობდა. ამ პერიოდში მხოლოდ ჰერეთში არსებობდა რუსთავი.

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ (პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, IV, 307, 2016). იმას კი არ ნიშნავს, რომ პოეტი მესხეთის რუსთავიდანაა, არამედ იმას ვწერ რუსთაველის მსგავსად, რუსთველისებურად. გამოდის რომ ამ სტრიქონების ავტორი ინტერპოლატორია. სად ჩანს აქ რუსთაველის მესხობა?! ამიტომ XX საუკუნე პოეტის ვინაობას მცდარად წარმო-სახავდა.

სულ ახლახან დასრულდა დავით გალგეაშვილის თაოსნობით და როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით პავლე ინგოროყვას ოთხტომეულის გამოცემა. ეს კი საშუალებას გვაძლევს კომუნისტების დროს აკრძალული შრომების სრულმასშტაბიან გაცნობისას, რაც თავდაყირა აყენებს მთელ

რიგ რუსთაველოლოგიურ შრომებს. პატივდებული მეცნიერის გამოკვლევებით, რაც მეტად სარწმუნოა, შოთა ჰერეთის რუსთაველიანაა და ჰერეთის ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელია, რომელსაც ცოტნე დადიანთან ერთად მონაწილეობა მიუღია კოხტასთავის ცნობილ შეთქმულებაში. რატომ დაგვჭირდა ამ ბიოგრაფიული შტრიხების მოხმობა? „ერთარსებასთან“ დაკავშირებით? ადამიანის მომავალ ხედვას მეტწილად მისი ვინაობა განსაზღვრავს. ვინაობა კი მის მსოფლმხედველობას. იქნებ, „ვეფხისტყაოსნის“ დევნა სწორედ ამ გარემოებებმა განსაზღვრეს.

ქართული განათლების შემაერთებელი ორი გზა იყო: დასავლეთი — პროკოფის მარტივობა, „უფალთა წიგნი“.

აღმოსავლეთი — ეპიკური წიგნი ფერიდენიდან — შაჰნამედე, ქილილა და დამანა. ამ გზებმა მიიყვანა რუსთაველი რწმენამდე, რომ სიბრძნედ აყვანილი რწმენა კაცობრიობის მთლიანობის საფუძველია.

დავუბრუნდეთ „ერთს“. „ვეფხისტყაოსანი“ უწინარეს მხატვრული ნაწარმოებია და ამიტომაც მრავალი განსახილველი აზრია მასში. დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება რუსთაველთან შეუძლებელია და ამას არც ითვალისწინებს ხელოვნების ნიმუში, რადგან ლიტერატურა არ სვამს წერტილს, ყველგან მრავალწერტილია. ერთი რამის თქმა კი ცხადად შეიძლება, რომ რუსთაველამდე ოთხი საუკუნით ადრე მონოფიზიტობა დაძლეულია. რუსთაველის დროინდელი პოეტები ყველა უკლებლივ ხაზგასმით აღნიშნავს სამების ჰიპოსტაზს. ამასვე ველოდით რუსთაველისგანაც, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი ჩანს პოემაში. რით უნდა აიხსნას ეს? ვფიქრობთ, ანტიკური, დასავლური, აღმოსავლური აზროვნების შერწყმამ პოეტს ამის საშუალება არ მისცა. ის კონკრეტულად არ ეყრდნობა რომელიმე სამყაროს ცივილიზაციის მონაპოვარს, რადგან მრავალ ცივილიზაციათა კონტექსტში ხედავს სამყაროს მარადიულობას. ამიტომაცაა, რომ „ერთში“ გააერთიანა ყოველი, რათა ნებისმიერმა ადამიანმა მასში იპოვოს თავისთავადობა და თვითმყოფადობა. ასეთი რამ გენიალურ ადამიანს შეუძლია. ესაა მსოფლიო კულტურის შექმნის ცდა, სადაც ყველა ერთი ინარჩუნებს თავის ღირებულებებს და ამავდროულად მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილიცაა. ალბათ, ასთმა აზროვნებამ გარკვეული კვალი დაამჩნია ჩვენს ხასიათს. კერძოდ, ჰუმანურობასა და ელასტიურ ბუნებას. იქნებ, ესაა მიზეზი უცხო ეროვნების შვილთა ესოდენი მომრავლებისა. ქართულ აგიოგრაფიაში უცხო ტომის შვილია წმინდა შუშანიკი, წმინდა ევსტათი, წმინდა აბო... მხატვრული გამონაგონის ნაყოფია არაბი ავთანდილი, მეტად საინტერესოა რუსთაველთან არაბის გაიდილება. ეს მაშინ, როცა არაბობა სპობდა და ანადგურებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას. ეს სხვა საკითხია. მთავარია, რამ გამოიწვია უცხო ტომთა ესოდენი მომრავლება?! აქ მთავარი რამ ქართველთა მენტალობაშია. ეს ჩანს „ვეფხისტყაოსანში“.

ავთანდილი, ტარიელი, ფრიდონი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებია (მხატვრული გაგებით), მაგრამ სამივე ერთად ქმნის დიდ კულტურულ მთლიანობათა სისტემას. ეს სხვადასხვა კულტურა ერთიანი სამყარო შეგრძნებაა, რასაც თითოეული მათგანის ღირებულებები აერთიანებს. ადამიანმა

ადამიანობა უნდა შეიგრძნოს არა დაპირისპირებებში, არამედ ჰარმონიაში. მთავარია სურვილი. სურვილი ცოტას არ ნიშნავს. ამას შოთა რუსთაველი ხაზგასმით აღნიშნავს. „ავთანდილს კლავდა სურვილი, სურვილი სიყვარულისა“. ვერ სურვილი ჩნდება და მერე ყველაფერი ამ სამყაროში.

„ვეფხისტყაოსანში“ არაა შეზღუდული დრო-სივრცე, საზღვრები. ადამიანები თავისუფლად გადაადგილდებიან. მათი გეოგრაფიული რუკა მოიცავს: არაბეთს, ინდოეთს, ხატაეთს (ჩინეთი), ხვარაზმს და ა.შ. ეს მთელი კულტურული სივრცეა. არავის არ მოსდის აზრად ვინმესთან დაბრკოლება შექმნას. პირიქით, სიხარულით ეგებებიან ერთმანეთს. ეს მაშინ, როცა დღეს საკუთარ სამშობლოში სოხუმსა და ცხინვალში ვერ გადაადგილდებულხარ! არაფერს ვამბობ სხვა ქვეყნებზე. ეს მტკივნეული საკითხია. როგორც ჩანს, „კულტურულ მსოფლიოში“ მთლად კულტურულები ვერ ვართ. რა არის ამის მიზეზი? სენტეციებს ჯობია რუსთაველს მოუსმინოთ: სევდის ვერ შეგრძნება, სულიერების ნაკლოვანება, ხასიათების შესუსტება, გულგრილობა, დაუმსახურებელი ქება, უნიჭოთა აღზევება, სისხლისღვრის გამართლება, უსამართლობა, საჭურჭლის არ გაცემა, მოყვრობა-მეგობრობის მოშლა...

მთელი ჩვენი ისტორია, დღევანდელი დასავლურ-აღმოსავლური ღირებულებათა შეზავებაა. რუსთაველს არ ეშინოდა, არც აღმოსავლეთის და არც დასავლეთის. იცოდა, დასავლეთი სილამაზის პლასტიკურ გამოვლენაში ვლინდებოდა და აღმოსავლეთი — მისტიკაში, იცოდა „ყურანი“ მხატვრობას კრძალავდა, ბიზანტიური საგალობლები რომ ერთხმინი იყო. მაგრამ წარმართული საქართველოს დიდებად მიაჩნდა VII საუკუნიდან საგალობლებში მრავალხმიანობას დამკვიდრება. იცოდა ბიბლიაზე აღზრდილი ქართველები ფირდოუსის „შაჰნამეს“, გურგენის „ვისრამიანსაც“ თარგმნიდნენ და ეცნობოდნენ. ამგვარი შერწყმა ქართულ კულტურულ არეალს დიდად ამაღლებდა, მაგრამ ქრისტიანობის მიღებით, დამკვიდრებით დასავლურ კულტურულ ჯგუფისკენ გადაიხარა.

რუსთაველთან თავის თავში ყოფნა იცვლება პიროვნებით. ყველაფერი, რაშიც „მე ადამიანი“ ვლინდება უნდა პიროვნებად ქცევას ესწრაფოდეს. ადამიანი ყველაა, მაგრამ ყველა არაა პიროვნება. ას, ათას კაცში შეიძლება ერთი იყოს ან არც იყოს პიროვნება. პოეტის იდეალი პიროვნებაა.

პიროვნებად ყოფნობას განათლება, ცოდნა სჭირდება. მხოლოდ ამით მიიღწევა სიახლე. პიროვნება სიახლის მატარებელია. ამიტომაც ყოველთვის მტრობდნენ და დღესაც მტრობენ მას. ასეთ დროს ხსნა მსოფლიო კულტურათა პარადიგმებშია, სადაც ყველა ეროვნების წარმომადგენელს თავისი ფერი შეაქვს სამყაროში. ეს ერთობლიობა ქმნის კულტუროლოგიის საფუძველს: წარმოუდგენელია ჰომეროსის, სერვანტესის, შექსპირის, რუსთაველის, დოსტოევსკის, მოცარტის, ბახის, ბეთჰოვენის გარეშე კაცობრიობა. რამდენი სიახლე მისცეს მათ ქვეყნიერებას. გაუჩნდება კი ვინმეს აზრი, რომ შექსპირი მხოლოდ ინგლისის კუთვნილებაა? არა!. მაგრამ ინგლისელს რომ უთხრა: შექსპირი ეროვნებით არ არის ინგლისელი?! დიდ დავიდარაბაში ჩავარდები. დიას,

შექსპირი ინგლისელია და ინგლისელი არასოდეს დათმობს მას, მაგრამ ამავდროულად შექსპირი კაცობრიობის მსოფლიოს კუთვნილებს.

ხელოვნება ამაღლებული და მშვენიერი სულის მსახურებაა. სული ღვთაებრივია ადამიანში. მისი მსახურება კი ღმერთთან ახლოს დგომაა. შოთა რუსთაველი ახლოს მივიდა უფალთან, რადგან მისი „ერთი“ მოცემულია მსოფლიო კულტურათა გადასახედიდან.

ცხოვრება გულთან ბრძოლაა, ასეთივეა „ვეფხისტყაოსანი“. ტარიელის ვეფხთან შერკინება საკუთარ გულთან ბრძოლაა. ვეფხის მოკვლით ტარიელი თავის გულს ამარცხებს. მაგრამ თავად მარცხდება საკუთარ გულთან პირისპირ დგომაში. ნანა გონჯილაშვილის დაკვირვებით: „მისი გოლიათი გული, ლბილ გულად იქცევა, მხოლოდ „სევდის მუფარეხი“ ავთანდილი ტარიელის „უგულო გულს“ ამქვეყნიურობისკენ მოაქცევს“ (ნ. გონჯილაშვილი „სიტყვა ხატადქმნილი“, 191, 2016).

საკუთარ გულთან დარჩენილი ტარიელი ვერაფერს გახდებოდა, მის გვერდით ავთანდილი რომ არ აღმოჩენილიყო. ორმა გულმა, რომელებსაც შემდგომ სხვათა გულეზი მიემატა, სევდა, დაკარგული გული გაამთლიანა. ამ ეპიზოდით (ტარიელის მიერ ლომ-ვეფხვთა დახოცვის ამბავი),

რომელიც საკმაოდ მაღალმხატვრული სახეა, ხომ არ გვეუბნება რუსთაველი, რომ მრავალ კულტურათა ერთობლობაში წინააღმდეგობა დაიძლევა? შეიძლება ვინმემ თქვას, აქ ხომ ორ მეგობარზეა საუბარი. მაგრამ ნუ გვავიწყდება ეს, ორი მეგობარი სხვადასხვა ქვეყნების, კულტურის შვილებია. მეგობრობას არ აქვს საზღვრები. დიახ, არ აქვს. ჩვენც ამას ვამბობთ. არ არსებობს სულს, სიყვარულს, მშვენიერებას, ცოდნას, კულტურას, სიბრძნეს, სიკეთეს საზღვრები ჰქონდეს. ეს ღირსებები ყველას კუთვნილებს. მსოფლიოს კუთვნილებს. სხვანაირად კაცობრიობას გაუჭირდება... გაუჭირდება საქართველოს... გაუჭირდება მსოფლიოს...

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველს კულტურა ქმნის. ეს ნიშნავს კულტურული ცხოვრების მრავალწახნაგობას. ქართველ მეფეთა ტიტულატურაში: მეფე აფხაზთა, კახთა, რანთა, სომეხთა, შირვანთა... საქართველო მხოლოდ საქართველოდ არ იწოდებოდა. ის ყველას სამშობლო იყო. გასაგებია, რომ ეს იდეოლოგიური მოსაზრებით კეთდებოდა. მაგრამ არ დაგვავიწყდეს იდეოლოგიურ ერთობას ტიტულატურაში დასახელებულ ქვეყანათა კულტურა ქმნიდა. ასეთი იდეოლოგია იყო შოთა რუსთაველის აზროვნების საფუძველი, რომ კულტურულ პარადიგმებშია მსოფლიო კულტუროლოგიის საფუძველთა-საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გონჯილაშვილი ნ. (2016), სიტყვა ხატადქმნილი, თბილისი.
2. ინგოროყვა პ. (2-016), რუსთაველოლოგიური თხზულებანი, ტ. IV, თბილისი.
3. რ. სირაძე, (1987), ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბილისი.
4. რ. სირაძე, სახისმეტყველება (1982), თბილისი.

SHOTA RUSTAVELI'S IDEOLOGY AND CULTURAL PARADIGMS OF GLOBALIZATION

RAMAZ (ISAC) MEPARISHVILI

Doctor of Philology, Professor Of European University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.016>

KEYWORDS: WESTERN, EASTERN, PERSONALITY, CULTURE, KNOWLEDGE

SUMMARY

According to the poem by Shota Rustaveli the human is the basic idea, a human has changed, changes and will change for different period of time. A human is always in search of something, this has caused aesthetics of thinking, this thinking leads us to world culture. That is why religious, political, ethical, philosophical ideas ultimately form the

cultural integrity. Such a clear example is Shota Rustaveli's poem "The Knight in the Panther's Skin".

The core of the "Knight in the Panther's Skin" is a culture in which the diversity of cultural life is revealed. The concept of the poet's thinking comes from the cultural paradigm that underlies the world culture.

გენდერული საკითხები და ისრაელის არმიის თავისებურებები

ელენა გრატიაშვილი

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.017>

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: გენდერი, გენდერული ჩარჩოები, ქალთა მარბინალიზაცია, „სუსტი სქესი“

ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ჩართულობა და გენდერული თანასწორობის პრინციპების რეალიზება. ქალის როლის ამოღობა საზოგადოებაში არსებითად განაპირობებს ქალისა და მამაკაცის თანაბარ შესაძლებლობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას. სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებში ქალთა და მამაკაცთა სრულფასოვანი მონაწილეობისთვის აუცილებელია მათ თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი სოციალურ და ეკონომიკურ რესურსებზე, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ბოლო დროს „გენდერი“ მნიშვნელოვანი ტერმინი გახდა სამხედრო წრეებშიც. ბევრ ქვეყანაში ვადაცნობიერებს, რომ სამხედროებს უფრო ეფექტურად შეუძლიათ მისიის მიზნების მიღწევა სხვადასხვა სქესის პერსონალით დაკომპლექტებული შერეული კონტიგენტის მეშვეობით. ამიტომაც, შეიარაღებული ძალები ცდილობენ, რომ პირადი შემადგენლობა უფრო მეტი ქალით დააკომპლექტონ, შეინარჩუნონ ისინი თავიანთ რიგებში და მისცენ მათ კარიერული ზრდის საშუალება, თუმცა მიუხედავად მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებით ქალთათვის მინიჭებული უფლებებისა, სამხედრო სფეროში, დღესდღეობით მაინც არსებობს ბარიერები, რაც ხელს უშლის ქალებს კარიერულ წინსვლაში. ისრაელი არის ქვეყანა, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული სამხედრო სტრუქტურით, სწორედ ამიტომ, გადაწყვეტიტე გავცნობოდი სამხედრო სფეროში არსებულ სიტუაციას.

ისრაელის არმია ანუ, ისრაელის თავდაცვის ძალები – „ცაპალი“ 1948 წლის 26 მაისიდან ფუნქციონირებს. ისრაელი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც სამხედრო არმიის ფორმირების განსაკუთრებული წესი აქვს. ამ ქვეყანაში სავალდებულო სამხედრო სამსახური ეხება როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს. მათი სამხედრო სამსახურის ვადაც განსაზღვრულია – მამაკაცები მსახურობენ 36 თვის განმავლობაში, ხოლო ქალები 20 თვე. განსხვავებულია სამხედრო ოფიცრების მსახურების ვადა. სამხედრო ოფიცრებს გახანგრძლივებული პერიოდით მსახურება უწევთ. [Solomon Z, Ginzburg K, 2009] არც ერთ ქვეყანაში მსგავსი პრეცედენტი არ არსებობს. სკოლის დამთავრების შემდეგ, 18 წლის ასაკიდან, ყველა ახალგაზრდისთვის აუცილებელია სამხედრო არმიაში სამსახური, აუცილებლად უნდა ემსახუროს ის საკუთარ ქვეყანას. ქვეყანაში მდებარეობითმა სქესმა, გარდა დედისა და ოჯახის დიასახლისობისა, შეიძინა კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც სამშობლოს დაცვას ითვალისწინებს. ასეთ ვითარებაში რა თქმა უნდა უდიდესი როლი იდეოლოგიასაც აქვს. მათი

იდეოლოგიის მიხედვით ისრაელი ღვთის რჩეული ქვეყანაა. ის აუცილებლად უნდა გადარჩეს, ამიტომ საჭიროა მისი დაცვა. ქალებს, ისევე როგორც მამაკაცებს, კარგად აქვთ გააზრებული საკუთარი მოვალეობები ქვეყნის წინაშე. აქედან გამომდინარე მაღალია თვითგადარჩენისა და თავდაცვის ინსტიქტი, რაც თავის მხრივ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას უზრუნველყოფს.

ისრაელის სამხედრო არმიას, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ქვედანაყოფები აქვს. ქალები მსახურობენ საარტილერიო ჯარებში, სასაზღვრო სამსახურში. არმიას ყავს ჯარისკაცთა ქვეითი ნაწილები, მაგალითად, „ბატალიონი კარაკალ“, სადაც მამაკაცები და ქალები ერთად მსახურობენ. თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბში კი ფუნქციონირებს ქალთა საქმეების მრჩეველის სამმართველო, რომელიც „ცახალის“ შემადგენლობაში ქალი სამხედრო მოსამსახურეების სხვადასხვა შესაძლებლობებზე მუშაობს.

ქალების არმიაში სამსახური გენდერული თანასწორობის გამოვლინებად ითვლება. მაგალითად, ისრაელის სახელმწიფოს ერთ-ერთი დამაარსებელი დავიდ ბენ-გურიონი ამბობდა: „არმიაში სამსახური სამოქალაქო ვალის მოხდის უმაღლესი სიმბოლოა და ვიდრე მამაკაცები და ქალები არ არიან ამ საპატიო ვალდებულების შესრულებაში თანაბარი, არ შეიძლება მათ თანასწორუფლებიანობაზე ლაპარაკი“. აქედან გამომდინარე, ისრაელელ გოგონათა სამხედრო სამსახურში ყოფნა, ებრაული სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ჟურნალის „ბამახანე“ მონაცემით, ამჟამად „ცახალის“ პირადი შემადგენლობის 35 პროცენტი ქალები არიან. სამხედრო სპეციალობის 80 პროცენტი, მათ შორის საბრძოლო, ღიაა ქალებისთვის. ქალების რაოდენობა დიდია ოფიცერთა კორპუსშიც. ისრაელის არმიის ოფიცერთა 26 პროცენტი ქალია [https://www.facebook.com/IsraeliHouseTbilisi/photos/a.352226934915638.1073741829.352203454917986/442124872592510].

მკვლევარების, ამირისა და სოულის მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა უმაღლესი სასწავლებლების დამამთავრებელ კურსის სტუდენტებზე. კვლევის მიხედვით, სტუდენტების 20 % არის ოფიცერი, მაშინ როცა მთლიანად საზოგადოებაში ეს მაჩვენებელი უდრის 10%-ს. [Amir M, Sol O, 1999.] სავალდებულო სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ, მამაკაცები და დაუქორწინებელი ქალები რეზერვში მსახურობას განაგრძობენ. მსახურების ასაკიც განსაზღვრულია, მამაკაცები 45 წლამდე,

ხოლო ქალბატონები 30 წლამდე. ისრაელის მოქალაქე ქალბატონები, დამოუკიდებლობისათვის ომის დროს მონაწილეობას უშუალოდ საბრძოლო პროცესებშიც იღებდნენ, მაგრამ შემდგომ, 1952 წელს მიღებული სამხედრო სამსახურის კანონის თანახმად, ისინი გათავისუფლდნენ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობისაგან. მას შემდეგ მათი მსახურების ძირითადი სფერო საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ სამსახურები გახდა [Midan A. 2010]. 2000 წელს, კანონში სამხედრო სამსახურის შესახებ, კვლავ იქნა შეტანილი ცვლილებები. ცვლილებების თანახმად ისრაელის თავდაცვის ძალების პოზიციების 90% კვლავ ხელმისაწვდომი გახდა ქალებისათვის. დღესდღეობით, შესაფერის ფორმაში მყოფი ქალების 54% მსახურობს ისრაელის თავდაცვის ძალებში, 34% გათავისუფლებულია რელიგიის თანახმად. ხოლო ქალები, რომლებიც არიან დაქორწინებული და ყავთ შვილები, საერთოდ გათავისუფლებულნი არიან სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან. არმიის იმ ქვედანაყოფებში, სადაც ქალთა პროცესტული რაოდენობა მაღალია, ქალების 4% საბრძოლო ფუნქციასაც ასრულებს. როგორცაა მაგალითად, მსუბუქ ქვეითთა ქვედანაყოფი, რომელშიც მოსამსახურეთა რაოდენობის 65% ქალია. [Kalfi-Amir G, 2008].

ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან სამხედრო არმიის ქალების მონაწილეობა შესაძლებელი გახდა. ამას ხელი შეუწყო თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმად ისრაელის ყველა მოქალაქე სამხედრო სამსახურში გაწვეული უნდა ყოფილიყო განურჩევლად სქესისა. ქალებისა და მამაკაცების ერთობლივად გაწვევის გადაწყვეტილება ძირითადად განპირობებული იყო ორი ფაქტორით: ჯერ ერთი, სქესობრივი თანასწორობა იყო ქვეყნის ეთოსის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. [Nitza Berkowitch, 1997]. გენდერული თანასწორობის იდეის ოფიციალური ვალდებულება ასახული იყო ისრაელის სახელმწიფოს დეკლარაციაშიც, რის მიხედვითაც ისრაელის სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო ყველა მოქალაქის სოციალური და პოლიტიკური უფლებების სრული თანასწორობა, განურჩევლად რელიგიისა, რასისა და სქესისა. The Declaration of the Establishment of the State of Israel (1948). მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი ისრაელის უსაფრთხოების პრობლემები იყო [Orna Sasson-Levy 2003].

1948 წლის დამოუკიდებლობის ომის შემდგომ, ისრაელის ლიდერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არაბული ქვეყნები არ დაუშვებდნენ ებრაული სახელმწიფოს არსებობას შუა აღმოსავლეთში. ამიტომ აუცილებელი იყო მოსახლეობის მომზადება ხანგრძლივი ბრძოლისა და ქვეყნის თავდაცვისათვის, მომზადება მსხვერპლის გაღებისათვის. [Joyce Robbins & Uri Ben-Eliezer, 2000]. ამრიგად, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღიდან ქალები გახდნენ ისრაელის თავდაცვის ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ქალთა და მამაკაცთა თანაბრად გაწვევას ჰქონდა როგორც პრაქტიკული, ასევე სიმბოლური დატვირთვა. ეს იყო იდეის გამოხატულება, რომ სამხედრო სფერო და ქვეყნის უსაფრთხოების საჭიროებები ეკუთვნოდა „ყველას“.

კანონში თავდაცვის ძალებში სამსახურის შესახებ, რომელიც ისრაელის პარლამენტს 1949 წელს წარედგინა, ასახული იყო ქალების სამხედრო ძალებში სამსახურის ვალდებულება. ეს იყო პირველი მცდელობა ქალთა სამხედრო სამსახურის ლეგალურად ფორმალიზების. საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ იქნა ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც ეფუძნებოდა ორ ძირითად პრინციპს: 1) ქალების გარკვეული ნაწილი, კერძოდ, ებრაელი დასაქორწინებელი ქალბატონები, გაწვეული იქნებოდნენ სამხედრო სამსახურში; და 2) ქალები არ მიიღებდნენ ბრძოლებში მონაწილეობას. ამგვარად, სახელმწიფომ შეიმუშავა ქალების სამხედრო სამსახურში „ნახევრადჩართულობის“ მოდელი, რაც ერთი მხრივ გამოხატავდა ჩართულობის გაურკვეველ ვალდებულებას, ხოლო მეორეს მხრივ მარგინალურობას. ქალებს ერთი მხრივ თავდაცვის ძალებში სამსახურის უფლება ეძლეოდათ და ამავე დროს ისინი შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან დამხმარე ძალად იყვნენ მიჩნეული. ამის საპირისპიროდ, მამაკაცებს ევალდებოდათ ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო როლების შესრულება, როგორც მებრძოლებს და დამცველებს.

ამრიგად, სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით მამაკაცებისთვის და ქალებისათვის განსხვავებული დებულებები განისაზღვრა სამი ძირითადი პუნქტით: 1) რეგულარული სავალდებულო სამსახურის ხანგრძლივობა; 2) წლიური სარეზერვო სამსახურის მასშტაბი და 3) სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების პირობები. ქალთა სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა ყოფილიყო მამაკაცების სამსახურის ვადაზე ხანმოკლე. ქალთა წლიური სარეზერვო მოვალეობისათვის დადგინდა ლიმიტი შემცირებული ასაკით, სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლდა ქალთა სხვადასხვა კვუფები [Defense Service Law, 5709-1949, 25 LSI 271, 1949]. ამასთან ერთად, ისრაელი თავდაცვის მინისტრის მიერ 1952 წელს გამოცემული განკარგულებებით განისაზღვრა სამხედრო სამსახურში ქალთა პოტენციური როლებიც [Defense Service Regulations, 1952].

ამგვარად, ისრაელის სახელმწიფომ თავიდანვე შექმნა გენდერული ჩარჩოები სამხედრო სფეროში. ბრძოლის ველი კვლავაც რჩებოდა მამაკაცის მასკულიზაციის განმსაზღვრელ ადგილად. ადგილად, სადაც მამაკაცებს შესაძლებლობა ეძლეოდათ მოეპოვებინათ გამირობის ტიტული. ქვეყანაში სქესობრივი თანასწორობის ეთოსის საპირისპიროდ, გენდერული სხვაობის სტერეოტიპული აღქმა ფაქტობრივად ნორმად ითვლებოდა. სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან პარლამენტის წევრთა გარკვეული ნაწილის მიერ ქალები უპირველეს ყოვლისა აღქმულ იყვნენ დედად და სამხედრო სამსახურს არ უნდა შეეშალა ხელი მათი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი ასპექტისათვის. შესაბამისად ქალთა სამხედრო სამსახურში გაწვევა ეხებოდა მხოლოდ მათ, ვინც არ იყო დედა ან უახლოეს დროში პოტენციური დედა.

გენდერული განსხვავების საკითხისადმი სწორედ ასეთი მიდგომით იხელმძღვანელებს სამხედრო ლიდერებმა 1949 წელს, „ქალთა კორპუსის“ დაარსების დროს. მათი

ოფიციალური მიზანი იყო ისრაელის თავდაცვის ძალებში ქალთა რეკრუტირებასა და პირადი შემადგენლობის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში დახმარება, რაც გამომდინარეობდა ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული მათ მიერ აღქმული განსხვავებებისგან. მათი შეხედულებით, ქალები სამხედრო ძალებში წარმოადგენდნენ ე.წ. „სუსტ სქესს“ იმ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, რომელიც ეხებოდა ქალთა და მამაკაცთა განსხვავებულობას და რომელიც სამხედრო სამსახურში შეზღუდვად ქალთა ვალდებულებებს.

აქედან გამომდინარე 1980 წლისათვის, ისრაელის თავდაცვის ძალებში ქალთა დაახლოებით 65% კანცელარიის მოხელე იყო, ხოლო 35% ტექნიკურ, მექანიკურ, საექსპლოატაციო საქმეს ასრულებდა. მათ შორის რამდენიმე ქალ ჯარისკაცს ევალეობდა სამოქალაქო საზოგადოებრივი ამოცანების შესრულება განათლებისა და სოციალურ სფეროებში [Noya Rimalt 2007].

ისრაელში სამხედრო სამსახური აღიარებულია როგორც მოქალაქეობის სიმბოლო. განსაკუთრებული კავშირი სამხედრო სამსახურსა და სრულფასოვან მოქალაქეობას შორის განპირობებულია ხანგრძლივი არაბულ-ისრაელი კონფლიქტით. გენდერული საკითხების მკვლევარი, კიმერლინგი ამ სიტუაციას როგორც „სამოქალაქო მილიტარიზმის“ ერთ-ერთ ფორმას ისე ახასიათებს და ხსნის ორი ძირითადი ფაქტორით: სამხედრო სამსახურის სოციალური მნიშვნელობით და სიტუაციით, სადაც მთელი საზოგადოება მუდმივად ომისათვის მზადდება ორიენტირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე სამხედრო სამსახური არის არა მხოლოდ ქვეყნის მიმართ პიროვნების მოქალაქეობრივი ვალდებულების გამოხატულება, არამედ ქვეყნისათვის პირადი მსხვერპლის გადების სურვილის აუცილებელი მტკიცებულება. უფრო მეტიც, ეს არ არის მხოლოდ სამხედრო სამსახური, არამედ ეს არის პოზიცია, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის მიმართ ერთგულების ხარისხს.

შესაბამისად, რადგან ქვეყნის თავდაცვაში წლების განმავლობაში მთავარ როლს მამაკაცები ასრულებდნენ, ცნება მილიტარიზებული მასკულინარობა გახდა „მოქალაქეობის“ განსაზღვრების შემადგენელი ასპექტი. ებრაელი მამაკაცები, მონაწილეობდნენ რა ბრძოლებში და რისკავდნენ თავის სიცოცხლეს, მიიჩნეოდნენ პატრიოტებად, ხოლო ებრაელი ქალები მხოლოდ დამხმარე ძალად, რომელიც „ათავისუფლებდა მამაკაცებს ბრძოლისათვის“ [Noya Rimalt, 2007]. შესაბამისად, პატივი და დიდება ყოველთვის მამაკაცებს ხვდებოდათ წილად.

ვინაიდან ისრაელში სამხედრო სფერო ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინსტიტუციად, შეიარაღებულ ძალებში ქალთა მარგინალიზაციამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა მათ სტატუსზე. რადგან პრესტიჟული საბრძოლო პოზიციები პრაქტიკულად ერთადერთი გზა უმაღლეს სამხედრო პოზიციებისაკენ, ქალების გამორიცხვა საბრძოლო პოზიციებიდან ნიშნავდა, რომ ისინი გამორიცხულ იქნენ სამხედრო ხელმძღვანელობის უმაღლესი ეშელონებიდანაც [Noya Rimalt, 2007]. უფრო

მეტიც, „მასკულინური“ სამხედრო გამოცდილება თავისი პრესტიჟულობის გამო, გახდა მნიშვნელოვანი საშუალება პოლიტიკური კარიერისთვისაც და სამოქალაქო ცხოვრებაში ბიზნესსა და წარმოებაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობისთვისაც. ფაქტობრივად, მაღალი რანგის სამხედრო ოფიცრების ფენა ისრაელის პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის ფორმირების მთავარი წყარო გახდა. არსებულმა რეალობამ ქვეყანაში სულ სხვა ცნობიერების დამკვიდრებას შეუწყო ხელი. რომლის მიხედვითაც, ქალები თანაბარი უფლებების მქონე მოქალაქეებად არ იქნებოდნენ აღქმულნი, თუ არ იქნებოდნენ სრულად ინტეგრირებულნი სამხედრო სამსახურის ყველა სფეროში, მათ შორის საბრძოლო ოპერაციებშიც.

გენდერული საკითხების მკვლევარის, სესონ ლევის კვლევის ერთ-ერთი საინტერესო აღმოჩენაა ის, რომ ქალბატონები, რომლებიც სამხედრო საქმიანობაში მასკულინურ როლებს ასრულებენ, თავიანთ სამხედრო გამოცდილებას დადებითად აფასებენ. ეს ქალბატონები თავიანთ პოზიციას არმიაში მარგინალურად სულაც არ აღიქვამენ. ინდივიდუალურ დონეზე ისინი მართლაც ამსხვრევენ გენდერულ საზღვრებს არმიაში და მათი ეს პიროვნული მონაპოვარი სათანადოდ უნდა იქნას დაფასებული. მაგრამ გენდერული საკითხების უფრო გლობალური თვალთახედვით ნათლად ჩანს სამხედრო ძალებში ქალთა ინდივიდუალურ უფლებამოსილებასა და გენდერულ უთანასწორობას შორის პარადოქსული კავშირი.

ისრაელის სამხედრო შტაბის მეთაურის მრჩეველმა ქალთა საკითხებში 2005 წელს შეისწავლა ქალთა სამხედრო სამსახურის ტენდენციები და მიმართულებები. მის მიერ ჩატარებული ანალიზის მიხედვით 2005 წელს ქალი ჯარისკაცების 2,5% მსახურობდა საბრძოლო პოზიციებზე [Noya Rimalt 2007]. მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლებიდან საბრძოლო პოზიციებზე მომსახურე ქალების რაოდენობა ყოველწლიურად იცვლება, მაინც ფაქტად რჩება, რომ სამხედრო სფეროში გენდერული რევოლუციის გამოცხადებიდან 10 წლის შემდეგ ქალთა მონაწილეობა მასკულინურ როლებში კვლავაც სიმბოლურია - აღნიშნავს ფსიქოლოგი ალის მილერი. უფრო მეტიც, სამხედრო შტაბის ქალთა საკითხებში მრჩეველის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით იმ ქალებსაც კი, რომლებმაც დაამსხვრიეს გენდერული საზღვრები, არ მიუწვდებოდათ ხელი ყველა საბრძოლო პოზიციაზე. ფაქტობრივად, გამოდის, რომ ქალებს ფორმალურად მიეცათ უფლება ემსახურათ ზოგიერთ საბრძოლო პოზიციებზე და მათი ჩართულობა კვლავ შეზღუდული რჩება. ოფიციალური მოლოდინი არსებობს იმის შესახებ, რომ ქალები გამორიცხულ იქნებიან წინა-ხაზის ქვეითების შემადგენლობიდან და არტილერიიდან ახლო მომავალში. და თუ ეს მოლოდინი გამართლდება, ქალები პრაქტიკულად ჩამოშორებულნი იქნებიან სამხედრო საქმეში მეთაურთა უმაღლესი პოზიციებისაკენ მიმავალი გზიდან.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი ის არის, რომ ისრაელში. სამხედრო საქმეში გენდერული სეგრეგაცია კვლავაც პრობ-

ლემად რჩება. 2005 წლის მონაცემების მიხედვით მთლიანი სამხედრო ფუნქციების 63% მხოლოდ მამაკაცების მიერ სრულდებოდა და მხოლოდ 21%-ს ასრულებდნენ ქალები. მდინის პოზიცია კვლავაც ქალთა შესაფერის სამსახურად მიიჩნევა, მაშინ როცა სამეთაურო რგოლის მაღალი რანგის ოფიცრობა ჯერ კიდევ ძირითადად მამაკაცის როლად აღიქმება.

ქალთა საკითხების მრჩველის განცხადების მიხედვით, 2006 წელს არმიაში უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელების პოზიციების 97% მამაკაცებს ეკავათ. ქალებს არც მაღალი რანგის სამხედრო წოდებები აქვთ. ასევე მრჩველის გან-

ცხადებაში აღნიშნულია, რომ დღესდღეობით არც ერთ ქალს არ აქვს შესაბამისი მაღალი სამხედრო წოდება, რათა მონაწილეობა მიიღოს გენერალური შტაბის შეხვედრებზე.

ამრიგად, მართალია ოფიციალურად ცხადდება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, მაგრამ ამ მიზნის რეალიზებას ბევრი ინსტიტუციური ბარიერი უშლის ხელს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შედეგად ზოგიერთი ბარიერი იხსნება და იშლება, სამაგიეროდ იქმნება ახალი ბარიერები, რომლებიც კვლავ აისახება გენდერულ სეგრეგაციაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Solomon Z, Ginzburg K. The epidemiology of combat-induced post-traumatic stress disorder (PTSD). In: I Levav, editor. Psychiatric and behavioral disorders in Israel: from Epidemiology to Mental Health Action. Jerusalem, New York: Gefen, 2009, pp. 212-232.
2. <https://www.facebook.com/IsraeliHouseTbilisi/photos/a.352226934915638.1073741829.352203454917986/442124872592510/> ვიზიტის თარიღი 21.12.2017
3. Amir M, Sol O. Psychological impact and prevalence of traumatic events in a student sample in Israel: The effect of multiple traumatic events and physical injury. J Trauma Stress 1999; 12(1): 139-154.
4. Midan A. Israeli women – barely hanging on to the status quo. Special article for Israel's 62nd Independence Day. Yediot Aharonot. Tel Aviv, 2010, pp. 4-10
5. Kalfi-Amir G. Women's army service in the IDF (Hebrew). Tel Aviv: Office of the Advisor to the Chief of Staff for Women in Israel Defense Forces, Israel Defense Forces, 2008.
6. Sarousi N, El-Peleg D. In the battlefield of the future we will be better than the men: Interview with Gila Kalfi-Amir, Commander of Women's Forces in the Israeli Defence Forces in honor of International Women's Day Bemahaneh (Hebrew) 2010: 31-35.
7. Nitza Berkowitch, Motherhood as a National Mission: The Construction of Womanhood in the Legal Discourse in Israel, 20WOMEN'S STUD. INT'L F. 605, 608 (1997).
8. The Declaration of the Establishment of the State of Israel, 5708-1948, 1 LSI 3 (1948) (Isr.), translation available at http://www.knesset.gov.il/docs/eng/megilat_eng.htm
9. Orna Sasson-Levy, Feminism and Military Gender Practices: Israeli Women Soldiers in Masculine Roles, 73 SOC. INQUIRY 440, 444 (2003) [hereinafter Sasson-Levy, Feminism and Military Gender Practices].
10. Joyce Robbins & Uri Ben-Eliezer, "New Roles or "New Times"? Gender Inequality and Militarism in Israel's Nation-in-Arms, 7 SOC. POLITICS: INT'L STUD. GENDER, STATE & SOC'Y 309, 317 (2000).
11. Defense Service Law, 5709-1949, 25 LSI 271 (1949) (Isr.), art. 11 (allowing exemptions for married women, mothers, pregnant women, religious women, and conscientious objectors, among others).
12. Defense Service Regulations (The Roles of a Woman in Regular [Military] Service), 5712- 1952, 254 KT (Administrative Regulations of Israel) 650 (1952).
13. Noya Rimalt, Women In the Sphere of Masculinity: The Double Edged Sword of Women's Integration in the Military, 2007
14. Halperin-Kaddari, supra note 46, at 155
15. Dana S. Levin, "You're Always First a Girl": Emerging Adult Women, Gender, and Sexuality in the Israeli Army. Journal of Adolescent Research 26(1) 3-29, 2011

GENDER ISSUES AND CHARACTERISTICS OF ISRAEL ARMY

ELENE GRATIASHVILI

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.017>

Phd Student of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia University, Georgia

KEYWORDS: GENDER ISSUES, GENDER SEGREGATION, GENDER EQUALITY, ISRAEL ARMY

SUMMARY

This article covers the characteristics of Israel Army and Gender issues related to it. Israel is the only country, that has obligatory army service for both, men and women. After finishing school, from the age of 18, it's necessary for everyone to serve in the military. Since the early days of Israel statehood, women have become the part of the Israel Defense Forces. In Israel, military service is recognized as a hallmark

of citizenship. While the Jewish male, who served in combat roles, and risked his life, the Jewish woman in her auxiliary roles was only "freeing man for combat".

Although, women were officially allowed to serve in combat roles, their participation is still limited and Gender segregation remains to be a problem. In the end, gender equality should be promoted for solving the existing problems, that would lead to necessary changes in the Armed Forces.

ბიზნესი, ტურიზმი და ტექნოლოგიები

BUSINESS, TOURISM AND TECHNOLOGIES

IDENTIFYING THE IMPACT OF SOCIAL RESPONSIBILITY ON THE PERFORMANCE OF THE ENTERPRISE

GANNA ZHOSAN

PhD, Candidate of Economic Sciences,

Senior Lecturer, Department of Management and Marketing, Kherson National Technical University, Kherson, Ukraine

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.018>

KEYWORDS: SOCIAL RESPONSIBILITY, PRODUCTIVITY DEVELOPMENTS, DEVELOPING PROCESS, ENTERPRISE ACTIVITY, MODELLING

1. INTRODUCTION

Social responsibility is a value company, affecting the improvement of financial and non-financial indicators of the company. A key benefit of implementing social responsibility programs is to create long-term and medium-term positive reputation in the eyes of members of internal and external business processes.

In the current economic conditions, social responsibility is defined as one of the main factors which determines the performance of the company. Socially responsible enterprise is an integrated system, that creates loyalty and commitment to customers and is attractive for investments, it increases confidence in the company, promotes the commitment of the state and the local community. Thanks to these benefits the company is developing in all areas of activity (economic, environmental, social, legal) and in the medium term may get the opportunity to increase the impact of their activities, hence the relevance of the study. In assessing its activities, it is necessary to consider not only the operational and financial performance, but also the extent of its functioning in the interests of participants in business processes. Public confidence in the enterprise expressed confidence in respect of conformity to the declared values: stability, transparency, integrity, honesty and integrity to all participants of internal and external business processes. This is the basis for the formation of the institute of trust, which is of particular importance in the economic, environmental, social, labor and regulatory balance between the enterprise, shareholders, directors, employees, customers, suppliers, local community, the state. Implementation of the principles of social responsibility in business processes is a factor in the further development of the enterprise and is of paramount importance in solving a number of social problems.

2. SOCIAL RESPONSIBILITY IN ENSURING PRODUCTIVITY OF THE ENTERPRISE ACTIVITY

In today's economy more social position affects the reputation and image of the company. Evaluating its activities should be considered not only operational and financial performance, but also how its functioning in the interests of participants in business processes. Confidence in the company expressed confidence in the declared values for compliance, stability, openness, honesty, integrity and respectable attitude to all participants of internal and external business

processes. This is the basis for the formation of the institute of trust, which is particularly important in ensuring economic, environmental, social, labor and regulatory balance between the company, shareholders, directors, employees, consumers, suppliers, local community, the state. Implementation of the principles of social responsibility in business processes is a factor in the further development of the company and acquires paramount importance in solving a number of social problems.

The basic idea of social responsibility is that it can contribute to obtaining certain benefits now. Investments in its image and reputation although it does not bring quick profit, but in the future may provide a number of competitive advantages: the growth of the market, increased sales and profits, reduce risk, save operating costs and increase productivity and product quality, staff training, increase customer loyalty. That is, companies that are socially responsible activities can function more effectively. Consequently, improving social responsibility can influence the level of performance improvement activities, taking into account the achievement of economic, environmental, social and legal objectives of the enterprise. Reconciliation of interests of internal and external business processes with enterprise objectives in all areas of activity can enhance the efficiency of socially responsible and productive activity of the enterprise at the same time.

There is a wide variety of concepts of social responsibility of the enterprise, but the basic concept can be considered the duties A. Carroll and the concept of «stakeholders» (stakeholders) [1, 2].

Such a policy of the company provides that the task of the manager is to seek an optimal balance between the different interests of the participants in the internal and external business processes and the interests of the enterprise itself. This concept is called «stakeholders» (stakeholders) and provides that the company is not simply pursuing financial interests, and has a social responsibility.

Social responsibility is inextricably linked to performance of the company because it can not be socially responsible without profit. US researcher Joel Makouer claims «most socially responsible thing most companies can do is to be profitable» [3]. Profit vazhena not only to reward investors, but also to pay fair wages, pay taxes, upgrade equipment, invest in charity, contribute to the prosperity of society in which the company exists.

There are seven main groups of participants in internal and external business processes, to which the company is responsible: managers, shareholders, employees, customers, suppliers, local community, the state. If the company interacts with them correctly and take into account their interests - it has a high level of social responsibility and correspondingly high productive activities.

Through socially responsible operations, the company sells not only its economic objectives, but also shows the social effects of business activity participants internal and external business processes, which is carried out in conjunction with an activity and satisfies their interests.

3. THE ESSENCE OF SPLINE INTERPOLATION

The comprehensive social responsibility indicator and generalizing enterprise activity productivity indicator were being calculated on the previous research stages [1, 2, 3, 4, 5, 6, 7]. The next research stage is the determination of relation for those indicators and a development the model of their dependence.

The new chapter of the modern mathematics, which calls the theory of splines, has rapidly developed in recent years. Splines allows to effectively solve the problems of experimental dependency processing among the parameters that have enough complex structure [8].

Equally, the rational interpolation and the spline interpolation are one of the polynomial interpolation alternatives.

The basis of the spline interpolation contains the following principle. The interpolation interval is divided into small segments (intervals), on each from which the function is given by the polynomial function of the third degree. The polynomial coefficients are chosen by certain conditions, which are fulfilled (depending on the interpolation method). Common to all types of splines of the third degree requirements are a continuation of this function and passing through the specified points [8].

The main advantages of spline interpolation are its stability and low complexity. Systems of linear equations, which have to solve for the spline constructing, allow obtaining the polynomial coefficients with high accuracy [8]. Because the social responsibility influence of the enterprise activity per-

formance is the medium-term, and the spline interpolation of the third degree was being used for determination of their dependence model [9]. This step will allow not only determine a dependence for indicators, but also will establish what the period of time is need that an increasing of the enterprise social responsibility level will influence to the improvement of the performance level of its activity.

For this research, there are two data sets:

x is a set of the most comprehensive social responsibility indicators;

y is a set of the generalizing productivity [10] indicator of enterprise activity;

t is the time period (in this case, there are 2011–2015).

The system y(x) was being proposed, which is described with the help of the following parametric dependencies:

$$y(x) = \begin{cases} x = x(t) \\ y = y(t) \end{cases} \tag{1}$$

The system y(x) and the influence models were being built with the help of computer mathematical package MapleTM. The program automatically determines the possibility of going through the experimental points. Therefore, the model accuracy rating is not required.

4. INFLUENCE MODELS BUILDING OF THE SOCIAL RESPONSIBILITY LEVEL ON THE ENTERPRISE PRODUCTIVITY LEVEL

The individual economic and mathematical influence model of the comprehensive social responsibility indicator to the generalizing enterprise activity productivity indicator for 2011–2015 was being built based on a determination of this system. For example, economic and mathematical influence models in 2013 were presented in the Table 1.

Table 1. Economic and mathematical influence models of the comprehensive social responsibility indicator to the generalizing enterprise activity productivity indicator for 2012–2013.

Enterprise	Influence Model
Enterprise 1	$y(x) = \begin{cases} x(t) = 981,8332 - 0,4881t + 1,3279(t - 2012)^2 - 0,4426(t - 2012)^3, \\ y(t) = -399.6515 + 0,1988t + 0,0285(t - 2012)^2 - 0,0095(t - 2012)^3 \end{cases}$
Enterprise 2	$y(x) = \begin{cases} x(t) = 435,5865 - 0,2162t + 0,0224(t - 2012)^2 - 0,0075(t - 2012)^3 \\ y(t) = 108,9725 - 0,0541t + 0,2058(t - 2012)^2 - 0,0686(t - 2012)^3 \end{cases}$
Enterprise 3	$y(x) = \begin{cases} x(t) = -97,0971 + 0,0481t + 0,9474(t - 2012)^2 - 0,3158(t - 2012)^3 \\ y(t) = -55,0195 + 0,0274t - 0,0718(t - 2012)^2 + 0,0239(t - 2012)^3 \end{cases}$
Enterprise 4	$y(x) = \begin{cases} x(t) = 490,6061 - 0,2437t + 0,2528(t - 2012)^2 - 0,0843(t - 2012)^3 \\ y(t) = 337,8827 - 0,1678t + 0,0417(t - 2012)^2 - 0,0139(t - 2012)^3 \end{cases}$
Enterprise 5	$y(x) = \begin{cases} x(t) = -32.3830 + 0,0164t - 0,0255(t - 2012)^2 + 0,0085(t - 2012)^3 \\ y(t) = -143,3980 + 0,0714t - 0,4166(t - 2012)^2 + 0,1389(t - 2012)^3 \end{cases}$
Enterprise 6	$y(x) = \begin{cases} x(t) = 738,2731 - 0,3666t - 0,7422(t - 2012)^2 + 0,2474(t - 2012)^3 \\ y(t) = -33,5968 + 0,0169t - 0,3862(t - 2012)^2 + 0,1287(t - 2012)^3 \end{cases}$


The graphical interpretation of the economic and mathematical influence models of the comprehensive enterprise social responsibility indicator of the generalizing enterprise activity productivity indicator in 2011–2015 is shown in Figure 1.

Based on a fact that the reference value for the researched parameters is 1, then the development dynamics of Enterprise 1 can be called positive (Figure 1a) generally. This model clearly shows the enterprise activity productivity dependence from the social responsibility in the medium term. For example, the comprehensive social responsibility indicator has increased in 2015, but the enterprise activity productivity has increased only in 2014. However, this enterprise could increase its social responsibility in 2015 and this action has led to increasing of the generalizing activity productivity indicator.


community (aimed at the education development, health care, support for culture, arts, sports, non-profit organizations), and others [11, 12, 13, 14].

Every time, expenses to the listed above program have increased after slight increasing of activity productivity. The sharp productivity drop has occurred in the next year. Thus, Enterprise 2 loses the level of enterprise activity productivity not calculating its opportunities.

Enterprise 4 (Figure 2a) has a negative dynamics of a dependence of the generalizing enterprise activity productivity indicator from the comprehensive social responsibility indicator, which steadily declining during researched period. Enterprise management [12, 13, 14] has not any possibility of funds investing in equipment modernization, staff development, and market research due to shortfall net profit. Through an enterprise management policy, the social responsibility and



a)



b)

Figure 1. The graphical interpretation of the economic and mathematical influence models of the comprehensive enterprise social responsibility indicator to the generalizing enterprise activity productivity indicator in time: (a) for Enterprise 1, (b) for Enterprise 2 (calculated and built by the authors).

The dynamics model of a dependence of the generalizing activity productivity indicator from the comprehensive social responsibility indicator for Enterprises 2 is not enough stable, as is shown in Figure 4b. In general, the enterprise activity productivity has quite low value, despite on the relatively high social responsibility indicator.

The dependency of the indicators is observed in the medium term. However, the enterprise management rather inefficiently allocates expenses to the following:

- Implementing some programs on reducing the energy consumption and energy intensity of production.

- Increasing energy efficiency.

- Increasing expenses associated with the implementation of some programs to introduce new systems, quality standards, market research expenses, and establish a degree of customer satisfaction by product quality.

- Distribution of investments related to the program implementation to support the territory presence and local

activity productivity levels are decreasing. Enterprise 4 needs an unpopular anti-crisis measures to get the net profit and, only after this action, we can re-pay attention to the social responsibility and the generalizing enterprise activity productivity indicator is lead to the reference value '1'.

Management of Enterprise 6 is quite irrational, led its policy of social responsibility. After sharply increasing its comprehensive indicator in 2011, the social responsibility indicator level has almost unchanged. This trend has led to productivity level fluctuations, which, after social responsibility level, is increased, then decreased again. If the enterprise's management does not introduce new ways to enhance the social responsibility level, will not revise their policy about resource distribution, and spent money to the social initiatives, then the comprehensive social responsibility indicator can be reduced. Moreover, as a result, the generalizing activity productivity indicator can obtain a significant drop in the medium term, that happened in 2015.




Figure 2. The graphical interpretation of the economic and mathematical influence models of the comprehensive enterprise social responsibility indicator to the generalizing enterprise activity productivity indicator in time: (a) for Enterprise 4; (b) for Enterprise 6 (calculated and built by the authors).

5. CONCLUSION

To determine the impact of CSR on the performance of the company developed economic and mathematical model using spline interpolation of the third degree. It is possible to determine the dependence of the parameters and establish exactly what length of time required for this impact. The results suggest that increasing social responsibility contributes in the medium term (1-3 years) increase the level of performance of the company. This is due to growing confidence in the company by members of internal and external business processes.

This trend has led to productivity level fluctuations, which, after social responsibility level, is increased, then decreased again. If the enterprise's management does not introduce new ways to enhance the social responsibility level, will not revise their policy about resource distribution, and spent money to the social initiatives, then the comprehensive social responsibility indicator can be reduced. Moreover, as a result, the generalizing activity productivity indicator can obtain a significant drop in the medium term, which happened in 2015.

REFERENCES:

- Zhosan, G.V. Methodical aspects of the definition of the built indicator of social responsibility Enterprise. In Proceedings of the International scientific and practical conference on the state and prospects of development of social responsibility of economic subjects in the modern world, Kyiv, Ukraine, 21–22 November 2013; pp. 15–21. (in Ukrainian)
- Zhosan, G.V.; Trukhachova, K.V. Conceptual provisions of social responsibility of the enterprise as theoretical basis of the balanced productivity. *Natl. Khmelnytsky's Messenger Univ. Econ. Sci.* 2013, 2, 247–254. (In Ukrainian)
- Zhosan, G.V. Calculation of the general indicators of social responsibility of the enterprise for Components. *Financial Credit Act. Theory pract. Probl.* 2014, 1, 288–300. (In Ukrainian)
- Korchevska, L.; Zhosan, G.; Kavun, S. Social Responsibility as a Contextual Component of the Enterprise Economic Security. *J. Finance Econ.* 2013, 1, 95–104, doi:10.12691/jfe-1-4-6. Available online: <http://pubs.sciepub.com/jfe/1/4/6/index.html#> (accessed on 10 May 2015).
- Tarasova, T.F.; Zhosan, A.V.; Bashkatova, V.A. Assessment of social responsibility of the enterprise: criteria and indicators. *Bulletin of the Belgorod university of cooperation, economy and right: International scientific-theoretical journal* 2014, 2, 120–127. (In Russian)
- Korchevska, L.A.; Zhosan, G.V. Place of social responsibility in providing economic security of the enterprise [in Ukrainian]. *Messenger Transp. Econ. Ind.* 2012, 39, 48–52.
- Zhosan, A.V. Analysis of indexes of social responsibility of the enterprise. In *Сборник с доклади от международна научна конференция; Варна – Херсон Украйна – България – Европейски Съюз: съвременно състояние и перспективи*, 2013; pp. 48–51. Издателство «Наука и икономика». (In Russian)
- Grafsky, A.O. *Modeling of splines. Manual*; Center of Remote Education: Khabarovsk, Russian, 2010. Available online:

- http://edu.dvgups.ru/METDOC/ENF/SAPR/S_KURS_V_GEOM/METOD/ MOD_SPLAYN/MAIN.HTM (accessed on 10 May 2015). (In Russian)
9. Safin, A.I. Methodic of an assessment of social economic efficiency of regional industrial policy. *Expert* 2009, 14, 32–37. (In Russian)
 10. Darmits, R.Z. Communication of productivity and economic efficiency in system of management of the enterprise. *Sci. Bull. NLTU Ukr.* 2010, 20, 153–161. (In Ukrainian)
 11. Miller, L.G. *Economics of the Enterprise: Abstract of Lectures: Manual*, 2004.
 12. Druker, P. *Effective Management*; HarperCollins: New York, NY, USA, 2004.
 13. Fedulova, L.I. *Management of the Organizations*; Libid: Kiev, *Ukraine*, 2004. (In Ukrainian)
 14. Shershnyova, Z. *Strategic Management*; KNUE: Kiev, *Ukraine*, 2004. Available online: http://buklib.net/component/option,com_jbook/task,view/Itemid,36/catid,184/id,7983 (accessed on 10 May 2015). (In Ukrainian)

IDENTIFYING THE IMPACT OF SOCIAL RESPONSIBILITY ON THE PERFORMANCE OF THE ENTERPRISE

GANNA ZHOSAN

PhD, Candidate of Economic Sciences,

Senior Lecturer, Department of Management and Marketing, Kherson National Technical University, Kherson, Ukraine

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.018>

KEYWORDS: SOCIAL RESPONSIBILITY, PRODUCTIVITY DEVELOPMENTS, DEVELOPING PROCESS, ENTERPRISE ACTIVITY, MODELLING

SUMMARY

The impact of the complex index of social responsibility in general indicators proven productivity of the enterprise activity interpolation using spline interpolation of the third

degree. This relationship is nonlinear. The economic-mathematical model of the impact of the complex index of social responsibility for synthesis rate productivity of the enterprise activity and is displayed graphically.

ტურიზმის განვითარების სტრატეგიული ტენდენციები

მაია აზმაიფარაშვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.019>

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული ასპექტები, ტურიზმის პოლიტიკა, ინტეგრირება, განვითარება, მდგრადობა

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ ასპექტებზე, საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ზოგიერთ თავისებურებასა და თანამედროვე ტენდენციებზე. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ახალი ტურისტული დაგეგმარების პერიოდში მთლიანად უნდა მოიცავდეს ტურიზმის კომპლექსურ ბუნებას და მისი განვითარების შორსმომავალ პერსპექტივებს. ტურიზმი უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს და თავისი ბუნებით უნდა იყოს დამზოგავი.

სახელმწიფო მოვალეა იზრუნოს როგორც შიდასაქვეყნო, ისე საერთაშორისო ტურიზმის მოწესრიგებელი და ჰარმონიული განვითარებისათვის. შეუფარდოს ტურიზმის პოლიტიკა საერთო განვითარების პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, გააფართოვოს თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე და ამ მიზნით გამოიყენოს საერთაშორისო ტურიზმის ორგანიზაციის შესაძლებლობებიც. დაიცვას დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის ტურისტული გარემო, რომელიც აერთიანებს ადამიანს, ბუნებას, საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და კულტურას და მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა [ტურიზმის ქარტია, მუხლი 3, 1985: 3].

საქართველოში პრიორიტეტულად გამოცხადებული ტურიზმის სექტორის განვითარება მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე ინტეგრირების გარეშე წარმოუდგენელია, რაც საერთაშორისო ტურიზმის თავისებურებების თეორიულ შესწავლას მეტად აქტუალურს ხდის. მოცემულ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ტურიზმის განვითარების

სტრატეგიულ ასპექტებზე, საერთაშორისო ტურიზმის ზოგიერთ თავისებურებასა და განვითარების თანამედროვე ტენდენციებზე, საერთაშორისო ტურიზმში საქართველოს ინტეგრირების პროცესებზე, რადგან მსოფლიო ტურისტული ბაზრის განვითარების შესწავლა ის წანამძღვარია, რომლის გარეშე შეუძლებელია საერთაშორისო ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია.

საქართველოს გააჩნია მსოფლიო ტურიზმში წარმატებით ინტეგრირებისა და მისგან მაქსიმალური ეფექტის მიღების რეალური შესაძლებლობები. ქვეყნისთვის ტურიზმი პრიორიტეტია. იკვეთება სტაბილური ზრდის ტენდენცია, 2009 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში: საერთაშორისო მოგზაურების მთლიანი რაოდენობა 293%-ით გაიზარდა და გადააჭარბა 5.9 მილიონს (2009 წ: 1.5 მლნ). ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ოდნავ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა 476 მილიონი აშშ დოლარიდან 1.9 მილიარდ აშშ დოლარამდე. 2016 წელს საერთაშორისო შემოსავლების რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს 6,350,825-ს მიაღწია (+7.6%). ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 2,714,773 შეადგინა, რაც 432,802-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე (ზრდა +19%). შედეგად მათი წილი ვიზიტების საერთო რაოდენობაში 42.7%-მდე გაიზარდა [საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2016 წლის ანგარიში: 7].

საქართველოში ტურისტული პოლიტიკის განსაზღვრისა და რეალიზაციის ძირითად მარეგულირებელ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს ტურიზმის ეროვნული სააგენტო,


საერთაშორისო შემოსვლები ტიპების მიხედვით

	2012	2013	2014	2015	2016	ცვლილებები % 2015-2016
სულ	4,428,221	5,392,303	5,515,559	5,901,094	6,350,825	+7,6%
24საათი და მეტი	1,789,592	2,065,296	2,229,094	2,281,971	2,714,773	+19,0%
ერთდღიანი ვიზიტი	1,883,670	2,138,216	2,172,429	2,218,288	2,315,052	+4,4%
ტრანზიტი	754,959	1,188,791	1,114,036	1,400,835	1,321,000	-5,7%

წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

სწორედ ეროვნული სააგენტო ახდენს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული და გასული ტურისტების რაოდენობის, ვიზიტის ხანგრძლივობის, გაწეული დანახარჯების შესახებ მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. ძალზე მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციის მიერ 2016-2017 წლების განმავლობაში შემოსული და გასული ტურისტების რაოდენობის, ვიზიტის ხანგრძლივობისა და გაწეული დანახარჯების შესახებ არსებული დინამიკის ანალიზი.

2017 წლის სამი თვის ჯამური მონაცემებით საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 1,266,125 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11,4%-ით მეტია. მოცემულ პერიოდში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის ზრდა 126 ქვეყნიდან დაფიქსირდა, რაც რაოდენობრივად 169,668-ს შეადგენს. 1,500-ზე მეტი ზრდა ფიქსირდება 9 ქვეყნიდან, ჯამში 150, 039 (მთლიანი ზრდის 88%) [http://gnta.ge/].



ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორთა განსაკუთრებული ზრდის ტენდენცია შეინიშნება - პოლონეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან. საქართველო დიდი ხნის მანძილზე დამოკიდებული იყო მეზობელი ქვეყნებზე, რადგან ამ ქვეყნებში საქართველოს ცნობადობა მაღალია. ამ ქვეყნებიდან ჩამოსვლა შედარებით იაფია და დროც ცოტა სჭირდება. მაგრამ ახალ ერაში როდესაც მსოფლიოში გადაადგილების 60% საჰაერო გზებზე მოდის, არ არის გაუმჯობესებული ქვეყანაში საჰაერო მიმოსვლა, საავიაციო მიმართულებით გამოწვევები ჯერ ბევრია, საერთოდ კი სწორი მენეჯმენტია საჭირო იმისათვის, რომ იმართოს პროცესები. 2016 წელს 19%-იანი ზრდა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველო როგორც ტურისტული მოდელი შედგა. თუმცა რჩება კითხვები როგორ ახდენს გავლენას ეს განვითარება ხალხზე და მათ კეთილდღეობაზე. ვიზალიბერალიზაციის კვალდაკვალ საჭიროა ფეხი აეწეოს განვითარების ტემპებს. არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები. საქართველომ უნდა იმუშავოს ახალ ბაზრებზე, განსაკუთრებით აზიისა და შუა აღმოსავლეთის ბაზრების მიმართულებით, აქცენტები უნდა კეთდეს ჩინეთის, იაპონიის, კორეის, მალაიზიის ტაილანდუს, სინგაპურის მიმართულებით.

დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია მოგზაურთათვის მაღალი ხარისხის, მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტისა და საუკეთესო შთაბეჭდილების შეთავაზება, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებს ყურადღების გამახვილებას შემდეგ ასპექტებზე:

საქართველოს მდიდარი და უნიკალური კულტურა (მუსიკა, ცეკვა, ხელოვნება, ისტორია, რელიგია, საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე, რომელთა შორის, სამი შესულია UNESCO-ს „მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში“, ხოლო ორი — „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში“); მეღვინეობის ტრადიციები და ისტორია - „ღვინის სამშობლოს“ სტატუსი; 87 დაცული ტერიტორია, მათ შორის, 11 ეროვნული პარკი, რომლებიც ქვეყნის ფართობის 8.62% წარმოადგენს. სხენებული შესაძლებელს ხდის მსოფლიო დონის ეკო, სათხილამურო, ველო, სამთო, სათავგადასავლო, გამაჯანსაღებელი და სხვა სახის ტურიზმის განვითარებას; კარგი კლიმატური პირობები; მიმზიდველი ბიზნეს და საინვესტიციო გარემო; ქართველი ხალხის მეგობრული განწყობა და სტუმართმოყვარეობა.

მსოფლიო დონის ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად და როგორც საერთაშორისო ისე შიდა მოთხოვნის სტიმულირების მიზნით ქვეყანამ შემდეგი გამოწვევები უნდა დაძლიოს: სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით; მნიშვნელოვანი ტურისტული ბაზრებიდან მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი საჰაერო მიმოსვლის უზრუნველყოფა; ქვეყნის ყველაზე შთაბეჭდავ ტურისტულ ადგილებამდე მისასვლელი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოდერნიზაცია; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვა კულტურული მნიშვნელობის აქტივების შენარჩუნება, მათი მისაწვდომობის, არსებული მომსახურებებისა და საინტერპრეტაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის გაზრდა, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზარზე; ქვეყნის მასშტაბით მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება ვიზიტორებისათვის, განსაკუთრებით, ქალაქებს გარეთ, სადაც ტურიზმის განვითარების პოტენციალი ყველაზე მაღალია; ტურიზმის სფეროში განათლების სისტემის დახვეწა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა ქვეყნის მასშტაბით; ახალი ტურისტული პროდუქტის შეთავაზება და არსებულის დივერსიფიკაცია; მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის, ბაზრის კვლევისა და მარკეტინგული შესაძლებლობების გაუმჯობესება.

ტურიზმის ზრდა მთელ მსოფლიოში განპირობებულია კარგი პოლიტიკური კურსის გატარებით. მთავრობებმა, კერძო სექტორმა და არაკომერციულმა დაწესებულებებმა უნდა იმუშაონ ერთობლივად, იმისთვის, რომ იყვნენ ლიდერები მდგრადი ტურიზმის პოლიტიკის შექმნაში,

რომელიც გასცდება ეკონომიკურ სარგებელს და მოიცავს ეკოლოგიურ და კულტურულ ინტერესებსაც. მოგზაურობისა და ტურიზმის ამ კონტექსტში განხილვა, ადგენს ნორმებს. პოლიტიკოსებს უნდა ესმოდეთ, რომ არსებობს მრავლის-მომცველი სტრატეგიის განვითარების საჭიროება პირობების შესაბამისად. პოლიტიკოსები კარგად უნდა იყვნენ გათვითცნობიერებულნი ბაზრის ტენდენციებში და საკმარისად მოქნილნი, რათა დაარეგულირონ სტრატეგიული გეგმები სწრაფად ცვალებად საბაზრო ძალების ფონზე. ამიტომ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ახალი ტურისტული დაგეგმარების პერიოდში მთლიანად უნდა მოიცავდეს ტურიზმის კომპლექსურ ბუნებას და მისი განვითარების შორსმომავალ პერსპექტივებს. ტურიზმის პოლიტიკა და დაგეგმვა მისწრაფვის შესაბამისი მართვის ტექნიკის და ინსტრუმენტების, ტენდენციების განვითარებისაკენ [David, Edgell Srand Jason, Swanson, 2008:12].

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ში დასახული განვითარების გეგმები შემდეგია: ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა არსებული დონიდან (1.9 მილიარდი აშშ დოლარი) 6.6 მილიარდ აშშ დოლარამდე; დარგის მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი პირდაპირი წილი უნდა შეადგენდეს 7.9%-ს; ყოველი ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხის გაზრდა არსებული 328 აშშ დოლარიდან 600 აშშ დოლარამდე; ტურიზმში დასაქმებული პირების რაოდენობის გაზრდა დაახლოებით 90%-ით, არსებული 158,515-დან 301,284-მდე; ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა არსებული 5 დღიდან 7 დღემდე; ტურიზმის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 63%-ით გაზრდა, არსებული 723 მილიონი აშშ დოლარიდან 1,178 მილიონ აშშ დოლარამდე; დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ვიზიტორთა რაოდენობის გაორმაგება.

დასკვნა. ტურიზმი კომპლექსური დარგია, რაც განპირობებულია იმით, რომ ტურისტული პროდუქტი იქმნება მრავალი დარგის რთული ურთიერთ თანამშრომლობის

შედეგად. ტურიზმთან დაკავშირებულ დარგებს წარმოადგენს ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, განათლება, კავშირგაბმულობა და ა.შ. ტურისტი, რომელიც გადაწყვეტს ტურისტული პროდუქტის მოხმარებას იყენებს, დაჯავშნის სისტემებს, ტრანსპორტს, განთავსდება სასტუმროში, მოინახურებს კვების პროდუქტს სასმელებს, იყენებს დაზღვევის სისტემას, მონახულებს ტურისტული დანიშნულების ადგილს და ა.შ. ტურისტული პროდუქტის სირთულე და კომპლექსურობა იწვევს ტურიზმის ეკონომიკაზე გავლენის შეფასების სირთულეს. ტურიზმის პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოფს ტურისტული აქტივობებიდან მიღებული შედეგების მაქსიმიზება და განვრცობა სხვადასხვა სფეროზე. კერძოდ, ხელი შეუწყოს, როგორც ტურიზმის განვითარებას, ასევე, მომიჯნავე დარგების აღმავლობას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, შემოსავლების ზრდას, ადგილობრივი პროდუქტის რეალიზებას, ეკონომიკური აქტივობების ხელშეწყობას სხვა დაკავშირებულ სექტორებში. ამავე დროს პოლიტიკის მიზანია შესაძლო უარყოფითი ეფექტების შეზღუდვა, როგორცაა, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, დანიშნულების ადგილების გადატვირთვა, ხმაური, ქუჩების გადატვირთვა, დანაგვიანება და ა.შ.

მთავარი ამოცანაა შემუშავდეს და განხორციელდეს გეგმა, რომელიც მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობად აქცევს. მნიშვნელოვანია განვითარების ხედვა, როგორ ამცირებს სიღარიბეს, წაახალიებს დასაქმებას, ინფრასტრუქტურის შექმნას, თუმცა ზრდა არ უნდა ხდებოდეს გარემოს ხარჯზე, რადგან საბოლოო ოჯახში გარემო ისევე როგორც კულტურული მემკვიდრეობა ბუნებრივი კაპიტალია ტურიზმის სექტორისათვის. ტურიზმი უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს და თავისი ბუნებით უნდა იყოს დამზოგავი. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მიერ მიმდინარე წელი მდგრად წელიწადად არის აღიარებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელდენერი, ჩ. რითჩი, ბ. (2013). საფუძვლები – პრაქტიკა თეორია, ბათუმი.
2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2016 წლის ანგარიში.
3. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, (2015). საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისი.
4. ტურიზმის ქარტია, (1994). აღიარებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 25 იანვრის დადგენილებით.
5. ქათამაძე, დ. ქათამაძე, გ. (2013). საერთაშორისო ტურიზმი, ბათუმი.
6. David L. Edgell Srand Jason T. Swanson, (2008). Tourism Policy and Planning, Yesterday, today and tomorrow.
7. Evans, N. G. Campbell, D. Stonehouse G. (2003). Strategic Management for Travel and Tourism, Burlington, Butterth-Heinemann.
8. www.gnta.ge
9. www2.unwto.org
10. www.wttc.org

STRATEGIC TRENDS IN TOURISM DEVELOPMENT

MAIA AZMAIPARASHVILI

Doctor of Agricultural Sciences, Associated Professor of European University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.019>

KEYWORDS: STRATEGIC ASPECTS, TOURISM POLICY, INTEGRATION, DEVELOPMENT, SUSTAINABILITY

SUMMARY

The work focuses on strategic aspects of tourism development, some of the development of international tourism in Georgia and modern trends. Political decision-making during the new tourist planning, the complex nature of tourism and the long-term perspective of its development should be included. Tourism should be sustainable and must be mixed with nature. There is a tendency of a significant increase in visitors from EU countries: Poland, Germany, France. Georgia has long been dependent on its neighboring countries because the recognition of Georgia in these countries is high. The arrival of these countries is relatively inexpensive and

takes a little bit of time. But in a new era when 60% of the world's traffic is on airways, there is no improvement in air traffic in the country, challenging challenges in aviation, and the right management is necessary to manage the processes. In 2016, the 19% growth is confirmed by the fact that Georgia is a tourist model. However, the questions remain on how this development affects people and their well-being. Following visualization, you need to develop the pace of development. There are important challenges. Georgia should work on new markets, especially in the direction of Asia and the Middle East markets, to accentuate Chinese, Japanese, Korean, Malaysian Thai and Singapore.

ტურიზმი, საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი

ბიული გიგუაშვილი

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.020>

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა, მდგრადი განვითარება, ტურიზმის სტრატეგია

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის თანახმად, მთავრობის მთავარ მიზანს წარმოადგენს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას; გარემოსდაცვითი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და „მწვანე“ ეკონომიკის განვითარებას; ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისებას. მდგრადი განვითარება წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას, პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის – გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით. 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ახალი მიზნები ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკურ ზრდაზე, სოციალურ ინკლუზიასა და გარემოს დაცვაზე. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკაც სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპი ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. მეორე პრინციპია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მესამე ძირითად პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს. [1]

ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედი. საქართველოს მთავრობა მოწოდებულია განუხრელად დაიცვას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კურსი და უზრუნველყოს

საერთო ევროპული ფასეულობების მტკიცე მხარდაჭერა, რაც ევროკავშირთან დაახლოების საფუძველი გახდება. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ეფექტიან განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, ამ გაერთიანებაში პოლიტიკურ ასოცირებასთან ერთად ითვალისწინებს ეკონომიკური ინტეგრირების ხელშეწყობასაც, საქართველოს ჩართულობის ზრდას ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებსა და ორგანიზაციებში; ამასთან, ევროკავშირი თავის წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებაში და ინსტიტუციონალურ სტაბილურობაში; ასოცირების შეთანხმების 301-ე პარაგრაფი აცხადებს, რომ მხარეები თავიანთ ურთიერთობებს ააგებენ და გააძლიერებენ, მდგრადი განვითარების გრძელვადიანი მიზნის გათვალისწინებით. [2]

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში აღწერილია ის პრიორიტეტები და პრობლემები, რომელთა გადაჭრა საჭიროა გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს, რომლის შედეგები მოსახლეობის ფართო ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი, კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი უზრუნველყოფს. საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლების განმავლობაში პერმანენტულად იზრდება, რის საფუძველსაც ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმები წარმოადგენს. 2006–2017 წლებში ქვეყანაში განხორციელდა 44 რეფორმა, რამაც ხელი შეუწყო ბიუროკრატიული ბარიერების აღმოფხვრას და შეამცირა საგადასახადო ტვირთი.

2016 წელს საქართველოში 2.7%-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. ეკონომიკის ზრდის მთავარი წარმართველი ფაქტორი ინვესტიციები იყო. შიდა ინვესტიციების გარდა, პოზიტიური ტენდენციები დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართულებითაც. ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა, რომლის მოცულობამ 2016 წელს, წინასწარი მონაცემებით, 1 645 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5%-ით აღემატება 2015 წლის მონაცემებს. [3]

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშის (Doing Business 2017) მიხედვით 2017 წელს

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)

	2011	2012	2013	2014	2015	2016
მშპ, მლრდ ლარი	24.3	26.2	26.8	29.2	31.8	33.9
მშპ, მლრდ აშშ დოლარი	14.4	15.8	16.1	16.5	14.0	14.3
მშპ რეალური ზრდა	7.2%	6.4%	3.4%	4.6%	2.9%	2.7%
მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი	3,231	3,523	3,600	3,676	3,767	3,852

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

საქართველო დასახელებულია როგორც რეგიონის ლიდერი ქვეყანა განხორციელებული რეფორმების კუთხით. 2006 წლის 112 ადგილიდან ამჟამად ქვეყანას ბიზნესის წარმოების სიმარტივის მაჩვენებლით 190 ქვეყანას შორის მე-16 ადგილი უკავია.

გაუმჯობესებულია რეიტინგი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (The Heritage Foundation 2017) მიხედვითაც - საქართველო 2017 წელს მე-13 პოზიციაზეა 180 ქვეყანას შორის 76 ქულით. შედარებისთვის, 1996 წელს საქართველოს 123-ე პოზიციაზე იმყოფებოდა. წინსვლა აღინიშნება მსოფლიო

დონეს. აღნიშნულ ინდექსში 2016 - 2017 წლებში საქართველო 59-ე პოზიციაზე იმყოფება 138 ქვეყანას შორის, მისი სარეიტინგო ქულა კი - 4,32 შეადგენს. [4]

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელში - მთლიან შიდა პროდუქტში გარკვეული წილი უკავია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს - ტურიზმს, რომლის ხვედრითი წილი განუხრელად იზრდება და 2016 წლისათვის 7.05%-ს შეადგინა.

ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება ხელს უწყობს საქარ-

ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

კონკურენტუნარიანობის ინდექსშიც (GCI), რომელიც ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის

თველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორის - ტურიზმის განვითარებას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტურიზმის გავლენა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მათ შორის დასაქმებასა

შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (1000 აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

და საგადასახადო შემოსავლებზე. აღსანიშნავია ტურიზმის სექტორის კონტრიბუცია ეკონომიკაში უცხოური ვალუტის შემოდინების მხრივაც.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში: საერთაშორისო მოგზაურების მთლიანი რაოდენობა თითქმის 300%-ით გაიზარდა და 2016 წელს რეკორდულ მაჩვენებელს 6.350.825-ს მიაღწია (2009 წ.:1.5 მლნ). ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა - 476 მილიონი აშშ დოლარიდან (2009წ) 2.16 მილიარდ აშშ დოლარამდე (2016წ.).

ზემოთ მოცემული მაჩვენებლები მკაფიოდ მიანიშნებს, რომ გასული წლების მანძილზე ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხა მცირედით გაიზარდა, თუმცა გლობალურ საშუალო მაჩვენებელს ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ხარჯვის დაბალი ნიშნული ძირითადად ვიზიტორების წარმომავლობით არის განპირობებული. მათი დაახლოებით 83,6% მეზობელი ქვეყნებიდანაა, მხოლოდ 16,4% შემოვიდა სხვა ქვეყნებიდან. 2016 წელს განსაკუთრებით მაღალი ტემპით, 485%-ით, გაიზარდა ირანიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, რაც საქართველოს მიერ სავიზო რეგულაციების გაუქმებას უკავშირდება. ასევე მაღალი ტემპით - 55% გაიზარდა ისრაელიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა. ევოკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტების რაოდენობამ 2016 წელს 263 076 შეადგინა. ევროპელი მოგზაურების წილი მთლიან რაოდენობაში 4,1%-ია, ხოლო ზრდა წინა წელთან შედარებით +8,6%.


საერთაშორისო მოგზაურთა უმრავლესობა - 81% სახმელეთო ტრანსპორტით შემოდის საქართველოში, 2016 წლის მონაცემებით, საჰაერო ტრანსპორტით ვიზიტორების მხოლოდ 17% სტუმრობს ქვეყანას, სარკინიგზო ტრანსპორტზე 1% მოდის, ასევე საზღვაო ტრანსპორტითაც ვიზიტორების მხოლოდ 1% შემოდის. ყველაზე დატვირთული საზღვარია სარფი (მთლიანი საზღვრის კვეთების 20%). მას მოსდევს 18%-ით სადახლო და წითელი ხიდი 18 %-ით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2016 წლის მანძილზე საქართველოში 6.35 მილიონზე მეტი უცხოეთის მოქალაქე იმყოფებოდა, რაც წინა წელთან შედარებით 7.6%-ით მეტია. ამ 6.3 მილიონი ვიზიტორიდან საქართველოში 24 საათზე მეტხანს 2.7 მილიონი უცხოეთის მოქალაქე დარჩა, ეს კი წინა წელთან შედარებით 19%-ით მეტია. საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით, ტურისტებად სწორედ ის ვიზიტორები უნდა ჩაითვალოს, ვინც ქვეყანაში 24 საათზე მეტი ხნით რჩებიან და ქვეყნის მომსახურების სექტორს (რესტორნები, სასტუმროები და ა.შ.) იყენებენ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2016 წლისთვის 1.7 ათასი სასტუმროა რეგისტრირებული, ამ სასტუმროებში არსებული საწოლების რაოდენობა კი 57 ათასია. რეგიონების მიხედვით თბილისი ლიდერობს, აქ 14.8 ათასი საწოლი ადგილია, აჭარის რეგიონში კი 11.6 ათასი საწოლია. 2016 წლის მანძილზე გახსნილი დიდი ზომის სასტუმროებია - The Biltmore Tbilisi, Crowne Plaza, Gino Wellness და სხვები. 2016 წელს ქვეყანას 3.1 ათასი საწოლი ადგილი შეემატა.

გასულ 2016 წელს წინა წელთან შედარებით 12%-ით გაიზარდა ავიარების რაოდენობა, გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის ზრის მაჩვენებელი კი 2015 წელთან შედარებით +26%-ია. ვფიქრობთ, სავიაცო ბაზრის სრულყოფა და 2016 წელს საერთაშორისო მარკეტინგულ აქტივობებში დახარჯული 22. 540. 000 ლარი აუცილებლად გამოიღებს შედეგს და ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და შესაბამისად საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას. [5]

როგორც „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-შია განსაზღვრული, 2025 წლისთვის საქართველო ცნობილი იქნება, როგორც მოწინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული ქვეყანა, გამორჩეული თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმარ-მასპინძლობის უძველესი ტრადიციით. ინფრასტრუქტურაში განხორციელებული სტრატეგიული ინვესტიციების, განათლების უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და მსოფლიოს მასშტაბით მაღალგადახდისუნარიანი ტურის-

საერთაშორისო მოგზაურობის სტატისტიკა



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ტებისათვის უნიკალური ქართული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით, საქართველო ტურიზმის დარგში არსებული კონკურენციის მოწინავე რიგებში წარმოჩინდება. [6]

სტრატეგიის მიხედვით, ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხის გაზრდის შედეგად ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვნად მოიმატებს. მეტი ყურადღება დაეთმობა ვიზიტორთა ხარისხსა და მრავალფეროვნებას, ვიდრე ვიზიტორთა რაოდენობას. აუცილებელია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა არსებული დონიდან (1.9 მილიარდი აშშ დოლარი) 6.6 მილიარდ აშშ დოლარამდე; ყოველი ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხის გაზრდა არსებული 328 აშშ დოლარიდან 600 აშშ დოლარამდე, რაც გაზრდის დარგის მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი წილს 7.9%-მდე. ტურიზმში დასაქმებული პირების რაოდენობის გაზრდა დაახლოებით 90%-ით, არსებული 158. 515-დან 301. 284-მდე ხელს შეუწყობს უმუშევრობის მწვავე პრობლემის ნაწილობრივ დაძლევას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 63%-ით გაზრდა, არსებული 723 მილიონი აშშ დოლარიდან 1. 178 მილიონ აშშ დოლარამდე. ვფიქრობთ, ტურიზმის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები რეალბასთან მიხედვით და შესაბამისად შედეგის მომტანიც. არ შეიძლება, არ აღინიშნოს შიდა ტურიზმის სტიმულირების პროექტის „გაიცანი საქართველო“ შესახებ. მნიშვნელოვანია ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, მათ შორის ინკლუზიური ტურიზმის მიმართულებით. [6]

დადებითი მომენტი იხიც, რომ საქართველოს ევროინტეგრაციისაკენ სწრაფვა წარმატებით განვითარდა და

ევროპარლამენტმა საქართველოს ვიზალიბერალიზაცია მიანიჭა. 2017 წლის 28 მარტს გაიხსნა ევროპის საზღვარი. ვფიქრობთ, ევროპასთან უვიზო მიმოსვლა კიდევ უფრო გაზრდის ტურიზმის ინდუსტრიას და ამასთან, დამატებით შესაძლებლობებს მისცემს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ევროპის უნივერსიტეტებში განათლების მიღების, სამედიცინო დახმარების, დასვენების, ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების კუთხით.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, ტურიზმის დარგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ტურიზმის განვითარების სტრატეგია მხოლოდ ორიენტირია და თუ მას არ მოჰყვა შესაბამისი ტურიზმის პოლიტიკა და მიზნობრივი პროგრამები, შედეგი არ გვექნება. საჭიროდ მიგვაჩია საქართველოში მოქმედი ტურისტული ორგანიზაციების უპირატესი ორიენტაცია „ტურისტების ექსპორტზე“; ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგება; ტურპროდუქტების რეკლამირების სრულყოფა; ტურისტული მომსახურების გაუმჯობესება და ენობრივი ბარიერით გამოწვეული კომუნიკაციასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა; ტურიზმის დარგისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის კონკრეტული ფინანსური და საგადასახადო მექანიზმების შემუშავება;

ტურიზმის განვითარებას საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ სახელმწიფოსა და ერის ისტორიის, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი ტრადიციების მსოფლიოში პოპულარიზაციისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ეკონომიკური პოლიტიკა. <http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43>
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020.
3. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo
5. საქართველო მსოფლიო რეიტინგებში - http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2017_geo.pdf
6. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - 2016 წლის ანგარიში.
7. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 - <http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/turizmi/sakartvelos%20turizmis%20strategia%202025.pdf>

TOURISM AN IMPORTANT SECTOR OF GEORGIA'S ECONOMY

GIULI GIGUASHVILI

Academic Doctor of Economics, Professor
Gori State Teaching University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.020>

KEYWORDS: ECONOMIC POLICY, SUSTAINABLE DEVELOPMENT, TOURISM STRATEGY

SUMMARY

Tourism is considered as the largest and fastest growing industry in the World. Tourism's impact on the economic and social development of a country can be enormous: opening it up for business, trade and capital investment, creating jobs and entrepreneurialism for the workforce and protecting heritage and cultural values.

This sphere can bring much profit as to private firms, also to concrete countries, Revenues from tourism sector grow on annual basis and reach record figure. Over the past 10 years, tourism is an only sector in Georgian economy that grows on annual basis. It should be also noted that tourism sector has become one of the important sources for currency inflows to the country. According to the statistics of national tourism administration, the year of 2016 and the beginning of 2017 were especially successful in terms tourist and currency inflows from tourism sector.

Tourism in Georgia is an important component of the economy of Georgia. International tourism is a rapidly growing industry. In 2015 it employed around 158,500 people, producing 6.7% of Georgia's GDP by providing US \$1.94 billion of revenue. 2015's tourists numbers reached a record high of 2,278,562 people. In 2016, international tourist arrivals increased again, reaching 2,714,773, with resultant revenue estimated to exceed US \$2 billion.

Revealed 6,350,825 international visitors arrived in Georgia last year, which is 449,731 more than the year previous. The largest number of tourists is reported to come from Azerbaijan (1,523,075, an increase of 9.3%) Second place is Armenia (1,496,246, an increase of 1.9%) followed by Turkey (1,254,089 – a decreased of 9.9% from last year). In the fourth place was Russia with 1,037,564 tourists visiting Georgia in 2016, a full 12% more than in 2015. Visits from Ukraine increased by 21.8%, amounting to 172,631 people. The latest data indicate year-on-year visitors from Europe also show positive signs; with the total number of travellers from Lithuania, Latvia, Czech Republic, Bulgaria and Germany all significantly increasing. An exceptional increase in tourism was observed from the following countries: Iran (+485%), India (+199%), Saudi Arabia (+116%), the Philippines (+89%), Oman (+75%), and China (+46%)," Chogovadze said.

The newly-established visa-free travel represents the most important achievement for Georgian citizens that will further deepen and encourage contacts, business relations and tourism.

Development of turistical business and involve in the economical service of the country is the most important and active problem of the development of market economics. For its regulating and arranging the state must do the best.

პერსონალის შრომითი საქმიანობის შეფასება კადრების მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ფუნქცია

ლუარა გვაჩაია

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.021>

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: პერსონალი, კადრები, მართვა, მენეჯმენტი, საქმიანობის შეფასება, მეთოდები, კრინციპები

პერსონალის მართვის მრავალი პრობლემის ეფექტიანად გადაწყვეტა უშუალო კავშირშია ორგანიზაციის პერსონალის საქმიანობის შეფასებასთან. პერსონალის საქმიანობის შეფასება მუდმივად მიმდინარე პროცესია (ტექნოლოგია). იგი პრაქტიკულად პერსონალის მართვის სამუშაოების საფუძველია, საბაზო ტექნოლოგიაა, რომელიც იძლევა ადამიანების სწორად შერჩევის, მათი საქმიანობის რეალური შედეგების შეფასებისა და შესაძლებლობების გონივრულად განკარგვის საშუალებას. შეფასება – ეს რთული ინსტიტუციონალური განათლებაა, რომელიც ეყრდნობა განსაზღვრულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ მექანიზმებს, რაც დღეისათვის ჯეროვნად არ არის დამუშავებული. შეუძლებელია პერსონალის ადეკვატური შეფასების ამოცანის გადაწყვეტა შესაბამისი შეფასებითი ტექნოლოგიების, პროცედურების და მეთოდების დამუშავების გარეშე. ეს არის რთული ფუნქცია, რომელიც თხოვლობს მაღალ პროფესიონალიზმს, პედაგოგიურ ოსტატობას, შეფასების ჩამტარებელი ადამიანის საერთო კულტურის მაღალ დონეს.

შეფასების მიზანია – შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის გაზომვა. შეფასება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც კონტროლის ფუნქციის გაღრმავება, რომელიც ითვალისწინებს სტანდარტების დაწესებას და შედეგების გაზომვას დადგენილი ნორმატივისაგან გადახრის დასადგენად, აუცილებლობის შემთხვევაში მაკორექტირებელი ზომების გატარებას.

კადრების მენეჯმენტის მეცნიერ-ეკონომისტები ძირითადად მიანიშნებენ შეფასების სამ ძირითად **ფუნქციაზე**, ესენია:

- **ადმინისტრაციული**, რაც ითვალისწინებს ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღებას თანამშრომლის ორგანიზაციაში სამუშაოს გავრცელების ან შეწყვეტის შესახებ;
- **ინფორმაციული** – გულისხმობს თანამშრომლის ინფორმირებას თავისი მუშაობის ხარისხის, დონის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია მისი ძლიერი და სუსტი მხარეების და შემდგომი სრულყოფის მიმართულებების შესახებ;
- **მოტივაციური** – რაც ნიშნავს იმას, რომ საქმიანობის დადებითმა შეფასებამ მუშაკს უნდა მისცეს ინდივიდუალური სტიმულირება შემდგომში უფრო მაღალი შეფასების მისაღწევად.

პერსონალის შეფასების მოფიქრებული და მაღალეფექტური სისტემა იძლევა საშუალებას ორგანიზაციებმა განახორციელონ მუშაკთა განთავსების ოპტიმიზაცია, კოლექტივში კონფლიქტების შემცირება და ორგანიზა-

ციის ქვედანაყოფების, მისი ცალკეული თანამშრომლების საქმიანობის ანალიზი.

შეფასების ეფექტიანობაზე გავლენას ახდენენ რიგი ფაქტორები, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

1) იმის გამო რომ დაქვემდებარებულების მუშაობა უფრო ხშირად ფასდება უფროსის (ხელმძღვანელის) მიერ, ამიტომ ეს უკანასკნელი უნდა ფლობდეს მუშაკის საქმიანობის ზუსტად დახასიათების და შეფასების უნარს, იგი არ უნდა ეფუძნებოდეს მის პირად დამოკიდებულებას მასთან;

2) ხელმძღვანელს (შემფასებელს) უნდა შეეძლოს შრომის შეფასების შედეგების თაობაზე თანამშრომელთა კორექტულად ინფორმირება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დაქვემდებარებულთა ინფორმირებისას მათი მუშაობის ნაკლოვანებების გაზვიადებულად კრიტიკა ნაკლებად ეფექტური მეთოდია, ვინაიდან უფრო ხშირად იგი იწვევს მუშაკის მხრიდან დაცვიტ, თავის მართლების რეაქციას, ვიდრე პრობლემის არსში ჩაწვდომას და შემდგომში მუშაობის გაუმჯობესებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მენეჯერმა შექმნას მშვიდი სიტუაცია, რომელშიც თანამშრომლები შეძლებენ თავიანთი პრობლემების განსჯას, რაც დაკავშირებულია საქმიანობის შედეგებთან. ინფორმაციების ეფექტური გაცვლისა და სათანადო უკუკავშირის შექმნისათვის აუცილებელია ორმხრივი კონსტრუქციული დისკუსია მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტულ საკითხებზე;

3) არ ითვლება ეფექტურად წელიწადში ერთხელ ან ორჯერ-სამჯერ შეფასების თაობაზე ინფორმაციის გაცემა დაქვემდებარებულზე. შეფასება უნდა „გაცივდეს“ იმ დროს და იმ სიხშირით, როგორც მოითხოვს სიტუაცია;

4) მიზანშეუწონილად ითვლება მუშაკის შედეგების შეფასების საკითხთან ერთად ხელფასის სიდიდის თაობაზე საკითხის განხილვა.

შეფასების პროცესში მონაწილეობენ შეფასების **სუბიექტი და ობიექტი**.

შეფასების **სუბიექტად** ითვლება ის, ვინც ახდენს შეფასებას. შეფასების **ობიექტს** კი წარმოადგენს ორგანიზაციის თანამშრომელი მთელი მისი სოციალურად მნიშვნელოვანი ხაზების და საქმიანობის მრავალსახეობით. ადამიანის, როგორც შეფასების ობიექტის რთული სტრუქტურისგან გამოყოფენ მხოლოდ ამ სტრუქტურის გარკვეულ ერთობლიობას: კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო საერთო და პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარების დონეს, უნარების გამოვლენის ხარისხს, სხვადასხვა სიტუაციებში საკუთარი თავის მართვის ცოდნას, შედეგებს, შრომის პროცესს და ა.შ.

აქედან გამომდინარე შეფასების საგნის **ძირითად შინაარსს** წარმოადგენენ:

1. პროფესიონალურ-საკვალიფიკაციო მახასიათებლები (პროფესიონალური ცოდნა, ჩვევები, მუშაობის გამოცდილება);
2. ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობის ხარისხი;
3. შესასრულებელი სამუშაოს სირთულე და მოცულობა;
4. მუშაობის შედეგები;
5. ორგანიზატორული უნარები;
6. კოლექტიური მუშაობის ჩვევები;
7. საქმიანი (ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა და სხვა) და პიროვნული თვისებები (ტემპერამენტი, ხასიათი, თვითშეფასების უნარი, პატიოსნება, სამართლიანობა, ფსიქოლოგიური მდგრადობა, აქტიურობა და სხვა)

ჩვენი აზრით, მუშაკის შეფასების ძირითადი საგნობრივი სფერო უნდა იყოს ორგანიზაციის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის მის მიერ გაწეული შრომის შედეგები, ამასთან საქმიანობის შეფასება არ უნდა ხდებოდეს მუშაკის ცალკეული ქმედებების შეფასებით, არამედ უნდა მოიცავდეს საქმიანობას განსაზღვრული დროის პერიოდში.

შეიძლება გამოიყოს პერსონალის საქმიანობის შეფასების განსაზღვრული **პრინციპები**, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ობიექტურობა, მიზანსწრაფულობა, მრავალმხრივობა, სრულფასოვნება და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს პერსონალის შეფასების **მეთოდების** მრავალსახეობა და მათი კლასიფიკაცია. მეთოდები პირობითად იყოფა ორ ჯგუფად:

1 - **ინფორმაციის მოგროვების მეთოდები**, რომელიც აუცილებელია შეფასებისათვის: დაკვირვება, ექსპერიმენტი, გასაუბრება, გამოკითხვა, დოკუმენტებისა და წერილობითი წყაროების შესწავლა, ანკეტირება, ტესტირება და თვით-შეფასება.

2 - **ინფორმაციის გავრცობისა და ანალიზის მეთოდები**. გარდა ამისა მართვის მეთოდების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს აგრეთვე შემდგენიარად:

ა) შეფასების სუბიექტების მიხედვით: ინდივიდუალური, ჯგუფური, ექსპერტული. ამასვე უნდა მიეკუთვნოს თვით-შეფასებაც;

ბ) შეფასების საგნისა და ობიექტის მიხედვით: პიროვნული დახასიათებები, შრომის შედეგები, შრომის პროცესი და ა.შ.

გ) შეფასების საგნის შესახებ ინფორმაციის წარდგენის საშუალებების მიხედვით: - გასაუბრება, ჯგუფური დისკუსია, დაკვირვება, ასევე ანკეტირება, ტესტირება, კომბინირებული მეთოდები.

კადრების სამსახურმა უნდა შეარჩიოს შეფასების მეთოდები ორგანიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით, მიიღოს რა მხედველობაში თითოეული მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მთავარია შემოღებული იქნეს

ისეთი მეთოდი, რომელიც დაცული იქნება შემფასებელთა მხრიდან სუბიექტური დამოკიდებულებისაგან.

კადრების შეფასების პირველი ფორმალიზებული სისტემები შემოღებულ იქნა აშშ-ში მე-20 საუკუნის დასაწყისში სახელწოდებით „შედეგების ცოდნა“.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ფართოდ გავრცელება ჰპოვა კადრების ე.წ **ატესტაციამ**, რომელიც ამჟამად წარმოადგენს შეფასების სტრატეგიულ ფორმას. საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“ ჩამოყალიბებულია მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესები. კანონი მოქმედებამია 1997 წლიდან.

ატესტაციის ძირითადი ამოცანებია:

- თანამშრომელთა დაკავებულ თანამდებობებთან შესაბამისობის დადგენა;

- მუშაკთა პოტენციური უნარების და შესაძლებლობების პერსპექტივის გამოვლენა მათი კარიერული ზრდის მართვისათვის;

- ორგანიზაციის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიონალური მომზადებისა და გადამზადების აუცილებლობის განსაზღვრა.

სათანადოდ ჩატარებული ატესტაცია უზრუნველყოფს ორგანიზაციის მაღალ-პროფესიონალური შემადგენლობის ფორმირებას. ატესტაციის პროცესი ტარდება დაწესებულების ბრძანებით შექმნილი საატესტაციო კომისიის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად საატესტაციო კომისიამ მუშაკის მიმართ შეიძლება მიიღოს შემდეგი სახის შეფასებითი გადაწყვეტილებები:

ა) შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) შეიძლება დარჩეს დაკავებულ თანამდებობაზე იმ პირობით, თუ იგი გააუმჯობესებს შემდგომში მუშაობას, გაითვალისწინებს საატესტაციო კომისიის რეკომენდაციებს და ერთი წლის შემდეგ გაივლის განმეორებით ატესტაციას

გ) არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას. ასეთი შეფასების შემდეგ მუშაკი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.

ატესტაციის შედეგების მიხედვით მიღწეული წარმატებებისათვის ცაკლელ მუშაკთა სტიმულირების მიზნით შეიძლება შეტანილ იქნეს რეკომენდაციები თანამდებობრივი განაკვეთების გაზრდის, დაწინაურების რეზერვში ჩარიცხვის თაობაზე, ასევე შეიძლება მიეცეთ რეკომენდაცია ატესტირებულ თანამშრომლებს კვალიფიკაციის ამაღლების, სამსახურებრივი საქმიანობის გაუმჯობესების თაობაზე.

შეფასება შეიძლება მოხდეს სხვა მეთოდების გამოყენებითაც: ასე მაგალითად, ე.წ **სტანდარტული შეფასების** მეთოდი ითვალისწინებს თანამშრომლის შეფასებას კადრების სამსახურის მიერ წინასწარ შევსებული საატესტაციო ფურცლის შესაბამისად, რომელშიც შეტანილია შეფასების სტანდარტული მაჩვენებლები და შკალები. **თვითშეფასების მეთოდთან** საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც საატესტაციო პირი თვითონ აფასებს თავის პროფესიონალურ, საქმიან და პიროვნულ თვისებებს, რისთვისაც იყენებს პერსონალის შეფასების უნივერსალურ ბანკს.

შეფასების ახალი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება

ორგანიზაციაში, უნდა იყოს კარგად მოფიქრებული სპეციალისტების მიერ და გასაგები ყველა სხვა დანარჩენი მუშაკისათვის.

პერსონალის შეფასების ჩატარების პირობა ყველა ნებისმიერი მეთოდის გამოყენებისას, უნდა მოიცავდეს შემდეგ **კომპონენტებს**:

ა) შეფასების ფორმალური სუბიექტები (თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელი, კადრების სამსახურის წარმომადგენლები);

ბ) შეფასების ობიექტი და საგანი;

გ) დაკავებული თანამდებობის მიხედვით პროფესიონალურ-საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

დ) თანამდებობრივი მოვალეობები ინსტრუქციის შესაბამისად ან თანამდებობის აღწერილობა;

ე) შეფასების კვალიფიციური და დამოუკიდებელი არაფორმალური სუბიექტები (ექსპერტები, მეცნიერები, პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები);

ვ) შეფასების დადგენილი პროცედურების და მეთოდების ლიაობა და მისაწვდომობა.

ზ) შეფასების საფუძველზე დასკვნების რეალიზაციის მექანიზმი.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ პერსონალის შეფასების ფუნქციის მაღალ დონეზე რეალიზაცია საკადრო მენეჯმენტის სხვა ფუნქციასთან მჭიდრო კავშირში უზრუნველყოფს ორგანიზაციაში საკადრო მენეჯმენტის ეფექტიანობას, რაც დიდ წილად ხელს შეუწყობს ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Коргова М. (2007). Кадровый менеджмент. Ростов-на-Дону.
2. გვაჯია, ლ. (2013). კადრების მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე. ჟ. „სოციალური ეკონომიკა“. №4-5.

ASSESSMENT OF THE WORKFORCE`S ACTIVITIES IS AN IMPORTANT FUNCTION OF STAFF MANAGEMENT

LUARA GVAJAIA

Academic Doctor of Economics, Associated Professor of Georgian Technical University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.021>

KEYWORDS: PERSONNEL, CONTROL, MANAGEMENT, ESTIMATION OF PERFORMANCE, TECHNIQUES, PRINCIPLES

SUMMARY

The article considers the basic problems of estimation of working performance of personnel, as part of the process of organization's personnel management. Functions of personnel management, factors that have impact on efficiency of estimation, the essence of estimation object, i.e. professional characteristic and skills are considered. The above-mentioned

characteristics include the level of participation into solution of organizational problems and general organizational skills.

The basic principles of estimation of performance of personnel are determined, including objectivity, purposefulness, versatility, perfection, etc. The techniques of personnel estimation are considered, such as estimation with attestation, standard and self-estimation techniques.

ენერგოდამზოგავი, ეკოლოგიური, განთავსების საშუალებების ჩართვა სასოფლო ტურიზმში

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.022>

დავით ლოლუა

აკადემიური დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: ფერმერული და სასოფლო ტურიზმი, საოჯახო სასტუმროები, ეკოლოგიური, ენერგოდამზოგავი, მწვანე შენობა

ბოლო წლებში განვითარებულ ქვეყნებში, სოფლის ტურიზმის პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა. ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში შეიმჩნევა უცხოელი ტურისტების ინტერესის ზრდაქართული სოფლებისადმი. ჩვენი ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებად განსაზღვრულია სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ტრადიციულად აგრარული ქვეყანაა, მისი პოტენციური დაუმრეტელია, ქართველი გლეხის სტუმარმასპინძლობა კი ოდითგანვე ცნობილია.

საქართველოს რეგიონებს სოფლის და ფერმერული ტურიზმის განვითარების კუთხით უდიდესი პოტენციური გააჩნია: ბუნებრივი მშვენიერება, მდიდარი ფლორა და ფაუნა, ეკოლოგიურ-რეკრეაციული ზონები, დასასვენებელ-სამკურნალო კურორტები, მრავალი კულტურული და ისტორიული ძეგლი, ფოლკლორი, სამზარეულო და სხვა.

სასოფლო და ფერმერული ტურიზმის არსი არის დასვენება სოფლად, ეკოლოგიურ გარემოში, ადამიანებთან, რომლებსაც აქვს თავიანთი ინდივიდუალური მეურნეობა, აქვთ სტუმრების განთავსების საშუალება და შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება. ფერმერული ტურიზმი იძლევა საკმაოდ საინტერესო შესაძლებლობებს სოფელში ბიზნესის განვითარებისათვის. თეორიულად ნებისმიერ სოფლის მცხოვრებს, დროის, სურვილისა და ორგანიზატორის უნარების არსებობის შემთხვევაში შეუძლია დაკავდეს სოფლის ტურიზმის განვითარებით.

საქართველოს სოფლებში სიღარიბის გამომწვევი მიზეზების კვლევის შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის მიზეზად თვლის დაბალ შემოსავალს მიღებული ჭარბი პროდუქტის რეალიზაციის ბაზრის უქონლობის გამო, აგრეთვე უმუშევრობას გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირის გამო. ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მოსახლეობას საკუთარი საოჯახო მეურნეობასთან ერთად ან მის საფუძველზე ჰქონდეს დასაქმების დამატებითი შესაძლებლობა. ასეთ მიმართულებას სოფლის და ფერმერული ტურიზმის განვითარება წარმოადგენს.

სოფლის და ფერმერული ტურიზმის განვითარების შემთხვევაში ადგილობრივი მკვიდრნი სოფლად აშენებენ, ფლობენ და განკარგავენ ტურისტულ ობიექტებს, ქმნიან სამუშაო ადგილებს და ტურისტების მიერ გაწეული დანახარჯებით იღებენ პირდაპირ ეკონომიკურ მოგებას. სასოფლო ტურიზმის წარმატებული განვითარება არ ითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას, მაგრამ საჭიროებს სრულყოფილ დაგეგმვასა და პროგრამირებას.

აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლოა სოფელში აშენდეს ახალი, იაფი, ორგანული მასალისაგან აგებული, ეკოლოგიურად სუფთა, ენერგოდამზოგავი ტურისტული ობიექტები. ასეთი კომფორტული ე. წ. „მწვანე“ ნაგებობები ტურისტებს საშუალებას აძლევს განთავსდნენ კოტეჯებში, რანჩოებში, ბუნგალოებში ფერმებისა და პლანტაციების მახლობლად, ან სტუმრებისთვის განკუთვნილ ცალკე სახლებში.

შენობა წარმოადგენს ხის კარკასულ ნაგებობას. კედლების შევსება, იატაკის, ჭერის, დათბუნება მოხდება ნამჯის ბლოკებით. კედლების გალესვა გათვალისწინებულია თიხის ნაზავით. ყველა მასალა ორგანული, ანუ ბუნებრივი, ეკოლოგიურად სუფთა, ენერგოდამზოგავი, იაფი, ადვილად მოსაპოვებელი და ასაშენებელია.[5]

ნამჯის ბლოკებით აშენებული შენობის (სახლი, კარავი, ტურისტული ქოხი, ბუნგალო) პრიორიტეტი, ენერჯის დაზოგვა დამოკიდებულია მის თბოფიზიკურ პარამეტრებზე (თერმულ წინაღობაზე, თბოგამტარობაზე და სხვა), რომლებიც დაახლოებით 30-40%-ით ზოგავენ შენობის გასათბობად და გასაგრილებლად საჭირო ენერჯიას. ეს თვისებები ანახევრებენ გათბობისა და კონდენციების ხარჯებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში არსებულთან ერთად, მრავალი მშენებარე ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტი, ნაკრძალი, ალკვეთილი, ეროვნული პარკია, მაშინ ნათელი გახდება, რომ ეკონომიკური ეფექტი, მნიშვნელოვანია. შემოთავაზებული ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები და მასალები ყოველდღიურად შეამცირებენ კომუნალურ ხარჯებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნამჯის ეკოსახლის ელექტრო და ცხელწყალმომარაგება შესაძლებელია მზის ბატარეებითა და კოლექტორებით. ამ ხელსაწყო დანადგარების გამოყენებით მომხმარებელი წელიწადში დაზოგავს 4300-4800 კვტ. სთ-მდე ელექტროენერჯიას, რაც ცხადია, შესაძლებელია გაზრდის ასეთი „მწვანე“ სახლების ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

ადგილობრივმა მოსახლეობამ ტურისტულ ობიექტთა მომსახურებისთვის უნდა გაიაროს სპეციალური მომზადება/გადამზადება - სასტუმროს მართვის, ტუროპერატორის, გიდის და სხვა, მომსახურების სფეროს შესასწავლად. ასევე შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მიიღონ მცირე სესხები, ტექნიკური კონსულტაციები. მთავარია, რომ თითოეულ სოფელში შენარჩუნებული იქნეს განვითარების ოპტიმალური დონე, რათა არ შეიქმნას ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები.

უფრო კონკრეტულად, ტურიზმის ეს სახეობა გულისხმობს ტურისტთა მცირე ჯგუფის მოგზაურობას დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში, დასვენებისა და ადგილობრივი ტრადიციების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მმართველები და მფლობელები სოფლის მკვიდრნი არიან.

ფერმერული, ანუ სასოფლო ტურიზმი დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოსა და ევროპის მრავალ რეგიონში. ამასთან ერთად ტურისტს საშუალება ეძლევა გაეცნოს და მონაწილეობა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. გარდა ამისა ზოგიერთი ფერმერი თავის ტერიტორიაზე აწყობს კემპინგებს და ტურისტებს თევზაობისა და ნადირობის საშუალებას აძლევს.

ტურისტებს შეუძლიათ ფერმის ტერიტორიები გამოიყენონ ბაზებად, საიდანაც ლაშქრობები მოეწყობა მეთევზეთა დასახლებებში. ადგილობრივ მცხოვრებთ შეუძლიათ სტუმრებს მისცენ საცხოვრებელი და მონაწილეობა მიიღონ თევზაობაში. ამ სახის ტურიზმის ორგანიზებისათვის შეიძლება ტექნიკური დახმარება გახდეს საჭირო.

სოფელში ამგვარი დასვენება ადამიანს ეხმარება სტრესის დაძლევაში. ცნობილია, რომ სტრესი ხმაურიანი ქალაქური ცხოვრების თანმდევი მოვლენაა. მის დასაძლევად კი ქალაქში მცხოვრებნი სიამოვნებით მიმართავენ სოფლის ტურიზმს.

დღეს საქართველოში დიდ პრობლემად რჩება სოფლების დაცლა. მთიდან და მთისწინეთიდან მოსახლეობის მიგრაცია არ შეჩერებულია. უფრო მეტიც, გაუკაცრიელებული და დაცარიელებული სოფლების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება. ექსპერტების აზრით, მოსახლეობის სოფლებში დაბრუნება არც მთავრობის შემოთავაზებულ სოფლის მეურნეობის აღორძინების პროგრამას მოჰყოლია. ერთ-ერთი გამოსავალი, ქართული სოფლების დაცლის გადასარჩენად, მდგომარეობს სასოფლო ტურიზმის განვითარებაში.

რამ შეიძლება გამოიწვიოს სოფელში სტუმრობისათვის ტურისტის დაინტერესება?

1. ლამაზი პეიზაჟით და მდიდარი ბუნებით ტკბობის შესაძლებლობამ;
2. სოფლის იდილიურ, წყნარ გარემოში დასვენების შესაძლებლობამ;
3. სტუმართმოყვარე მასპინძელთან კვლავ შეხვედრის სურვილმა;
4. უნიკალური კერძებისა და გლეხური (ქვევრის) ღვინის დაგემოვნების სურვილმა;
5. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების იაფად შეძენის შესაძლებლობამ.

სოფლად ტურიზმის განვითარება ამცირებს უმუშევრობას და ზრდის ადგილობრივი პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას. დღეს როდესაც სოფლად ცხოვრების პირობები რთულია და ადგილობრივ ფერმერთა ფინანსური შემოსავლები მცირეა, პროდუქტის გასაღების ბაზრების მოპოვება და პროდუქტის პირველადი ღირებულების

გაზრდა მომსახურების დამატებით, სიღარიბის დაძლევის პრიორიტეტული მიმართულებაა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სოფლად ტრადიციული პროდუქტის წარმოება. მისი საკვებად გადამუშავება და სტუმრების გამასპინძლება, რაც შეიძლება შემდეგი სქემით გამოისახოს:

პირველადი (ნატურალური) პროდუქტი —> პირველადი გადამუშავება —> ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი —> სასაქონლო ფორმა —> რეალიზაცია.

დამატებითი ღირებულების წარმოქმნის პროცესი შეიძლება მოიცავდეს ასევე სხვა მომსახურებას (ტრანსპორტი, ღამის გათევა, ტრადიციული ხელსაქმე და ა.შ.) ტურისტულ მომსახურებასთან ერთად ეს ქმნის ე.წ. პირდაპირი პროდუქტის დამატებითი ღირებულების ჯაჭვს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის პირდაპირ შემოსავალს.

დამსვენებლებს მეწარმე, სოფლად ტურისტულ მომსახურებასთან ერთად სთავაზობს ადგილობრივ ტრადიციულ პროდუქტს, ამ შემთხვევაში ეს ტურისტული პროდუქტი ადგილზევე რეალიზდება ანუ მყიდველი თავად მიდის მომწოდებელთან, რაც ერთის მხრივ „უხილავი ექსპორტის“ სახეა და სარეალიზაციო ხარჯებს ამცირებს.

ტურისტის ღამის გათევა გულისხმობს ბინის, საცხოვრებელი ოთახების დაქირავებას, რასაც დაემატება კვება დღეში ერთხელ ან რამდენიმეჯერ. შესაძლებელია სასტუმრო ოთახი



გაქირავდეს კვების გარეშე, ასეთ შემთხვევაში სტუმარს ეძლევა საშუალება სამზარეულოში, აგროპროდუქტებისაგან დაამზადოს სხვადასხვა ადგილობრივი თუ მისთვის ნაცნობი საკვები. [4]

იმისთვის რომ მცირე საოჯახო სასტუმროები სასოფლო და ფერმერული ტურიზმისთვის სათანადო დონეზე განვითარდეს, საჭიროა:

- საოჯახო სასტუმროთა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. განსაკუთრებით სანიტარული კვანძების, კვების ბლოკების თანამედროვე სტანდარტით მოწესრიგება;
 - კადრების მომზადება და გადამზადება: მუნიციპალიტეტებში ჯერ-ჯერობით დაბალია სერვისის დონე, მომსახურე პერსონალი არ შეეფერება სასტუმრო სახლებისთვის აუცილებელ სტანდარტებს;
 - სოფლად საოჯახო სასტუმროებს არ გააჩნიათ სარეკლამო საინფორმაციო მასალები, როგორც ნაბეჭდი რეკლამის ისე ელექტრონული რეკლამის სახით. განსაკუთრებით მცირეა იმ სასტუმროთა რიცხვი, ვისაც საკუთარი ვებ-გვერდი და ინტერნეტში რეკლამა გააჩნია;
 - საოჯახო სასტუმროებს ძირითადად არ გააჩნიათ დაჯავშნის სისტემები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათ შემოსავლებს, არასრულიდ ატვიფრებს გამო.
- ზოგადი მოთხოვნები საოჯახო სასტუმროების მომსახურების სტანდარტისადმი:
- ოთახის დაჯავშნის სერვისი;
 - სტუმრისათვის განკუთვნილ ყველა ოთახს უნდა ქონდეს ცალკე შესასვლელი, ფანჯარა და სველი წერტილი;
 - სასტუმროს შესაბამისი გამართული ავეჯი;
 - სატელეფონო და ინტერნეტ კავშირი;
 - ადგილობრივი პროდუქტი და სურსათი;
 - ალჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი;
 - ილუსტრირებული ინფორმაცია სახლის შემოგარენში არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობების შესახებ;
 - პირველადი სამედიცინო დახმარების აფთიაქი;
 - სტუმრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- აღსანიშნავია, რომ არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა მცირე და საოჯახო სასტუმროების განვითარების შესახებ. განვითარებად ქვეყნებში, რომელიც ტურიზმზეა

ორიენტირებული, არსებობს მცირე და საოჯახო სასტუმროების განვითარების სტრატეგიული გეგმა და პროგრამა. [3]

ჩვენს პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომსახურების პროცესების წარმოების დახვეწას, მეთოდების გაუმჯობესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სასტუმრო მომსახურება ააგებულია ძირითადი და დამატებითი მომსახურების გაწევის პროცესებზე, რომელთა ხარისხიც დამოკიდებულია ტექნოლოგიის სრულყოფაზე, შემსრულებელთა ოსტატობის დონესა და აღნიშნული პროცესების მართვის ეფექტიანობაზე.

გემო თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ სტუმარ-მასპინძლობის ამ დარგს რეალურად სათანადო ყურადღება მიექცევა, სახელმწიფოც და საზოგადოებაც მოგებული დარჩება, გაჩნდება შემოსავლის სტაბილური წყარო.

ტურიზმის ასეთი მნიშვნელოვანი ბრენდის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა:

1. სახელმწიფოს ზრუნვა სასოფლო და ფერმერული ტურიზმის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისათვის. ამ მიზნით სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, როგორც საერთაშორისო ტურიზმის ინტერესები, ისე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები ტურიზმის ამ მიმართულებისადმი;
2. სახელმწიფოს ხელშეწყობა სასოფლო და ფერმერული ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნებისათვის, ამ მიზნით მიზან მიმართული სარეკლამო-საინფორმაციო პოლიტიკის წარმოება, რომელშიც ძირითადად მოაზრება არაკომერციული სახელმწიფო რეკლამა;
3. სისტემატური მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებსა და ბაზრობებზე;
4. ფერმერული ტურიზმის შესახებ საერთაშორისო კონფერენციებისა და თემატური შეხვედრების ორგანიზება, საქართველოს მხარეების მიხედვით საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტების გამოცემა სხვადასხვა ენებზე, პრეს-ტურების ორგანიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხარატიშვილი ლ., ტურიზმი სოფლად. ელკანა, 2008
2. Азоев Г. Л., Михайлова Е. А. Обоснование целесообразности развития аграрного туризма. - М.: ЗАО «Финстатинформ», 2009, с. 75
3. ხასაია ი., არნანია-კეპულაძე თ., კეპულაძე გ., სიღარიბის პრობლემა იმერეთის რეგიონის სოფლებში და ტურიზმის როლი მის დაძლევაში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2015. <http://pgie.tsu.ge>
4. ყორღანაშვილი ლ., რა არის აგროტურიზმი. <http://agrokvkaz.ge/agroturizmi/agroturizmi-rogorsturizmis-damoukidebeli-mimarthuleba.html>
5. აღადაშვილი მ., ტურიზმის ბიზნესში ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი თბ., 2013
6. Knoud J. Rural Tourism: Panacea and paradox. This abridged version produces for Geography Teachers Curriculum Workshop hosted by University of Western Sydney, July 2010

ინტერნეტ-რესურსები:

- www.blackseatourism.org
- www.eugeorgia.inf
- www.allbest.ru

INVOLVEMENT OF ENERGY-SAVING AND ECOLOGICAL FACILITIES IN RURAL TOURISM

DAVID LOLUA

Academic Doctor, Associated Professor of European University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.022>

KEYWORDS: RURAL TOURISM, HOMESTEAD TOURISM, RESEARCH, EMPLOYMENT, POVERTY

SUMMARY

Rural tourism is a rest in the countryside. People, who have a small farm, are hosts for arriving guests and they have the opportunity for their accommodation and can offer a variety of activities. In recent years the popularity of rural tourism has grown considerably in the developed countries. In this direction there is a growing interest of foreign tourists to the Georgian villages, too. Rural tourism provides very interesting opportunities for business development in the village. Theoretically, any resident of the village who has time, desire and organizational skills can be engaged in the rural tourism. Georgia has great potential for rural tourism development: natural beauty, rich flora and fauna, a lot of cultural and historical monuments, folklore, cuisine and more. The aim of the research is to study the prospects for the development of rural tourism in the country, as additional employment opportunities, together with or on the basis of its own housekeeping rural areas. Research methodology: Theoretical and methodological basis of the study are the works of Georgian and foreign specialists in this field, Legislative acts, as well as methods of the survey, analysis, conclusion. Results and implications: Research into the causes of poverty in the villages of Georgia showed that most of the respondents consider the low incomes and unemployment to

be the main source of the poverty. To improve this situation, it is important that the rural population has been able of additional employment together with a private household, or based on it. Such a possibility is the development of rural tourism and homestead tourism. Conclusion: Development of rural tourism in Georgia will contribute:

1. The creation of new jobs in rural areas.
2. The improvement of the living standards of village inhabitants.
3. The creation of tourism infrastructure.
4. The reduction of seasonality of tourism to nothing (rural tourism is functioning year-round).
5. The development of entrepreneurial activities in the village.
6. The restoration of cultural and natural monuments in rural areas.
7. To attract tourists in the villages.

The proposed works suggest the creation of facilities for alternative, organic, ecologically pure, harmless, energy-saving materials, such as wood, clay and stubbles. Based on the research, it was found that the stubble eco-house is very attractive, cheap and convenient for consumers, because of its thermal characteristics, including accommodation, such materials are acceptable for residential and hotel buildings, for recreation of tourists and protected areas, also in agricultural buildings (farms, warehouses ...), cottages, etc.

განათლებისა და კულტურის სფეროს ორგანიზაციების მენეჯერთა საერთო კავშირები

დოლო ჯუმბურიძე

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.023>

მენეჯმენტის (ხელოვნების მენეჯმენტის) დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო და კულტურული სფერო, თანამედროვე მართვის მიდგომები

კულტურის სფეროს განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. გარე ცვლადების შემოქმედებასთან ერთად მენეჯერის მხრიდან განათლებისა და კულტურის სფეროს ურთიერთკავშირის და სპეციფიკურობის გათვალისწინება ორგანიზაციის წარმატების და შემოქმედებითი იდეების მქონე თვითრეალიზებული თაობის აღზრდის წინაპირობაა.

აღნიშნულ სფეროში მოქმედ წარმატებულ მენეჯერებს, გამოცდილებაზე დაყრდნობით კარგად ესმით, რომ ორგანიზაციის განვითარებისთვის და წინსვლისთვის მთავარია ადამიანური რესურსის ოპტიმალური გამოყენება, რაც მოითხოვს თანამშრომელთა ხელშეწყობას ჩართული იყვნენ ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსებში. ორგანიზაციები ორიენტირებული უნდა იყვნენ კვალიფიციურ კადრებზე, კვალიფიკაცია განათლების გარეშე შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ნათლად იკვეთება, რომ ზრდასრულთა განათლება უწყვეტი პროცესია და მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ორგანიზაციის წინსვლაში.

„ორგანიზაციის ვერცერთი სხვა ელემენტი მეტ-ნაკლებად ეფექტიანად ვერ იარსებებს და იფუნქციონირებს ადამიანის ფაქტორის გარეშე, რასაკვირველია, პერსონალიც განიცდის ორგანიზაციის სხვა ელემენტების შემოქმედებას; მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია - ორგანიზაციის მისია, სტრატეგიული მიზნები, ძირითადი ფუნქციები და მათი შესრულების ინტენსივობა, უფლებამოსილებები, მისი შიდამოწყობა. ორგანიზაციული სტრუქტურა, გადამწყვეტ გავლენას ახდენს პერსონალის საერთო რაოდენობაზე, პროფესიულ და კვალიფიკაციურ შემადგენლობაზე, ერთმანეთს შორის ურთიერთობებზე, ყოველი თანამდებობის მიხედვით შესასრულებელ სამუშაოთა შინაარსზე, მოცულობაზე, ხარისხზე, პასუხისმგებლობაზე, იმ პროფესიულ კვალიფიციურ და პიროვნულ მოთხოვნებზე, რომლებსაც ყოველი თანამდებობა მოითხოვს მისი შემსრულებლისგან.“¹

ორგანიზაციის წარმატების განმსაზღვრელ კრიტერიუმად მოიაზრება მენეჯერი, რომელიც კარგად ერკვევა სფეროს სპეციფიკაში და ასევე ფლობს თანამედროვე მართვის მიდგომებს. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის წარმატება

მენეჯერის მმართველობითი გადაწყვეტილების შედეგია. მმართველობითი გადაწყვეტილების საბაზისო ელემენტებს წარმოადგენს მიზნისა და მისიის ფორმულირება, ასევე მოქმედი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

განათლებისა და კულტურის სფეროს ორგანიზაციის მენეჯერთა წარმატების განმსაზღვრელი კრიტერიუმებია შემოქმედებითობა და მართვის სტილის სწორად შერჩევა. მენეჯერის წარმატებული მმართველობა დამოკიდებულია მის განათლებაზე, პროფესიონალიზმზე და გამოცდილებაზე. არსებული მდგომარეობის შეფასებისა და დაფასების უნარი აღნიშნულ სფეროში მოღვაწე მენეჯერებისთვის საკვანძოდ მნიშვნელოვანია.

მენეჯერი უწყვეტად უნდა ზრუნავდეს მენეჯერული უნარების განვითარებაზე და ყურადღებას აქცევდეს მართვის რომელი სტილი ეხმარება მას ეფექტიანი შედეგის მიღწევაში კონკრეტულ გუნდთან მუშაობისას. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს აბსოლუტური წარმატება და უნაკლო შედეგი, შედარებით-შეფასებით უპირატესობას მენეჯერი გულდასმით უნდა ჩაუღრმავდეს და ბოლომდე შეისწავლოს მუშაობის პროცესში დაფიქსირებული ხელისშემშლელი ფაქტორები. გამოცდილებაზე დაყრდნობით შემოფერხებელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად შესაძლებელია პრევენციული ზომების წინმსწრებად გატარება.

მენეჯმენტი ესაა პროფესიულად განხორციელებული საქმიანობის დამოუკიდებელი სახე, რომელიც მიმართულია განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მატერიალური, შრომითი, ფინანსური და ინფორმაციული რესურსების რაციონალურად გამოყენებისკენ.

„ჯგუფი რომ ჩაითვალოს ორგანიზაციად უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. მინიმუმ ორი ადამიანი უნდა თვლიდეს თავს გუნდის წევრად.
2. უნდა არსებობდეს მინიმუმ ერთი მიზანი, საერთო ყველა ჯგუფის წევრისათვის.
3. ჯგუფის ყველა წევრი ერთობლივი ძალისხმევით უნდა იღწვოდეს საერთო მიზნის მიღწევისათვის“.²

ერთი მხრივ მენეჯმენტი გულისხმობს რესურსების ისეთ გამოყენებას, რომ პასუხობდეს მიზნობრივი ჯგუფების

¹ [გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა, „პერსონალის მართვა“, 2006: 11]

² [Мескон, Альберт, Хедоури, „Основы Менеджмента“, 2012:23]

მოთხოვნებს და ემსახურებოდეს სასურველი შედეგის მიღებას, მაგრამ განათლებისა და კულტურის სფეროს შემთხვევაში მენეჯერის განვითარების კონცეფცია და ხედვა წინ უნდა უსწრებდეს მიზნობრივი აუდიტორიის მოთხოვნებს.

„ცნებაში „კულტურის სფერო“ იგულისხმება საწარმოთა, დაწესებულებათა და არაკომერციულ ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომლებიც, ოფიციალური კლასიფიკაციის თანახმად, განეკუთვნება კულტურისა და ხელოვნების ქმნილებების, არამატერიალური მომსახურების მწარმოებელ, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სექტორს. კულტურის სფეროს განვითარების დაგეგმვა უნდა წარმოადგენდეს მიზნობრივი ორიენტაციისა და აუცილებელი შედეგების მიღწევის, კულტურის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა სუბიექტის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების, საზოგადოებისთვის კულტურის სფეროს მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობას“.³

განათლების სფეროში მოქმედი საგანმანათლებლო ორგანიზაციების სამოქმედო გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს ორგანიზაციის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან. განვითარების კონცეფციაში ნათლად უნდა ჩანდეს ახალი გამოწვევების საპასუხოდ დასახული მიზნები და მათი მიღწევის გზები.

„კულტურის დაწესებულების მისია უნდა ჩამოყალიბდეს მისი მუშაობის შინაარსისა და დანიშნულების ობიექტურ, მოკლე და სასურველია, შთამავნებელ ფორმულად. იგი უნდა პასუხობდეს კითხვას რისთვის სჭირდება ადამიანებს ეს ორგანიზაცია? მისიის ფორმულირება გვაძლევს ჩვეულმავდეთ ორგანიზაციის არსებობის აუცილებლობას და მისი პერსპექტივების საკითხს. მისია ასევე წარმოადგენს ორგანიზაციის გრძელვადიანი პოლიტიკის საფუძველს“.⁴

მენეჯერის გადაწყვეტილებები ორიენტირებული უნდა იყოს კონკრეტულ, დროში გაწერილ და რეალისტურ მიზნებზე. შეუძლებელია რომელიმე საორგანიზაციო საკითხის ცალკე განხილვა, ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული ერთი სისტემის ფარგლებში. ყველაზე მარტივი და შესატყვისი მაგალითია ორგანიზაციის დანიშნულების განსაზღვრა. ორგანიზაციის მიზანი და გუნდის წევრების

მოტივაციის კონტროლის მნიშვნელოვან საყრდენს მენეჯერის ალლო წარმოადგენს. ორგანიზაციის რეალისტური მიზნები აადვილებს საკომუნიკაციო არხების შერჩევას და სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას, რაც სამომავლოდ სასურველი იმიჯის შექმნის წინაპირობაა. „ხედვა ორგანიზაციის მომავალ მდგომარეობაზე ხელოვნის ან მენეჯერის პირადი შეხედულებაა“.⁵ მენეჯერის გამოცდილება და სწორად შერჩეული მართვის სტილი აიოლებს კომუნიკაციას ორგანიზაციის შიდა და გარე მიზნობრივ აუდიტორიასთან.

კულტურის სფეროში მმართველობითი გადაწყვეტილების შედეგად მიღებულ საბოლოო პროდუქტს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, როცა ხარისხი მოწოდების დონეზეა. აღნიშნულის წინაპირობაა განათლება, რომლის გარეშეც წარმოადგენელია მენეჯერის წარმატება. კულტურის სფეროს პროდუქტების შეთავაზებასა და განვრცობისთვის საჭიროა მისი სპეციფიკურობის გათვალისწინება. აღნიშნულ სფეროში შესაფერისი უკუკავშირის მიღება დამოკიდებულია მომხმარებელთა, კერძოდ დამთვალეიერებელთა და მაყურებელთა განათლების დონეზე. კულტურის სფეროს პროდუქტები ვერ გახდება მასიური მოხმარების, თუმცა მის მიმართ ინტერესი დამოკიდებულია პიროვნების განათლებაზე და აღზრდაზე. გასათვალისწინებელია სკოლამდელი აღზრდის მნიშვნელობა და კულტურასთან ზიარების შესაძლებლობა. კულტურის სფეროში მოქმედი მენეჯერი მუდმივად უნდა ზრუნავდეს თანამშრომელთა უწყვეტ განვითარებაზე, რათა შექმნას ხარისხიანი პროდუქტი რომელიც გააძლიერებს საზოგადოების ინტერესს კულტურის სფეროს პროდუქტების მიმართ. აღსანიშნავია, რომ კულტურის სფეროს პროდუქტების საგანმანათლებლო ფუნქციაც გააჩნიათ. კულტურის სფეროს მენეჯერი მრავალმხრივად განვითარება იმაში გამოიხატება, რომ იგი კარგად უნდა ერკვეოდეს ეკონომიკასა და სამართლის საკითხებში, ასევე მუდმივად იყოს ორიენტირებული თანამედროვე მენეჯმენტის სტანდარტების დანერგვისკენ. საგანმანათლებლო კომპონენტის გაძლიერება ხელს უწყობს თანამშრომელთა პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, რაც შემდგომში ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას ნიშნავს. კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული გუნდის შექმნა შეუძლია მენეჯერს, რომელიც ორგანიზაციის შიგნით ცოდნაზე დაფუძნებულ კონკურენტულ გარემოს ქმნის.

³ [სანადირაძე, „კულტურის სფეროს პროექტების მენეჯმენტი და დაგეგმარება“, 2011: 47]

⁴ [ლორდები, „სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი“, 2006: 7]

⁵ [ჭავჭავაძე, „სახელოვნებო მენეჯმენტი“, 2013: 29]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლორდი, ბ., ლორდი, გ. დ. (2006). „სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი“ გვ. 7
2. სანადირაძე, ნ. (2011). „კულტურის სფეროს პროექტების მენეჯმენტი და დაგეგმარება“, გვ. 47
3. ჭავჭავაძე, ზ. (2013). „სახელოვნებო მენეჯმენტი“, გვ. 29
4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (2006) „პერსონალის მართვა“, გვ. 11
5. Мескон Х., Альберт М., ХедоуриФ., (2012), „Основы Метеджмента“, 3-е издание, ст. 23

COMMON UNION OF EDUCATION AND CULTURE ORGANIZATIONS MANAGERS

DODO CHUMBURIDZE

Doctor of Management (Art Management),

Associated Professor of Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.023>

KEYWORDS: EDUCATIONAL AND CULTURAL SPHERE, MODERN MANAGEMENT APPROACHES

SUMMARY

In this article we are talking about the relationship, which is typical for educational and cultural sphere. It is clear, that successful educational projects have positive impact on cultural sphere. On the development of the educational and cultural Sphere influences social, economic and political current factors in the country.

Manager must foresee the relationships and specification of educational and cultural sphere, which is prerequisite

of education creative and self-actualize generation. For managers in cultural sphere for reaching successful result is helpful the Strengthen of educational projects.

Under The criteria of organizational success is considered the manager with experience, which has good knowledge of the specification of this sphere and owns modern management approaches. It should be noted, that the success of the organization is result of managerial decision.

რეგიონული სანარმოების მარკეტინგში სინერგეტიკული მიდგომის დასაბუთება

ნანა ნადირაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველო

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.024>

ლელა ინასარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: სინერგეტიკული მიდგომა, ინოვაცია, მარკეტინგი

ინტელექტუალური რესურსების კაპიტალის კვლავ-წარმოების ორგანიზაციის სფეროში მარკეტინგის სისტემის ინოვაციური მართვის უნარები, უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ შესაძლებლობები. სისტემის ინოვაციური განვითარება გულისხმობს მთლიანი სტრუქტურის ფორმირებას, რომლის ხასიათიც არ დაიყვანება მისი შემადგენლების თვისებების ჯამამდე, ამ უკანასკნელთ სისტემის შიგნით და გარე სამყაროსთან აქვს მკვეთრად გამოხატული ურთიერთკავშირი და ურთიერთქმედება.

გარე ფაქტორები გავლენას ახდენენ შიდა ფაქტორებზე ადაპტაციისა და ურთიერთქმედებათა პროცესების მეოხებით. მარკეტინგის სისტემის მართვისადმი სინერგეტიკული მიდგომის კონცეფცია არა მხოლოდ კაპიტალის სტრუქტურას ადაპტირებს გარე სამყაროსადმი, არამედ გავლენას ახდენს მასზე და მის ფორმირებაზეც. ესაა ჩანაფიქრის განხორციელების, შესრულების პროცესი, საბაზრო ურთიერთობების გათვალისწინებით ფორმის იდეების წინსვლისა და რეალიზაციის პროცესი, რომელიც კაპიტალის ფორმების ჰარმონიის მიღწევის მიზნით მიმდინარეობს მისი კვლავწარმოების სხვადასხვა ეტაპზე.

ტერმინი „კოჰერენტულობა“ ინოვაციურ კონცეფციაში ნიშნავს დროში რამდენადმე მერყევი ან მღვლევი პროცესების შეთანხმებულ მიმდინარეობას, რომლებიც გამოვლინდება მათი წარმოშობისას, რასაც სათანადო პირობებში მძლავრი ეფექტის მოცემა შეუძლია. შეთანხმებული ურთიერთქმედება, რომელიც წარმოშობს მაკროეფექტებს, წარმოადგენს თვითორგანიზაციის არსებობის შედეგს. ხარისხობრივ ასპექტში, მათ შორის რთული სისტემების მიმართაც, კოჰერენტულობას იხილავენ კოოპერატიულობის მოვლენებზე დაყრდნობით. განსხვავებული მასშტაბის სტრუქტურული დონეების კავშირი სისტემის ნაწილების კოოპერირების სახით თვითორგანიზაციის პროცესში ხორციელდება ახალი ხარისხის აღმოცენებით, რაც უზრუნველყოფს სინერგეტიკული ეფექტის წარმოჩენას.

სინერგეტიკული მიდგომის საფუძველზე საწარმოს მარკეტინგის მართვას სტიმულს აძლევს სხვადასხვაგვარი მიზეზი: ცვლილებები ტექნოლოგიაში, მყიდველების მზარდი მომთხოვნელობა და გაძლიერებული კონკურენცია, რაც საწარმოს ორიენტირებადს ხდის ცვლილებების შეტანაზე არსებული საწარმოს სტრუქტურაში, მართვაში.

მარკეტინგის სისტემის მართვის ინოვაციური პრინციპების დანერგვის ეფექტიანობის ანალიზისათვის აუცილებელია გაანგარიშებები (მიდგომის სიახლის გამო შეფასებების დიდი ნაწილი ექსპერტული ხდება), რადგანაც ცალკეული ინოვაციური პროექტების დანერგვა შეიძლება ძვირადღირებული აღმოჩნდეს და იმავდროულად არა ყოველთვის გამართლებული.

შემთხვევითობისა და სინამდვილის თანაფარდობის დამოკიდებულებით საწარმოს სისტემაში თვითორგანიზაციის ექნება სრულიად განსხვავებული და სხვადასხვაგვარი მიდგომა. რაც უფრო დაბალია წინასწარ განჭვრეტილ-დანახული სინამდვილე და მაღალია შემთხვევითობა, მით უფრო ნაკლებად წარმოჩინდება თვითორგანიზაცია, როგორც რეგიონში საწარმოს შიდა ფუნქცია. აღვნიშნავთ, რომ თვითორგანიზაციის მაღალი დონე მიიღწევა ინფორმაციის ხარისხის ამაღლებასა და მისი კარგი სტრუქტურირებისას. თუ ეს პირობები არ არის დაცული, მაშინ თვითორგანიზაციის დონე იკლებს, ამიტომ თვითორგანიზაცია მუშაობას იწყებს ნეგატიური სინერგის გაძლიერების მიმართულებით.

მასასადამე, სინერგეტიკული მიდგომის წარმატება წინასწარ არ არის განსაზღვრული და მოითხოვს სტრუქტურის შესახებ სერიოზულ განსჯა-გააზრებას. ამგვარად, მარკეტინგის მართვის ინოვაციური პრინციპების დანერგვა, სინერგეტიკული მიდგომის საფუძველზე, მოითხოვს მოცემული პროცესის შინაარსის დასაბუთებას. მიგვაჩნია, რომ წარმატებული მენეჯმენტის აუცილებელი პირობა უნდა გახდეს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ გამუდმებული სწრაფვა, მისი ინოვაციური ორიენტაცია.

მარკეტინგის სისტემისათვის ინოვაციურ საქმიანობას, პირველ ყოვლისა, გამოიწვევს აქვს არსებული საბაზრო პოზიციების შენარჩუნება და ბაზრის ახალი სეგმენტების მოძიებამოპოვება, სხვა სიტყვებით, ლიდერობის მიღწევა. ამასთან დაკავშირებით, მარკეტინგის სისტემაში ინოვაციური საქმიანობის რამდენიმე ძირითად მიმართულებას გამოვყოფთ:

ფორმის ურთიერთქმედების სრულყოფა სამომხმარებლო აუდიტორიასთან;

მაქსიმალურად დიდი რაოდენობის მომხმარებლის ყურადღების მიპყრობა: ცნობადობის მოპოვება - ცნობილ სახედ გახდომა;

ფირმისათვის უნიკალური იმიჯისა და უნიკალური ბრენდის შექმნა;

საქონლის ხარისხობრივი მახასიათებლების სრულყოფა და პროდუქციის ასორტიმენტული რიგის ოპტიმიზაცია;

კონკურენტული სტრატეგიის განვითარება;

გასაღებისა და მომარაგების არხების სტრუქტურის ოპტიმიზაცია;

შინაგანი მარკეტინგის განვითარება, პერსონალის კორპორატიული შეგნებულობის მობილობა-განმტკიცება;

როგორც გამოკვლევამ გვაჩვენა, რეგიონში ფუნქციონირებადი ფირმების აბსოლუტური უმრავლესობა მარკეტინგულ მოღვაწეობა-საქმიანობაში არ იყენებს ინოვაციურ ტექნოლოგიებს, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებულია არაერთი მიზეზით. კერძოდ, ასეთად მიგვაჩნია:

არაერთი ხელმძღვანელის მიერ მარკეტინგის სფეროში ინოვაციების დანერგვა, რომელიც არ აღიქმება საქმიანობის ეფექტიანობისა ამაღლების არსებით ფაქტორად. სამწუხაროდ, მათ მიერ თვითკმარად (აუცილებლობად და საკმარისად) მიიჩნევა ტრადიციული მოქმედებები, ხოლო მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება განიხილება მხოლოდ როგორც მარკეტინგული ღონისძიებების ინტენსიურობის ამაღლებად;

არ არსებობს სპეციალისტი - ნოვატორი, რომელსაც შეუძლია განავითაროს კონკრეტული ფირმის ინოვაციური მარკეტინგული პროცესები.

ინოვაციური საქმიანობის მართვის პროცესის დეტალიზებისათვის აღწერთ სამ საბაზრო ამოცანას:

ინოვაციური სტრატეგიების დასაბუთებული შერჩევის განხორციელება;

შერჩეული ინოვაციური სტრატეგიების შესრულების ორგანიზაცია;

სტრატეგიების რეალიზაციის მსვლელობისა მიმდინარე კოორდინაცია.

სინერგეტიკული მიდგომის საფუძველზე ინოვაციური განვითარების მართვა წარმოადგენს ინოვაციური მოქმედების სფეროში ფირმის ქცევის გამსხვილებულ გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს დარგში ფუნქციონირების დასახული მიზნების მიღწევას. ჩვენ გამოვავლინეთ კანონზომიერება: რაც უფრო მეტი დიფერენციაზე ორიენტირებული ფირმაა (როგორც კონკურენტის ძირითად ინსტრუმენტზე), მით უფრო მაღალია პროდუქტიულ სიახლეთა პრიორიტეტულობა.

ფირმის შიდა გარემოს ანალიზის ეტაპზე განხორციელდა ყველა იმ ფუნქციური ქვესისტემის სტრატეგიული შეფასება, რომლებიც მონაწილეობს ინოვაციურ საქმიანობაში, კონკრეტულად მარკეტინგის სამსახურისა. მისი პოტენციალის შეფასება მოხდა შემდეგი ძირითადი პარამეტრებით:

- ა) პერსონალის კვალიფიციური დონე;
- ბ) მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დონე;
- გ) რეალური შრომითი მოტივაციის ხარისხი.

ფირმის რენტაბელობა დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, რამდენად გონივრულად ეხამება იგი თავის გარემო გარემოცვას - ეკონომიკურს, სოციალურს, სამეცნიერო-ტექნიკურსა და ა. შ., - არამედ, აგრეთვე, იმაზეც, რამდენად შესწევს მას უნარი, მოახდინოს ადეკვატური და ოპერატიული რეაგირება ნაირგვარად განსხვავებულ საბაზრო სიტუაციებზე, რამდენად აქტიურია მენეჯერული შემადგენლობა, რამდენად უნარიანია ფირმის ხელმძღვანელობა და მენეჯმენტი, აღიქვას ინოვაციური ტექნოლოგიები, გადაწყვეტილებები და პროცესები და გამოიყენოს ისინი ფირმის ყოველდღიურ საქმიანობაში.

მართვის ლოკალური ქვესისტემების სახით თუ სინერგეტიკული მიდგომის საფუძველზე დავაკონკრეტებთ მარკეტინგის ინოვაციური განვითარების საერთო მოდელის ელემენტებს, სადაც აკუმულირდება სინერგეტიკული ეფექტი, მაშინ, ჩვენი აზრით, უნდა გამოვყოთ:

- საწარმოს სინერგეტიკული მარკეტინგი დარგში;
- ორგანიზაციის პერსონალის სინერგეტიკული მარკეტინგი;
- სინერგეტიკული მარკეტინგ-მენეჯმენტი;
- სინერგეტიკული ეგომარკეტინგი.

საწარმოსა და დარგის სინერგეტიკული მარკეტინგის შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ერთი რამ: საქართველოს ბაზარზე ამჟამად არც ისე მრავლად არის საწარმოები, რომელთა შორის კოორდინაცია იყოს. იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს წლებში მკვეთრად გამრავლდა ფუნქციონირებად საწარმოთა რიცხვი, მათ შორის კოორდინირების უქონლობა აუცილებლად გამოიწვევს ზედმეტ კონკურენტობას, ხელს შეუშლის ერთობლივი სარეკლამო აქციების გამართვას, მარკეტინგულ გამოკვლევებს და სხვ. ამის შედეგად ადგილობრივმა ანუ სამამულო საწარმოებმა შესაძლოა რეალურად დათმოს და მეტიც: დაკარგოს თავიანთი პოზიციები და ბაზარი უცხოელ მწარმოებლებს დაუთმონ. სიტუაცია მიძიდება აქტივებისა და ტექნოლოგიების დაბერებით, მმართველობითი ცოდნის არგანახლებით, ჩვევებისა და შეძლების დეფიციტით. დარგში საწარმოს სინერგეტიკული მარკეტინგი მიიღწევა გულდასმითი დაგეგმვით, კოორდინაციითა და ურთიერთქმედების პროცესის ორგანიზებით.

საწარმოს პერსონალის სინერგეტიკული მარკეტინგი - გახლავთ რამდენიმე ადამიანის ცოდნისა და ძალისხმევის ერთობლივად გამოყენება იმგვარად, რომ ისინი ურთიერთთანადგომით გაძლიერდეს. ეს არის საგანთა ისეთი მდგომარეობა, რომელიც ჩვეულებრივ გადმოიცემა ფრაზით „მთლიანი მეტია ცალკეული ნაწილების ჯამზე!“

სინერგეტიკულ მოქმედებაში სამი ძირითადი პროცესია გამოსაყოფი: ადეკვატური დაგეგმვა, ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის ცოდნისა და ინფორმაციის ეფექტიანი გაცვლა და სამუშაოს მიმდინარე კოორდინაცია - ყველა ეს შეიძლება გაერთინდეს საერთო ტერმინში - „კოლექტიური აზროვნება“.

სინერგეტიკული მარკეტინგ-მენეჯმენტი თავისი შინა-არსით გულისხმობს მართვის განსხვავებული, ნაირგვარი სტილის მაქსიმალურად ეფექტიანად, კომ-პლექსურად შეხამებას და მარკეტინგულ-ორიენტირებულ მართვაზე გადასვლას. და მაინც, სინერგეტიკულ მარკეტინგში, როგორც ნებისმიერ სხვა სისტემაში, არსებობს ფაქტორი, რომელიც უმთავრესად ფუძემდებელია. ჩვენი აზრით, ასეთ ფაქტორად გვევლინება *პირადული მარკეტინგი ანუ ეგომარკეტინგი*.

ამრიგად, ფირმას ან ორგანიზაციას შეუძლია დანერგოს სხვადასხვა (ნაირგვარი) უახლესი მარკეტინგული დამუშა-

ვებები, გამოიყენოს ხელმძღვანელობის ყველაზე უფრო ეფექტური სტილი, გააერთიანოს წარმოებები დანახარჯების მინიმიზებისა და მოგების მაქსიმიზების მიზნით, რათა ამით მიიღოს სინერგეტიკული ეფექტები, მაგრამ თუ საწარმოში არ არის მოწადინე, მცოდნე, მიზანმიმართული ტალანტით დაჯილდოებული და ტექნოლოგიური სიახლით აღჭურვილი პერსონალი, რომელიც მოახდენს ზემოთ დასახელებული მოდელების რეალიზებას, ფირმისთვის ძნელი და რთული იქნება წარმატების მიღწევა, ხოლო ზოგჯერ – შეუძლებელიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე – ინოვაციების მენეჯმენტი, თბ. 2008.
2. ე. ბარათაშვილი, ჯ. ბარანდია, ნ. გრძელიშვილი, ნ. გალახვარიძე – რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა, თბ. 2012
3. Bolton R; (2013), HR as a driver for Organizational Innovation, KPMG cutting through complexity.
4. Barry J., Kevin D., (2010), The Global Innovation 1000 “How the top Innovators Keep Winning.Issue 61.
5. The Conference Board CEO CHALLENGE 2015 <http://employeeengagement.com/wp-content/uploads/2014/01/2015-CEO-Challenge-Conference-Board-Report1.pdf>

APPROVAL OF SYNERGISTIC APPROACH IN MARKETING OF REGIONAL ENTERPRISES

NANA NADIRASHVILI

PhD Student of Technical University of Georgia, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.024>

LELA INASARIDZE

PhD Student of Technical University of Georgia, Georgia

KEYWORDS: SYNERGISTIC APPROACH, INNOVATION, MARKETING SUMMARY

SUMMARY

During managing the marketing system with scientific methods, especially with synergism and synergetic ideas, we are introduced to new innovative methods as a result of which we get a completely original group. Usage of synergetic ideas

helps us to increase management effectiveness, particularly to realize and become aware of important defects and their remedies without special expenditures. Such method makes it possible to conserve-minimize resources and costs.

ტურიზმი და ფინანსური რისკები

ნინო ლათანძი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველო

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.025>

საკვანძო სიტყვები: ფინანსური რისკები, ტურიზმი, ინფლაცია, შემოსავლები ტურიზმიდან, ტურიზმის უსაფრთხოება, ტურისტული რისკები

ეკონომიკურ კვლევებში და ბიზნეს-სუბიექტების საქმიანობაში რისკის პრობლემეტიკას უკავია ცენტრალური ადგილი. თანამედროვე პირობებში, ფინანსური რისკების მართვა არის ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის ამალღებისა და მისი შენარჩუნების უმთავრესი ფაქტორი. ტურისტული რისკების პრობლემის აქტუალობა განპირობებულია ტურისტული ბაზრის მზარდი როლით მსოფლიო ეკონომიკაში.

ბიზნეს-სუბიექტების ეფექტიანი საქმიანობისათვის აუცილებელია ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობს რისკების მინიმუმამდე შემცირებას, ასევე, შეამცირებს მათგან გამოწვეულ დანაკარგებს, ე. ი. უნდა დაინერგოს ფინანსური რისკების მართვის სისტემა (რისკ-მენეჯმენტი).

რისკების მართვისას, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს კონკრეტული

სფეროსთვის დამახასიათებელი ნეგატიური მხარეების განსაზღვრა. ტურისტული ინდუსტრია - ეს არის საწარმოების, დაწესებულებების, მატერიალური და არამატერიალური წარმოების სფეროთა ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტული პროდუქტის წარმოებას, განაწილებასა და გაცვლას, ტურისტული რესურსების ათვისებას და გამოყენებას, ასევე, ტურიზმისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

ტურიზმის სფეროში, მოქმედი სუბიექტებისათვის, ფინანსური რისკების მართვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს - ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნება და შემდგომისათვის მისი მდგრადობის უზრუნველყოფა.

რისკების წარმოქმნის ძირითად მიზეზებს შორისაა: ინფლაცია; საპროცენტო განაკვეთების არასახარბიელო ცვლილებები; ჩადებული თანხების დაბრუნების ვადის მოულოდნელი შემცირება; საკრედიტო რესურსების უკმარისობა; მომგებიანობის შემცირება; ორგანიზაციის ვალდებულებათა სტრუქტურაში სასესხო კაპიტალის მაღალი წილი; მაღალლიკვიდური აქტივების რეზერვების ნაკლებობა.

საქართველოში ინფლაციის გამომწვევი მიზეზებიდან განვიხილავთ იმ მიზეზებს, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოს ეკონომიკისათვის, პირველ რიგში ეს არის: არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; იმპორტირებული ინფლაცია; ინფლაციური მოლოდინი.

დღეს საქართველოში არსებული ფულად-საკრედიტო სისტემა მიმართულია მხოლოდ ერთი მიზნისკენ - შეინარჩუნოს ეროვნული ვალუტის სიმყარე. სხვა ობიექტურ მოთხოვნილებათა უგულებელყოფით ინფლაციის შეჩერება და ლარის კურსის შენარჩუნება აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას.

როცა ინფლაციის დონე ქვეყანაში მაღალია, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, პროდუქტების კონკურენტულობა ეცემა, რაც აფერხებს ეკონომიკის ზრდას. ინფლაციის მაჩვენებელზე შეიძლება გავლენას ახდენდეს, როგორც ეკონომიკის მიწოდების, ასევე, მოთხოვნის მხარე. ასევე, ინფლაცია შეიძლება პროვოცირებული იყოს საშინაო ან საგარეო ფაქტორების ზემოქმედებით. საქართველოში, ბოლო პერიოდში, ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფონზე გაზრდილია ინფლაციური მოლოდინები. ზოგადად, თუ ქვეყნის ექსპორტის მაჩვენებელი იმპორტზე მაღალია, იგი სუსტი ვალუტით კონკურენტუნარიანი ხდება საერთაშორისო ბაზარზე და დიდ მოგებას ნახულობს, მაგრამ საქართველოში იმპორტი ლამის 5-ჯერ ჭარბობს ექსპორტს და აქ ეროვნული ვალუტის შესუსტება ნიშნავს სამომხმარებლო ფასების აწევას. ფასები თუ არ აიწევს, მაშინ მთავრობას მოუწევს ამ განსხვავების დაფარვა და ასეთ პირობებში ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია.


ექსპერტების აზრით, შეცდომაა, როცა მთავრობამ აირჩია ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელი სუსტი ეროვნული ვალუტის ფონზე, რაც ცხადად აჩვენებს, რომ არჩეულია სუსტი ლარის სტრატეგია. იგივე ექსპერტები აცხადებენ, რომ ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მიგვიყვანა მსოფლიო კრიზისამდე. იგი გულისხმობს ხელისუფლების მაქსიმალურ დისტანცირებას ეკონომიკური პროცესებისგან და ეკონომიკაში საბანკო სექტორის როლის გაზრდას, რაც ჩვენნაირი ქვეყნისთვის არასწორია.

შემომყვან ტურიზმზე ლარის კურსი მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს - ამის შესახებ საუბრობენ ტურისტული კომპანიების მფლობელები. მაგალითისთვის, Caucasus Travel-ის დირექტორმა განაცხადა, რომ ტურიზმის სფერო ადგილობრივი ვალუტის დევალვაციის ერთ-ერთი ბენეფიციარია, რომელიც იღებს სარგებელს. თუ აღვნიშნავთ, რომ ტურიზმი არის საკუთარი ვალუტის დევალვაციის ბენეფიციარი, მაშინ ვალუტის კურსის გაუფასურებისას აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია შემომყვანი ტურიზმის გაზრდა. ვალუტის გაუფასურება შემომყვანი ტურიზმისგან განსხვავებით, გამყვანი ტურისტული კომპანიებისთვის პრობლემას წარმოადგენს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს წინა 2014 წელთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 5.0% შეადგინა. 2016 წლის ნოემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონე 0.6 % ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაციის დონე) 0,2 პროცენტი შეადგინა. 2010

საბაზისო ინფლაცია

(პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით)



წლის საშუალოსთან შედარებით სამომხმამარებლო ფასების ინდექსი 17,8 პროცენტით გაიზარდა.

2016 წლის ოქტომბერში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 0,5 %, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაციის დონე) – 0,2% შეადგინა და 2010 წლის საშუალოსთან შედარებით სამომხმამარებლო ფასების ინდექსი 17,1%-ით გაიზარდა.

2015 წელს მიმდევრო 2016 წელთან შედარებით საერთაშორისო ვიზიტორების შემოსვლის ტოპ ათეულში სხვა სურათი იყო: აზერბაიჯანი, რომელიც ტოპ ქვეყნების სათავეშია, წინა წელს მეორე ადგილზე იყო, ხოლო პირველი ადგილი თურქეთს ეკავა, მეორე კვარტალში თურქეთიდან საქართველოში სულ 343 397 ვიზიტორი დაფიქსირდა. 2016 წელს ვიზიტორების რაოდენობის ზრდა ფიქსირდება სომხეთიდან, რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან 20%, 29%,11%. რაც შეეხება ტურიზმიდან უცხოური ვალუტის შემოდინებას, ერთი ტურისტის ქვეყანაში საშუალოდ 225\$ ტოვებს, რაც საერთო ჯამში, 2015 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით 302 მილიონ 835 დოლარზე მეტია, ეს კი თავის მხრივ პირველ კვარტალში ქვეყანაში შემოსულ უცხოურ ვალუტაზე 20,19%-ით მეტია. უნდა აღვნიშნოთ, რომ 2015 წლის ზაფხულის სეზონისთვის ტურისტული კომპანიები ელოდებოდნენ ეროვნული ვალუტის დასტაბილურებას, მაგრამ სიტუაცია რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა. თუმცა ტურისტულმა სეზონმა იმუშავა და მოახერხა იმ საგარეო ნეგატიური ფაქტორების განეიტრალება, რომელიც ქვეყანაზე პირდაპირ და ირიბად მოქმედებდა. სავალუტო კრიზისი აღინიშნებოდა ასევე ყველა ჩვენს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში. ამ პერიოდს დაემთხვა საბერძნეთის კრიზისიც, 2014 წელთან შედარებით 2015 წელს საქართველოში 23%-ით შემცირდა ფულადი გადარიცხვების შემოდინება, ასევე აღსანიშნავია უკრაინისა და რუსეთის დღემდე ძალიან არასტაბილური მდგომარეობა. სწორედ მსგავსი ნეგატიური ფაქტორების განეიტრალება მოუწია ტურისტულ სეზონს.

საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის ზრდა 2016 წლის 10 თვის მონაცემებით.

ქვეყანა	2016: 10 თვე. ზრდა	2016: 10 თვე. წილი მთლიან ზრდაში (%)
აზერბაიჯანი	127,434	24 %
ირანი	108,992	21 %
რუსეთი	107,351	21 %
ისრაელი	31,384	6 %
უკრაინა	28,129	5 %
ინდოეთი	19,419	4 %
ყაზახეთი	11,382	2 %
საუდის არაბეთი	10,797	2 %
ბელარუსი	7,811	2 %
სხვა	69,090	13 %

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

2016 წელს დეფიციტის შემცირება განპირობებული იყო მომსახურების ბალანსის გაუმჯობესებით. მომსახურების პროფიციტის ფარდობამ მშპ-თან 10.4% შეადგინა, რამაც 2.6 პროცენტული პუნქტით მეტი შეადგინა წინა წლის მაჩვენებელთან. აბსოლუტურ გამოსახულებაში მომსახურების დადებითი სალდო 2015 წელს წინა წელთან შედარებით 158 მლნ აშშ დოლარით (12.2%-ით) გაუმჯობესდა და 1.46 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდა უმეტესწილად გამოწვეული იყო ტურისტული შემოდინებების მაღალი ზრდით. ტურისტული შემოსავლები, რომელიც მომსახურების ექსპორტის ძირითად ნაწილს შეადგენს, 2016 წელს დაფიქსირდა 1.94 მლრდ აშშ დოლარი, რაც 8.3%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ტურისტული შემოდინებების ზრდის ტემპის მატება გამოწვეული იყო ვიზიტორთა რაოდენობის შედარებით მაღალი ზრდით (7%), რაც ძირითადად განაპირობდა სომხეთიდან (10.7%), რუსეთიდან (14%) და აზერბაიჯანიდან (8.6%) ვიზიტორების რაოდენობის ზრდამ.

რამდენიმე წელია, რაც ვიზიტორთა რაოდენობის მზარდი ტენდენციაა ისრაელიდან, გერმანიიდან, ყაზახეთიდან, აშშ-დან, ბელორუსიიდან და დიდი ბრიტანეთიდან. საპირისპიროდ ვიზიტორთა რაოდენობა ყველაზე მეტად შემცირდა თურქეთიდან (3.6%), ირანიდან (-47.3%) და ერაყიდან (-55%). აღსანიშნავია, რომ ვიზიტორების რაოდენობა წლის მეორე კვარტლიდან გაიზარდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლარის კურსის გაუფასურებამ.

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომელსაც გამოთქვამს აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა. იგი ინფლაციის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად თვლის ტურიზმს: „ტურიზმის განვითარების სტიმულირებამ საქართველოში სურსათზე მოთხოვნა გაზარდა, რაც აგრარული კრიზისის პირობებში მხოლოდ იმპორტის ზრდის ხარჯზე კმაყოფილდება. მსოფლიო ეკონომიკაში აგფლაციური პროცესების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აგფლაციის იმპორტიც მიმდინარეობს.“ (პაპავა, 2013: 7). (აგფლაცია, აგრარულ პროდუქციაზე ფასების უფრო დაჩქარებული ზრდა სხვა სამომხმარებლო საქონელზე ფასებთან შედარებით – რედ). იგივე მოსაზრებას იზიარებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ლევან კალანდაძე და არ ეთანხმება ხელისუფლების წარმომადგენლებს იმაში, რომ ტურისტების შემოსვლა დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

ჩვენი მოსაზრებით, ლარის ბოლოდროინდელ დევალვაცია დაკავშირებულია არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან და ქვეყნიდან დიდი მასშტაბებით კაპიტალის გადინებასთან. ტურისტული აქტივობის ზრდა ხელს უწყობს ლარის კურსის გამყარებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად გამოიწვიოს ეროვნული ვალუტის ინფლაცია საქონელთან და

მომსახურებასთან მიმართებაში, რადგან ლარის მეტი მასა შედის ბრუნვაში. ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს იმაზე, რომ სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს ეროვნული პროდუქტი, რაც თავისთავად გულისხმობს სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას და წინ წამოწევას.

რეზიუმე

ინფლაციის გამომწვევი მიზეზებიდან ჩვენ განვიხილავთ იმ მიზეზებს, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოს ეკონომიკისათვის, პირველ რიგში ეს არის: არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; იმპორტირებული ინფლაცია; ინფლაციური მოლოდინი.

ტურიზმის სფერო ადგილობრივი ვალუტის დევალვაციის ერთ-ერთი ბენეფიციარია, რომელიც იღებს სარგებელს. თუ აღვნიშნავთ, რომ ტურიზმი არის საკუთარი ვალუტის დევალვაციის ბენეფიციარი, მაშინ ვალუტის კურსის გაუფასურებისას აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია შემომყვანი ტურიზმის გაზრდა. ვალუტის გაუფასურება შემომყვანი ტურიზმისგან განსხვავებით, გამყვანი ტურისტული კომპანიებისთვის პრობლემას წარმოადგენს. ტურისტული შემოსავლები, რომელიც მომსახურების ექსპორტის ძირითად ნაწილს შეადგენს, 2016 წელს დაფიქსირდა 1.94 მლრდ აშშ დოლარი, რაც 8.3%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ტურისტული შემოსავლების ზრდის ტემპის მატება გამოწვეული იყო ვიზიტორთა რაოდენობის შედარებით მაღალი ზრდით. რაც შეეხება ლარის ბოლოდროინდელ დევალვაციას, ის დაკავშირებულია არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან და ქვეყნიდან დიდი მასშტაბებით კაპიტალის გადინებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა, ვ. (2013). „პოსტკარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები. ექსპერტის აზრი № 4. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, <<https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/4-expert-opinion-geo.pdf>>.
2. მაღლაკელიძე თ. (2002). ეკონომიკური უსაფრთხოება. „სიახლე“. თბილისი.
3. ნატროშვილი გ. ეროვნული უსაფრთხოების მიზნები, ფაქტები და მაჩვენებლები. ახალი აზრი, №8 (14), – დეკემბერი
4. ოთინაშვილი, რ. (2005). „ეკონომიკური უსაფრთხოება“ (ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები) თბილისი.
5. ბირჟაკოვი, მ. (2014). ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოება. თბილისი.
6. Биржаков, М., (2000). Введение в туризм. Издательский дом „Герда“.
7. Белоногов, А. (2010). Формирование системы обеспечения экономической безопасности сферы туризма. Санкт-Петербург.
8. Плоткина, Н. (2015). Классификационные признаки туристских рисков. Электр. Журнал: Проблемы устойчивого развития туризма 2015, №9 (27).
9. Гладко Е. А. Управление финансовыми рисками в предприятиях туристической индустрии, электр. журнал „Управление экономическими системами“ Management of economic systems
10. Научная библиотека Кибер Ленинка: <http://cyberleninka.ru/article/n/teoreticheskie-odhody-k-suschnosti-i-klasifikatsii-turistskih-riskov>
11. Коммерческие риски в турбизнесе // Турбизнес, — Режим доступа. — URL: <http://www.insur-info.ru/press/63260>
12. Туроператоры извергли убытки // — Режим доступа. — URL: <http://www.economy.ge/>
13. <http://www.economy.ge/>
14. <http://geostat.ge/>
15. <http://www.kvirispalitra.ge/economic.html?start=20>
16. <http://fxstock.ru/108802-Kak-techenie-turizma-vliyaet-na-inflyaciyu-v-Gruzii.html>
17. <http://www.blackseanews.net/read/10321>

TOURISM AND FINANCIAL RISKS

NINO LETANDZE

PhD Student of Georgian Technical University, Georgia

<https://doi.org/10.35945/gb.2017.04.025>

KEYWORDS: FINANCIAL RISKS, TOURISM, INFLATION, INCOME FROM TOURISM, TOURISM SECURITY, TOURISM RISKS

SUMMARY

In the article the basic concepts of tourism business safety are considered, the author's classification of the major risk factors arising in the organization of tourist activity is given.

The presence of risks and the opinion of the owners of travel agencies proves that this business is not so simple as it seems at first glance. And like any business, it requires a thorough and thoughtful approach. Therefore, planned investments in the tourist business require an assessment of the degree of risk, the determination of its magnitude and the application of measures to a decrease.

Monetary policy is an integral part of a single state economic policy. The inflation rate in Georgia in October 2016 compared to the previous month was 0.5%, in comparison with October 2015, the consumer price index decreased by an average of 0.2%, as in our food basket imports are 80%, with an increase the number of tourists, the demand for food products is growing and, accordingly, the demand for imports is growing. The increase in the number of visitors is in favor of the Georgian economy, but according to experts on economic issues, it contributes to inflation processes. We believe that in order to prevent these processes, we need the right monetary policy and effective solutions of the national bank.

კრიტიკა და რევენუიები

CRITICISM AND REVIEWS

ფუნდამენტური ნაშრომი სამეცნიერო და პრაქტიკული კონტექსტით

ბივი ბაღიანაშვილი

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

„ეს ის წიგნია, რომელსაც თავადაც სიამოვნებით დაეწერდი“ – ოლივერ ბლანშარი

ქართულმა სამეცნიერო და მართვის პრაქტიკულ მომუშავეთა საზოგადოებამ მიიღო ფრიად საინტერესო და სასარგებლო ნაშრომი, შესრულებული უშუალოდ კვლევისა და კონკრეტული მართვის ოთხი ცნობილი ექსპერტის მიერ¹. შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი მართლაც წარმოადგენს ყოვლისმომცველ სახელმძღვანელოს ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლის, ან ამ მიმართულებით მოღვაწეობის შესახებ. აღნიშნული ნაშრომი დიდად წაადგება მათ, ვინც დაინტერესებულია ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე პრობლემეტიკით ან კონკრეტულად საქმიანობს ამ სფეროში. განსაკუთრებული სარგებლობა შეუძლია მოუტანოს აღნიშნულმა წიგნმა ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემეტიკის მკვლევარებს, შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს.

სარეცენზიო სახელმძღვანელოში ერთადაა თავმოყრილი მდიდარ ფაქტებზე დაფუძნებული კომპლექსური ანალიზი, თანამედროვე თეორიები და მოდელები, მსოფლიო გამოცდილება, ასახული პოლიტიკოსების მოსაზრებებში. ყოველივე ეს სძენს წიგნს მართლაც უნიკალურ თვისებებს.

წიგნის ავტორების ათწლიანი გამოცდილებით დაწერილი ნაშრომი გააზრებულია როგორც მის სტრუქტურაში, ასევე თვით ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემეტიკის გადმოცემის სიღრმისეულ და თანმიმდევრობით დალაგებული მასალის ლოგიკაში. მასში შესანიშნავადაა განხილული ეკონომიკური პოლიტიკის პოზიტიური და ნორმატიული ასპექტები, შესაბამისად, ის, თუ როგორ მოქმედებს პოლიტიკა ეკონომიკაზე და რა მიზნებს უნდა ემსახურობდეს პოლიტიკის შემუშავებელი, როგორ უნდა ხდებოდეს მისი შეფასებები. განსახილველი ნაშრომი პასუხობს მთელ რიგი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის შეკითხვებს, რომლებზეც რთული იყო პასუხების გაცემა ან საერთოდ უპასუხოდ გვრჩებოდა, რაც რა თქმა უნდა, ამაღლებს წიგნის ღირსებას.

წიგნის დადებით მხარეებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ის, რომ იგი ერთ-ერთი პირველი სთავაზობს მკითხველს ფინანსური კრიზისისა და მის შემდეგ განვითარებული რეცესიის კომპლექსურ ანალიზს. ავტორები მართებულად არ უარყოფენ იმ კონცეპტუალურ სირთულეებს, რაც დაკავშირებულია კრიზისის გამომწვევი მიზეზების სისტემურ ანალიზთან, ტრადიციული მიდგომების შემზღველობასთან, რაც რეალურად ფინანსურმა კრიზისმა წარმოაჩინა. ამავე დროს, ავტორები არ ანიჭებენ თეორიას გადამეტებულ მნიშვნელობას თვით კრიზისის ადექვატურ შესწავლასა და პრევენციაში. ისინი არ გაურბიან თეორიის სუსტ მხარეებზე საუბარს, მოჰყავთ რა პოლ კრუგმანის სიტყვები იმის შესახებ, რომ ეკონომისტებს „სილამაზე ეგონათ სიმართლე“.

საინტერესოაა განხორციელებული ავტორების მიერ თეორიის გამოყენების კონკრეტული ფორმები, მათი ადექვატურობის დადასტურების მიზნით ისტორიული ფაქტების ლოგიკური გამოყენება და მისადაგება.

წიგნი, ვფიქრობთ, განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ეკონომისტებისათვის მაკროეკონომიკის სიღრმისეულად შესასწავლად, თეორიის და მეთოდოლოგიის ურთიერთშეხამებული გამოყენების უნარჩვევების სრულყოფის მიმართებით კონკრეტული ფაქტებისა და მონაცემების განხილვის პროცესში.

წარმოდგენილი წიგნის გამოცემა ის კარგი ტრადიციაა, რომელიც აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას რექტორობის პერიოდში მისი ინიციატივით დაიწყო – მსოფლიოში ცნობილი სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნა (იმედია ეს ტრადიცია გაგრძელდება მომავალშიც). დიდ მადლობას იმსახურებენ წიგნის სამეცნიერო რედაქტორები, ასევე წიგნის მომზადებაზე მომუშავე ყველა სპეციალისტი პროფესორ რევამ გველესიანის ხელმძღვანელობით. ვფიქრობთ, სარეცენზიო ნაშრომი დაიკავებს ღირსეულ ადგილს მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტების სამუშაო მაგიდაზე. ჩვენ ვიზიარებთ შევიცარიის ეროვნული ბანკის მმართველი საბჭოს თავმჯდომარის ფილიპ ჰილდბრანდის სიტყვებს სარეცენზიო ნაშრომის მიმართ: „ეს წიგნი არაერთ ფიქრს აღუძრავს, დაინტერესებს და ჩაითრევს როგორც სტუდენტებს, ასევე მათ, ვინც ეკონომიკური პოლიტიკის ტექტიკის შემუშავებითაა დაკავებული“.

¹ ეკონომიკური პოლიტიკა: თეორია და პრაქტიკა. ავტორები: აგნეს ბენასი-კუერი, ბენუა-კიური, პიერ ჟაკი, ჟან პისანი-ფერი. სამეცნიერო რედაქტორები: რევაზ გველესიანი – თსუ-ის პროფესორი; ირინა გოგორიშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი; გულნაზ ერქომაიშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი; ეკა ლაკაშვილი – თსუ-ის ასოცირებული პროფესორი. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016. – 932 გვ.

ნაშრომი, რომელიც უაღრესად სასარგებლოა ყველა მეურნე მევენახისა და მეღვინისათვის

პარმან ლემონაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

თანამედროვე ეტაპზე, ახალ გამოწვევათა საფუძველზე ჯეროვან დონეზე, ნებისმიერი მეცნიერული ეკონომიკური მონოგრაფიული ნაშრომის გამოცემა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რადგან იგი, როგორც დეტერმინანტი, ხელს უწყობს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდას. სწორედ ასეთი მნიშვნელობის მონოგრაფიას წარმოადგენს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ეთერ ხარაიშვილის ნაშრომი „ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში“ (თბილისი, 2017 წელი).¹

ნაშრომის გულდასმით წაკითხვა გვარწმუნებს, რომ მისი შექმნისათვის ავტორს გაწეული აქვს განუსაზღვრელად დიდი შრომა და პრობლემების დამუშავების ღრმა მეცნიერული ანალიზი.

მონოგრაფიული ნაშრომი შედგება სამი თავისა და რვა პრაგრაფისაგან და მოიცავს ორას სამ გვერდს. ნაშრომში გაშუქებულია აგრარული წარმოების პროცესები, სოფლის მეურნეობის ქვედარგების, მევენახეობის და მეღვინეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები.

ნაშრომის მეორე თავში, ჩემი აზრით, ავტორის მიერ სწორად არის ჩამოყალიბებული საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები და ნათლადაა გამოკვეთილი მევენახეობის საწარმოო მიმართულებები. ამ მხრივ, საფუძვლიანად არის დასაბუთებული, რომ მევენახეობა-მეღვინეობის დარგები, რომლებიც ეროვნულ რესურსებს ეფექტიანად იყენებენ საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებისთვის, აღწევენ მნიშვნელოვანი უკუგების მიღებას. ამ თვალსაზრისით პრიორიტეტულია, მიუთითებს ავტორი, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება საქართველოში.

მართლაც საქართველოს ეკონომიკურ სტრუქტურაში მეღვინეობის დიდი მნიშვნელობა გამათლებულია იმიტაც, რომ სოფლის მეურნეობის ქვედარგები სახელმწიფოს მიერ დეკლარირებულია ქვეყნის სტრატეგიული მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებში.

ჩემთვის მეტად საყურადღებოა ნაშრომის პირველ თავში საფუძვლიანად და ორიგინალურად ჩამოყალიბებული ქართული ღვინის ბაზრისა და დივერსიფიკაციის სტრატეგიული მიმართულებები. ამავე თავში საყურადღებოა მევენახეობა-მეღვინეობის დარგების განვითარების ტენდენციებისა და დივერსიფიკაციის კონკრეტული მოდელების კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები.

ჩემი აზრით მისაღებია ავტორის არგუმენტაციით მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის პროცესის დასაბუთება იდენტიფიცირებით ამ დარგების მწარმოებელთა ოთხ კვლევად დაყოფად.

ნაშრომის ავტორი სამართლიანად მიუთითებს იმას, რომ დაბალია მევენახეობა-მეღვინეობის დარგებში კოოპერირების დონე, არადა ამ პროცესის განვითარებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება დარგების დივერსიფიკაციაში. ამ თავში მნიშვნელოვანია აღნიშვნა იმის შესახებ, რომ უმთავრესია თანამედროვე ეტაპზე ღვინის საერთაშორისო ბაზრის გაფრთხილება, დივერსიფიკაცია და ამ პროცესში მცირე და საშუალო ზომის მწარმოებელ ფერმერთა ჩართვა.

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომის მესამე თავში გაანალიზებულია მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელების, ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბებისა და დივერსიფიკაციის შესაძლებლობების, დივერსიფიკაციის ევროპული მოდელების თანამედროვე გამოწვევების საკითხები და ნაჩვენებია ქართული ღვინის ბრენდისა ღვინის ტურიზმის მნიშვნელობა მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის ეფექტიანი მოდელის ფორმირებაში.

ყველა ჩამოთვლილის საკითხი მეცნიერული მონოგრაფიის კონტექსტში განხილულია სიღრმისეულ ჯეროვან მეცნიერულ-თეორიულ დონეზე და მოცემულია თითოეული მათგანის მიმართ ავტორის ხედვა და ჩამოყალიბებულია დასკვნები.

საბოლოოდ მინდა აღვნიშნო, რომ პროფესორ ეთერ ხარაიშვილის ნაშრომი „ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში“ ქართულ ეკონომიკური ლიტერატურის კარგი შენაძენია და ყოველმხრივ დადებით შეფასებას იმსახურებს.

¹ ეთერ ხარაიშვილი, „ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017. – 203 გვ.

ნათელი სსოვნა

THE MEMORY

მასწავლებლის ნათელ ხსოვნას: ბიორბი პაპავა

ნარიმან ტერაშვილი

ეკონომიკის დოქტორი,

სსიპ – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მთავარი ექსპერტ-აუდიტორი

2018 წლის 3 იანვარს გიორგი პაპავას დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდა! მართალია, ბატონი გიორგი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მისი მეცნიერული იდეები და „დათესილი სიკეთეები“ ცოცხლობს. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ბატონი გიორგი ყოველთვის დაუვიწყარი იქნება ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მას იცნობდა, ვისაც ცხოვრების გზაზე შეხვედრია, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის წევრებისა და მრავალრიცხოვანი მოწაფეებისათვის. მე ნამდვილად გამიმართლა ცხოვრებაში, რადგან მეცნიერ-ხელმძღვანელად მყავდა კაცი-ლეგენდა, მრავალი დადებითი თვისებებით შემკული ადამიანი, დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი პაპავა. გამიმართლა არა მხოლოდ მე, არამედ ყველას, ვინც თავს მის შეგირდად თვლის.

როგორი იყო გიორგი პაპავა, როგორც მეცნიერთა აღმზრდელი?

შეიძლება ითქვას, რომ გიორგი პაპავა იყო მკაცრი აღმზრდელი. თავად შრომისმოყვარე და დაუღალავი, სასტიკად ვერ იტანდა უსაქმურებს და დროის ფუჭად მფლანგაგებს, არადისციპლინირებულებს და ბარმაცებს, აგრეთვე ისეთ ადამიანებს, რომლებიც უგულოდ ეკიდებიან თავის საქმეს, არ ეძიებენ სიახლეებს, არ იმდიდრებენ ცოდნას. იგი ამბობდა, რომ ახალგაზრდები ორ კატეგორიად იყოფიან: „სწავლა-მოწყურებულნი“ და „სწავლამისჯილები“ და ეს უკანასკნელნი, სამწუხაროდ, უფრო მრავლად არიანო. ცხადია, მეცნიერებაში წარმატების მისაღწევად მარტო სურვილი და ამბიციაც არ კმარა, აუცილებელია გაგაჩნდეს მეცნიერ-მკვლევარის ნიჭიც. ბატონი გიორგი „კოჭებში“ ატყობდა, აქვს თუ არა ახალგაზრდას მეცნიერის მონაცემები. იგი ვერ იტანდა მეცნიერებაში შემთხვევით მოხვედრილ ახალგაზრდებს და ურჩევდა: **„მეცნიერებაში ნუ ეტენებით, თუ მისკენ გული არ მიგიწევთ!“**.

თუ გსურდა ბატონი გიორგის შეგირდი ყოფილიყავი, თავი უნდა დაგენებებინა სიზარმაცისთვის. ამყავდ შემიძლია ვთქვა, რომ საქმისადმი სიყვარული, შრომისმოყვარეობა და მაღალი ნაყოფიერება ბატონ გიორგი პაპავას ნამოწაფართა „საფერძო ნიშანია“.

ბატონი გიორგი ძალიან მკაცრი და უშეღავათო იყო იმ ახალბედა მეცნიერთა მიმართ, ვინც ფუჭად ფლანგავს თავის ნიჭს, სამაგიეროდ დიდად აფასებდა და უყვარდა ჭკვიანი, მოაზროვნე და შრომისმოყვარე ახალგაზრდები. მას ყოველთვის ახსოვდა, რომ ერთ დროს თვითონაც იყო ახალბედა მეცნიერი და ამიტომ თავის მოწაფეებს ისე ექცეოდა, როგორც თანატოლს, არ გაურბოდა მათთან საუბარს, კამათს, ცდილობდა ყოფილიყო მათი მეგობარი. ახალბედა მეცნიერი ამ დროს გრძნობდა უფროსი კოლეგის მხრიდან დიდ ყურადღებას და, რაც ყველაზე მთავარია, თბილ დამოკიდებულებას. შედეგად, მათ შორის ყალიბდებოდა ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. ბატონი გიორგი ყველა მის აღზრდილს განსაკუთრებულად გვიყვარდა იმ მშობლიური ბრუნვისათვის, რომელსაც ის იჩენდა ჩვენს მიმართ.

ბატონი გიორგი ცდილობდა, რომ ჩვენში განვეითარებინა ორიგინალური აზროვნება, პრობლემების არსში წვდომის, დაკვირვებულობისა და განზოგადების უნარი, რადგან მიიჩნდა, რომ: **„ვისაც განზოგადების უნარი არ გააჩნია, ის მეცნიერი არ არის!“**.

თვითონ უაღრესად ერუდირებული, ენციკლოპედიური ცოდნის მქონე ბატონი გიორგი თავის შეგირდებს ასწავლიდა, რომ ვიწრო სპეციალიზაციასთან ერთად აუცილებელია მეცნიერების დარგის ფართო პროფილით შესწავლაც, რადგან, მისი აზრით: **„მრავალმხრივი და კომპლექსური ცოდნა ბაღებს ასოციაციებს, ასოციაციების ტალღა კი ქმნის მეცნიერებას!“**

თავის შეგირდებს იგი ასევე ასწავლიდა, რომ მათი მეცნიერული კვლევა-ძიება მიმართული ყოფილიყო პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტაზე, რადგან, მისი აზრით: **„ფუნდამენტალური მეცნიერული კვლევა, რომელიც საბოლოო ანგარიშით პრაქტიკაზე გადის, ყოველგვარ პრაქტიკაზე უფრო დიდი პრაქტიკაა!“**

წილად მხვდა ბედნიერება, მრავალი წლის განმავლობაში მესწავლა და მემუშავა ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით. ეს დაუვიწყარი წლები იყო. იგი ძალიან მკაცრად მექცეოდა და მინერგავდა აზრს, რომ ახალგაზრდამ ფუჭად არ უნდა ფლანგოს თავისი ნიჭი და ის დრო, რომელიც გვეძლევა ნიჭის წარმოსაჩენად. თავის მხრივ, არ იშურებდა საკუთარ ცოდნას, ერუდიციას, დროს და ენერჯიას, ერთი სიტყვით, „თავზე გადამყვა“ და, საბოლოო ჯამში, მანამ არ მომეშვა, სანამ არ გამიყვანა მეცნიერული წარმატების გზაზე. რა დამავიწყებს ბატონი გიორგის სიხარულითა და სიამაყით გაბრწყინებულ სახეს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დავიცავი დისერტაცია. ანალოგიურ სიხარულს გამოხატავდა იგი ნებისმიერი მოწაფის წარმატების დროს.

ბატონი გიორგის აღზრდილებს შორის ბევრი დიდებული და გამოჩენილი ადამიანია. მათ შორის არიან აკადემიკოსები და დოქტორები.

რა იყო ბატონი გიორგის, როგორც მეცნიერთა აღმზრდელის, წარმატების საიდუმლო?

ჩემი აზრით, ის, რომ იგი თვითონ იყო ნამდვილი მეცნიერი! ბატონი გიორგი იყო მოუსვენარი, „ვერცხლისწყალივით“ მოძრავი, მუდმივად ახლის ძიებაში მყოფი, „მეცნიერული იდეების გენერატორი“ და ხშირად ამბობდა: **„როცა მიღწეულით დაკმაყოფილდები და სიახლეს აღარ ეძებ, მაშინ კვდები როგორც მეცნიერი!“**

მიუხედავად ცხოვრების ნარ-ეკლიანი გზისა, ბატონ გიორგის არ დაუკარგავს ოპტიმიზმი, შეუპოვრობა და მიზანდასახულობა, ახალგაზრდული შემართებით, სიცოცხლის ბოლო წუთებამდეც კი აგრძელებდა მეცნიერულ შრომას და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მიეგარა საქართველოს მიწას.

მეამაყება, რომ ვარ გიორგი პაპავას მეცნიერული სკოლის წარმომადგენელი. ყველა მის აღზრდილთან ერთად ქედს ვიხიბი მისი ხსოვნის წინაშე.

რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული
ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“

რედაქტორი: გივი ჩიღვინაძე
ინგლისური ტექსტის კორექტორი: ნინო ქერაშვილი
დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე
გარეკანის დიზაინი: ლიზა ჯალაღონია

თბილისი, 0141, დ. გურამიშვილის გამზ. №76

ტელეფონი: (+995 32) 2 000 171

(+995 599) 96 94 59

ფაქსი: (+995 032) 214 35 83

ელ-ფოსტა: info@eugb.ge

გამომცემლობა „საუნჯე“

**REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL
JOURNAL GLOBALIZATION & BUSINESS**

Editor: Givi Chighvinadze
Proof-reader of English text: Nino Kerashvili
Page Make-up: Nika Khvedelidze
Cover Design: Liza Jalaghonia

76 D. Guramishvili ave, Tbilisi, 0141, Georgia

Phone: (+995 32) 2 000 171

(+995 599) 96 94 59

Fax: (+995 032) 214 35 83

E-mail: info@eugb.ge

„Saunje“ Publishing House



saungeo@gmail.com

facebook.com/saunje publishing

Tel: 214 1 214; 239 55 87; 239 71 88

